საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

®

www.tbiliselebi.ge

№26(65

24–30 ივნისი

1,50 ლარი



გვ. 78

როგორ ამღერდნენ ოთო მარცვალაძის ქორწილში ფეხბურთელები და რომელი პარლამენტარი თამადობდა იქ

გვ. 18

ვინ არის გოგონა, რომელიც ირაკლი ფუტკარაძეს უნახავად უყვარს და რა ხიფათს გადაურჩა ის 3 წლის ასაკში

გვ. 58

რის გამო არ დასთანხმდება მერყევი ხასიათის ნანა შონია კულტურის მინისტრის მოადგილეობას და რატომ ერიდებოდნენ მასთან ურთიერთობას ნათესავები

ISSN 1987-569X

9 771987 569002



როგორ გახდა სტრიპტიზი სოფია კანდელაკის უსაყვარლესი საქმე და რაზე უთხრა მან კატეგორიული უარი ცნობილ მილიონერს

გვ. 38



გვ. 54

რით „დაშოკა“ გერმანელი ტურისტები ბრენდონ სთოუნმა და რატომ გაუკვირდათ მისი „გამოკიდება“ შუაგულ ბათუმში



რით მოხიბლეს ნია წივწივაძემ და მაგდა მელიქიშვილმა ჩინელები და როგორ აღმოჩნდნენ ისინი „შანხაი ფეშენ ვიქზე“

გვ. 22



გვ. 15

სად გამოკეტეს მერაბ მეტრეველი და რა ფუფუნებაზე არ ამბობს ის უარს

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ავტორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი

# პანაცეა

აცხადებს მიღებას 2013-2014 სასწავლო წელს შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე:

1. პრაქტიკოსი ექთანი
2. ფარმაცევტის თანაშემწე
3. პრაქტიკოსი ბებიაქალი
4. ექთნის თანაშემწე
5. კბილის ტექნიკოსი
6. მასაჟისტი

**კურსდამთავრებულებზე გაიცემა სახელმწიფო დიპლომი**

საბუთები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 11-დან 17 საათამდე.

თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა №2
(მეტრო დიდუბის ზედა გასასვლელის მოპირდაპირე მხარე).
საკონტაქტო ტელეფონები:
266-04-02, 234-58-63, 266-41-17
www.panacea.edu.ge




# დიმიტრი დუმბაძის – მომავალი დიდი მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა




მხოლოდ 15 ივლისამდე
განსაკუთრებული ფასები
ბაკურიანში სასტუმროში

# „ნოელი“



3-ჯერადი კვება – შვედური მაგიდა
მხოლოდ ნატურალური პროდუქტი
უგემრიელესი კერძები



5-წლამდე ბავშვის დასვენება მშობლებთან ერთად უფასოა



გაყიდვაშია
3 ცალი 2-კაციანი ნომერი 160-ის ნაცვლად 97 ლარად
4 ცალი 3-კაციანი ნომერი 180-ის ნაცვლად 117 ლარად
4 ცალი 4-კაციანი ნომერი 250-ის ნაცვლად 197 ლარად

დატკბით ზაფხულის ბაკურიანით ულამაზესი ხედებით

„ნოელი“
დასვენებისთვის საუკეთესო პირობებს შეგიქმნით



საკონტაქტო ტელეფონი:
599 10-36-26

**ოქროსფერ სამოსში გამოწყობილი ჭაბუკი მოცეკვავეების როკვა, უწმიდესის სევდიანი სახე და ქართული ეკლესია-მონასტრები, ყვავილები მინდორზე და კიდევ არაერთი ბავშვური, მაგრამ მართლაც რომ ვირტუოზული ხედვა და სახეები პატარა მხატვრის შემოქმედებაში. ეს დიმიტრი დუმბაძის პირველი პერსონალური გამოფენაა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. დიმიტრი ჯერ მხოლოდ 8 წლისაა, თუმცა მისი შემხედვარე, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მისი სახით ნიჭიერი მხატვარი ეზრდება.**

# მომავალი დიდი მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა

კონსერვატორიაში პერსონალურ გამოფენამდე ცოტა ხნით ადრე, დიმიტრი სცენაზე იდგა. ის ფოლკლორულ ანსამბლ „უნივერსალის“ წევრია. კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში მათმა საიუბილეო კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა. „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა განსაკუთრებულად მაღალი შეფასება მისცა პატარა მომღერლების რეპერტუარსა და შესრულების მანერას. ანსამბლს ბატონი თამაზ ბლუაშვილი ხელმძღვანელობს.

დიმიტრი ხატავს, მღერის, 5 თვეა, თამაშობს ჩოგბურთს, თანაც არცთუ ურიგოდ. უკვე გახლავთ სოლომონ თუხარელის სახელობის საკმაოდ სერიოზული საჩოგბურთო ტურნირის გამარჯვებული. უკრავს ფორტეპიანოზე და თანაც, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ასევე არის ნიჭიერ პიანისტთა პრეზიდენტის სტიპენდიანტი. უკრავს დოლზეც, ფესტივალების წარმატებული მონაწილეა. თამაშობს ფეხბურთს და მოკლედ, ნამდვილი პატარა უნივერსალია. ალბათ, ამიტომაც ანსამბლ „უნივერსალის“ წევრი ქართული ფოლკლორის უბადლო ნიმუშებსაც ისეთივე ოსტატობით მღერის, როგორც ხატავს. ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლე უკვე რამდენიმე პრესტიჟული ჯილდოს მფლობელია: ჩეხეთში პატარა ნიჭიერი მხატვრების გამოფენაზე მან სპეციალური პრიზი დაიმსახურა, რაც გარკვეულწილად, პედაგოგ მზექალა ბერძენიშვილის დამსახურებაცაა. ჯილდო დიმიტრის პირადად ჩეხეთის ელჩმა გადასცა. უამრავ კონკურსში გამარჯვებულისთვის ყველაზე გამორჩეული მაინც სამების საკათედრო ტაძართან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრსა და საგამოფე-





ნო დარბაზში მოწყობილი სურათების გამოფენაა. დიმიტრიმ კონკურსში – „ნახატები ბიბლიურ თემებზე“ პერსონალური სიგელიც დაიმსახურა საპატრიარქოსგან. ჯილდო ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სტეფანემ გადასცა. რელიგიური მხატვრობა მისი შემოქმედების მთავარი ხაზია, თუმცა არა – ერთადერთი. ქართული ჯვრისა და რელიგიური სიმბოლიკის გვერდით საოცარი სინატიფითა და კეთილშობილებითაა შეზავებული უწმიდესის სახე. სწორედ ამიტომაც მიეცა დიმიტრის ნახატებს სამების საკათედრო ტაძრის საგამოფენო დარბაზში განსაკუთრებული შეფასება და ის თავად უწმიდესმა დალოცა.

ფანქრისა და ხატვისადმი განსაკუთრებული სიყვარული 8 წლის დიმიტრის ადრიდანვე შეამჩნიეს და მისი ხატვის გაკვეთილები დაიწყო. ხატავს გუაშით, იყენებს ფანქარს, აქვს განსაკუთრებული პროფესიონალური გადაწყვეტის უნარი, ლამაზი ოქროსფერი, გმირები და მისი მეგობარი მოცეკვავე ბიჭების პლასტიკა. ხელოვნების გამოცდილი ექსპერტები მას უკვე უწინასწარმეტყველებენ დიდ მომავალს. მაშინ აუცილებლად გავიხსენებთ, რომ დიმიტრი დუმბაძის პირველი პერსონალური ინტერვიუს ავტორიც ჩვენ ვართ. თავად კი პატარა დიმიტრი მოკრძალებულად საუბრობს: „ხატვა მიყვარს. ძალიან მომწონს, როცა ეკლესიას ვხატავ. მეგობრების ხატვაც მიყვარს, თუმცა სახეებს მხოლოდ მკრთალად ვხატავ. „ხორუმის“ საცეკვაო ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭები ჩემი ანსამბლის წევრების ხათრით დავხატე.

**– დიმიტრი, თემას არჩევ, ფიქრობ, თუ როგორ მოგდის აზრი, რა დახატო?**

– თავისით მოდის აზრი. ხანდახან როცა რაღაც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენს ჩემზე, მისი დახატვის სურვილი მიჩნდება.

**– ყველაფერი ბრწყინვალედ გამოგდის, მომავალში პროფესია არჩეული გაქვს?**

– რამდენიმე პროფესიაზე ვფიქრობ, მაგრამ ის ვიცი, რომ ხატვას გავაგრძელებ. ჩემი ნახატები ჩემთვის სულ სხვა სამყაროა.

**– პორტრეტებიდან, უწმიდესის გარდა, სხვისი დახატვა თუ გიცდია?**

– კი, ჩემთვის ვხატავ ხანდახან. მაგალითად, დავხატე სულხან-საბა ორბელიანის, თამარ მეფის, კახა ბენდუქიძის პორტრეტები. ხანდახან დედიკოსაც და მამიკოსაც ვხატავ.

**– რომელი ფერები მოგწონს?**

– ნათელი.

**– ცნობილი მხატვრებიდან, რომელიმე თუ მოგწონს გამორჩეულად?**

– ნიკო ფიროსმანი.

**– დიდი მხატვარი რომ გახდები, რისი დახატვა გინდა?**

– დიდი რომ გავხდები, იერუსალიმში მინდა წასვლა და იმ ტაძრის დახატვა, სადაც იესო ქრისტეს საფლავია.

**ინგა ზეიკიძე** ***(დიმიტრი დუმბაძის დედა):*** „ბავშვს ჯერ კიდევ პატარა ასაკიდან ეტყობოდა გამორჩეული სიყვარული ფანქრისადმი. ყველგან, სადაც მოიხელთებდა, ხატავდა. ახლაც ასეა. მანქანაშიც კი ხატავს.



ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი შეყვანა სამხატვრო სკოლაში, თუმცა დიმიტრი მრავალმხრივ ნიჭიერი ბავშვია. ძალიან მუყაითია, ყველაფერს ერთნაირი ინტერესით ეკიდება და საკუთარ თავზე დიდი ადამიანივით მუშაობს.

**მარიკა ხიდაშელი**

# უპატარძლო ქორწილი

## ანუ „ბოლო ბანაობა“

მაშინ, როდესაც **ახალი „ნაციონალი“ „მოქკავშირიდან“ გადმოყოლილს ხელში არ აიყვანს**, **საბურთალოს** რაიონის **გამგეობა ამხანაგობების თავმჯდომარეებისათვის სემინარი-ტრენინგის ჩატარებას გეგმავს,** ზედაც, ამ საქმისთვის 180 000 ლარის დახარჯვასაც – ცხადია, მე და თქვენი, ანუ ბიუჯეტის ფულით.

ამ გეგმის შესახებ ფართო **საზოგადოებამ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სატენდერო განცხადებიდან შეიტყო**.



სულ **ზღვის სანაპიროსა და სუფთა ჰაერზე 300 თავმჯდომარე უნდა დატრენინგდეს**.

მართალია, ტრენინგის კონკრეტული შინაარსი უცნობია, მაგრამ, სამაგიეროდ, უკვე ვიციით, რომ ის **სრულ სამ დღე-ღამეს უნდა გაგრძელდეს სასტუმროში, რომელიც ორადგილიანი ნომრებით, სამჯერადი კვებით,** ე. წ. **„ქოფი ბრეიქით“ იქნება აღჭურვილი** და, რაც მთავარია, **არანაკლებ 200-კაციანი საკონფერენციო დარბაზითაც დამშვენებული** (ისე, **თუ დასატრენინგებელი 300-ია, ვითომ 200-კაციანი დარბაზი ეყოფათ**?!);

თუმცა სატენდერო განცხადებაში **გასამართი სემინარის დისლოკაციის ადგილი დაკონკრეტებული არ არის,** „ინტერპრესნიუსი“ გვარწმუნებს, რომ მისი **ჩატარება თურქეთში, ანტალიის სანაპიროზე იგეგმება** და **მონაწილეებიც წინასწარვე არიან შერჩეულნი მეტად კონკრეტული ნიშნით** – კერძოდ, **ხმელთაშუა ზღვაში ბიუჯეტის ფულით ამხანაგობების** მხოლოდ **„ნაცმოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი თავმჯდომარეები იჭყუმპალავებენ.**

ჩვენ არ ვიცით, **გაუხსნის თუ არა დაგეგმილი ღონისძიება მეორე სუნთქვას ამხანაგობების** იმ **თავმჯდომარეებს** (თუ ეს **„ბოლო ბანაობა“ იქნება**), რომლებიც ზემოხსენებულ სემინარზე მოხვდებიან, მაგრამ, **თუ „ნაცმოძრაობის“ ირგვლივ შექმნილ ვითარებას გავიხსენებთ**, ეს ის შემთხვევა უნდა იყოს – „ქვეყანა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **პარტია) იქცეოდა, ტურა ქორწილს შვებოდაო“!** –

# კაცია ადამიანი?!

იმიტომ რომ **„კაცია და გუნება“,** თითოეულს **თავისებური რეაქცია აქვს გამომზეურებულ ფარულ ჩანაწერებზე,** რომლებიც **არა მხოლოდ უცხო, საკუთარ თვალშიც კი თვითშეფასებისთვის შანსს არ გვიტოვებს** (თუ, რა თქმა უნდა, საღ ჭკუაზე ხარ).

და, **თუკი დავით დარჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ ეს მხოლოდ კომპრომატების ომია**, რადგან **ნამდვილი „ნაციონალი“ პირველი თოვლივით სპეტაკია**, მაგალითად, **სამტრედიის საკრებულოს** „ნაცმოძრაობის“ ფრაქცია **„მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ** (ბ-ნმა ნიკოლეიშვილმა) **მშობლიური პარტია უნუგეშოდ მიატოვა**.

თუმცა გაგვიმხილა, რომ **გადაწყვეტილების მიღებას წინ 8-თვიანი ფიქრი უძღოდა** (ვგონებ, ამდენი შოთა რუსთაველს არ უფიქრია „ვეფხისტყაოსნის“ შექმნამდე), **ბოლო წვეთი კი სამეგრელოში აღმოჩენილი სამარხიდან ამოღებული ჩანაწერები გამხდარა.** მომყავს ციტატა ბ-ნი ნიკოლეიშვილის განცხადებიდან:

## ანუ „კაცია და გუნება“

„...გამომდინარე, რომ სამეგრელოში სამარხებიდან ამოიღეს შემზარავი კადრები და გაუგზავნეს საელჩოებს, **მე უკვე არ და ვერ ვაპირებ ამ ტვირთის აღებას ჩემს თავზე და ვემიჯნები „ნაციონალურ მოძრაობას“.**

სხვათა შორის, იქვე **თანასოფლელებს ბოდიშსაც უხდის** (კვლავ ციტატას მოვიშველიებ: **„ჩემი წინასაარჩევნო აგრესიული მოქმედებებიდან გამომდინარე“).**




ბუნებრივია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, მაგრამ იბადება კითხვა: შსს-ს რომ უცხოელი ელჩებისთვის არ გაეგზავნა აღმოჩენილი ჩანაწერები, ბ-ნი **ნიკოლეიშვილი ამხელა ტვირთით აპირებდა „ნაციონალურად“ კეთილმოწყობილი ცხოვრების გაგრძელებას?!**

# მოქალაქეობას მოწყურებულები

## და კონსტიტუციაზე კისერწატეხილები

სანამ **ჩვენ იმას ვარკვევთ** (ჯერჯერობით მხოლოდ მახვილი მზერის იმედად), რომელია ჩვენ გარშემო მოძალადე, **20 ივნისს შევიტყვეთ, რომ მესხეთელი თურქებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღების პროცედურა მარტივდება.**

სიმარტივე კი შემდეგით გამოიხატება: **საკონსულოებში პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შესაბამისი დოკუმენტების შევსებაში დაეხმარებიან**. ჯერჯერობით, გავრცელებული ინფორმაციით, **1053 ადამიანისგან, ვისაც რეპატრიანტის სტატუსი მიენიჭა, საქართველოს მოქალაქეობა არც ერთს არ მიუღია** (იმიტომ რომ დოკუმენტებს ვერც ქართულად ავსებენ უშეცდომოდ და ვერც ინგლისურად – თუმცა **აი, ინგლისური რა შუაშია, მომკალით და ვერ გავიგე**).



ერთი სიტყვით, **განაცხადი რეპატრიანტის სტატუსის მისაღებად 8 900 ადამიანს აქვს შემოტანილი**, საქართველოს **მოქალაქეობის მისაღებად კი**, გარდა იმისა, რომ 1944 წელს უნდა იყვნენ გასახლებულნი საქართველოდან შუა აზიისკენ, **საქართველოს კონსტიტუციის ცოდნაც ევალებათ და ქართული ენისაც.**

დოკუმენტაციის შევსებისას წარმოქმნილი სირთულეები მოწმობს, რომ ჩვენი **მომავალი თანამოქალაქეები ქართულთან მწყრალად არიან**, თუმცა, თუ საქართველოს **კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ოდენობას გავიხსენებთ** და, ზედაც, დავამატებთ, რომ კიდევ ერთი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია უნდა შეიქმნას, რათა წინა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები შეცვალოს, **ქართულს კიდევ ისწავლიდა საქართველოს მოქალაქეობას დაწყურებული ადამიანი**, ოღონდ აი, **„საქართველოს კონსტიტუციას“ კი ვერ გადაურჩები კისერწაუტეხავი.**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ქლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# პროფესია – მოძალადე

## ანუ კაცები „გადამალეთ, ყიზილბაშები მოდიან“

თუმცა ჩვენი უცხოელი **მეგობრებისა და პარტნიორების რეკომენდაციები,** როგორც წესი, ქვეყანაში **ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოფხვრისკენ იყო მიმართული**, როგორც აღმოჩნდა, საუბედუროდ, **ამ ჩვენს პატრიარქალურ ქვეყანაში არანაკლები** (თუ მეტი არა) **სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მამაკაცია** (აი, ის კი არ ვიცი, **აქვთ თუ არა ჩვენს პარტნიორ-მეგობრებს სახელდობრ ამ სფეროსთვის გამზადებული რეკომენდაციები, თუ ჩვენ გავუხსნით მუზას**?!).



შესაბამისად, ვფიქრობ, ეს კონკრეტული ინფორმაცია შესაძლოა, **ორმხრივ გამოგვადგეს.** კერძოდ, ვინმე **სონეტ ელერსმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა აფრიკაში მოხალისედ, ამ პრობლემის გასაღებს მიაგნო.**

რაკი საკუთარი თვალებით ნახა, რომ **სამხრეთ აფრიკაში ქალების გაუპატიურების სტატისტიკა საგანგაშოა, ქალებისთვის სპეციალური პრეზერვატივიც გამოიგონა, რომელიც მათ გაუპატიურებისგან დაიცავს.**

მე ვერ გეტყვით დაზუსტებით, **იგეგმება თუ არა დანარჩენ სამყაროში სექსუალური ძალადობისგან დამცავი ამ საშუალების მასობრივი წარმოება**, მაგრამ, ვფიქრობ, ცნობილ მიზეზთა გამო, **ჩვენ კი აუცილებლად უნდა მივყოთ ხელი მის დამზადებას.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ **მოძალადეთა თანაგუნდელები კვლავაც გონორზე არიან** და **ჯერჯერობით არც არავინ დასჯილა** (მხოლოდ სადო-მაზო ჩანაწერებით ვიხეთქავთ გულებს), იქნებ, **უსაფრთხოების მიზნით, საქართველოს მოქალაქეები, განურჩევლად სქესისა,** სავალდებულო წესით, ქ-ნი **ელერსის გამოგონებით აღვჭურვა**, რადგან **მარცხიც ელანძეა** და, ვგონებ, **თვით შსს-მაც არ იცის დაზუსტებით, ჩვენს ნაცნობებს შორის, რომელია პროფესიონალი მოძალადე.**

# შემოპარულები

## ანუ „გაპარულან, ვირები“

მართალია, უკვე ვიცით, რომ **ჩვენებური ძალოვნები წამების ისეთ მეთოდებს იგონებდნენ, თვით ჰიჩკოკიც კი მორცხვად თავდახრილია**. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, **სამეგრელოში აღმოჩენილი წამების ამსახველი კადრები ყველა დანარჩენს ჩრდილავს** (ციხე რომ არ ელოდეთ მოუთმენლად, მათ უკუღმართ ნიჭსა და შესაძლებლობებზე ფულის შოვნაც კი შეიძლებოდა).

თავის მხრივ, **პრეზიდენტი კვლავ იმ ვერსიაზეა, რომ საქმე არა სისტემურ დანაშაულთან, არამედ ცალკეული პირების თვითშემოქმედებასთან გვაქვს**. სახელდობრ, ბ-ნი სააკაშვილი **გასათეთრებლად კვლავაც შევარდნაძეს იშველიებს**: „**ორი მთავარი ფიგურა** - კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენელი, ვინმე ჩხატარაშვილი და კუდის ფაქტობრივი უფროსი ლევან ქარდავა, რომელიც **ჩვენს მთავრობას გადმოჰყვა შევარდნაძის მთავრობიდან** (არადა, ლევან ქარდავა ისეთი უსაკოა, რომ საეჭვოა, შევარდნაძის პერიოდში მოესწრო დაფრთიანება).



ადრეა თუ გვიან დაფრთიანებული, **პრეზიდენტმა ამ ორთან ნაცნობობაც კი უარყო**, თუმცა, **რაკი გამჭვირვალებაა, უმალ დადგინდა,** რომ **ორივენიცა ღირსების ორდენებით ჰყავს დაჯილდოებული**, ხოლო **გადმოყოლილ ქარდავასთვის კი ორიოდე წლის წინათ ერთიოდ ლარად კოჯორში გვარიანი ფართობის მიწაც უფეშქაშებია**.

**პრეზიდენტს საპარლამენტო ფრთიდან უმცირესობაც შეეშველა**. სახელდობრ, ყველა დროის დეპუტატმა ბ-ნმა **მაჭავარიანმა განაცხადა, რომ** კუდის ყოფილი უფროსი **ლევან ქარდავა** (მეგის ქარდავას ძმა) **უმცირესობის წევრებს „ნაცმოძრაობის“ დატოვებას აიძულებდა** (როგორც ჩანს, მთლად იმ მეთოდებითაც არა, როგორც ეს ცნობილ ჩანაწერებშია, თორემ ახლა „ნაცმოძრაობელს“ დღისით-მზისით სანთლითაც ვერ მოძებნიდი). ანუ ბ-ნი მაჭავარიანის განმარტების პათოსია, ამ საქმეში უბრალონი ვართო.

სახელდობრ, დავით დარჩიაშვილი კი გვარწმუნებს, რომ **ეს კომპრომატების ომია** (თორემ **ჭეშმარიტ „ნაციონალს“ ჭიანჭველა რაა, მისთვისაც კი არ დაუბიჯებია ფეხი**) და ხელისუფლებას ადამიანის უფლებები საერთოდაც არ აინტერესებს. მეტიც, ზენაარსს სთხოვს დახმარებას: **„ღმერთმა დაიფაროს საქართველო, პოლიტიკური არენიდან „ნაციონალური მოძრაობა“ გაქრეს**! ... ქვეყანაში სიმართლის მთქმელიც არ დარჩება (მააშ!)“.

**ნაპროკურორალი**, აწ კი ხალხის რჩეული ბ-ნი **საყვარელიძე კი განგაშის ზარებს არისხებს, რომ მსგავსი ჩანაწერების შენახვა ევროკონვენციის ნორმების დარღვევაა** (ჩაწერა და წამება რა მოსატანია, მთავარია, არ შევინახოთ ).

რაც შეეხება ხალხის რჩეულ ბ-ნ ხაჩიძეს, ბუნებრივია, ისიც აღშფოთებულია. **„როგორც ირკვევა, ეს მანიაკები იწერდნენ ყველას** (მოგეხსენებათ, შსს-ში არსებულ არქივში თვით „ნაცმოძრაობელებზე“ თვალთვალის ჩანაწერებიცაა).“

ერთი სიტყვით, **ტრაგედია ისე ჩაიხლართა**, **რიჩარდსაც რომ შეშურდებოდა** და, სავარაუდოდ, კვანძის გახსნაც ახლოვდება: **„ო, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ** (ოღონდ ეჭვი მაქვს, რომ ეს „სამეფო“ ამდენ ცხენს ვერ ეყოფა)!“

# „აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ“

## საპასპორტო ამნისტია

იმ მიზეზით, რომ **ყველას თავისი პეიზაჟი აქვს**, **სანამ ჩვენ მანიაკების გამოხშირვისთვის არ ვიშურებთ ძალისხმევას**, **რუსეთის ჯავახკის დიასპორა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს**.

მიმართვას კი მეტად **პროზაული მიზეზი აქვს:** სახელდობრ, სახელმწიფო მომსახურების განვითარების სააგენტოს აღმოუჩენია, რომ **ამ არეულობაში ჩვენი ქვეყნის სამ ათეულ ათასზე მეტი მოქალაქე ამავე დროს სხვა ქვეყნების მოქალაქეც გამხდარა**, ოღონდ ეს ამბავი საქართველოს ხელისუფლებისთვის არ შეუტყობინებიათ.

ჰოდა, **რაკი არ შეუტყობინებიათ,** სავსებით **ბუნებრივია, რომ ეს მათთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საფუძველიც გახდეს.**

ცხადია, **რუსეთის ჯავახკის დიასპორა საქართველოს ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების დაკარგულ მოქალაქეობას დარდობს**. დარდობს და განმარტავს, რომ **„სიღარიბე და სამუშაო ადგილების არარსებობა აიძულებს სამცხე-ჯავახეთის მხარის სომეხ მოსახლეობას, პერიოდულად სეზონურ სამუშაოებზე საქართველოს ფარგლებს გარეთ გაემგზავრონ, ძირითადად, რუსეთში.“**

იქვე **წინა ხელისუფლებასაც გაჰკრავს კბილს**: „თუმცა, წინა ხელისუფლების უნიჭო და უპასუხისმგებლო მმართველობასთან დაკავშირებით, 2008 წლის სექტემბერში საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა“. ხოლო, **რაკი გაწყვიტა, ჩვენებური სომხებიც სომხეთის მოქალაქეობას მიეძალნენ.** ახლა კი **რუსეთის ჯავახკის დიასპორა საქართველოს ხელისუფლებას საპასპორტო ამნისტიას სთხოვს**, რომ **მოქალაქეობაშეწყვეტილებს კვლავ დაუბრუნდეთ საქართველოს მოქალაქეობა**, ბუნებრივია, **სომხეთისა ან რუსეთის მოქალაქეობის პარალელურად.**

პეიზაჟი პეიზაჟად, მაგრამ, თუ შექმნილ რეალობას გავითვალისწინებთ (**არაადამიანური წამებისა და პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალების ამსახველი ზღვა ჩანაწერების არსებობას ვგულისხმობ),** პირადად ჩემთვის ამოუცნობია, **ასე ძალუმად რა მოტივით ეშურებიან ამ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობას?!**

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



**დასავლეთში „ცივი ომის“ პერიოდიდან მოყოლებული, საკმაოდ მარტივი მიდგომა იყო: ყველაფერი, რაც კომუნისტების წინააღმდეგაა მიმართული, არის დემოკრატია. შემდეგ ეს ავტომატურად გავრცელდა რუსეთზე**

**შესაძლოა, თანაბარი წონის მოთამაშეები არ ვართ, მაგრამ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ სამკუთხედში – საქართველო-აშშ-რფ – გრძნობები ოდნავ გადასხვაფერდა. არსებულის შედეგებსა და ვექტორების სამომავლო განაწილებაზე ვაშინგტონში მცხოვრები რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი გაგვიზიარებს თავის მოსაზრებებს.**

# როგორ ასწავლიდა მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში ამერიკელ პოლიტოლოგებს ჭკუას, რატომ ჩამოწერა ის ვაშინგტონმა და რა იქცა მის საბედისწერო შეცდომად

**– პირველ ოქტომბრამდე აშკარა იყო, რომ საქართველო რუსეთისა და შეერთებული შტატების დაპირისპირების ერთგვარ პლაცდარმს წარმოადგენდა. შორიდან როგორ ჩანდა ეს და რომელ მხარეს მოუტანა ამან შედეგი?**

– კითხვა კარგია, მაგრამ საიდან დავიწყოთ ამ გორგლის გახსნა: ჩვენს პოლიტიკურ ანალიტიკასა და ჟურნალისტიკაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ პოსტსაბჭოთა ტერიტორია არის აშშ-სა და რუსეთს შორის წინააღმდეგობის ტერიტორია. მე არ ვფიქრობ, რომ ეს ასეა რეალურად, მით უფრო, მიუღებლად მიმაჩნია ამის შეფასება „ცივი ომის“ ტერმინებში. ფაქტობრივად, ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა, სხვადასხვა მიზეზით, ცდილობს, ჰქონდეს ნორმალური ურთიერთობა როგორც აშშ-თან, ისე რუსეთთან. მიხეილ სააკაშვილის საქართველო იყო ერთადერთი გამონაკლისი ამ წესიდან. სააკაშვილი შეეცადა, ვითარება გაეუბრალოებინა და ისე წარმოეჩინა, რომ არათუ რუსეთსა და საქართველოს შორის, არამედ თვით აშშ-სა და რუსეთს შორის იყო კონფლიქტი. სააკაშვილის ფუნდამენტური შეცდომა, ჩემი აზრით, იყო ის, რომ მან ჯეროვნად ვერ შეაფასა აშშ-სა და „ნატოს“ ინტერესი რუსეთისადმი. თუ შევხედავთ ავღანურ ტრანზიტს, ვნახავთ, რომ ტვირთების 40 პროცენტი მიდის ეგრეთ წოდებული ჩრდილოეთის დერეფნით.

**– ანუ რუსეთის გავლით?**

– დიახ. ქართველი პოლიტიკოსები ხშირად ჩამოდიან ვაშინგტონში და ამბობენ, რომ ავღანეთში 1 600 ქართველი სამხედრო მოსამსახურეა. ეს შესანიშნავია, მაგრამ რა ვუყოთ იმ 4 500 რეისს, რომელიც რუსეთის გავლით მიდის ყოველწლიურად ავღანეთში?! თან, რუსეთი არ არის „ნატოს“ წევრი. რა ვუყოთ ავღანელი მფრინავების სწავლების პროგრამას? ერთობლივ ანტინარკოტიკულ პროგრამას? უამრავი სფეროა, სადაც „ნატო“ და რუსეთი თანამშრომლობენ და იმის მცდელობით, რომ გაემარტივებინა სიტუაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში, საქართველოს ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა.

**– მიუხედავად პრეტენზიებისა სააკაშვილისადმი, რთული წარმოსადგენია, მას მხოლოდ საკუთარი თავის იმედად გაერისკა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება.**

– პოსტსაბჭოთა სივრცეში დიდი პრობლემაა იმის გაგება, თუ რა არის ამერიკული პოზიცია. განსაკუთრებით, ეს აქედან ჩანს კარგად. როდესაც გამოდის რომელიმე ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი და რაღაცას ამბობს, მის ნათქვამს აშშ-ის პოზიციად აღიქვამენ, მაგრამ ეს არ არის აშშ-ის სახელმწიფოს პოზიცია, ეს არის კონკრეტული ექსპერტის აზრი. როდესაც ომამდე კონდოლიზა რაისი ჩამოვიდა საქართველოში და თქვა, ჩვენ მხარს დავუჭერთ მეგობრებსო, ეს არ ნიშნავდა, მხარს დავუჭერთ საქართველოს ცხინვალზე შეტევასო.

**– კონდოლიზა რაისმა დაწერა შემდეგ, რომ მან მკაცრად გააფრთხილა სააკაშვილი, არ წამოგებულიყო პროვოკაციაზე და არავითარ შემთხვევაში არ ჩაბმულიყო ომში. ანუ არ დაუჯერა?**

– დღეს ბევრს უნდა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის აღქმა „ცივი ომის“ კონტექსტში, რაც არასწორია. „ცივი ომი“ იყო იდეოლოგიური წინააღმდეგობა. დღეს რუსეთში არანაირი კომუნიზმი არ არის, პირიქით, სახელმწიფო თავიდან იცილებს სოციალურ ვალდებულებებს. პოლიტიკურად ქვეყანაში არის ჰიბრიდული რეჟიმი ძლიერი ავტორიტარული მმართველით, მაგრამ ეკონომიკა ლიბერალურია. ამიტომ დაპირისპირება რუსეთსა და აშშ-ს შორის აღარ არის იდეოლოგიური, სინამდვილეში ეს არის ინტერესების კონფლიქტი. ამდენად, არ მგონია, პირდაპირი ბიძგი ყოფილიყო ომისკენ. უფრო სიტყვების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია. მე უფრო სხვა რამ მგონია: ამდენი პრობლემის მქონე საქართველოს „ნატოში“ მიღება იქნებოდა ბიძგი ბირთვულ „დერჟავასთან“ ომისკენ. პოლიტიკოსი ხშირად ხდება თავისი მისწრაფებების მძევალი. სააკაშვილმა, როდესაც მოვიდა ხელისუფლებაში, მიზნად დაისახა მიწების შეგროვება, დაიწყო აჩქარით და რაღაც მომენტში კრიტიკულად აღარ შეაფასა ვითარება. მიზნის ჰიპერბოლიზაცია მოხდა და როდესაც ხდები რაღაც იდეის მძევალი, ამას მოსდევს არცთუ ადეკვატური ნაბიჯები. სააკაშვილის პასუხისმგებლობა ისაა, რომ რიტორიკით გაერთო: ჰქონდათ რა რუსეთთან თავიანთი ინტერესი და დამოკიდებულება, ჰაერზე ისროდნენ ბევრ შეფასებასა და ფრაზას, რომლებიც თბილისში მარტივად აღიქმებოდა. თავიანთ სიტყვებზე არ აგებდნენ პასუხს, აბუქებდნენ რუსეთისგან მტრის ხატს, იცოდნენ რა, რომ რუსეთი არ გადავიდოდა წითელ ხაზებს და იცოდნენ რა, რომ თვითონაც დამოკიდებულები იყვნენ რუსეთზე. ავღანეთის გარდა, ამერიკასა და რუსეთს აერთიანებდა ირანის, კორეის პრობლემები, სპეცსამსახურები თანამშრომლობდნენ ტერორიზმის კუთხით, მაგრამ ამ ყველაფრის მიწოდება ისე ხდებოდა, რომ საქართველო ახალგაზრდა დემოკრატიაა და მას ბევრ რამეს ჩამოაწერენ. მართლაც, ქვეყნის შიგნით ბევრი რამ ჩამოაწერეს.

**– საკმაოდ ბევრი. საქართველოს მოქალაქეებმა ყველაზე კარგად იციან, რა დემოკრატიაც იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას, თუმცა დასავლეთის ინტონაცია შეიცვალა პირველი ოქტომბრის შემდეგ. ისინი აცხადებენ, რომ ქართული დემოკრატია საფრთხეშია, რაც სამართლიან აგრესიას იწვევს საზოგადოების ნაწილში. დასავლეთი არაადეკვატურია თავის შეფასებებში, თუ უბრალოდ არ აინტერესებს ქართველი საზოგადოების შეფასებები?**

– ჩემი აზრით, ერთიც არის და მეორეც. საქმე ის არის, რომ დასავლეთში „ცივი ომის“ პერიოდიდან მოყოლებული, საკმაოდ მარტივი მიდგომა იყო: ყველაფერი, რაც კომუნისტების წინააღმდეგაა მიმართული, არის დემოკრატია. შემდეგ ეს გავრცელდა ავტომატურად რუსეთზე: თუ პოლიტიკოსი რუსეთის წინააღმდეგაა და აკრიტიკებს, დემოკრატია.

**– თუმცა საკუთარ დემოკრატიულობას დასავლეთი, კერძოდ, ევროპა ამ პარამეტრით არ ზომავს?**

– ევროპის მიდგომა გასაგებია. არსებობს ექსპერტებისა და დიპლომატების რაღაც გარკვეული ენა: თუ პოლიტიკოსი დისტანცირდება რუსეთისგან და ამბობს, რომ აქვს „ნატოსა“ და ევროპული ორიენტაცია, ის დემოკრატია, არადა, ბევრი რამის თქმა შეიძლება და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დემოკრატი ხარ, მაგრამ ასეთი გამარტივებული სურათი ისევ რჩება.

**– მეორე მხრივ, დასავლეთი მუდმივად მოუწოდებდა და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისკენ, თუ დემოკრატებად დარჩენისთვის რუსეთის ლანძღვაა აუცილებელი? მეორე რეკომენდაცია არ მოდის წინააღმდეგობაში ამასთან?**

– დასავლეთი ბევრ რამეში ეწინააღმდეგება საკუთარ თავს. თან, დასავლეთს ხომ თავისი შეხედულება და ინტერესები აქვს?! მათ დაინახეს, რომ სააკაშვილი ხშირად იყენებს დასავლეთს საკუთარ ინტერესებში. იმიტომ რომ ეს მისთვის იყო პური. მას ეგონა, რომ ამ გლობალური დაპირისპირებით აამაღლებდა საქართველოს როლს, თუკი გამოიყვანდა „ცივი ომის“ დაპირისპირების არენად. მე ის ვნახე აქ ერთი წლის წინათ, როდესაც ჩამოვიდა. დარწმუნებული იყო, რომ საპარლამენტო არჩევნებს მოიგებდა და ძალიან უცნაურად იქცეოდა.

**– კერძოდ?**

– მაგალითად, ის იჯდა ფეონა ჰილის გვერდით, რომელიც საკმაოდ ცნობილი პოლიტოლოგია. სააკაშვილი აწყვეტინებდა მას საუბარს და ჭკუას ასწავლიდა. ეუბნებოდა, ჩვენ შეგვიძლია, ვასწავლოთ ეგვიპტელებს, როგორააშენონ დემოკრატიაო. ჩემი ამერიკელი კოლეგები, რომელთანაც ერთად ვისხედით, მხრებს იჩეჩავდნენ. შემდეგ ერთ-ერთმა სტუდენტმა გოგონამ ჰკითხა, ჩვენ, ამერიკელებსაც, ხომ არ გვასწავლით, როგორ ავაშენოთ დემოკრატიაო, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა, თქვენც გასწავლითო. მოკლედ, „კაპიტალნო პონესლო“. როგორც ჩანს, რაღაც მომენტში მან დაკარგა კრიტიკული თვითშეფასება და დაიჯერა, რომ დასავლეთი მას ნებისმიერ რამეს აპატიებდა და ნებისმიერ რამეში დაუჭერდა მხარს. არადა, მე ვიცოდი, რომ ოვალურ კაბინეტში შეხვედრისას ობამამ მას მკაფიოდ უთხრა: პირადად თქვენ მხარს აღარ დაგიჭერთ, საქართველოს კი, როგორც პარტნიორს, არ დავაჩაგვრინებთ რუსეთს; ასე რომ, დემოკრატიულად ჩაატარეთ არჩევნები, არ შეცვალოთ საგარეო ვექტორი და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება პიროვნულად მმართველიო. ობამას ადმინისტრაცია, ბუშის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ფსონს დებს საქართველოზე, როგორც ქვეყანაზე და არა მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილზე. როგორც ჩანს, ამას სააკაშვილი გვიან მიხვდა. ჩემთვის მარკერი გახდა, როდესაც მან მერაბიშვილი დანიშნა პრემიერად და მერაბიშვილმა პირველივე გამოსვლაში თქვა არატიპური რამ, რომ მთავარია სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, პენსიონერების უზრუნველყოფა, არადა, ორი-სამი

**სააკაშვილის ფუნდამენტური შეცდომა, ჩემი აზრით, იყო ის, რომ მან ჯეროვნად ვერ შეაფასა აშშ-სა და „ნატოს“ ინტერესი რუსეთისადმი**

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**შარიქაძე მარინა** *(32 წლის, ბათუმი). დიაგნოზი: L4/L5 დისკექტომია, პოსტოპერაციული რეციდივი.* ჩემი მდგომარეობა იშვიათი გამონაკლისია. 3 ოპერაცია გავიკეთე ხერხემალზე და ბოლოს, შედეგი რომ არ მქონდა და მეოთხე ოპერაცია მირჩიეს ფიქსატორების ჩადგმით, მაშინ კი გული გამისკდა. კითხვა-კითხვით მივაკვლიეთ ქალბატონ მანანას. ამ კლინიკაზე ლეგენდები მსმენია და იმედით შევუდექი მკურნალობას. ექიმი გაოცდა ჩემი მდგომარეობის მოსმენით, მეც განცვიფრებული დავრჩი, როცა 2 დღეში აშკარა შვება ვიგრძენი – იკლო ტკივილმა წელისა და ორივე ფეხის გასწვრივ, 5 დღეში გამიქრა დაბუჟება და დასუსტებულ ცალ ფეხში ძალა აღმიდგა. 3 ოპერაციის გარდა, უამრავი ნემსი მქონდა გაკეთებული, მათ შორის, ჰორმონებიც და ექიმსაც ეეჭვებოდა ასეთი შედეგი, მაგრამ ღმერთმა მისმინა. 9 დღეა, დავდივარ და სიხარულისგან აღარ ვიცი, რა ვქნა, ჩვეულებრივ დავდივარ, ფეხს არ ვითრევ, გავიმართე, ტკივილები აღარ მტანჯავს და ღამითაც თავისუფლად ვიძინებ. მკურნალობას ბოლომდე მივიყვან, ყველა დარიგებას შევასრულებ, ჩემს ქმარ-შვილს ჯანმრთელი ვჭირდები. ამ სიკეთისთვის, ამ სასწაულისთვის გულითად მადლობას ვუხდით მანანა ექიმს, ღმერთმა დაგლოცოთ.



**დათო გვრიტიშვილი** *(თელავი, 51 წლის). დიაგნოზი: მწვავე პოდაგრული ართრიტი.* ერთ დღეს, ძმაბიჭებმა კარგად ვიქეიფეთ, კაი პური ვჭამეთ და დილით, ველარ ავდექი – გამთენიისას ტერფის საშინელმა ტკივილმა გამომაღვიძა. დავხედე და სულ გაწითლებული, გასიებული, გავარვარებული მქონდა. არიქა, გავაღვიძე ცოლ-შვილი, მიშველეთ-მეთქი. ამ კლინიკაზე გაგებული მქონდა. ჩემმა მეზობელმა იმკურნალა ამ ზამთარს. დილაადრიან დავაფეთეთ ისიც და უთენია მისი მანქანით თბილისში წამოვედით. მანანა ექიმმა გამსინჯა. ყველაფერი ხუთიანზე გამიკეთა – აპარატები, ნემსები, მალამოები და... იმ საღამოსვე ფეხი დამიცხრა, ტკივილიც მომეშვა, მეორე დღეს, ჩვეულებრივ დავდგი ფეხი და ბევრიც ვიარე. გახარებული ვარ.

# ბუასილი მარტივად იკურნება

**რეხვიაშვილი დათო** *(50 წლის, გარდაბანი).* ნაღველში დიდი ზომის კენჭი მქონდა, მაწუხებდა და ურთულესი ოპერაცია გავიკეთე. კუჭ-ნაწლავის პრობლემები მანამდეც მაწუხებდა, მაგრამ ოპერაციის შემდეგ, უარესად გავხდი. ისეთი შეკრულობა დამემართა, არაფერი მშველოდა. ნაწლავი გამიღიზიანდა და დამემართა ბუასილი, დამეწყო საკმაოდ ძლიერი ტკივილები, წვა, ქავილი, გამიჩნდა კვანძები. ქირურგმა რომ გამსინჯა, ოპერაცია მირჩია. მკურნალობა ვარჩიე. აქ მომასწავლეს. მკურნალობის შედეგით კმაყოფილი და განცვიფრებულიც ვარ, ამდენი წლის პრობლემა 10 დღეში როგორ გამომისწორდა, თანაც სულ მცენარეული წამლებით. ახლა, მეორე კურსის წამლები მიმაქვს და კეთილი სურვილებით ვემშვიდობები ჩემს მკურნალ ექიმს. უღრმესი მადლობა.

**ვაშაძე ომარი** *(49 წლის, მძღოლი. რუსთავი).* ბუასილი 10-15 წელია, მაწუხებს, თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, ექიმთან მისვლა მერიდებოდა. ბოლო 2-3 წელია, მდგომარეობა ძალიან გამიუარესდა – დამეწყო ძლიერი ტკივილები, რომელიც საათობით გრძელდებოდა და სისხლდენაც. აფთიაქში ყველა საშუალება ამოვწურე და ვერ მოვრჩი, ქირურგს გავესინჯე. დიდი ზომის ნაპრალი აღმომაჩნდა, 6 თვის წინ გავიკეთე ოპერაცია, ისევ ტკივილები მქონდა. ოპერაციის შემდეგ შეკრულობაც დამემართა, ბოლოს, აქ მოვედი. ღმერთმა ააშენოს ამათი ოჯახი, მკურნალობა ქალბატონი მანანას ვაჟმა, სოსო ექიმმა ჩამიტარა. ტკივილისგან სკამზე ვერ ვჯდებოდი. ერთი ნემსი გამიკეთა ისე, რომ ვერც გავიგე. იმავე საღამოს გამიჩერდა ძლიერი ტკივილი, თან თავისი მალამოც გამატანა. სახლში ვიმკურნალე და დღეს, მშვენივრად ვგრძნობ თავს. ასევე მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავი და შეწყდა სისხლდენაც, რომელიც ასე მაწუხებდა.

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 899-10-06-36; 899-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

წლით ადრე ამბობდნენ, რომ ასეთი მიდგომა კომუნიზმია. მიხვდნენ, მაგრამ გვიან.

**– თუმცა დასავლეთი მაინც უჭერს მხარს სააკაშვილს, როდესაც პოლიტიკურ რეპრესიებად აფასებს ახალაიას, მერაბიშვილის დაკავებას, ყოფილი ჩინოვნიკების დაკითხვებზე დაბარებებს. ქართველი საზოგადოება უფრო მკაფიო ზომებს ითხოვს „ოცნებისგან“, დასავლეთი კი იმას, რასაც აკეთებს „ოცნება“, აფასებს პოლიტიკურ რევანშად. დასავლეთი ისევ არაადეკვატურია თუ რა ხდება?**

– ამერიკიდან ვხედავ, რომ სააკაშვილისადმი ინტერესი ძალიან დაეცა. ბევრი ადამიანი, რომელსაც ვიცნობ და რომლებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ სააკაშვილის დემოკრატიით, ახლა ჩუმად არიან ეს თემა აქ აღარ განიხილება.

**– იმიტომ რომ სააკაშვილმა წააგო თუ თქვენი ნაცნობი ამერიკელები „პრაზრელი“?**

– იმიტომ რომ წააგო... ჩვენთან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იყო ასეთი წარმოდგენა: საბჭოთა ხალხი იდეოლოგიზებული და ბრიყვია, დასავლეთში კი ნამდვილი მცოდნეები ცხოვრობენ, მაგრამ სინამდვილეში აქაც ხომ ძალიან ბევრი ადამიანია იდეოლოგიზებული?! თუმცა ისე ხისტად არა, როგორც საბჭოთა კავშირში. ამიტომ, რადგან ითქვა, რომ საქართველოში არის დემოკრატია, ესენიც იმეორებენ, რადგან დემოკრატიული საქართველოსთვის მისცემენ გრანტებს, დაუფინანსებენ პროექტებს. თუ დემოკრატია არ იქნა საქართველოში, მაშინ არც ეს ყველაფერი იქნება. ამდენად, ესეც უნდა გავითვალისწინოთ. ის, რომ სააკაშვილმა წააგო, ეს შოკი იყო. მე მქონდა მიმოწერა თომას დევაალთან, რომელიც კრიტიკულად იყო განწყობილი სააკაშვილისადმი, რის გამოც არ უყვარდა თქვენს ყოფილ ელჩს იაკობაშვილს, რომელიც მეც რუსეთის აგენტს მიწოდებდა და მოითხოვდა, რომ ამერიკიდან გავეგდეთ. ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ციფრები, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი შედეგი აჩვენა არჩევნებში, ხოლო მათთვის, ვისაც ესიმპათიურებოდა სააკაშვილი, ეს იყო სრული შოკი. ამის შემდეგ საქართველოს თემისადმი ინტერესი დაეცა.

**– პროცესებს შიგნიდან ეტყობოდა, რომ სააკაშვილს გაუჭირდებოდა გამარჯვება. იმის თქმა გინდათ, რომ აშშ-ის სახდეპარტამენტს არ ჰქონდა ინფორმაცია? თუ ისინი შოკში იყვნენ, ეს უკვე მე მაგდებს შოკში, რადგან ნიშნავს, რომ ჩვენი ოკეანისგაღმელი პარტნიორები არ ფლობენ რეალურ ინფორმაციას.**

– არ დაგავიწყდეთ, რომ ამერიკისთვის პრიორიტეტი აღარ არის პოსტსაბჭოთა სივრცე. თავის დროზე სახდეპარტამენტის რუსულ განყოფილებაში უდიდესი პროფესიონალები მუშაობდნენ, ახლა იქ მეტწილად შემთხვევითი ხალხია. რაც შეეხება სახდეპარტამენტს, მათ უფრო ადეკვატური ინფორმაცია ჰქონდათ.

**– იმედია, ისინი შოკში არ იყვნენ.**

– არც შოკში იყვნენ და არც ფრუსტრირებულები. ვინ შესთავაზა ობამას ის მესიჯები, რაც მან სააკაშვილს უთხრა? გასაგებია, რომ სახდეპარტამენტმა. როგორც ჩემი გამოცდილება მიჩვენებს, მგონი, ყველაზე ადეკვატური დაზვერვის უწყების წარმომადგენლები არიან. მათ არ აქვთ იდეოლოგიური პრესი და რეალურად აფასებენ ვითარებას. სააკაშვილის დამარცხება უფრო ამერიკელი პოლიტოლოგებისთვის იყო შოკი, რომლებიც საუბრობდნენ საქართველოს დემოკრატიასა და სააკაშვილის დემოკრატობაზე.

**– იგრძნობა, რომ ივანიშვილთან მიმართებაში ფრთხილობენ? პრორუსი ჰგონიათ?**

– მისი პრორუსულობის შესახებ საუბრები უფრო არჩევნების პერიოდში იყო, როდესაც ივანიშვილი მაკკეინს შეხვდა და მან თქვა, მე მჯერა ივანიშვილისო. მაკკეინი მნიშვნელოვანი ადამიანია ამერიკულ ისტებლიშმენტში. პრორუსულობის შეფასებებიც გაქრა. აქ უფრო სკეფსისია იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილმა შეიძლება, შეარბილოს პროდასავლური ვექტორი, მაგრამ, რადგან ივანიშვილი ამბობს, რომ პრიორიტეტია „ნატოსთან“ და ევროკავშირთან ინტეგრაცია, დიდი შიშები არ არის.

**– იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი მხარს უჭერს სააკაშვილს. ამ მხარდაჭერით დასავლეთი თავის თავს უჭერს მხარს იმის გასამართლებლად, თუ რატომ უჭერდა თავის დროზე მხარს?**

– არ მგონია, დასავლეთი სააკაშვილს უჭერდეს მხარს. ჩემი შეფასებით, მისი თანდათანობითი უტილიზაციის პროცესი მიდის. ჩემი შთაბეჭდილებით, რაც ამერიკელ პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან კონტაქტით შემექმნა, მიდის „პროცეს ოკურატნოი სდაჩი“.

**– და ამ აკურატული ჩაბარების პროცესს ხომ არ გადაჰყვება აშშ-ის ინტერესი საქართველოსადმი?**

– ცინიკურად ვიტყვი: უამრავი ამერიკელისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ავღანეთში ჯარისკაცების მიმწოდებლის ვინაობას. მე მახსოვს 80-იანი წლების დისკუსია, რომ მარაზმატიკი ბრეჟნევის გამო ავღანეთში იღუპებიან ქართველი ბიჭები. ბრეჟნევი 1982 წელს გარდაიცვალა, ქართველი ბიჭები კი ისევ იხოცებიან ავღანეთში. უნდა გვესმოდეს, რომ დასავლეთს აქვს თავისი ინტერესები და ის არ გავა რაღაც ჩარჩოებიდან. რუსულ-ამერიკული ურთიერთობა ისეთი არ არის, როგორც ეს პრესით ჩანს. მათ აკავშირებთ ბიზნესი, ავღანეთი, ირანი, სპეცსამსახურების თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. ამერიკელებს რუსეთისადმი თავიანთი ინტერესები ამოძრავებთ და ის არ არის ისეთი, როგორიც წარმოიდგინა სააკაშვილმა და შემდეგ თავი დაიჯერა ამაში. ამის შედეგად მივიღეთ 2008 წელი და, თუკი 2008 წლამდე საქართველო აკონტროლებდა „იუჟნაია ოსეტიას“ ნახევარს, პლუს კოდორის ხეობას და იყო აფხაზებთან მოლაპარაკების საშუალება, სიტუაცია ისე შორს წავიდა, რომ დღეს არც კი ვიცი, შეიძლება თუ არა კომპრომისული წერტილების მოძებნა.

**ნინო ხაჩიძე**

**იმ მარტივი მიზეზით, რომ ჩვენი ქვეყნის საზღვრები ღიაა და შემოსული პროდუქციის ხარისხიც მხოლოდ იმპორტიორის სინდისზეა, მოსახლეობას წარმოდგენაც კი არ აქვს, რა პროდუქციას ყიდულობს და ურევია თუ არა მათში გენმოდიფიცირებული (ასე რომ, სავსებით რეალურია, სადილად დათვის გენებიან პომიდორს მივირთმევდეთ). გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ კანონი უკვე მზადაა, თუმცა ჯერჯერობით მას სამინისტროები ეცნობიან და, ოპტიმისტური გათვლებით, საქართველოს პარლამენტმა ის საშემოდგომო სესიაზე უნდა განიხილოს. მანამდე პარლამენტის წევრი და „მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძე განგვიმარტავს როგორც გენმოდიფიცირებული პროდუქციის მავნებლობას, ისე მისგან საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის დაცვის პერსპექტივებს.**

# როგორ უნდა გავარჩიოთ გენმოდიფიცირებული პროდუქცია არაგენმოდიფიცირებულისგან და რას ჰმატებს პომიდორს დათვის გენი

**– ამ ეტაპზე რა მდგომარეობაა გენმოდიფიცირებულ პროდუქციასთან მიმართებაში საკანონმდებლო თვალსაზრისით?**

– ამას აქვს თავისი პრეისტორია: ჯერ კიდევ 1996 წელს, თუ არ ვცდები, მაშინ საქართველოს „მწვანეთა პარტია“ პარლამენტში ვიყავით წარმოდგენილი, რატიფიცირება გავუკეთეთ გაეროს ბიომრავალფეროვნების კონვენციას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი კონვენციაა, რომელიც მსოფლიოში იცავს ბიომრავალფეროვნებას, ბუნებრივ გარემოს, აბორიგენულ ჯიშებს და ასე შემდეგ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, უკვე 2000 წელს, გაჩნდა კარტახენას ოქმი, ასევე, გაეროს დოკუმენტი, ბიომრავალფეროვნების კონვენციის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ქვეყნებში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შეზღუდვის, აკრძალვის, ტრანზიტის საკითხებს. სუფთა ეკოლოგიური თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობაში გენმოდიფიცირებული თესლების შემოტანა ძალიან დიდ საფრთხეს შეიცავს ბუნებრივი გარემოსთვის, რადგან გენმოდიფიცირებული მცენარეები დამტვერვის საშუალებით გადადის სხვა მცენარეებზე და მათაც ამახინჯებს. ამიტომაც გახდა გაერო იძულებული, შეექმნა ახალი დოკუმენტი კარტახენას ოქმის სახით. ის საშუალებას აძლევს ქვეყნებს, იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ: აკრძალოს ან შეზღუდოს გენმოდიფიცირებული თესლების შეტანა.

**– ქვეყნის საზღვრები ხომ არ არის რკინის ღობეებით დაცული, დამტვერვას როგორ დაუშლი მცენარეებს?**

– დაწესებულია მანძილები. კარტახენას ოქმი გაერომ იმის გამო მიიღო, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქციის უკან ძალიან სერიოზული ტრანსნაციონალური კორპორაციები დგას და ისინი მუდმივად იბრძვიან, რომ თავიანთი ხელოვნურად შექმნილი პროდუქცია გაასაღონ, ბაზრები გაიფართოონ და ასე შემდეგ.



გენმოდიფიცირება უკვე ისეთ დონეზეა, შეიძლება, სტაფილოს ჩურჩხელის გემო მისცე

**– ვვარაუდობ, რომ განვითარებული ქვეყნები იქნებიან მიერთებულნი ბიომრავალფეროვნების კონვენციას, ასევე, ეს ტრანსნაციონალური კორპორაციებიც განვითარებულ ქვეყნებშია ნაშობი.**

– ერთ-ერთი მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციაა შეერთებულ შტატებში. მას ადრე, რაოდენ სასაცილოც უნდა იყოს, ერქვა „სიცოცხლის ინდუსტრია“, რომელშიც შედის „დიუპონი“, „პიონერი“, „ასტრა-ზენეკა“ და „მონსანტო“. ეს გაერთიანება გენმოდიფიცირებული პროდუქციის თესლების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია და ამ დარგში ბაზრის 80-პროცენტზე მეტი უკავია. ამერიკის შეერთებული შტატები, მართალია, მიერთებულია ბიომრავალფეროვნების კონვენციას, მაგრამ არ აქვს რატიფიცირებული კარტახენას ოქმი. ამ ტრანსნაციონალურ კორპორაციას უზარმაზარი ბრუნვები აქვს: წელიწადში რამდენიმე ტრილიონი დოლარის. ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სავაჭრო ომი სწორედ იმის გამო, რომ ევროკავშირმა აკრძალა თავის ტერიტორიაზე ამგვარი პროდუქციის იმპორტი, რაც შეერთებულმა შტატებმა გაასაჩივრა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ევროკავშირი აიძულეს, არ აეკრძალა გენმოდიფიცირებული პროდუქცია, მაგრამ მარკირების ნება დართეს, რომ მყიდველმა გადაწყვიტოს, იყიდოს თუ არა გენმოდიფიცირებული პროდუქტი. სხვადასხვა ქვეყანამ საერთოდაც აკრძალა სოფლის მეურნეობაში გენმოდიფიცირებული თესლების გამოყენება. ამას ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა სწორედ იმიტომ, რომ კარტახენას ოქმი იყო მიღებული. იმის თქმა მინდა, რომ ეს ძალიან მძიმე თემაა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენ ვართ და ისეთი სუსტი ეკონომიკის მქონესთვის, რომელიც მუდმივად ინვესტიციებისკენ იყურება.

**– იმის თქმა გინდათ, რომ წინააღმდეგობას ვერ გავწევთ?**

– 1996 წელს „მონსანტოს“ ჰქონდა მცდელობა, რომ საქართველოში გენმოდიფიცირებული კარტოფილის თესლი შემოეტანა. ჩვენ ეს შეგვატყობინა „გრინფისმა“, ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. შემოვიდა კიდეც გენმოდიფიცირებული თესლის პარტია, მაგრამ ჩვენ მაშინ პარლამენტში ვიყავით, დიდი წინააღმდეგობა გავწიეთ და გავატანინეთ ეს თესლი „მონსანტოს“. ამის შემდეგ არ ყოფილა ინფორმაცია, რომ ვინმეს ჰქონოდა გენმოდიფიცირებული თესლის შემოტანის მცდელობა საქართველოში, მაგრამ ვარდების რევოლუციის შემდეგ ნელ-ნელა გაჩნდა ასეთი ინფორმაციები. ჩვენ მაშინვე დავიწყეთ ბრძოლა, რომ ჩვენს პარლამენტს გაეკეთებინა კარტახენას ოქმის რატიფიცირება. თუ არ ვცდები, 2006 წელს პარლამენტში შევიდა კარტახენას ოქმი და მოხდა სასწაული: პირველად საქართველოს ისტორიაში გაეროს დოკუმენტი ჩავარდა, კენჭი უყარეს და ხმები

**გენმოდიფიცირებული პროდუქტის გენომში დევს ბაქტერიოლოგიური გენი, გენი-მარკერი ჰქვია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მწარმოებლის შესახებ. გარედან არაფერი აწერია**

არ ეყო. იმდენად დიდი ლობირება იყო იმპორტიორების მხრიდან. შემდეგ პარლამენტის ბიუროზე განიხილეს ეს საკითხი და შეიტანეს პარლამენტის მიერ განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში, მაგრამ მოხდა სასწაული და კარტახენას ოქმის რატიფიცირება ბიუროს სხდომიდან პარლამენტის სხდომამდე დღის წესრიგიდან გაქრა. ვერაფერი რომ ვეღარ მოვახერხეთ, შევხვდი პატრიარქს, ავუხსენი სიტუაცია. მან მთხოვა, მოგვემზადებინა მისი ეპისტოლესთვის ეს საკითხი. მართლაც, 2007 წლის ეპისტოლეში ძალიან მკაცრი პოზიცია გამოხატა და საქართველოს პარლამენტი იძულებული გახდა, 2008 წელს კარტახენას ოქმის რატიფიცირება მოეხდინა. მაგრამ აღარ მიაყოლეს კანონი, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებდა და კარტახენას ოქმის რატიფიცირება დარჩა ქაღალდზე.

**– რას ითვალისწინებს კანონი გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ, რომელიც პარლამენტმა უნდა განიხილოს?**

– ეს კანონი შეიმუშავა გარემოს დაცვის სამინისტრომ და მის მიხედვით საქართველოში იკრძალება სოფლის მეურნეობაში გენმოდიფიცირებული თესლების, ნერგების გამოყენება, მაგრამ, რადგან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები ვართ, მზა პროდუქციაზე შემოღებული იქნება მარკირება, რომ მოსახლეობას ჰქონდეს არჩევანის საშუალება. იმედი მაქვს, კანონი საშემოდგომო სესიაზე შემოვა განსახილველად პარლამენტში და გადავრჩებით ამ უბედურებას.

**– რა არის გენმოდიფიცრებული პროდუქციის ხიბლი მყიდველისთვის, უფრო იაფი ღირს?**

– ჩვენს მაღაზიებში პროდუქციის ფასები თითქმის ერთნაირია, თუმცა ჩვენ არ ვიცით, რომელი პროდუქტია გენმოდიფიცირებული და რომელი – არა. აქ უფრო რთული მექანიზმია ჩადებული. მოგეხსენებათ ცნობილი გამონათქვამი: ვინც ფლობს ენერგეტიკულ რესურსებს, ის აკონტროლებს მსოფლიოს და ვინც ფლობს კვების პროდუქტებს, ის აკონტროლებს მოსახლეობას. ვთქვათ, რომელიღაც კორპორაცია ხელოვნურად ქმნის რაღაც თესლს: აიღებს ცხოველურ გენს, მაგალითად, დათვის გენს და გადანერგავს პომიდორში, კიტრში ან კომბოსტოში.

**– მალე რომ არ გაფუჭდეს?**

– ყინვაგამძლე რომ გახდეს ან სხვა მიზნით. შემდეგ ის ამას აპატენტებს და კორპორაციის საკუთრება ხდება. ამიტომ თქვენ აუცილებლად იმ კორპორაციისგან უნდა შეიძინოთ ის თესლი, თან ერთხელ რომ გამოიყენებთ, მეორეჯერ ვეღარ დათესავთ. როგორც კი ამას გაკეთებთ, მაშინვე დაგაჯარიმებენ, იმიტომ რომ მის საკუთრებას ეხები. საინტერესო ის არის, რომ, თუკი ყველა პროდუქციას აწერია მწარმოებლის სახელი, გენმოდიფიცირებულ პროდუქციაში გენურ დონეზე დევს ინფორმაცია, თუ ვისი პოდუქციაა. ანუ თვითონ გენომში დევს ბაქტერიოლოგიური გენი, მას გენი-მარკერი ჰქვია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მწარმოებლის შესახებ.

**– გარედან არაფერი აწერია?**

– დიახ და როგორც კი სასამართლომდე მივა საქმე, მაშინვე დაგიდგენს, ჩემ მიერ წარმოებული პროდუქციააო. გენმოდიფიცირებული პროდუქცია ძალიან საშიშია. ცნობილი ფაქტია, რომ ბავშვებში ალერგიებს იწვევს, არის მოწამვლის შემთხვევები. იყო დავა, როგორ ზემოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და შარშან ფრანგებმა დაასრულეს რამდენიმეწლიანი ექსპერიმენტი, რომელიც ვირთხებზე ჩატარდა. ერთ ჯგუფს კვებავდნენ ჩვეულებრივი სიმინდითა და ხორბლით, მეორე ჯგუფს – გენმოდიფიცირებული სიმინდითა და ხორბლით. იმ ჯგუფიდან, რომელსაც გენმოდიფიცირებული საკვებით კვებავდნენ, ყველას ავთვისებიანი სიმსივნე და-

ემართა და ამით დამტკიცდა, რომ გენმოდიფიცირებულმა პროდუქტმა შესაძლოა, წარმოშვას ონკოლოგიური დაავადება. ამას გარდა, გენმოდიფიცირებულ პროდუქტს ჩვენთვის სხვა უარყოფითი მხარეც აქვს: საქართველო უნიკალური ქვეყანაა თავისი ბიომრავალფეროვნებით: თითქმის ყველა კლიმატური ზონაა წარმოდგენილი.

**– და დედამიწაზე არსებული ნიადაგის 52 სახეობიდან, 49 გვაქვს.**

– სწორედ ამ ბიომრავალფეროვნების გათვალისწინებით, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სუფთა ეკოლოგიური გარემო. ჩვენი ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო ბაზრებზე გასვლა, მაგრამ, თუ ჩვენ მათ გენმოდიფიცირებულ პროდუქციას შევთავაზებთ, ამ პროდუქტს არავინ იყიდის. გითხარით, რომ შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის მრავალწლიანი ბრძოლა მიმდინარეობდა გენმოდიფიცირებული პროდუქტის გამო, იმიტომ რომ მოსახლეობას არ უნდა ასეთი პროდუქტის ყიდვა, მაგრამ მწარმოებლები დაინტერესებულნი იყვნენ, რომ ეს პროდუქცია შესულიყო ევროკავშირში და მოსახლეობას ვერ გაერჩია. თუმცა ევროპამ იმარჯვა და მარკირება შემოიღო. თუ ჩვენ გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებას დავიწყებთ, ჩვენს პროდუქტს არავინ იყიდის ევროპაში, მაშინვე მოგვთხოვენ მარკირებას; არც რუსეთი მიიღებს ასეთ პროდუქტს: მათ მიზეზი სჭირდებათ, რომ შეგზღუდონ და არ შეგიშვან საკუთარ ბაზარზე. ამიტომ ჩვენთვის ყველაზე კარგი ნიშაა ეკოლოგიურად უსაფრთხო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. თუ მოვახერხეთ, რომ ვილნიუსის სამიტზე ნოემბერში ხელი მოეწეროს შეთანხმებას ევროკავშირთან თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ, შეიძლება, გაგვეხსნას 500-მილიონიანი, ყველაზე მაღალმსყიდველობითუნარიანი ბაზარი. ამდენად, ეს ყველაფერი დიდი პოლიტიკის საკითხებია.

**– მხოლოდ კანონი უშველის ამ საქმეს? შემოწმება ხომ სჭირდება პროდუქციას, რომ მარკირება მოხერხდეს?**

– გვაქვს ინფორმაცია, რომელსაც გადამოწმება უნდა, რომ 2006 წელს შეერთებულმა შტატებმა საქართველოს აჩუქა მთელი ლაბორატორიული კომპლექსი კვების პროდუქტების ხარისხის კვლევისთვის, ცენტრით – თბილისში და ფილიალებით – რეგიონებში. აშენებულია და დგას უძრავად, ანუ „ნაციონალური მოძრაობა“, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საშუალებები გააჩნდა, ხარისხის კონტროლს არ აწარმოებდა. ამდენად, თუ ლაბორატორიული სისტემა არსებობს და ისეთი წყაროდან მაქვს ინფორმაცია, 99-პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს, არანაირი პრობლემა არ იქნება, შემოწმდეს, არის თუ არა პროდუქცია გენმოდიფიცირებული, ტოქსიკური და ასე შემდეგ.

**– ესე იგი, ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა ჩვენთან შემოსული პროდუქცია გენმოდიფიცირებული?**

– ვერანაირად ვერ დავადგენთ. გარეგნულად არ ეტყობა, გენეტიკაში დევს რაღაც, ერთადერთი ჩვენ ვიყავით, „მწვანეთა პარტია“, რომელმაც გამოვაქვეყნეთ რუსეთიდან შემოსულ ხორცპროდუქტებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ისიც რუსეთის „მწვანეთა პარტიამ“ მოგვაწოდა. თვითონ გააკეთეს რუსეთში ანალიზები და იქ იყო რუსული ცნობილი ბრენდი-ფირმების პროდუქცია: სოსისები, პელმენები, ძეხვეული, რომლებიც შემოდიოდა საქართველოში, მაგრამ, რადგან ტელევიზიები გვბლოკავდნენ, ვერ მოვახერხეთ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება.

**– გემოთი გამოარჩევ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს?**

– გენმოდიფიცრება უკვე ისეთ დონეზეა, შეიძლება, სტაფილოს ჩურჩხელის გემო მისცე.

**– ვგულისხმობ სტაფილოსგემოიან სტაფილოს.**

– ვერც გარეგნობით, ვერც გემოთი ვერ დაადგენთ.

**– სურნელით?**

– ვერც სურნელით. ფიზიკური ფაქტორებით ვერანაირად ვერ გაარჩევთ, სჭირდება ლაბორატორიული კვლევა.

**– ყველა ლაპარაკობს, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქცია არის მავნე, თუ ფასით არ განსხვავდება, გემოვნური თვისებებით არ განსხვავდება, მაშინ რა ხეირია მის დამზადებაში? ვიღაცას ხომ უნდა აძლევდეს შეღავათს?**

– სუფთა ფერმერული თვალსაზრისითაა უფრო მომგებიანი და კომფორტული. თუმცა ესეც არ არის ზუსტად დადგენილი. „დიუპონმა“, რომელიც საუბრის დასაწყისში ვახსენე, ერთ-ერთმა ქიმიურმა გიგანტმა, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის შუა ხანებში, გამოუშვა შხამქიმიკატი, რომელსაც დუსტს ვუწოდებთ. გაუკეთდა რეკლამა, რომ ახლოვდება შიმშილი და ამისგან თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა ეს შხამქიმიკატი, რომელიც ხოცავს მავნებლებს. მაგრამ 1971 წელს თვითონ გაერო გახდა იძულებული, მთელი მსოფლიოს მასშტაბით აეკრძალა დუსტის გამოყენება, რადგან აღმოჩნდა, რომ ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევდა.

**– თუ სწორად მივხვდი, გენმოდიფიცირებული პროდუქციის მწარმოებლების მთავარი მიზანია მოსახლეობის კონტროლი?**

– კონტროლი და ის, რომ ახალი პროდუქტით ჩაანაცვლონ სხვა კონკურენტი ფირმები. ამიტომაც უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ თავიანთი პროდუქციის რეკლამირებაში.

**– ჩვენთან ისიც არ ვიცით, შემოდის თუ არა გენმოდიფიცირებული თესლი სოფლის მეურნეობისთვის...**

– არც ეს ვიცით, ამიტომ სასწრაფოდაა საჭირო ამ კანონის მიღება. როდესაც მივიღებთ, სისტემა ამუშავდება და უფრო უსაფრთხო გახდება ჩვენი კვებაც, ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციაც და ჩვენი პროდუქტიც უფრო იოლად გავა საგარეო ბაზრებზე.

**ნინო ხაჩიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

# როგორ შეცვალა ვახტანგ ხმალაძემ ცხოვრების გეზი და სად დაეხეტებოდა ის რელიქვიური თოფით

**მას ქართული საზოგადოება მაღალი კომპეტენციის მქონე იურისტად იცნობს, პოსტიც შესაფერისი აქვს – პარლამენტში ძალიან მნიშვნელოვან იურიდიულ კომიტეტს ხელმძღვანელობს. თუმცა, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ვახტანგ ხმალაძე თვითნასწავლი იურისტია და პოლიტიკაში მოხვედრამდე, წლები მეცნიერებაში აქვს გატარებული. პროფესიით ფიზიკოსს საყვარელ საქმესთან შელევა 90-იან წლებში მოუწია, როდესაც გეზი საარჩევნო კანონმდებლობისკენ და იურისპრუდენციისკენ აიღო. როგორ ცხოვრობდა ვახტანგ ხმალაძე ფიზიკოსის მშვიდი ცხოვრებით და რას ვერ ელევა ის პოლიტიკურ ბატალიებს მიღმა, ამას თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.**

**– ბატონო ვახტანგ, როგორ მოხვდით მეცნიერებიდან პოლიტიკაში და როგორ შეელიეთ ფიზიკოსის მშვიდ ცხოვრებას?**

– მეცნიერის ცხოვრება ძალიან საინტერესო იყო, რომელსაც სხვა ტიპის სიმშვიდე ახლდა. მაშინ პოლიტიკური ბატალიები არც არსებობდა. იყო სულ რამდენიმე ისეთი შემთხვევა, რომელმაც ააღელვა და ფეხზე დააყენა ჩვენი საზოგადოება. იმ დროს ყველას ცხოვრება მაინც დაგეგმილად, ტრადიციულად ვითარდებოდა – დავამთავრე სკოლა, უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, ასპირანტურა. მერე დავიწყე მუშაობა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. პარალელურად, ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას – ვკითხულობდი ლექციებს. მე და ჩემი კოლეგები სამი წლის განმავლობაში დავდიოდით სამცხე-ჯავახეთსა და საინგილოში, ვეხმარებოდით სკოლის მოსწავლეებს. შაბათ-კვირას მათ ვუტარებდით გაკვეთილებს სასკოლო საგნებში. უნივერსიტეტში შევქმენით ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელი სკოლა. ეს იყო საზოგადოებრივი აქტივობის ერთ-ერთი ფორმა. მაღალი ენერგიების ინსტიტუტში ვმუშაობდი იქამდე, სანამ უნივერსიტეტიდან წამოვიდოდი. 1989-1990 წლებში, როცა საქართველოში მჩქეფარე ეროვნული მოძრაობა დაიწყო, მეც ჩავერთე იმ პროცესებში, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა. 1992 წლის ბოლომდე ვიყავი გაყოფილი მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის. როცა მოვიდა დრო და დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ შეგვეძლო ჩაგვეტარებინა თავისუფალი არჩევნები და აგვერჩია ის, ვისი არჩევაც გვინდოდა, საჭირო გახდა საარჩევნო კანონმდებლობის მომზადება. ამ საფუძველზე შეიქმნა „დასი”, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც მე გახლდით. საქმე ის იყო, რომ საარჩევნო საქმის მცოდნე არავინ აღმოჩნდა, არადა, ეს გასაკეთებელი იყო. შევიკრიბეთ რამდენიმე ფიზიკოსი, მათემატიკოსი, მოგვეხმარნენ იურისტები უნივერსიტეტიდან, მათ შორის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთა შორის იყო დავით უსუფაშვილიც. ჩვენ ერთად დავიწყეთ საარჩევნო სამართლის შესწავლა. ვისწავლეთ და დავწერეთ კანონი. ეს უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიე მაშინ ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე ფიზიკაში ფორმულების წერა და ამოცანების ამოხსნა, თუმცა ფიზიკას, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერ შეველიე და დღემდე ძალიან მიყვარს. როცა პარლამენტის წევრი გავხდი, მივხვდი, რომ ორ სკამზე ჯდომა არ გამოდიოდა, უნდა გამეკეთებინა არჩევანი და მე ეს არჩევანი გავაკეთე.

**– პოლიტიკურ ბატალიებში ჩართულს ძველი ცხოვრება ბევრჯერ გამოგადგათ?**

– რასაკვირველია გამომადგა. ნებისმიერ სფეროში წარმატების და განვითარებისთვის აუცილებელია ლოგიკა, რასაც ძალიან კარგად ასწავლის ფიზიკა. ეს ცოდნა და გამოცდილება ყოველთვის მადგებოდა და მადგება დღემდე. პოლიტიკა ხომ ადამიანთა ურთიერთობის სფეროა, რომელიც ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებებს, საზოგადოების განვითარების კანონებს. ფიზიკაში ბევრად უფრო მკაცრი კანონები მოქმედებს, თუმცა ამ მკაცრი კანონების პირობებშიც კი ვერ იტყვის ადამიანი, რა იქნება ზუსტად ამის შემდეგ. შედეგი დგება გარკვეული პროცენტული ალბათობით. იმის განსაზღვრა, თუ რა მოქმედებას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, ფიზიკაში უფრო იოლია, ვიდრე – პოლიტიკაში.



თვითნასწავლი იურისტი ვარ. მხოლოდ იმიტომ არ ავიღებდი დიპლომს, რომ პარლამენტარი ვიყავი

**– თვითნასწავლი იურისტი ხართ, თუ „ოფიციალურადაც“ შეისწავლეთ იურისპრუდენცია?**

– მე ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლის შემდეგ სტუდენტი აღარ გავმხდარვარ. როცა იცი, როგორ უნდა ისწავლო, პრობლემა არ არის, ა, ბატონო წიგნები, ა, ბატონო მაგიდა, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი. ძირითადი წყარო ჩემი იურიდიული განათლებისა იყო ლიტერატურა, თუმცა ამას ემატებოდა საუბრები, განხილვა, დისკუსიები იურისტებთან, კონსტიტუციონალისტებთან. გაცილებით მეტი ცოდნა შეგიძლია მიიღო მაშინ, როცა იცი, რა უნდა ისწავლო. მე არასდროს მქონია დამკვიდრების და სტატუსების მოპოვების მცდელობა. რამდენჯერმე მქონდა შემოთავაზება, დამემთავრებინა იურიდიული ფაკულტეტი და ფორმალურადაც მქონოდა იურისტის დიპლომი, მაგრამ ამისთვის არც მეცალა და იმის გამოც, რომ ჩემთვის მოეცათ დიპლომი და ფორმალურად დაეწერათ ნიშნები, რადგან პარლამენტის წევრი ვიყავი, ამას არ ვიკადრებდი. მე ვაკეთებდი იმას, რის გაკეთებასაც ვხედავდი საჭიროდ, დანარჩენი, მათ შორის აღიარებაც, თავისთავად მოვიდა. მერე კი, როცა დაირქმევ „რაღაცას,“ კეთილი უნდა ინებო და აკეთო. ასეა ეს, რა სირთულის საქმესაც არ უნდა შეეჭიდოს ადამიანი.

**როცა დათო კირვალიძემ ქალიშვილის ხელი მთხოვა, არც ის იყო ჩინოვნიკი და არც მე**

**– სამი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი ხართ, თუმცა ყოველთვის ახერხებდით იმას, რომ გეზრუნათ პოლიტიკოსის იმიჯსა და რეპუტაციაზე და არ გახვეულიყავით სკანდალებში თქვენი არაერთი კოლეგის მსგავსად. როგორ ახერხებდით ამას?**

– ისეთი რაღაცეებიც მსმენია ჩემი თაობის და პირადად ჩემ შესახებ, რაც, ჩემი აზრით, არასწორი და არასამართლიანი იყო. ასეთებიც ყოფილა. რაც შეეხება სკანდალების თავის არიდებას, ეს ალბათ, ხასიათის თვისებაა და ყოველთვის ვცდილობდი, დამეცვა ის პრინციპები, რა პრინციპებითაც მიცხოვრია. ეს ის მცნებებია, რომელიც ჩვენს რელიგიაში ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად, არ იპარო, ტყუილი არ თქვა.

**– ქართული პოლიტიკა ამ მცნებების დარღვევას „უძლებს“.**

– ჩემთვის ასე არ არის. შეიძლება იყო ჩუმად, არ თქვა არაფერი, მათ შორის არც სიმართლე, მაგრამ ტყუილი არ თქვა. მე მირჩევნია, ყოველთვის ვთქვა სიმართლე, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. თუ თქმით დაშავდება, ჯობია გაჩუმდე *(იცინის).*

**– ძალიან ბევრ სამსახურში ხართ ნამუშევარი, ასე ხშირად რატომ იცვლიდით სამუშაო ადგილს?**

– 1992 წლის ბოლომდე ერთ ადგილზე ვიყავი მიჯაჭვული – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ინსტიტუტში. მერე ვიყავი პარლამენტის წევრი. როდესაც საპარლამენტო მანდატი დასრულდა და შემდეგ პარლამენტში ველარ მოვხვდი, რაღაც ხომ უნდა მეკეთებინა, რომ მეარსება? ოჯახს ხომ რჩენა სჭირდებოდა? ერთხანს იურიდიულ კონსულტაციებზე ვმუშაობდი, მერე ერთ-ერთ საწარმოში – იურისტად. ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი ოცნება იყო. ფიზიკას უკვე იმდენი ხნით ვიყავი ჩამოშორებული, იქ დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა. მქონდა ისეთი სამსახურებიც, მთლად საჩემოც რომ არ იყო. მთელი ათი თვე ერთ-ერთი სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ვიყავი. ეს იყო ჩემთვის სრულიად უცნობი სფერო, რომლის კეთებაც არანაირ სიამოვნებას არ მანიჭებდა. მეგობარმა მთხოვა, ცოტა ხანს მეხელმძღვანელა ამ სააქციო საზოგადოებისთვის, რადგან თვითონ უცხოეთში მიდიოდა. ერთი სული მქონდა, როდის დაბრუნდებოდა იქიდან. ისე წამოვედი, უკან აღარ მიმიხედავს. სა-

მწუხაროდ, ჩემი დაკავებული გრაფიკიდან გამომდინარე, ოჯახისთვის ვერ ვიცლიდი, მაგრამ ამ სახლში თუ რამეს ხედავთ, გაკეთებულს თუ გასაკეთებელს, ყველაფერი ჩემს კისერზეა. ყველა ფიზიკოსი ხელმარჯვე არ არის, რასაც საკუთარ თავზე ვერ ვიტყვი. მე ბევრი რამ მეხერხებოდა *(იცინის).* შვილების გაზრდა, როგორც ქართულ ტრადიციულ ოჯახებში ხდება, ჩემი მეუღლის კისერზე გადადიოდა. ამას წინათ მე და მანანა ვიხსენებდით, ერთად როდის ვიყავით შვებულებაში და აღმოვაჩინეთ, რომ ბოლოს ეს იყო, როცა დავქორწინდით იმის მომდევნო წლის ზაფხულში. მას შემდეგ ერთად აღარ ვყოფილვართ. როცა ჩემი შვილები პატარები იყვნენ, ვქირაობდით ერთ ოთახს ხან წყნეთში, ხან კიკეთში. ჩემი მეუღლე ბავშვებთან ერთად იყო, მე ზევით-ქვევით დავდიოდი. როგორც კი შვებულების დრო მიჩნდებოდა, მივდიოდი დუბნაში, სადაც საბჭოთა კავშირში საუკეთესო ინსტიტუტი იყო. სტუდენტობის დროს იქ წასვლის ნებართვა არ მომცეს, რადგან ეს ნახევრად დახურული ინსტიტუტი იყო, სადაც ბირთვული კვლევებიც მიმდინარეობდა. ინსტიტუტს ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, სადაც იმის წაკითხვაც შემეძლო, რასაც თბილისში ვერ ვკითხულობდი.

**– მეუღლე ამას არ აპროტესტებდა?**

– ჩემი მეუღლე კლასიკური ფილოლოგია პროფესიით, თვითონაც კარგად იცოდა მეცნიერული საქმიანობის ხიბლი. წლების განმავლობაში ხელნაწერების ინსტიტუტში მუშაობდა ბერძნულ და ქართულ ხელნაწერებზე, სახარების ტექსტების შესწავლაზე. როცა იმის საშუალება აღარ იყო, რომ ამ საქმისთვის დაეთმო ბევრი დრო, როგორც ქართულ ოჯახებში ხდება, მან დათმო თავისი სამსახური ჩემი სამსახურის სანაცვლოდ *(იცინის).* ჩემმა ვაჟიშვილმა ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტი დაამთავრა. მას ჩემს საქმიანობასთან შეხება არ აქვს.

**– თქვენი სიძეა სოფლის მეურნეობის ორგზის ექსმინისტრი დათო კირვალიძე. როგორ გთხოვათ ქალიშვილის ხელი, ჩინოვნიკ კოლეგას?**

– მაშინ, როცა ქალიშვილის ხელი მთხოვა, არც ის იყო ჩინოვნიკი და არც – მე. არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა. ოფიციალურად მთხოვა ქალიშვილის ხელი. მე მას ვიცნობდი შორიდან, 1999 წლის მოწვევის პარლამენტიდან, სადაც ის უმრავლესობაში იყო, მე – უმცირესობაში. ვინაიდან დათო სხვა კომიტეტში მუშაობდა, მე – სხვა კომიტეტში და სოფლის მეურნეობასთან არანაირი კავშირი არ მქონდა, ჩვენ ერთმანეთს პირადად არ ვიცნობდით. ჩვენი გზები პარლამენტში არ გადაკვეთილა. როცა ის მინისტრი გახდა, დათოს ვიცნობდი ისე, როგორც ყველა მინისტრს, რომელიც პარლამენტში მოდიოდა მოხსენების გასაკეთებლად. 2005 წელს დათომ და ჩემმა ქალიშვილმა ნინომ ერთ-ერთ პროექტზე მუშაობის დროს გაიცნეს ერთმანეთი. მათი გზები გადაიკვეთა ჩემგან დამოუკიდებლად. მერე და მერე ჩვენ დავმეგობრდით, კარგი ურთიერთობა გვაქვს, ჩხუბით არასდროს გვიჩხუბია, მაგრამ გვიქეიფია ერთად.

**– გიყვართ ქეიფი?**

– ქეიფს წიგნის კითხვა მირჩევნია. ეს ისაა, რაც ყოველთვის ძალიან მიყვარდა. მიყვარს მოგზაურობა, თოფით ხეტიალი, თუ ამას ნადირობა ჰქვია. მაქვს ძალიან კარგი გერმანული თოფი, რომელიც მამაჩემს ეკუთვნოდა. ეს თოფი მეორე მსოფლიო ომის დროინდელია. არ ვიცი, მამამ სად შეიძინა, მაგრამ მისგან მე დამრჩა. წლების წინ ძალიან ბევრი ვიხეტიალე, მინდორში, ტყეში. ბევრი ვერაფერი მოვინადირე, მაგრამ მწყერი, მელა და კურდღელი, კი ბატონო.

**– სოფლის მეურნეობის მინისტთან ერთად არ გინადირიათ?**

– არა. ჯერ ერთი, მგონი, მას არ უნადირია საერთოდ, ამის სურვილი არ გამოუჩენია არასდროს. არც მე მაქვს ამის დრო. სანამ პარლამენტში აღმოვჩნდებოდი კვირაში ორ-სამ დღეს მაინც ვატარებდი შვილთან, სიძესთან და ქალიშვილთან, ახლა ამის დროც კი არ მაქვს, რომელ ნადირობაზეა საუბარი. ისიც კი მენატრება, წყნარად დავჯდე და წიგნი წავიკითხო. ამას მშვიდი გარემო და კარგი განწყობა უნდა. გამუდმებით რომ ტელეფონი რეკავს, წამდაუწუმ რომ შეხვედრაზე გარბიხარ, ასე, წიგნის კითხვის სიამოვნებას ვერ შეიგრძნობ.

**თამუნა სამადაშვილი**


აფთიაქი TITANI

# კარდინა

**შემადგენლობა:**

**INULLA RAKEMOSA:** ახასიათებს კარდიოპროტექტორული მოქმედება. ხელს უწყობს სისხლის ცირკულაციას და ამცირებს ქოლესტერინის დონეს.

**CENTELAASIATICA:** ახასიათებს ც.ნ.ს-ზე სედატიური, აგრეთვე ჰიპოტენზიური და დამამშვიდებელი მოქმედება, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

**BOERRHAVAIADIFFUSA:** ახასიათებს დიურეზიული, ანთების საწინააღმდეგო და ჰიპოტენზიური მოქმედება.

კარდინა ასევე შეიცავს ისეთ მცენარეებს, როგორიცაა: **VITIS VINIFERA, WITHANAIA SOMNIFERA PIPER LOGUM**-ი, რომლებიც ხელს უწყობს გულის ნორმალურ მუშაობას და კარდიოვასკულარული სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებას.




**ჩვენება:** აღგზნებადობა, უძილობა, ნევროზი, ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია, კარდიოლოგია, ტაქიკარდია, კორონაროსპაზმი, არტერიული ჰიპერტენზია, გულის ტკივილი (ნევროზით გამოწვეული), არითმია და გულის მსუბუქი უკმარისობა.

**დოზირება:** ორი კაფსულა დღეში ორჯერ ან ექიმის დანიშნულების მიხედვით.

* გამოყენების წინ გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას.
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ფარმაცევტული კომპანია **ტიტანი** თბილისი, ალ. ყაზბეგის №14; ტელ.: 231-11-32; 238-28-40; 238-88-71.

# რის გამო შეიძლება გაროზგონ ირანის მოქმედი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი და რისგან დაიცვა მან საფრანგეთის ყოფილი პირველი ლედი კარლა ბრუნი

***ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მოსახლეობამ ახალი პრეზიდენტი, შიიტი ღვთისმეტყველი, აკადემიკოსი და დიპლომატი ჰასან რუხანი აირჩია. პრეზიდენტის ინაუგურაცია ირანში 3 აგვისტოს გაიმართება, მანამდე კი ისლამურ სახელმწიფოს ბოლო წლების მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურა მაჰმუდ აჰმადინეჯადი უხელმძღვანელებს. აჰმადინეჯადმა რვა წლის განმავლობაში იმსახურა პრეზიდენტის თანამდებობაზე და, კონსტიტუციის თანახმად, მას არ ჰქონდა უფლება, მესამედ ეყარა კენჭი. მოქმედმა პრეზიდენტმა უკვე მიულოცა გამარჯვება არჩეულს. ურიგო არ იქნება, გავეცნოთ მსოფლიოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული პრეზიდენტის ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებს, მით უმეტეს, რომ აჰმადინეჯადი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების ვადის გასვლასთან ერთად, პოლიტიკიდან წასვლასაც აპირებს.***

* მაჰმუდ აჰმადინეჯადი ღარიბი მჭედლის ოჯახში 1956 წელს სოფელ არადანში დაიბადა. არსებობს ვერსია, რომ ეთნიკურად აჰმადინეჯადი ირანელი აზერბაიჯანელია. მეორე ვერსიით, იგი თალიბია, ხოლო ბრიტანული „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, სინამდვილეში აჰმადინეჯადი ებრაელია და მისი ნამდვილი გვარია საბურიჯიანი. ეს არის ირანელი ებრაელების ცნობილი გვარი, რომელიც მაჰმუდის მშობლებმა მისი დაბადებისთანავე შეიცვალეს და ისლამი მიიღეს. მოგვიანებით, ეს ვერსია ახლო აღმოსავლეთის ებრაელმა მეცნიერმა მიერ ჯავენდარფარმა უარყო. მისი თქმით, მაჰმუდ აჰმადინეჯადის მამა მორწმუნე შიიტი იყო, ხოლო დედა – სეიედი, შიიტი, რომელიც მუჰამედის შთამომავლების რიცხვში შედის.



ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა საფრანგეთის ყოფილი პირველი ლედის, კარლა ბრუნის ადვოკატობა იკისრა. პრეზიდენტის თქმით, დაუშვებელია ისლამური პრინციპების გვერდის ავლით შეურაცხყოფა მიაყენო ადამიანს და აუცილებელია მისი დასჯა, რათა ხელმეორედ მსგავსი ფაქტი არ განმეორდეს. შეგახსენებთ, რომ კარლა ბრუნიმ ღიად გააკრიტიკა ირანის ხელისუფლება იმის გამო, რომ საკინეჰ მოჰამად აშტიანს, რომელმაც ქმარს უღალატა, სიკვდილით დასჯა მიესაჯა. ირანის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადმა გაზეთმა „კეიჰანმა“ ბრუნის მეძავი უწოდა და ამ ფაქტის გამო იყო შეშფოთებული მაჰმუდ აჰმადინეჯადი.

მაჰმუდ აჰმადინეჯადმა თავის თურქმენ კოლეგას, გურბანგული ბერდიმუჰამედოვს ირანული წარმოების სპორტული ტიპის თვითმფრინავი აჩუქა. თავისუფალ ჩიტს, როგორც უწოდებენ ირანულ თვითმფრინავს, თავის კლასში მესამე ადგილი უკავია მსოფლიოში. მას შეუძლია 300 კილომეტრ-საათი სიჩქარის განვითარება და ათას კილომეტრამდე მანძილის დაფარვა. თვითმფრინავის ღირებულება 120 ათას დოლარს შეადგენს. თურქმენეთის პრეზიდენტს ის თეირანის მეჰრაბადის აეროპორტში გადაეცა საზეიმოდ.

მაჰმუდ აჰმადინეჯადმა საქველმოქმედო აუქციონზე გასაყიდად გაიტანა საკუთარი ავტომობილი, 1977 წლის გამოშვების „პეჟო 504“. საზოგადოებაში ამ ავტომობილით აჰმადინეჯადი ერთადერთხელ, 2005 წელს გამოჩნდა, როდესაც თეირანის მერის პოსტს იკავებდა. მოგვიანებით კი, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გამო, აჰმადინეჯადი დაჯავშნილ ავტომობილში გადაჯდა. თეთრი ფერის „პეჟოს“ ამ მოდელის ფასი 9000 დოლარს შეადგენს, ხოლო მეორადის ფასი 2000 დოლარს არ სცდება. აუქციონის მსვლელობის დროს ერთ-ერთმა ანონიმმა მანქანა მილიონ ევროდ შეაფასა. ჯერჯერობით უცნობია, თუ გარისკა ვინმემ და იყიდა ეს ავტომობილი.

რამდენიმე წლის წინ ირანის და ბოლივიის პრეზიდენტებმა – მაჰმუდ აჰმადინეჯადმა და ევო მორალესმა მონაწილეობა მიიღეს ამხანაგურ მატჩში მინი-ფეხბურთში. პრეზიდენტები ერთ გუნდში თამაშობდნენ და თითო გოლი გაიტანეს, ხოლო მათი მოწინააღმდეგე გუნდი პროფესიონალი ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისგან შედგებოდა. მატჩი ანგარიშით 4-4 დამთავრდა, ხოლო პენალტების სერიაში პრეზიდენტების გუნდმა გაიმარჯვა და გამარჯვების ბურთი ირანის პრეზიდენტმა გაიტანა. მატჩი თეირანში გაიმართა და მორალესის ვიზიტს მიეძღვნა, რომელიც ფეხბურთის დიდ მოყვარულად არის ცნობილი.

მაჰმუდ აჰმადინეჯადი ირანული მოდის ტენდენციებით არის დაინტერესებული. მისი თქმით, აუცილებელია ირანელი ქალს ჩაცმულობა შეესაბამებოდეს მუსლიმანურ ღირებულებებს. ამასთან დაკავშირებით, აჰმადინეჯადმა ირანის ვაჭრობის მინისტრს დაავალა შესაბამისი ტანსაცმლით სავაჭრო ობიექტების უზრუნველყოფა, რადგან ამჟამად ირანულ ბაზრებზე იყიდება „როგორც ის ამბობს, იაფფასიანი და ირანისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი“. ირანელ ქალებს ძვირი უჯდებათ, ისე შეიმოსონ, რომ არ დაარღვიონ სტილი. შეგახსენებთ, რომ ირანში მოქმედებს კანონი, რომლის თანახმად, საზოგადოებაში მოტკეცილ ჰიჯაბში, ფერადი თავსაბურავით ან შარვლით გამოჩენა 50 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმას ან ორთვიან პატიმრობას ითვალისწინებს.

პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში მაჰმუდ აჰმადინეჯადის რამდენიმე კურიოზული ბრალდება აქვს წაყენებული დასავლეთის მიმართ. მაგალითად, მან დასავლეთის ქვეყნები ხელოვნური გვალვის გამოწვევაში დაადანაშაულა. აჰმადინეჯადის თქმით, ევროპული სახელმწიფოები იყენებენ სპეციალურ მოწყობილობებს, რომელთა დახმარებით ისინი არ აძლევენ საშუალებას ღრუბლებს, რომ მიუახლოვდნენ ირანს და ამიტომაც ირანელები წვიმის გარეშე რჩებიან. აჰმადინეჯადი ირწმუნება, რომ ამის შესახებ მან ერთ-ერთ ევროპულ ჟურნალში წაიკითხა, სადაც კომპეტენტური პირი საუბრობდა ასეთი ტექნოლოგიის არსებობაზე, რომლის საშუალებითაც გვალვის ხელოვნური გამოწვევა არის შესაძლებელი თურქეთსა და ირანში, რადგან სწორედ ამ ორი ქვეყნის ეკონომიკა უქმნის საფრთხეს დასავლეთს.

ირანელმა მეცნიერებმა რამდენიმე ხნის წინ ხელოვნური თანამგზავრი გაგზავნეს კოსმოსში, რომლის ბორტზე კოსმონავტი-მაიმუნი იმყოფებოდა. თანამგზავრის სახელია „კავოშგიარ-5“. მაიმუნის გარდა, მის ბორტზე 250 კილოგრამი ტვირთი იყო. ცნობილია, რომ ირანის კოსმოსური პროგრამა აქტიურ ფაზაში შედის და ამ ფაქტის გამო, დასავლეთი შეშფოთებას გამოხატავს. ირანის პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის თქმით, 2017 წლისთვის პირველი ირანელი კოსმონავტი გაემგზავრება კოსმოსში.

ირანის მოქმედი პრეზიდენტის გარემოცვის წევრები შავ მაგიასთან და კერძოდ, ჯინებთან კავშირში დაადანაშაულეს. ამის საპასუხოდ აჰმადინეჯადმა განაცხადა: ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავს იმაში, რომ მის ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირები ჯინების გამოძახებასა და შავ მაგიაში დაადანაშაულეს. აჰმადინეჯადის თქმით, თუკი ჯადოქრები დაკავებულები არიან, ამიერიდან მის მუშაობას ხელს არავინ აღარ შეუშლის. „ფრანს პრესის“ ცნობით კი აჰმადინეჯადი დარწმუნებულია, რომ მისი ადმინისტრაციის უფროსს შავ მაგიასთან არანაირი კავშირი არ აქვს და ის უდანაშაულოა.

მაჰმუდ აჰმადინეჯადმა 2010 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი გმირი, წინასწარმეტყველი რვაფეხა პაული დასავლური საზოგადოების ლპობისა და დაცემის სიმბოლოდ გამოაცხადა. თავის გამოსვლაში ირანელმა ლიდერმა პაული დასავლეთის პროპაგანდად და ცრურწმენის გავ-

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# რამდენმილიარდიანი ქონება აქვს „იანდექსის" მფლობელ არკადი ვოლოჟს „ფორბსის" ვერსიით

*„ფორბსის" 2013 წლის მილიარდერთა რეიტინგის თანახმად, ყველაზე მეტი მილიარდერი ამერიკის შეერთებულ შტატებში არის რეგისტრირებული – 442, შემდგომ პოზიციაზეა ჩინეთი, 122 მილიარდერით, ხოლო ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფო, რუსეთის ფედერაცია 110 მილიარდერით არის წარმოდგენილი ყველაზე მდიდართა რეიტინგში. ტრადიციულად, რეიტინგში მოხვდნენ ბოლო წლების ყველაზე ცნობილი რუსი „ოლიგარქები:" რომან აბრამოვიჩი, მიხაილ პროხოროვი, ალიშერ უსმანოვი, ვლადიმირ ლისინი, სულეიმან ქერიმოვი და სხვები. ცნობილი „ოლიგარქების" გარდა, „ფორბსის" რეიტინგში ახალი სახეებიც გამოჩნდნენ, რომელთა კაპიტალმა მილიარდიან ნიშნულს 2013 წელს გადააბიჯა. გთავაზობთ „ფორბსის" რეიტინგში დებიუტანტ რუს მილიარდერებს.*

### ბორის როტენბერგი – 1,4 მილიარდი დოლარი

მილიარდერ არკადი როტენბერგის უმცროსი ძმა, ბორის როტენბერგი პირველად მოხვდა მილიარდერების რეიტინგში. წარსულში ძიუდოთი და სამბოთი დაკავებული ბორის როტენბერგი ვლადიმირ პუტინის ახლო მეგობარი და სპარინგ პარტნიორი იყო.



როტენბერგი ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია რუსეთში, ასევე, ფლობს ბანკ „სევერნი მორსკოი პუტს" და ნავთობსადენების სამშენებლო კომპანიას. ბორისი განქორწინებულია. მისი ექს-მეუღლეა ფინეთის მოქალაქე ირინა ჰარანენი. ბორის როტენბერგს ორი ვაჟი ჰყავს.

### ანდრეი ბოკარიოვი – 1,35 მილიარდი დოლარი

რუსეთის ფრისტაილის ფედერაციის პრეზიდენტი ანდრეი ბოკარიოვი მილიარდერ ისკანდერ მაჰმუდოვის პარტნიორია. იგი ფლობს აქტივებს სანახშირე წარმოების და სარკინიგზო გადაზიდვების კომპანიებში. ბოკარიოვი აქტიურად არის ჩართული 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში. მას ახლო ურთიერთობა აკავშირებს პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან.

### სერგეი კისლოვი – 1,25 მილიარდი დოლარი

სერგეი კისლოვი ფლობს ბიზნესჯგუფ „რუსეთის სამხრეთს" (ზეითუნის ზეთის წარმოება, ხორბლის ექსპორტი) და რამდენიმე ნავთობგადამამუშავებელ საწარმოს. მას ეკუთვნის 200 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. ძირითადი ბრენდია ზეთი „ზოლოტაია სემიჩკა". 2007 წლიდან სერგეი კისლოვი საფრანგეთის საპატიო კონსულია რუსეთის სამხრეთში.

### იური გუშინი – 1,2 მილიარდი დოლარი

იური გუშინი ფლობს ჰოლდინგს „გაერთიანებული კონდიტერი", რომლის შემადგენლობაში შედის ცნობილი საკონდიტრო და შოკოლადის ქარხნები: „კრასნი ოქტიაბრ", „როტ ფრონტ", „ბაბაევსკოე" და სხვა. გუშინის საკუთრებაშია საწარმო „კრასნი ოქტიაბრის" ტერიტორია, რომელიც მოსკოვის ცენტრში მდებარეობს.

### ალბერტ შიგაბუტდინოვი – 1,15 მილიარდი დოლარი

ის არის „ტაიფის" დამაარსებელი და მფლობელი; რეგიონალური ჰოლდინგის მეპატრონე, რომელიც ფლობს ბიზნესაქტივებს თათრეთის რესპუბლიკაში. ჰოლდინგი მოიცავს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს, ავტოგასამართი სადგურების ქსელს, ქიმიურ საწარმოებს, ელექტროსადგურებს და სამშენებლო ფირმებს.



შიგაბუტდინოვი ჰოლდინგს 1995 წლიდან უდგას სათავეში, მანამდე კი უცხოეთიდან ტანსაცმლის, კომპიუტერების და ავეჯის იმპორტით იყო დაკავებული. ჰოლდინგში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ალბერტის უფროსი ვაჟი, რუსლან შიგაბუტდინოვიც მუშაობს.

### რუსტემ სულტეევი – 1,15 მილიარდი დოლარი

ალბერტ შიგაბუტდინოვის მოადგილე და ჰოლდინგ „ტაიფი"ს კიდევ ერთი დამაარსებელი და თანამფლობელია რუსტემ სულეევიც. ის კომპანიის მართვაში შვილთან ერთადაა წარმოდგენილი – დირექტორთა საბჭოს წევრია ტიმურ სულტეევი.

### არკადი ვოლოჟი – 1,15 მილიარდი დოლარი

1964 წელს ყაზახეთის რესპუბლიკაში დაბადებული არკადი ვოლოჟი კომპანია „იანდექსის" გენერალური დირექტორია. ვოლოჟი 1980-იანი წლებიდან კომპიუტერული სფეროთი იყო დაინტერესებული და 1997 წელს მან 1 გიგაბაიტი რესურსით აამუშავა ინტერნეტ-გვერდი „იანდექსი", რომელიც შემდგომ წლებში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რუსულ ვებ-გვერდად იქცა. არკადი ვოლოჟი 2000 წლიდან „იანდექსის" გენერალური დირექტორია. მას ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

### ალექსანდრ ლუცენკო – 1,1 მილიარდი დოლარი

ყოფილმა სამხედრომ ალექსანდრ ლუცენკომ 1994 წელს მეუღლესთან, ნატალიასთან ერთად, დააფუძნა ჯგუფი „სოდრუჟესტვო". ლუცენკოს ბიზნესი ბრაზილიიდან შემოტანილი სასუქი და კომბინირებული საკვებია სამეურნეო საქმიანობისთვის. კომპანია ფლობს საკუთარ ტერმინალებს კალინინგრადში და გადამამუშავებელ საწარმოებს ბრაზილიაში, რუსეთში, დანიაში. ლუცენკოს პარტნიორია იაპონური კომპანია „მიცუი ენდ კო", რომელიც „სოდრუჟესტვოს" აქციათა 10 პროცენტს ფლობს.

### ვლადიმირ შერბაკოვი – 1,1 მილიარდი დოლარი

საბჭოთა პერიოდში ვლადიმირ შერბაკოვი პარტიული მუშაკი იყო. 1990 წელს იგი პრემიერ-მინისტრის მოადგილედ მსახურობდა და „გოსპლანისჟ ხელმძღვანელი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შერბაკოვი არ დაიკარგა და კერძო ბიზნესში ჩაერთო.



მისი დაარსებულია ჰოლდინგი „ავტოტორიჟ, კალინინგრადის ოლქში განსაკუთრებულ ეკონომიკურ პირობებზე აწყობს უცხოური მარკის ავტომობილებს. 2012 წლის მონაცემებით „ავტოტორსჟ წარმოებული აქვს 265 000 ავტომობილი და ამ მაჩვენებლით შერბაკოვი მხოლოდ „ავტოვაზსჟ ჩამორჩება.

### აირატ შაიმიევი – 1,1 მილიარდი დოლარი

თათრეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის მინტიმერი შაიმიევის შვილი და მილიარდერ რადიკ შაიმიევის უმცროსი ძმა – აირატი ჯგუფ „ტაიფის" თანამფლობელია. იგი აკონტროლებს თათრეთის რესპუბლიკაში გზების დაგებას და შეკეთებას. მისი კომპანია „ტატავტოდორი" წამყვანია რესპუბლიკაში. ცნობისთვის: აირატ შაიმიევი ევროპის ჩემპიონია ავტოკროსში.

### რადიკ შაიმიევი – 1,1 მილიარდი დოლარი

რადიკ შაიმიევი მინტიმერი შაიმიევის ვაჟი და ჯგუფ „ტაიფის" წევრია. იგი ძმის, აირატის მსგავსად, თათრეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და მდიდარ ადამიანად ითვლება. რადი შაიმიევიც ევროპის ჩემპიონია ავტოკროსში.

---

რცელების ტიპურ მაგალითად მოიხსენია. „ისინი, ვისაც სჯერა რვაფეხას წინასწარმეტყველების, ვერასდროს მიაღწევენ სულიერ სიმშვიდეს და მუდამ ჩამორჩენილები იქნებიან ირანელ საზოგადოებასთან შედარებით, რომელსაც განსხვავებული სულიერი ღირებულებები აქვს".

ბრიტანული „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, შესაძლოა, ირანის მოქმედი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი როზგების გამოყენებით დაისაჯოს. საუბარია როზგით 74 დარტყმაზე. ეს იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტს დაუმტკიცდება ბრალდება, რომ უკანონოდ ჩაერია საარჩევნო პროცესში. ირანული ოპოზიციური პრესის ცნობით, მაჰმუდ აჰმადინეჯადი თავის დიდი ხნის მეგობარს, რაჰიმ მაშაის ეხმარებოდა საარჩევნო კამპანიის პროცესში, ეს კი კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია. ბრალდებებს თავად აჰმადინეჯადი აბსურდულს უწოდებს. ცნობისთვის: ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი 450 -მა კანდიდატმა გამოთქვა, შემდგომ სპეციალურმა საბჭომ განიხილა ყველას კანდიდატურა და მხოლოდ ღირსეულებს მისცა უფლება, ეყარათ კენჭი. საბოლოოდ, შიიტმა ჰასან რუხანიმ პირველივე ტურში გაინაღდა გამარჯვება და უკვე მიიღო მოლოცვები მაჰმუდ აჰმადინეჯადისგან.

**გვერდები მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან



ზარი ფასიანია

**პროფესიით მეტყევემ და რეჟისორმა ლევან მოსიაშვილმა საერთაშორისო აღიარება მხატვრობაში მოიპოვა. მისი შემოქმედების საიდუმლო კახურ ზეთთან არის დაკავშირებული. წარმატების მიზეზს კი მხატვარი ქართულ სულში ხედავს. ლევან მოსიაშვილი დღეს ჩვენი რესპონდენტია.**

# რომელ ცნობილ მუზეუმებსა და დაწესებულებებშია დაცული ლევან მოსიაშვილის ნახატები

**ლევან მოსიაშვილი:** ფერწერაში პროფესიული განათლება არ მაქვს მიღებული. ეს, ეტყობა, სულის მოწოდება იყო.

დავიწყოთ იმით, რომ დედ-მამით კახელი ვარ, წარმოშობით თელავიდან, კერძოდ – შილდიდან, იმ უძველესი მიწიდან, სადაც იშვა ფიროსმანი, ასევე, ჩვენი დიდი მეცნიერები, ხელოვანები, მომღერლები. ძალიან შემაყვარეს ჩემი დედულეთი და მამულეთი ჩემმა დიდმა მშობლებმა.

**– როდის დაიწყეთ მხატვრის ცხოვრება?**

– მხატვრის ცხოვრება 1993 წლიდან დავიწყე. ჩემი მეგობრები ქვეყნის დასაცავად ავტომატებით წავიდნენ. ბევრი მათგანი უკან ველარ დაბრუნდა. მე კი ქვეყნის დაცვა ფუნჯებით ვცადე. შედეგი სახეზეა – მგონი, დღესაც ვიცავ, თუმცა, ოცი წლის დაგვიანებით. ჩემი რეტროსპექტივა შედგა 18 აპრილს, როცა აქ გამოვფინე ნამუშევრები. ზუსტად 1993 წლის 18 აპრილს დავიწყე ხატვა.

მივდივარ სადღაც, უცხო ქვეყნებში. ჩიტივით ვარ, რომლებიც შემოდგომით მიფრინავენ და გაზაფხულზე ბრუნდებიან. მეც ასე დავბრუნდი გაზაფხულზე და, გპირდებით, მომავალშიც ახალი გამოფენით დავბრუნდები. მე ომს პროტესტი გამოვუცხადე. ძმათამკვლელ ომს ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი. არ ვარ პაციფისტი, ერთი ჩვეულებრივი თბილისელი კაცი ვარ, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი სამშობლო, თავისი დედულეთი და მამულეთი – კახეთი; ის ემოცია და სიყვარული, რაც დამიდეს საფუძვლად და მომყვება, ის ღვინის ფერები, ჩემში ნელ-ნელა პროფესიონალიზმად გარდაიქმნა. ასე მეუბნებიან, მაგარი ხარო. მე კი არ ვარ მაგარი, – თქვენ ხართ, რომ შემაყვარეთ, მაიძულეთ, რომ ასე ჩიტივით უკან ვბრუნდებოდე, მომქონდეს ეს ნახელავი, გეფერებოდეთ.

**– თქვენი სიტყვების მიღმა ემიგრანტის სული ირეკლება, განცდა, ემოცია. რატომ წახვედით აქედან?**

– 1998 წლამდე რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალში მომიწია მონაწილეობის მიღება. გაგიკვირდებათ, მაგრამ, სატყეო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მეორადი ფაკულტეტი – სარეჟისორო დავამთავრე, ბატონი გოგი თოდაძის კლასი. რამდენიმე ფესტივალზე დამპატიჟეს, რომ მონაწილეობა მიმეღო დეკორაციის გაკეთებაში, რეჟისურის განხრით, მსახიობადაც. რამდენიმე სპექტაკლში ვითამაშე კიდეც. წარმატება ხვდა წილად ჩემს ქართულ ხელოვნებას. თან მიმქონდა ჩემი ნახატებიც – მაინტერესებდა, თუ რა ემოციას აღძრავდნენ ისინი.

1998 წელს თბილისის ძველ უბანში მოწყობილ ერთ-ერთ გამოფენაზე. ჩემი ხელოვნებით ძალიან დაინტერესდნენ ფრანგები. ისინი აღმოჩნდნენ საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები. ელჩმა რამდენიმე ნამუშევარს მოჰხვია ხელი და მითხრა: ლევან, შენში რაღაც იდუმალება, ქართული სულიერება და საკრალური. მინდა, რომ ეს ყველაფერი საფრანგეთს ვანახო და გავაცნო. ამჟამად მარსელში საერთაშორისო კონკურსი ტარდება, ხომ არ გინდა, მასში მონაწილეობა მიიღოო. ვენდე მის სიტყვას. გავატანე ნამუშევრები. ორი კვირის შემდეგ ჩემს ნახატებთან ერთად უკან დამიბრუნდა ჯილდო და 3 აღიარება: პირველი ადგილი, საპატიო დიპლომი და საფრანგეთის პრესის თასი. საფრანგეთის პრესამ აღიარა და უცბად აიტაცა ეს ყველაფერი. წერდნენ, რომ გამოჩნდა ახალი შაგალი, რომ ფიროსმანი გაცოცხლდა. ჩემთვის ეს დიდი სტიმული იყო, რომ მეხატა. როგორ გითხრათ, ინტერვიუებით გათამამებული უფრო უცხოეთში ვარ, ქართულმა პუბლიკამ მხოლოდ მეოთხე დღეა, რაც ამიტაცა. 1993 წლიდან მოყოლებული, ალბათ 50-ოდე კონკურსში მივიღე მონაწილეობა და მათგან ნახევარზე მეტში აღიარება მერგო წილად. მათ უამრავი



**წერდნენ, რომ გამოჩნდა ახალი შაგალი, რომ ფიროსმანი გაცოცხლდა. ჩემთვის ეს იყო დიდი სტიმული, რომ მეხატა**

გრანპრი, მიპატიჟება, პერსონალური გამოფენები და შეძენა, განვრცობა მოჰყვა – მე არ მიყვარს სიტყვა „გაყიდვა".

**– მაგრამ, იმისთვის, რომ შექმნა ახალი, ალბათ, საჭიროა, რომ რაღაცას შეელიო.**

– მტკივნეული მომენტია ჩემთვის, როდესაც მეუბნებიან: „ვყიდულობ". მე მესმის, რომ ეს აუცილებლობით არის გამოწვეული. მაქვს რაღაცა პერიოდი ისეთი, რომ აღარ ვყიდი. მე მინდა, რომ, ამ გამოფენით დაწყებული, შევქმნა კოლექცია, რომელიც საქართველოში, ჩემს სამშობლოში დარჩება. აღარ გავყიდი იმ კოლექციას. დაე, შთამომავლობამ განსაჯოს, ვინ ვიყავით ჩვენ.

**სელინ დიონს თავის პირად თვითმფრინავში აქვს ჩემი ნახატი გამოფენილი**

**– ჩემთვის ცნობილია, რომ არაერთ ცნობილი პიროვნების კოლექციასა თუ ორგანიზაციაშია დაცული თქვენი ნამუშევრები.**

– ვაშინგტონში, პენტაგონის ცენტრალურ ოფისში, პრაღის ნაციონალურ მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში, საფრანგეთის უამრავ მერიაშია გამოფენილი ჩემი ნახატები, იტალიის პარლამენტის წევრებსაც აქვთ შეძენილი; ასევე, ვალერი მელაძეს, ირაკლი ფირცხალავას ჩემი ორი ნამუშევარი დაბადების დღეზე მიართვეს; სელინ დიონს თავის პირად თვითმფრინავში აქვს ჩემი ნახატი გამოფენილი. კარგი ნამუშევრები კარგ ხალხთან მოხვდა, თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა ინკოგნიტოდ მოინდომა დარჩენა.

მინდა, ხაზი გავუსვა ერთ რამეს – უკვე იჩემებენ მოსიაშვილს. რუსები წერენ, მოსიაშვილი რუსიაო. რამდენჯერმე ასეთი უცნაური რამაც დაწერეს, რაც მე დეკემბერში გავაპროტესტე: ლტოლვილებს საქართველოდან და, მოსიაშვილიც მოახვედრეს ამ სიაში, – თითქოს რუსეთმა შეუწყო ხელი მათი ხელოვნების განვითარებასა და გავრცობას. საფრანგეთი ცალკე იჩემებს, იმიტომ რომ საფრანგეთის მოქალაქე ვარ. ახლა უკვე მიჭირს იმის თქმა, თუ ვისი ვარ. საბედნიეროდ, დღეს ფულით აღარ ვწყვეტ. 41 წლის ასაკში ვაღიარებ, რომ ხელოვანმა უნდა იცხოვრო ხელოვნებისთვის, იმ ძირისთვის, საიდანაც წამოხვედი და რისთვისაც ქმნი.

**– დამისახელებთ ყველაზე დიდ თანხას, რომლის სანაცვლოდაც თქვენი ტილო გასხვისდა.**

– სანკტ-პეტერბურგში, ერთ-ერთმა ცნობილმა ინდოელმა ბიზნესმენმა 18 ათას დოლარად შეიძინა ჩემი ნახატი. „სამსუნგის" ოფისში, სამხრეთ კორეაშიც არის გამოფენილი ჩემი ნამუშევარი, ესტონეთის პარლამენტში. ბევრი ნამუშევარი მიმოფანტულია, რადგან, არ ვიცი, ვინ შეიძინა. ამას აკეთებენ და აკეთებდნენ მენეჯერები.

**– ძალიან ბევრი ცნობილი მხატვარია მსოფლიოში, რომელთა ნამუშევრების გვერდით გამოიფინა თქვენი ნახატებიც. როგორ ფიქრობთ, რატომ მოსწონთ მათ თქვენი ტილოები?**

– მე ძალიან მიჭირს ამაზე საუბარი. თუ ვინ ვის გვერდით იფინება, ამას სპეციალური ჟიური წყვეტს. ალბათ, ხედავენ ქართულ სულს და ეს მოსწონთ ჩემში. ძირი და საფუძველი ჩემს ხელოვნებას ტექნიკურადაც ქართული აქვს – ის საქართველოში დამუშავებული ზეთით იქმნება. ხოლო, ეს საკრალური და ეს უნივერსალური ისე მიჰყვება თან ამ ნამუშევრებს, თითქოს გეძახიან: „მოდი და მნახე! მოდი და შემაფასე! მოდი და შემიყვარე!" როცა ვხედავთ ამ ნამუშევრებს თითქოს ნიკალა ცოცხლდება და გუდიაშვილი ცეკვავს. ელენე ახვლედიანის თბილისები მაგონდება ხანდახან. მე ყველა ჩემში ჩავდე და შევიყვარე. ერთი დიდი სუფრა გავშალე, ყველა დავლოცე და შემდეგ მათმა სულებმა თავისი საქმე ქნეს: ზოგმა ფერი მომცა, ზოგმა – ხაზი, ზოგმა კიდევ, ბატკანივით სუფთა, უშფოთველი და უპრეტენზიო ჟღერადობა შესძინა ჩემს ნამუშევრებს. ეს სული და მოტივები თან გაჰყვება ჩემს ცხოვრებასა და შემოქმედებას. აღიარებისთვის არასოდეს დავხატავ, დაკვეთებსაც გავურბივარ. მე, უბრალოდ, ჩემთვის ვლილინებ.

**ეკა სალაღაია**

**მედიაჰოლდინგ „კვირის პალიტრის" პოპულარული სახე მერაბ მეტრეველი, რომელიც რადიო პალიტრის გადაცემების „მოკლე ჩართვა" და „რეზიუმეს" წამყვანია, პარალელურად კი ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერში პოლიტიკური თოქ-შოუ მიჰყავს, შეიძლება ითქვას, ჟურნალისტიკაში შემთხვევით მოხვდა. მისი ჟურნალისტური კარიერა ბათუმში დაიწყო, სადაც რთული ოჯახური პირობების გამო, იძულებული გახდა, ფიზიკურად ეშრომა. ბედის საძიებლად თბილისში გადმოსახლება, ადამიანი, ვინც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა და მეორე ნახევარი, რომელიც მას პროფესიულ კონკურენციას არ უწევს – მერაბ მეტრეველი მაყურებლის და მკითხველისთვის კადრს მიღმა დარჩენილ ცხოვრებაზე გვიამბობს.**

# სად გამოკეტეს მერაბ მეტრეველი და რა ფუფუნებაზე არ ამბობს ის უარს

**– მერაბ, როგორ დაიწყო შენი ჟურნალისტური კარიერა?**

– პროფესიით ჟურნალისტი არ ვარ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე. სპეციალობით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარ, თუმცა ჩემი სპეციალობით არასდროს მიმუშავია. ოჯახში ერთადერთი შრომისუნარიანი წევრი მე ვიყავი. დედაც და მამაც პენსიონერები იყვნენ. დედა ავადმყოფობდა. ჩვენი ოჯახის შემოსავალი სულ რაღაც 28 ლარს შეადგენდა, ამიტომ სტუდენტობის წლებშივე გავხდი იძულებული, მუშაობა დამეწყო. ბიძაჩემს ბენზინგასამართი სადგური ჰქონდა, მთელი სამი წლის განმავლობაში ვმუშაობდი იქ, ბენზინის ჩამსხმელად. პარალელურად, ვეძებდი სხვა სამსახურსაც. იმ პერიოდში აჭარის ტელევიზიაში გამოცხადდა კონკურსი, სადაც მივიღე მონაწილეობა, მაგრამ კონკურსი ჩაიშალა. ჟიურის ერთ-ერთი წევრი იყო გიორგი თარგამაძე, რომელსაც შემთხვევით შევხვდი ქუჩაში. გიორგიმ მითხრა: სტუდიას ვაკეთებ და ახალ ჟურნალისტებს ვეძებო. ასე აღმოვჩნდი ჟურნალისტიკაში. სტუდიამ ერთი წელი იმუშავა. როცა გიორგი პარლამენტის წევრი გახდა, მე მივხვდი, რომ სტუდიაში დარჩენა, რომელიც აჭარის მთავრობის პრესსამსახურს და მის პროპაგანდას ექვემდებარებოდა, ჩემი საქმე არ იყო. გადავერთე დამოუკიდებელ მედიაში, დავიწყე რეპორტაჟების წერა ჯერ გაზეთ „დრონისთვის", შემდეგ „ახალი თაობისთვის", დავაარსეთ გაზეთი „ბათუმელები". იმ დროს პრესაში ჰონორარები იმდენად დაბალი იყო, რომ ამ შემოსავლით თავს ვერ გაიტანდი, მით უმეტეს, როცა ოჯახი ჩემი სარჩენი იყო. გადავწყვიტე, თბილისში წამოვსულიყავი, სადაც უფრო დიდი სივრცეა და შესაძლებლობა, რაღაც გააკეთო. მაშინ დედა უკვე გარდაცვლილი მყავდა. მოვკიდე ხელი მამაჩემს, რომელიც უკვე ოთხმოც წელს იყო მიტანებული და ასე, ორნი წამოვედით თბილისში.

**– არ გაგიჭირდა აქ თავის დამკვიდრება?**

– დამკვიდრება არ იყო რთული. რთული იყო თავის გატანა. ეს იყო ჩემი ცხოვრების ძალიან მძიმე წლები – ბათუმში ბინა მაინც მქონდა, აქ კი ბინის დაქირავება მიწევდა. მგონი, თბილისში უბანი არაა, სადაც მე არ მიცხოვრია ქირით. შეიძლება ითქვას, მომთაბარე ცხოვრებას ვეწეოდი ***(იცინის).*** საკმაოდ იაფფასიან ბინებში მიწევდა ცხოვრება. ზოგი ნახევრადსარდაფიც იყო. ამას ემატებოდა მოხუცი მამა, რომლისთვისაც უნდა მომევლო. პირველი სამსახური, სადაც მუშაობა დავიწყე, იყო გაზეთი „ალია". იქ წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვიმუშავე. ამის შემდეგ გიორგი ბრეგვაძემ მითხრა: არ მომწონხარო და შეიძლება ითქვას, გამომაგდო. თბილისში უმუშევრად დარჩენა, როცა ნაქირავებში ცხოვრობ და ბინის მეპატრონე თავზე გადგას, ჩქარა, ქირა გადამიხადეო, როგორი იყო? ლამის დეპრესიამდე მივედი. წავედი გაზეთ „24 საათში" და შტატგარეშე ჟურნალისტად დავიწყე მუშაობა. ამ დროს გიორგი თარგამაძე წამოვიდა პარლამენტიდან და მივიდა ტელეკომპანია „იმედში". მივადექი გიორგის ტელევიზიაში და სამსახური ვთხოვე. მას ჰქონდა ჩემთან საქმიანი ურთიერთობის გამოცდილება და ამიყვანა. ორჯერ მიხსნა გიორგი თარგამაძემ ჩემი ცხოვრების ყველაზე რთულ პერიოდებში. მერე, როცა ის პოლიტიკაში წავიდა, მე ისევ ჟურნალისტიკაში დავრჩი. გახსოვთ მაშინ მოვლენები როგორი დრამატულადაც განვითარდა. მე მქონდა ჩემი პოზიცია, შეიძლება ითქვას, იდეალისტურიც. ვამბობდი, რომ არ წავიდოდი მიშას ტელევიზიაში, მაგრამ არც ის მომწონდა, რომ „იმედის" მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი უკვე ღიად ერთვებოდა პოლიტიკაში. იმ სიტუაციაში მე გამოვედი თეთრი ყვავი. საბოლოო ჯამში, ჩემს პოზიციას ორივე მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა, მე „იმედიდან" წამოვედი და სახლში დავჯექი. ეს იყო ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი ეპიზოდი, როცა თავიდან მიწევდა ცხოვრების დაწყება. მაშინ უკვე დაოჯახებული ვიყავი – ცოლი, შვილი. დიდხანს უმუშევარი ვერ გავჩერდებოდი და „პირველ არხზე" წავედი, რომელიც „ბორდის" წევრების შეცვლით, მეტ-ნაკლებად დაბალანსებული უნდა გამხდარიყო. პირდაპირ მივადექი ლევან ყუბანეიშვილს, რომელმაც მითხრა, რომ ბიჭი რეპორტიორი სჭირდებოდათ. საბოლოო ჯამში, ჩემი იმედი, რომ ეს ტელევიზიაც იქნებოდა დამოუკიდებელი, არ გამართლდა. აგვისტოს ომის დროს „პირველ არხზე" ვიყავი. ჟურნალისტისთვის საომარ მდგომარეობაში მუშაობა ძალიან დიდი აზარტია – 20 დღე გავატ-



მოვკიდე ხელი მამაჩემს, რომელიც უკვე ოთხმოც წელს იყო მიტანებული და ასე ორნი, ბედის საძიებლად წამოვედით თბილისში

არე სამეგრელოში. როგორც ჟურნალისტები ვხუმრობდით – „დასავლეთის ფრონტზე". სამი დღით წასული, იქ დიდხანს გამოვიკეტე, ოცი დღის განმავლობაში ვდიეთ რუსებს. ომის დამთავრების შემდეგ უფრო აქტიურად დადგა დღის წესრიგში მედიის გამოყენება პროპაგანდისთვის. მე დავტოვე სამსახური და სწორედ ამ დროს აღმოვჩნდი „კვირის პალიტრაში", რომელიც იმ დროისთვის ერთადერთი მედიაჰოლდინგი იყო, რომლის უკან არანაირი პოლიტიკური ინტერესი არ იდგა. ბოლო პერიოდში ჩემს სამსახურს დაემატა პოლიტიკური თოქ-შოუების წაყვანა „კავკასიაზე", რადიო „პალიტრაში". ჩემი ჟურნალისტური კარიერის განმავლობაში სულ ვცდილობდი, რომ არ ვყოფილიყავი ჟურნალისტი, რომელიც რომელიმე პოლიტიკურ მხარეს მიეკუთვნება. ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი მოსაზრება: ვიღაც მოგვწონს, ვიღაც – არა, მაგრამ საქმით, რომელსაც ვაკეთებ როგორც ჟურნალისტი, არ მინდა, რომელიმე პოლიტიკურ მხარეს ვემსახურო. მე დღესაც ვამბობ, რომ მოწოდებით ჟურნალისტი არ ვარ. ძალიან მომწონდა ჩემი პროფესია, სიამოვნებით ვიმუშავებდი ლიტერატურათმცოდნედ, კრიტიკოსად, მაგრამ ამ საქმით ოჯახს ვერ შევინახავდი. წერის შესაძლებლობის თვალსაზრისით ეს იყო ერთადერთი მონათესავე პროფესია, ამიტომაც აღმოვჩნდი ჟურნალისტიკაში, დავრჩი აქ და მგონი, ცუდ ჟურნალისტად არ ჩამოვყალიბდი, თუმცა იმედი მაქვს, პენსიაში გასვლამდე ჩემს თავდაპირველ პროფესიას დავუბრუნდები. დროდადრო ვმუშაობ თარგმანებზე. იყო პერიოდი, როდესაც თქვენს ჟურნალთანაც ვთანამშრომლობდი და ვთარგმნიდი პორტუგალიელ მწერალ სარგოსს.

**– პრესაში წერას მაინც ვერ ელევი.**

– „კვირის პალიტრაში" მაქვს ჩემი სვეტი. იმის მიუხედავად, რომ ტელევიზიას თავისი „მულამი" აქვს, რეპორტაჟების გაკეთებას – დიდი აზარტი, პრესაში წერაა მაინც ჩემი სტიქია. ვფიქრობ, ცოტა ხისტი ვარ. ჩემი აზრით, ჟურნალისტი ასეთი უნდა იყოს, არავის გუნდრუკს არ უნდა უკმევდეს. მაგრამ არც ის მომწონს, როცა ჟურნალისტი ეთერში სტუმარს ეჩხუბება. ჩვენ ხომ საერთოდ ორი უკიდურესობა გვჭირს. ვფიქრობ, არც ერთი უხდება ჟურნალისტს, არც მეორე. აბსოლუტურად სხვა რამ არის სვეტის წერა, ეს არის სხვა ჟანრი. როდესაც ამბობენ, რომ ჟურნალისტმა არ უნდა გამოხატოს თავისი აზრი, ამ მოსაზრებაში არ ჯდება სვეტის ავტორობა, რომელიც აბსოლუტურად შენი სუბიექტური შეხედულებებია. ამიტომაც, სვეტში არ ვერიდები საკუთარი შეხედულებების გამოხატვას პოლიტიკოსებზე, რის უფლებასაც თავს არ ვაძლევ თოქ-შოუს წაყვანის დროს, სვეტში მე მწვადსაც ვწვავ და შამფურსაც ***(იცინის).***

**– მეუღლე, ნინო წულუკიძე შენი კოლეგაა. ორი აქტიური ჟურნალისტი ერთ ოჯახში პროფესიულ კონკურენციას უძლებს?**

– ნინო სხვა ჟანრში მუშაობს, პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ აქვს. ერთ ოჯახში ორი ჟურნალისტი განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს. ნინოს აქვს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, პოლიტიკის „შინაურ ექსპერტად" არის ჩამოყალიბებული. ჩვენი აზრები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც ოჯახური პოლიტდებატების თემაც ხშირად ხდება.

**– შენი ცხოვრების წესი ბომონდურია?**

– არა, არაფერი განსაკუთრებული. არ მიყვარს დიდი ქეიფები, სადღეგრძელოები, ხმაურიანი კამპანიები. ერთი სული მაქვს ასეთი ადგილებიდან რაც შეიძლება მალე გავიქცე. ღამის კლუბში ერთხელაც არ ვარ ნამყოფი. ვერ ვიტან სიგარეტის კვამლს; იმას, რასაც ბომონდურ ცხოვრებას უწოდებენ. ამ მხრივ მოსაწყენი ადამიანი ვარ. ჩემი მეუღლე ძალიან კომუნიკაბელური და გახსნილი ადამიანია. მას უყვარს ხალხმრავალი წვეულებები. იყო მცდელობა, მეც ჩავეთრიე, მაგრამ არ გამოუვიდა, პირიქით, ჩემს ბანაკში გადმოვიბირე. ყველანაირ გართობას მირჩევნია კითხვა. მიყვარს ცურვა. კარგად ვცურავ კიდეც. ერთი ბათუმელი მაჩვენეთ, ვინც კარგი ცურვა არ იცის. ძალიან ჩვეულებრივი ცხოვრების წესი მაქვს – სამსახური, ოჯახი, სამსახური და ისევ ოჯახი. შაბათ-კვირას ბავშვთან ერთად ქალაქგარეთ გვიყვარს გასვლა. ეს ჩემთვის ყველაზე კარგი დასვენებაა. 4 წლის წინ, როდესაც მამა გავხდი, ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ლუკამ ბევრ რამეზე შეცვალა ჩემი შეხედულებები, შეიძლება ითქვას, ასე არავის და არაფერს შევუცვლივარ. მე არ ვყოფილვარ ბავშვების მიმართ სენტიმენტალური. სულ მიკვირდა, უცხო ბავშვებს რომ მივარდებოდნენ ხოლმე და ეფერებოდნენ. ლუკას დაბადების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მეც ასეთი გავხდი. მოგეხსენებათ, გადაცემები საღამოობით მიმყავს და დღის პირველ ნახევარში მაქვს იმის ფუფუნება, ლუკასთან ერთად გავატარო დრო. ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი რელაქსი.

**– კარგი მეოჯახე ყოფილხარ.**

– ასე ვერ ვიტყვი. ალბათ, არ ვარ ქართული გაგებით კარგი მეოჯახე მამაკაცი. საღამოობით სუპერმარკეტიდან დატვირთული არ ვბრუნდები სახლში, მაგრამ ის, რაც კაცს ეხება ოჯახში, გაფუჭებული ონკანის, „შტეფსელის" გაკეთება და სხვა, ნამდვილად მეხერხება. ჩემი მეუღლე ძალიან მარჯვეა. ის იმდენ რამეს იღებს საკუთარ თავზე, მისგან ბევრი საოჯახო საზრუნავი მაქვს მოხსნილი.

**თამუნა სამადაშვილი**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **ჩემი ახლობელი გააჩერა პატრულმა და მოსთხოვა სიმთვრალეზე ტესტის ჩაბარება. მან არ შეასრულა პატრულის მოთხოვნა, რისთვისაც ჩამოართვეს მართვის უფლება. მაინტერესებს, რამდენად კანონიერია პატრულ-ინსპექტორის მოქმედება?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ პატრულ-ინსპექტორის მოქმედება არის კანონიერი. კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების მართვისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისთვის თავის არიდება, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად, სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

კითხვა: **ჩემი მეზობელი იყენებს და**



**უნებართვოდ ამუშავებს სახელმწიფო მიწის ნაკვეთს. მაინტერესებს და გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა მას ამის უფლება, ან რა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონი სახელმწიფო მიწის ნაკვეთის უნებართვოდ სარგებლობისთვის?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება, ანდა მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა, წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე. იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით კი, გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან სამი ათას ხუთას ლარამდე.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, შეიძლება თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სხვა დანიშნულებით გამოყენება?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე.

კითხვა: **როდესაც ადმინისტრაციული ჯარიმა ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აკრძალვას, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ადამიანს, ვინც ამგვარი დარღვევა ჩაიდინა უკვე ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, მაინტერესებს, ამ შემთხვევაში რა სანქცია შეიძლება იქნეს მის მიმართ გამოყენებული?**

პასუხი: გააჩნია რა დარღვევას სჩადის მოქალაქე, როდესაც მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს ასეთი სანქციები. ზოგადად კი, სამართალდარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისთვის, დაჯარიმდება 700 ლარის ოდენობით. თუ სამართალდარღვევა, ჩადენილია განმეორებით, ერთი წლის განმავლობაში, ეს გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენად შეიძლება დაჯარიმდეს ის მძღოლი, რომლის ავტომანქანასაც ერთ-ერთი ფარი დამწვარი აქვს და არ ანათებს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ მძღოლი დაჯარიმდება არა მხოლოდ ამ შემთხვევაში, არამედ მძღოლის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს: გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა; ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანა საგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს; ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს; ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა, გამოიწვევს დაჯარიმებას 15 ლარის ოდენობით.

კითხვა: **მაინტერესებს, რა სანქციები განხორციელდება იმ პირის მიმართ, რომელმაც დადგენილ ვადაში არ გადაიხადა სატრანსპორტო საშუალების მართვისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გამოწერილი ჯარიმა?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ჯარიმის ნებაყ ოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამართალდამრღვევ პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას, ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენია ჯარიმა პატრულ-ინსპექტორის მიერ გაჩერების მოთხოვნაზე არდამორჩილების შემთხვევაში?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა ოდენობის ჯარიმა დაეკისრება პირს, ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიმალვის შემთხვევაში?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა ვადებია დადგენილი კანონით ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის გამოწერილი ჯარიმების გადასახდელად და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს დადგენილ ვადებში ჯარიმის თანხის გადაუხდელობას?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღეში; ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის ან აღნიშნულ მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის საჯარიმო ქვითრის ფოსტით ჩაბარებიდან – 30 დღეში. აღნიშნული ვადის დინება შეჩერდება დადგენილების, განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში – საჩივრის ან პროტესტის განუხილველად დატოვების თაობაზე, შეტყობინების ჩაბარებამდე.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენია ჯარიმა მოტოციკლით მოძრაობისას ჩაფხუტის არგამოყენებისათვის?**

პასუხი: მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის, ანდა მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

# ინტიმური საუბრები

### ნაჩქარევად არაფერს გადავწყვეტ

20 წლის ვარ და ალბათ, არც ისეთი ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს, ყველაფერი ისე შეუცდომლად შევაფასო, ჩემმა გადაწყვეტილებამ მომავალში წარმატება მომიტანოს ან ბედი გამიხსნას. მაგრამ, მაინც მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი. საქმე ისაა, რომ მატერიალურმა მდომარეობამ ოჯახში, მაიძულა, სწავლის პარალელურად, კაზინოში კრუპიედ მეშოვა ადგილი – ისიც დიდი ნაცნობობით და იქ ღამის ცვლაში დამეწყო მუშაობა. საშინლად ვიღლებოდი და დღისით, ლექციებზე თითქმის მეძინა. თავს იმით ვინუგეშებდი, რომ სამუშაო დროებითი იყო და თანაც, ანაზღაურებასაც არა უშავდა. მერე თანდათან შევეჩვიე გარემოს, გოგოებსაც დავუმეგობრდი, დაცვაშიც კარგი ბიჭები იყვნენ, აბეზარ სტუმარს ისე ოსტატურად „გაანეიტრალებდნენ", რომ მართლა აღარავინ გვაბეზრებდა მერე თავს. მოკლედ, შევეჩვიე იქაურობას და თავიდან, რომ მეგონა, როგორც კი რაღაც გარკვეულ თანხას შევაგროვებდი, ჩავიცვამდი და ზაფხულის არდადეგებზე დასასვენებლადაც გადავინახავდი ფულს, მაშინვე წამოვიდოდი იქიდან, თითქმის მთელი ზაფხული კაზინოში დავრჩი. ახლა მთავარი – ჩვენი შეფი 35 წლის, საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდაა და რაც მთავარია, უცოლო. მოგეხსენებათ, ყველა იმას ეპრანჭება და არის დაუნდობელი კონკურენცია. მე არც კი მიფიქრია, ამ „მარათონში" ჩაბმა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ამბობენ, საკმაოდ ეფექტური გარეგნობა მაქვს, არ ვარ დიდად აქტიური, არ მიყვარს თავის გამოჩენა და საშინლად არ მსიამოვნებს, ვინმემ შემატყოს, თავს რომ ვაწონებ. გამომდინარე აქედან, თამაშგარე მდგომარეობაში რომ მეგონა თავი, ერთხელ ჩემი თანამშრომელი გოგონა, რომელიც, ასევე, „იბრძოდა დედოფლობისთვის", მეუბნება, ოთოს (ანუ შეფს) მოსწონხარ, შენზე რაღაც-რაღაცეები გამოუკითხავსო. მე ეს, რა თქმა უნდა, არ დავიჯერე, მაგრამ ავფორიაქდი. მერე ვაკვირდებოდი და თითქოს მართლა გამორჩეულ ყურადღებას ვგრძნობდი ოთოსგან, დაინტერესებულ მზერასაც მაყოლებდა. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, გადავწყვიტე, წამოვსულიყავი სამსახურიდან და ამას ორი მიზეზი ჰქონდა: თუ ოთოს მართლა მოვწონვარ, ჩემი მოძებნა არ გაუჭირდება, ხოლო თუ გართობას და დროსტარებას გეგმავს ჩემთან, ძალიან შემცდარა. ვფიქრობ, დროზე ვუშველე თავს და სწორად შევაფასე მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ წლებით დამძიმებული გამოცდილება არ მაქვს, აცანცარებას არ ვაპირებ, მით უმეტეს, რომ ვხედავ, რა დღეშიც ჩავარდნენ ჩემი თანატოლები აჩქარებით და რომანტიკულ სიყვარულს გამოდევნებულნი. მე ასეთი ცხოვრება არ მინდა. ღირსეულ კანდიდატს მოთმინებით დაველოდები, არსად მეჩქარება.

**თამუნა, 20 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## ნათელმხილველი ნინო ვარსიმაშვილი – ადამიანი, ვისზეც თბილისში სასწაულებს ყვებიან

***ცნობილი ნათელმხილველი ნინო ვარსიმაშვილი სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ნათელხილვის ფენომენალური უნარით არის დაჯილდოებული. მის შესახებ თბილისში ბევრს საუბრობენ – სასწაულებს ახდენსო. მასთან ხშირად სტუმრობენ ცნობილი ადამიანები, თუმცა ქალბატონი ნინო მათზე საუბარს ყოველთვის ერიდება. გთავაზობთ ინტერვიუს ნინო ვარსიმაშვილთან. დღეს ის თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბიოენერგეტიკოსია.***

**– ქალბატონო ნინო, რა სახის ხილვები გაქვთ?**

– ხილვებით ყველა იმ პრობლემას ვაგვარებ, რაც აწუხებთ ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, რაც განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. გახსნის პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ წასვლა მომიწია საბერძნეთსა და რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში. მე იქ იმ ადამიანების თხოვნით და მიწვევით ჩავედი, ვინც ჩემი ძველი კლიენტები იყვნენ და მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს ამ ადამიანებთან მუშაობას სატელეფონო კონტაქტით ვახერხებ.

**– როგორც ვიცი, თქვენ ასევე კურნავთ ნევროზს, შიშს, პოტენციის დაქვეითებას და ალკოჰოლიზმს.**

– დიახ, ეს საკმაოდ გავრცელებული დაავადებებია, რომლებიც განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო წლებში. ძალიან ბევრი პაციენტი მყავს, რომლებიც ალკოჰოლიზმსა და პოტენციის დაქვეითებას უჩივიან. ეს დელიკატური თემაა და მასზე საუბარს ვერ გავაგრძელებ, თუმცა იმას გეტყვით, რომ წამალი მზადდება ბალახეულისგან, რომელიც კახეთის მაღალმთიან სოფლებშია გავრცელებული.

**ლალი კ-შვილი** *(37 წლის, თბილისი):* ქალბატონი ნინოს შესახებ ერთ-ერთი ტელეშოუდან შევიტყვე. შემდეგ თანამშრომელმა მიამბო, როგორ დაეხმარა მის მეზობელს, რომელსაც სახლში 40 წელს გადაცილებული გაუთხოვარი ქალიშვილი ჰყავდა. ჩვენს ოჯახს ძალიან მძიმე პერიოდი დაუდგა. ჩემს მეუღლეს წარმატებული ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი თავზე დაგვენგრა. თითქოს ჯადო გაგვიკეთა ვინმემ, უცებ გავკოტრდით. მაშინ მივედი ქალბატონ ნინოსთან. სულ რამდენიმე ვიზიტი დაგვჭირდა – მან მოგვცა სპეციალური თილისმები, შელოცვები. ჩემმა ქმარმა ისევ ააწყო თავისი საქმე. მას შემდეგ ნინოზე ძვირფასი და ახლობელი ჩვენს ოჯახს არავინ ჰყავს.

**მაკა კ-ძე** *(29 წლის, გორი):* ხუთი წლის გათხოვილი ვიყავი, როცა ჩემსა და ჩემს ქმარს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ჩვენი ოჯახი თითქმის დანგრევის პირას იყო მისული. მაშინ მითხრა მეზობელმა ქალბატონი ნინოს შესახებ. მაშინვე აქეთ გამოვეშურე. პირველივე შეხვედრისას მითხრა: შენი ოჯახის დანგრევას შენი მული ცდილობსო. შევეწინააღმდეგე, ამას ჩემი მული როგორ იკადრებს-მეთქი, თუმცა ძალიან მალე დავრწმუნდი, რომ მისი ნათქვამი სიმართლე იყო. ერთი თვის განმავლობაში დავდიოდი ნინოსთან. შემილოცა, თილისმები მომახმარა. მალე ჩემსა და ჩემს ქმარს შორის ურთიერთობა გამოსწორდა. ჩემი ოჯახი დანგრევას გადაურჩა. სამი თვე იყო გასული, მული ფეხებში ჩამივარდა და პატიება მთხოვა.

**ნუნუ ყურაშვილი** *(58 წლის, ბათუმი):* ჩემმა შვილმა ვაჟამ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და ასპირანტურა. სად აღარ სცადა დასაქმება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ნათესავმა გვირჩია აქ მოსვლა. ნათელმხილველთან 40 წლის კაცის მოყვანა გამიჭირდა. ხომ იცით კაცების ამბავი. ბოლოს მაინც დავიყოლიე. სპეციალური შელოცვების შემდეგ ჩემმა შვილმა სამსახური იშოვა. უფრო მეტსაც გეტყვით – ერთ დღეს სამსახურიდან მომავალმა, ქუჩაში სიმპათიური გოგონა გაიცნო, რომელიც დღეს უკვე ჩემი რძალია. სასწაულია ეს, აბა რა არის? ჩვენი ოჯახის ბედნიერება ნინოს დამსახურებაა.

***უბარაქობა გაწუხებთ? დათარსული ხართ? პირადი ცხოვრება ვერ აგეწყოთ? – დაუკავშირდით ნინო ვარსიმაშვილს. ის თქვენი პრობლემების დადგენასა და მათ გადაჭრაში დაგეხმარებათ.***

***ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონზე: 5 71 04-62-41.***

***მისამართი: თბილისი, წითელწყაროს ქუჩა.***

**თამარ ჩხენკელი**

**ირაკლი ფუტკარაძე „საქართველოს ვარსკვლავის“ ყველაზე პატარა მონაწილეა, რომელმაც ნამდვილად შეძლო მაყურებლისთვის თავის შეყვარება. ირაკლის ძალიან სურს, მომავალში დაწეროს სიმღერები, მერე შეასრულოს, ჰყავდეს თავისი ბენდი და სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს, ამისთვის კი ყველაფერს ეცდება. ვისაც სურს, სხვა ტურებშიც მოუსმინოს ირაკლის, შეგიძლიათ დაუმესიჯოთ ნომერზე: 0903 700 009.**

# ვინ არის გოგონა, რომელიც ირაკლი ფუტკარაძეს უნახავად უყვარს და რა ხიფათს გადაურჩა ის 3 წლის ასაკში

**ირაკლი ფუტკარაძე:** კვირიდან კვირამდე უფრო ვუყვარდები ხალხს და ეს ძალიან მიხარია. ჩემი ოცნება იყო ხალხისთვის თავი შემეყვარებინა, რაც, ალბათ, მოვახერხე და იმედია, რომ უფრო და უფრო მეტად შევძლებ ამას. ეს პროექტის დასაწყისშივე ვიგრძენი და ახლა უფრო მეტად ვგრძნობ. „მარშრუტკაში“ ფულს მიხდიან, მპატიჟებენ. ქუჩაში ზოგი ვერ ბედავს ყურადღების გამოჩენას, ზოგი – პირიქით მოდის და რაღაცას მეუბნება. ეს ძალიან სასიამოვნო და კარგი მომენტია.

**– ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მიიღე, როდესაც ამ პროექტში მიხვედი.**

– მეც ასე ვფიქრობ. მიხარია, რომ წელს ვიღებ ამ კონკურსში მონაწილეობას, რადგან ძალიან კარგი ხალხია, კარგი ურთიერთობა გვაქვს. შეიძლება, მომავალ წელს სხვანაირი ხალხი ყოფილიყო. ბედნიერი ვარ, რომ წელს ვარ, ასეთ კარგ კონკურსანტებთან ერთად კონკურენციის მომენტი არც არის, ყველას ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს. მიხარია, რომ ასეთი კარგი „სასტავია“.

**– ყველაზე პატარა რომ ხარ, განსაკუთრებულად არ გექცევიან?**

– მაგრამ, მე არ ვიქცევი როგორც პატარა. ისე, ლევანის გარდა, ისინიც პატარები არიან. 15 წლის კი ვარ, მაგრამ, გააჩნია ადამიანის ხასიათს, ზოგი ჩემზე პატარაა, ზოგი – ჩემზე უფროსი, მაგრამ სხვადასხვანაირად მიდგებიან. მთავარი ის არის, რომ მე არ ვიქცევი, როგორც ბავშვი.

**– ზოგადად, შენს ასაკში ძალიან უნდათ მალე გაზრდა.**

– 15 წლის ვარ, მაგრამ არ მგონია, რომ პატარა ვარ. თან, არ მინდა, თავი პატარად მივიჩნიო, რომ მერე კომპლექსები არ გამიჩნდეს. ამიტომაც ვიქცევი დიდივით, ყველასთან ვერთვები საუბარში, გარჩევებში. „პრომოებშიც“ აჩვენეს, როგორ ვლაპარაკობ ხელებით. სერიოზული საკითხებიც მაინტერესებს.

**– მომიყევი, როგორ ცხოვრობდი კონკურსამდე, რას აკეთებდი მუსიკის გარდა?**

– მეცხრე კლასში ვარ, ვსწავლობ. ცელქი ბავშვის მომენტი არის სახლში, სკოლაში – იმდენად არა.

**– ჩუმად რომ აფუჭებენ რაღაცეებს და ჩუმად რომ ცელქობენ, ასეთი იქნები.**

– კი, ჩუმი ცელქი ბავშვი ვარ. ძალიან მიყვარს ფეხბურთი. მეგობრები ვიკრიბებით და ვთამაშობთ. თუ მამაჩემს დასჭირდება დახმარება, მასაც ვეხმარები, თუმცა თამაში მირჩევნია.

**– გყავს დედ-მამიშვილები?**

– ტყუპისცალი და მყავს და კიდევ 19 წლის ძმა, რომელიც ჯარშია. მე და ჩემი და თვალებით ვგავართ, სხვა მხრივ, ვერ გვამსგავსებენ. თუ სიმაღლეში გავასწრებ, ალბათ, უფრო დავემგვანები. თან, ცოტა პუტკუნაა.

**– შენს ასაკში ბიჭები გოგონებს ზრდაში ხშირად ჩამორჩებიან – არ ინერვიულო ამაზე.**

– სულ სიმაღლეში ვეტოლები, ოდნავ უკვე გავასწარი. ყველა მაგას მეუბნება და არ ვნერვიულობ.

**– ხასიათით არ ჰგავხართ?**

– რადგან ტყუპისცალია, შეიძლება ზოგ რაღაცეებში ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ხასიათით ცოტა განსხვავებულია ჩემგან, მეც მხიარული ვარ, ისიც, ოღონდ, თავს იკავებს. ანუ, რადგან გოგონაა, ამიტომ უფრო თავშეკავებულია. კარგად მღერის, აქვს იმის მონაცემი, რომ რომელიმე პროექტს მოჰკიდოს ხელი.

**– როგორი იყავი პატარა?**

– ჩემი თავი დაახლოებით 6-7 წლიდან მახსოვს, მანამდე – არა. სახლში ჩანაწერები მაქვს, რომლებსაც ხშირად ვუყურებ ხოლმე. ჩემით ვმღერი რაღაცეებს. პირველად ვიმღერე რიკი მარტინის სიმღერა. საერთოდ, მუსიკას რომ ჩართავდნენ, ეგრევე სიმღერას ვიწყებდი, ვცეკვავდი და არ ვჩერდებოდი, სანამ ელემენტი ბოლომდე არ დამიჯდებოდა.

**– ახლა უფრო მალე გიჯდება ელემენტი?**

– ადრე, ბავშვი ვიყავი და ისე მარტივად არ მიჯდებოდა. ახლა, რაც ამ პროექტში ვარ, უფრო დატვირთული ვარ და ადვილად ვიღლები. მაშინ ბევრს ვხტუნაობდი.



**თუ რაღაც ძალიან მინდა, არ მყიდულობენ, მერე ამასთან დაკავშირებით საშინლად ჯიუტი ვხდები და ცუდად მიდის საქმე**

**– როდისმე დაუსჯიხარ მშობლებს სერიოზულად?**

– დასჯით – არა, მაგრამ ერთხელ სერიოზულად მიყვირეს. ორსართულიანი სახლი გვაქვს და როგორც მითხრეს, 3 წლის ვიყავი, კიბეებზე აველი და გავჩერდი გადმოსავარდნ ადგილას. ჩემი და იდგა და მიყურებდა, მეუბნებოდა: ბიჭო, არ ახვიდე, არ ახვიდეო. მე მაინც არ ვუჯერებდი, უკვე გადმოხტომას ვაპირებდი და უცებ დედაჩემს დაუძახა. ისიც უკნიდან მომეპარა, ხელი მტაცა და ჩამომათრია. არადა, უკვე გადმოხტომას ვაპირებდი.

**საერთოდ, მუსიკას რომ ჩართავდნენ, ეგრევე სიმღერას ვიწყებდი, ვცეკვავდი და არ ვჩერდებოდი, სანამ ელემენტი ბოლომდე არ დამიჯდებოდა**

**– ვინ დაგეხმარა მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში?**

– მყავს მასწავლებელი – მერაბ როდონაია, რომელიც მირჩევს სიმღერებს. მან დიდი წვლილი შეიტანა ჩემი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში. 70-იანი წლების სიმღერებს, როკს, ასე ვთქვათ, ყველანაირი ჟანრის სიმღერას ვმღერი და ვერგები. ყველანაირი ჟანრი მიყვარს: პოპი, ჯაზი, კლასიკა.

**– ისე სევდიანად, ემოციურად მღერი, ვიღაც იფიქრებს, ამ შესრულების უკან დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანი დგასო.**

– თითქოს რაღაც ტრაგედია მომივიდა. ისეთი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, ყოველთვის ვცდილობ, სიმღერას ბოლომდე ჩავწვდე, გავაანალიზო, იმ ემოციით ვიმღერო, რომელიც ამ სიმღერას ერგება. რაც მთავარია, ეს ემოცია გულიდან უნდა იყოს წამოსული. სიმღერის დაწყებამდეც ვცდილობ, ეს მუხტი, ემოცია შევინარჩუნო და მერე მაქსიმალურად კარგად გადმოვცე. ისე, თუ ხასიათზე არ ვარ, მერე მიჭირს ხასიათზე მოსვლა. მაგრამ ხასიათზე თუ ვარ, ვერაფერი გამიფუჭებს.

**– რა გიფუჭებს ხასიათს?**

– ელემენტარული რაღაცეები არ მიფუჭებს ხასიათს. ალბათ, უფრო ის, როცა რაღაც ძალიან მინდა და არ გამომდის. თუ არ მინდა ძალიან, მერე გადამივლის ხოლმე. ზოგადად, ჩემსას არ გადავდივარ და თუ რაღაც ძალიან მინდა და არ მიყიდიან, მერე ამასთან დაკავშირებით საშინლად ჯიუტი ვხდები და ცუდად მიდის საქმე.

**– ანუ, რას აკეთებ?**

– ბავშვობაში, მახსოვს, მშობლებს ველოსიპედი უნდა ეყიდათ, მაგრამ, რომელიც მე მინდოდა, იმას არ ყიდულობდნენ, სხვა მოსწონდათ. იმაზე კი ვერ დავჯდებოდი. იმდენი ვუჩიჩინე, იმდენი, ასე ვთქვათ, გავუბურღე ტვინი, ბოლოს ის მიყიდეს, რაც მინდოდა. ძალიან მომთხოვნი არ ვარ. თუ რამე მინდა, ყველანაირად ვცდილობ, საქმე თავად მოვაგვარო, ვიყიდო. ასე ვთქვათ, მშობლებს ვუნახევრებ საქმეს.

**– ჯერ არ გაქვს, ალბათ, შენი ფინანსები.**

– არ მაქვს. ალბათ, მალე მექნება და ზოგადად, ძალიან მინდა, კარიერის გაგრძელება მუსიკაში.

**– დიდი ხანია, რაც შეყვარებული ხარ?**

– სიმართლე გითხრათ... 2 თვეა. ის გოგონა იმდენად ლამაზია, იმდენად, რომ ძალიან მიყვარს. მისთვის ყოველთვის ვიცლი. სანამ პროექტი დაიწყებოდა, წარმოდგენილი მქონდა, როგორი იქნებოდა ჩემი შეყვარებული და ზუსტად ისეთია.

**– სად ნახე?**

– სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მინახავს.

**– „ფეისბუქზე“ გაიცნობდი?**

– „ფეისბუქზე” გავიცანი, მერე „სკაიპში“ ველაპარაკებოდი. ფოტოებში ძალიან მომეწონა, მერე „სკაიპშიც“ რომ დავინახე, უფრო მეტად მომეწონა. ერთხელ მოვიდა ჩემს კონცერტზე და ვერ მოვახერხე ჩამოსვლა, ძალიან მეწყინა...

**– იმასაც უყვარხარ?**

– ვგრძნობ, რომ სიმპათიები აქვს. არ მიყვარს ისეთი მომენტი, როდესაც გოგონა გიყვარს და ცუდი სიტყვაა, მაგრამ უნდა ვთქვა – „გეტენება“. თავშეკავებულია და ეს ძალიან მომწონს. ეს არის ადამიანი, რომელსაც ვუწოდებ კარგად აღზრდილს, ძალიან ვაფასებ. თავიდან რომ ვწერდი, ისეთი რაღაცეები მოხდა, მივხვდი – ეს მართლა „ის“ არის.

**ნათია უტიაშვილი**

# ივარჯიშეთ „ბაკურიანთან“ ერთად

თუ კუს ტბას ხშირად სტუმრობთ, უკვე შეამჩნევდით „ბაკურიანის“ მაისურებში გამოწყობილ გოგონებს, რომლებიც „ბაკურიანის“ მიერ ორგანიზებულ აქციაში იღებენ მონაწილეობას. ვარჯიშები კუს ტბაზე ყოველ შაბათ-კვირას, დილის 11 საათზე იწყება. პროფესიონალი ტრენერი ირმა შერაზადიშვილი ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარ გოგონებს აქტიურად ავარჯიშებს. პროექტის ავტორი და ორგანიზატორი კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოა“.




**წარმოგიდგენთ წყაროს წყლის, „ბაკურიანის“ ბრენდ მენეჯერს ნინი ჩიქოვანს:** „ბაკურიანი“ ყოველთვის გამოირჩევა საინტერესო პროექტებით. უკვე ერთი თვეა, რაც კუს ტბაზე გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს ვატარებთ. ჩვენი ტრენერი სპეციალური პროგრამით ავარჯიშებს მსურველებს. პროექტის მიზანია საზოგადოებაში დაინერგოს ჯანსაღი ცხოვრების სტილი, რადგან „ბაკურიანი“ ზრუნავს თქვენს სილამაზეზე. ძალიან ბევრი მსურველი შემოგვემატა, რაც ძალიან გვახარებს. ყველას მოვუწოდებ, შემოგვიერთდით, იზრუნეთ თქვენს სილამაზეზე და ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად!

**ტრენერი, ირმა შერაზადიშვილი:** უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ „ბაკურიანმა“ ორგანიზება გაუკეთა ძალიან კარგ აქციას, იმ ადამიანებისთვის, ვისაც ვარჯიში უნდა და დროის უქონლობის გამო ამას ვერ ახერხებს. თავდაპირველად ვიწყებთ კუნთების გახურებით, ეს არის კარდიო-ვარჯიში, რაც დაახლოებით 15 წუთს გრძელდება, ამის შემდეგ გაჭიმვების სახით ვასვენებთ სხეულს, სპეციალური ბამბუკის ჯოხებით კი ვამუშავებთ ხერხემალს. ვარჯიშები საშუალოდ ერთ საათს გრძელდება. ეს ვარჯიშები არის ძალიან ეფექტური და სასარგებლო. ყველას ვურჩევ, გამონახოს ერთი საათი და ივარჯიშოს. რაც მთავარია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვარჯიშის დროს წყლის მიღებას, კარდიო-ვარჯიშის დასრულების შემდეგ აუცილებელია, მივირთვათ „ბაკურიანი“, ხშირ-ხშირად და პატარ-პატარა ყლუპებით.





**აქციის მონაწილე, ქეთუნა გვენეტაძე:** ვარჯიშებზე პირველი დღიდან დავდივარ, სიამოვნებით ვვარჯიშობ „ბაკურიანის“ ტრენერთან ერთად. ძალიან მომწონს ჯანსაღი ცხოვრების წესი და ყველას გირჩევთ, შემოგვიერთდეთ.

„ბაკურიანის“ ვარჯიშები მთელი ზაფხულის განმავლობაში გაგრძელდება, გირჩევთ, აუცილებლად ეწვიოთ კუს ტბას და ივარჯიშოთ „ბაკურიანთან“ ერთად. რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ, რომ ზაფხულის ცხელ დღეებშია აუცილებელი დიდი რაოდენობით „ბაკურიანის“ მიღება.



# როგორ შეიძლება დაანგრიოს ქალურმა შურმა ყველაზე კარგი ურთიერთობა

**ხშირად ამბობენ, რომ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ თანადგომა გვაკლია; რომ არ გვიჭირს სხვას გავუკეთოთ ის, რასაც არაფრით ვუსურვებთ საკუთარ თავს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მერე ამ ყველაფრის შეფუთვას ლამაზად ვცდილობთ და ისეთ სახელს ვარქმევთ, რომ მორალის ფარგლებში ჯდებოდეს. შეიძლება, ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა გვაკლია ან უბრალოდ, სიყვარული. ცუდია, როცა საშინელებას სიყვარულის სახელით ჩავდივართ.**

თეიკო *(32 წლის)*: მე და ჩემს ქმარს ჩვეულებრივი ოჯახი გვქონდა. ვჩხუბობდით კიდეც, მერე ვრიგდებოდით... ვზრდიდით ორ შვილს და ვცდილობდით, მათ ყურამდე არ მისულიყო ჩვენი ჩხუბისა და სკანდალების ამბები. განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. პრობლემები ყველა ოჯახშია და ყველა ცოლ-ქმარი ჩხუბობს, თუმცა თბილი პერიოდებიც ხშირად გვქონდა. ეჰ, დღეს პრობლემებით ვის გააკვირვებ?! ვიღას ულხინს. იმ მხრიდან მიიღებ დარტყმას, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდები. ისეთი ვინმე გაგწირავს, შენი სულისა და ხორცის ნაწილი რომ გგონია.

**– ქმარს გულისხმობთ?**

– არა მხოლოდ. უფრო უარესი ღალატიც არსებობს, ვიდრე ქმრის ღალატია. ხუთი წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ და ჩემი მეუღლისთვის არაერთხელ მითქვამს: ეს ადრე იყო განქორწინება კატასტროფა, უქმრო ქალის სტატუსი კი – სამარცხვინო. ვეუბნებოდი, თუ წანწალს დაიწყებ და მე გავიგებ, მაშინვე ჩემოდნებს ჩაგილაგებ-მეთქი.

**– მშვიდად გისმენდათ ხოლმე?**

– ვერ ვიტყვი. მშვიდად ნამდვილად არ მისმენდა. ძალიან ხშირად გვიკამათია და გვიჩხუბია კიდეც. მიმტკიცებდა – კაცის ღალატი და ქალის ღალატი ერთი და იგივე არ არისო. ძალიან უსუსური არგუმენტები მოჰყავდა ჩემს დასარწმუნებლად. საერთოდ, კაცები ძალიან უსუსურები არიან საკუთარი ინსტინქტებისა და სურვილების წინაშე. ზოგჯერ ძალიან შემცოდებია ჩემი ქმარი.

**– როდის, მაგალითად?**

– მაგალითად, როცა ქუჩაში ვილაც „ნაშას" ყურებით ლამის კისერი მოღრეცვია ან ნერწყვის ყლაპვით დამხრჩვალა. სხვათა შორის, იყო პერიოდი, როცა ამაზე მძაფრი და მწვავე რეაქცია მქონდა. ვეჭვიანობდი. მხოლოდ მაშინ, როცა რეალური პრობლემა გამიჩნდა, მივხვდი, რომ სისულელის გამო ვიტკიებდი თავს. ნეტავ, მარტო „ნაშებისთვის" ეყურებინა.

**– ისეთი ჩხუბი თუ მოგსვლიათ, რომ ერთმანეთისთვის დიდხანს არ გაგიციათ ხმა, ან რომელიმე სახლიდან წასულხართ?**

– არა, რა თქმა უნდა. რა სისულელეა?! ისეთი წყვილი ნამდვილად არ ვყოფილვართ, წკიპზე რომ ჰკიდია მათი ოჯახი. თუმცა ხშირად მიფიქრია იმაზე, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, თუკი ქმარს გავშორდებოდი. და...

**– და?**

– და... არ შემშინებია. ამან საკმაოდ დამამშვიდა... ისეთი ნერვიული აღარ ვიყავი. ქმარზეც ბევრად ნაკლებად ვეჭვიანობდი. ვცდებოდი, როცა მეგონა, რომ თუ ქმარი ჩემგან არ შეიზღუდებოდა, თავისუფლებას იგრძნობდა, პატივს მცემდა, ასეთი შეგნებული ცოლი რომ ჰყავდა... და აღარ მიღალატებდა. ყველაფერი პირიქით გამოვიდა. სასაცილოა მამაკაცის შეგნება, მათ მადლიერების გრძნობა არ გააჩნიათ. რომ მეკონტროლებინა, იქნებ საქმე აქამდე არც მისულიყო. მოსახდენი მაინც მოხდა – ცოლქმრული ღალატი! ოღონდ, განსაკუთრებულად მწარე და მტკივნეული ფორმით.

**– ღალატი ყოველთვის მტკივნეულია.**

– გეთანხმებით, მაგრამ არსებობს ორმაგი ღალატიც და დამიჯერეთ, ის კიდევ უფრო მტკივნეულია. არასოდეს მიკითხავს ჩემი ქმრისთვის, რა მოეწონა ჩემში ან ვუყვარდი თუ არა.

> **უქმრო ქალის სტატუსი სამარცხვინო აღარ არის, მიღალატებ და მაშინვე ჩაგილაგებ ჩემოდნებს-მეთქი**

**– ამას აქვს მნიშვნელობა?**

– რა თქმა უნდა, აქვს. კაცი მუდმივად ტონუსში უნდა გყავდეს. სულერთია, რა ფორმით... პერიოდულად ძალიან თბილი და ალერსიანი უნდა იყო... ეს „მთიშავდა". საერთოდ ველარაფერს ვაკეთებდი. მთლიანად ვიყავი მასზე დამოკიდებული და მერე ამაზე ყველასთან ვლაპარაკობდი.

**– რაზე ლაპარაკობდით?**

– ჩემს სიყვარულზე... ვამბობდი, არ მეგონა, თუ შეიძლებოდა ქმარი ასე მყვარებოდა... მგონი, ღალატსაც ვაპატიებ-მეთქი.

**– და, ეს იცოდა ქმარმა?**

– ქმართან არ ვლაპარაკობდი ამაზე. ვერც იმას ვიტყვი დაბეჯითებით, რომ ჩემი ქმრის ყურამდე რაიმე ფორმით მიაღწია ამ ინფორმაციამ. პრინციპში, ამას არც აქვს მნიშვნელობა. ფაქტია, რომ ჩემი ქმარი იმაზე ნაძირალა აღმოჩნდა, ვიდრე საერთოდ შეიძლებოდა წარმომედგინა. თავისი საყვარელი გამაცნო და დამადაქალა.

**– ეს როგორ?**

– ვერც თქვენ წარმოიდგინეთ, ხომ? ბავშვიც კი მონათლინა და ლამის ყოველდღე სახლში მეჯდა. მისი თანამშრომელი გახლავთ. ერთ-ერთი სამსახურებრივი წვეულებისას გამეცნო. მთლიანად მისგან წამოვიდა ინიციატივა. ლამის დად გამეფიცა... როგორ შეუძლიათ ადამიანებს ასეთი ორპირობა და სიბინძურე, შოკში ვარ.

**– როცა დაგიმეგობრდათ, უკვე ჰქონდა თქვენს ქმართან ურთიერთობა?**

– სიმართლე გითხრათ, ეს აღარ გამომიძიებია. რაღა აზრი ჰქონდა?! საკუთარი თავი მძულს, როცა ვიხსენებ, როგორ ვენდობოდი და ვუმხელდი, ჩემი და ჩემი ქმრის ცხოვრების ინტიმურ დეტალებს. თურმე, საკუთარ თავთანაც არ უნდა გაამხილო რაღაცრაღაცეები, არათუ გადამთიელთან. სისხლით ნათესავიც აღარ ინდობა, არათუ – გველივით შემომძვრალი, მოკეთეს ნიღაბამოფარებული მტერი. რატომ ვერ მივხვდი, თავიდანვე რა ედო გულში და რა დამოკიდებულება ჰქონდა ჩემს ქმართან.

**– თქვენთან მეგობრობა რად უნდოდა?**

– ვერ ხვდებით? ჩემი ყურადღება რომ მოედუნებინა. მე რომ არ მეეჭვიანა და ისე „ეგულავათ", როგორც მოუნდებოდათ. ჩემს ცხვირწინ აკეთებდნენ ამას. მე სულელი კი, საერთოდ ვერაფერს ვხვდებოდი. როცა პირველად გამიჩნდა ეჭვი, რომ ქმარი მღალატობდა, ჩემი შეშფოთება, როგორც უკანასკნელმა ბრიყვმა, ქალბატონს გავუზიარე. „დამამშვიდა" – შენ ძალიან კარგი ქმარი გყავს. მე თვითონ ვიყავი მოწმე, ერთი ჩვენი თანამშრომელი რომ „აბამდა" და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიაო. წარმოიდგინეთ, ისე ვენდობოდი, რომ ჩემი ქმარი მას „ჩავაბარე". მიხაროდა, როცა მივლინებებში ერთად მიდიოდნენ. საიმედო ხელშია-მეთქი, ვამბობდი. სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის სისულელე. ალბათ, როგორ დამცინოდნენ, რომ ასე ოსტატურად „გამანეიტრალეს".

**– როცა პირველად შეეატყვე ქმარს, რომ მღალატობდაო... როგორ შეატყვეთ?**

– იცით, დროთა განმავლობაში კაცებს ორმაგი ცხოვრება მაინც ეტყობათ. ვერ უძლებენ. გამონაკლისები თითქმის არ არსებობენ. წვალობენ და შეცდომებს უშვებენ. ჩემი ქმარი ჩვეულებრივი კაცია – არაფრით არის განსაკუთრებული. ეგრევე „გაიშიფრა", როგორც კი ღრმად „შეტოპა". მესიჯები... ტუალეტში მობილურით სირბილი... გაურკვევე-

# რა მიზეზით ეძებს 27 წლის ქალი თავის ბიოლოგიურ მშობლებს

*მანანა ანთია (შვილად აყვანის შემდგომი სახელი და გვარი) ეძებს ბიოლოგიურ მშობლებს (სავარაუდოა: ჩიქობავა ან ორი გვარი: თოლორაია-კვირკველია).*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ბიოლოგიურ მშობლებს. დავიბადე ქალაქ ზუგდიდში 1986 წლის ივნისში. ზუგდიდიდანვე გამაშვილეს. ჩემი ბიოლოგიური მშობლების შესახებ არაფერი ვიცი. მაქვს ჩემი პატარაობის სურათი (ასეთი ვიყავი, როდესაც მიშვილეს). იმედი მაქვს, თუკი ჩემი ბიოლოგიური დედა ამ სურათს ნახავს, აუცილებლად მიცნობს. ამჟამად ვცხოვრობ დმანისში. დიდი იმედი მაქვს თქვენი რუბრიკის, ძალიან მინდა ბიოლოგიური მშობლების პოვნა.



**– როდის და როგორ გაიგე, რომ ნაშვილები ხარ და როგორი იყო შენი რეაქცია?**

– იმის შესახებ, რომ აყვანილი ვარ, სკოლის ასაკში გავიგე. მაშინ დაახლოებით მეცხრე კლასში ვიყავი. ბუნებრივია, გამიკვირდა. ვერც კი წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა, სხვა ქალის შვილი ვყოფილიყავი, იმდენად კარგად მზრდიდა ჩემი აღმზრდელი დედა. ის ჩემთვის ყველაფერი იყო. მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ნაშვილები ვარ, მოსვენება დავკარგე და ბიოლოგიური მშობლების ნახვის დიდი ინტერესი გამიჩნდა. ყველაფერი, რაც მათ შესახებ ვიცი, არის ის, რომ მე ჩემმა ბიოლოგიურმა დედამ გამაჩინა ზუგდიდში 1986 წლის ივნისში. გაშვილების აქტში ფიგურირებს გიორგი ჩიქობავა, (მაგრამ ეს შეიძლება არასწორი იყოს, რადგან ჩემი აღმზრდელი დედა სულ მაფრთხილებდა, რომ არ გავყოლოდი ცოლად ორი გვარის კაცს: კვირკველიას და თოლორაიას. სავარაუდოდ, ეს ორი გვარია ჩემი ბიოლოგიური მშობლების გვარი.

**– აღმზრდელმა დედამ თუ იცის ბიოლოგიური მშობლების შესახებ?**



– შვილად აყვანის შემდეგ ჩემი აღმზრდელი დედა ქმარმა ჩემ გამო მიატოვა, ანუ ის ჩემი შვილად აყვანის წინააღმდეგი იყო. ამის გამო დაშორებულან ერთმანეთს და აღმზრდელმა დედამ მე სულ მარტომ გამზარდა. სამწუხაროდ, ის ცოცხალი აღარ არის.

**– რამდენი ხანია, რაც ბიოლოგიურ მშობლებს ეძებ?**

– დაახლოებით სამი წელი იქნება, რაც მშობლებს ვეძებ. მაინტერესებს მათი ნახვა და კიდევ მინდა, რომ და ან ძმა მყავდეს. ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი. იმის გამო, რომ ბიოლოგიურ მშობლებზე ძალიან მწირი ინფორმაცია მაქვს, მათ ჯერჯერობით ვერ ვპოულობ.

**– მშობლების პოვნის შემთხვევაში როგორ აპირებ მათთან ურთიერთობას?**

– თუკი მშობლებს ვიპოვი და მათი მხრიდანაც გამოითქმება ჩემთან ურთიერთობის სურვილი, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება. უბრალოდ, მინდა ვიცოდე, ვინ არიან ისინი, რა მიზეზით დამტოვეს სამშობიაროში და მყავს თუ არა და-ძმა. გათხოვილი ვარ და შვილიც მყავს. არ მინდა, მისი მომავალი მანერვიულებდეს. მე სულ მახსოვდა აღმზრდელი დედის სიტყვები და ვერიდებოდი ზემოთ ნახსენებ ორ გვარს, მაგრამ ბიოლოგიური მშობლების პოვნის შემთხვევაში, ხომ ყველაფერი გაირკვევა. იმედია, ჩემი ბავშვობის ფოტოთი მაინც მიცნობენ. არც ის ვიცი, ტერიტორიულად სად უნდა იყვნენ. სავარაუდოდ, ისინი ზუგდიდელები მგონია.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

ლი და გაუგებარი ხარჯები... რაიმეს რომ ვეკითხებოდი, ბრაზობდა... როგორ გამიბედეო. რა სულელი ხარ, სულ შენს თვალწინ ვარ და საყვარელი როგორღა უნდა მყავდესო. სამსახურში როცა ვაკითხავდი, იქაც მის გვერდით ჩემი „ერთგული დაქალი“ მხვდებოდა. მამხნევებდა, ხომ ხედავ, ჩასაფრებული ვარ, ვერაფერს გაბედავსო.

## მივხვდი, რომ სისულელის გამო ვიტკივებდი თავს. ნეტავ, მარტო „ნაშვებისთვის“ მეურვებინა

**– სამსახურში ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა?**

– შეიძლება, ხვდებოდნენ კიდეც, მაგრამ მე ისე ვედაქალებოდი, ალბათ, ფიქრობდნენ, ეს არაფერს ამბობს და ჩვენი რა საქმეაო. ნეტავი, რაღაც მინიშნებასავით წამოსულიყო მათგან, ასეთ დღეში ხომ არ აღმოვჩნდებოდი... ჩემს საკუთარ სახლში წავადექი „საქმეში გართულებს“. ოპერაცია გავიკეთე და ვითომ ჩემ „დასახმარებლად“ დარჩა. ღამე ავდექი, ტკივილგამაყუჩებელი მინდოდა დამელია... რაც ვნახე, ყველაზე ცუდ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი. გავგიჟდი, ლამის ენა ჩამივარდა...

**– იმ ქალს ოჯახი ჰქონდა? შვილი თუ მაინც ჰყავდა? ან თუ გეუბნებოდათ, რომ ურთიერთობა ჰქონდა ვინმესთან?**

– ვხვდები, რასაც მეკითხებით. ყველაფერი ჩემი ბრალია. ვერავის დავადანაშაულებ. ჭკუა უნდა მქონოდა. რა ვქნა, ვერ განვსაზღვრე ადამიანების სულის სიბინძურის სიღრმე. როცა მიყვებოდა, როგორ ატყუებდა ცოლიანი კაცი, რომელიც სიგიჟემდე უყვარდა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ქმარს გულისხმობდა.

**– ახლა რა ხდება?**

– ახლა ის ხდება, რომ მე და ჩემი ქმარი ერთ სახლში მოსისხლე მტრებივით ვცხოვრობთ. წასასვლელი არც მას აქვს, არც – მე. სანამ ბინას არ გავყიდით და ცალცალკე არ გავალთ, ასე უნდა ვიტანჯო. ძალაუნებურად გამოდის ისე, რომ მაინც მე ვუვლი. რამდენჯერმე შემორიგების მცდელობაც ჰქონდა, მაგრამ საშინელი აგრესია მიიღო პასუხად. ვუშვებდი იმ ქალბატონთან, მაგრამ არ წაბრძანდა. ოჯახი ჩემთვის უფრო ღირებულიაო. ამაზე მეტი ცინიზმი გინახავთ?

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**როგორ გადავლახო ის ტკივილი და სიმძიმე, რომელიც ცოლიან კაცთან რომანმა დამიტოვა?! ჯერ კიდევ შოკში ვარ და გონზე ვერ მოვსულვარ. რამდენიმე წელი იმედი მქონდა, რომ ჩვენი ურთიერთობა სერიოზულ სახეს მიიღებდა. დღეს ვხედავ, რომ ის წლები, უბრალოდ, დაკარგულია... გული მტკივა, რომ საშუალება მივეცი, ასე მოვეტყუებინე. სულ მატყუებდა, ფეხის ყოველ ნაბიჯზე. ოჯახიდან მალე წამოვალ, იქ სული მეხუთებაო. სინამდვილეში, ოჯახიდან წამოსვლა არც არასდროს უფიქრია. როგორც იქნა, მივხვდი და ყველაფერს წერტილი დავუსვი. მამაკაცებზე გული მერევა. ყველა ნაძირალა მგონია... მაგრამ, ცხოვრება ხომ უნდა გავაგრძელო, როგორ მოვიქცე?!**

**გამოხმაურება:** ურთიერთობის გაწყვეტა პრაქტიკულად, ყოველთვის მტკივნეული პროცესია. თუნდაც, ეს თქვენი ინიციატივით ხდებოდეს. ახლა გჭირდებათ დრო, რომ „განიკურნოთ“. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. ახალი ურთიერთობა არ უნდა დაიწყოთ ძველის გადაფარვის მიზნით. ნურც იმაზე იფიქრებთ, რომ ყველა კაცი ერთნაირად ნაძირალაა. იზრუნეთ საკუთარ თავზე. აკეთეთ ის, რაც გესიამოვნებათ და იფიქრეთ იმაზე, რას მოგიტანთ ხვალინდელი დღე. რაც მთავარია, ნუღარ დაუჯერებთ ცოლიან მამაკაცებს. მათ ყველაფერი ძალიან რთულად აქვთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ნია წივწივაძე და მაგდა მელიქიშვილი, სააგენტო „ლუქ მოდელსის" მოდელები არიან. გოგონები ცოტა ხნის წინ დაბრუნდნენ შანხაიდან, სადაც ორი თვით იმყოფებოდნენ. მაგდამ საკუთარი ძალები გასულ წელს მილანში მოსინჯა, ნია კი პირველად გავიდა საქართველოს გარეთ. გოგონებმა ორი თვის განმავლობაში უამრავ ქასთინგსა და ფოტოგადაღებაში მიიღეს მონაწილეობა. მართალია, ეს ყველაფერი საკმაოდ დამღლელი იყო და დიდ ენერგიას მოითხოვდა, მაგრამ, იმდენად კარგად გრძნობდნენ შანხაიში თავს, რომ სიამოვნებით წავიდოდნენ ხელმეორედ. როგორი იყო მათთვის ეს ორი თვე და რა გეგმები აქვთ საქართველოში დაბრუნებულ მოდელ მეგობრებს, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რით მოხიბლეს ნია წივწივაძემ და მაგდა მელიქიშვილმა ჩინელები და როგორ აღმოჩნდნენ ისინი „შანხაი ფეშენ ვიქზე"

**– რამდენი ხანია, რაც სამოდელო სააგენტო „ლუქ მოდელსის" მოდელები ხართ?**

**ნია**: მე დაახლოებით, ერთი წელია, მაგდა – ცოტა მეტი.

**მაგდა**: მართლა კარგი სააგენტოა, ნინო (ცქიტიშვილი) ყველანაირად ცდილობს, თავისი მოდელები უცხოეთის სააგენტოებში დაასაქმოს და წარმატებულები გახადოს, ათი მოდელი უკვე გაუშვა და კიდევ გეგმავს გოგონების გამგზავრებას. ამით ყველას შანსი გვეძლევა, ჩვენი შესაძლებლობები საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოვაჩინოთ.

**– შანხაიში ორი თვით იყავით წასული. როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით საქართველოში?**

**ნია**: მართლა ძალიან კარგი იყო. თან, ორი თვის განმავლობაში მე და მაგდა ერთად რომ ვიყავით, ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, აქაც სულ ერთად ვართ უკვე. შანხაიში რომ ჩავედით, თავიდან ისე გამიჭირდა უცხო გარემოში ყოფნა, წამოსვლა მინდოდა, მერე კი ისე შევეჩვიე, აღარ მინდოდა ჩამოსვლა. მაგდაც ძალიან დამეხმარა, მას უკვე ჰქონდა გამოცდილება და ბევრ რამეს მასწავლიდა.

**– მაგდა, გამოცდილება გასულ წელს მილანში მიიღე. სად სჯობდა, შანხაიში თუ მილანში?**

**მაგდა**: ორივე მომეწონა, რადგან, ორივეგან ძალიან კარგი სააგენტო იყო. თუმცა, შანხაი იმით იყო კარგი, რომ იქ მარტო არ ვიყავი – საქართველოდან სამნი წავედით. ჩვენთან ერთად იყო, ასევე, ჩვენი სააგენტოს მოდელი გიო ჩხეიძეც.

**– ალბათ, დატვირთული სამუშაო განრიგი გქონდათ.**

**ნია**: ძალიან დატვირთული რეჟიმი გვქონდა, დილის 9 საათზე რომ გავდიოდით სახლიდან, საღამოს 8 საათამდე ქასთინგებზე ვიყავით, ხოლო, როცა გადაღება გვქონდა, კიდევ უფრო ადრე გვიწევდა სახლიდან გასვლა. თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ, შევეჩვიეთ.

**მაგდა**: იმდენი სამუშაო გვქონდა, ყველა ქასთინგზე ვერც ვასწრებდით მისვლას.

**– რა პლუსი აქვს თქვენთვის მოდელობას?**

**მაგდა**: თუ წარმატებული მოდელი გახდი, დიდი შანსი გეძლევა, სხვადასხვა ქვეყანაში იმოგზაურო და იმუშაო როგორც მოდელმა და გაეცნო მათ კულტურას. თან, საკუთარ თავშიც უფრო დარწმუნებული ხდები.

**ნია**: საინტერესო პროფესიაა, თუ გულით არ მოგწონს, ისე მოდელი ვერ გახდები.

**– სააგენტოს მხრიდან თუ იყავით რამით შეზღუდული?**

**მაგდა**: არ გვქონდა გარეგნობის შეცვლის უფლება, თუმცა, გიოს თვითონ შეურჩიეს ახალი ვარცხნილობა და თმა შეჭრეს. როგორც ჩანს, ჩვენი გარეგნობა ყველანაირად აკმაყოფილებდათ და კორექტივები არ შეუტანიათ.

**ნია**: სხვა სააგენტოები მკაცრად აკონტროლებდნენ წონას, ჯარიმაც კი იყო დაწესებული როგორც გასუქებაზე, ასევე, პირიქით, წონის დაკლებაზე. ჩვენ ამ მხრივ გაგვიმართლა.

**– ფოტოგადაღება უფრო სასიამოვნო პროცესი იყო თქვენთვის თუ პოდიუმზე გასვლა?**

**მაგდა**: ორივე კარგია თავისებურად. სხვათა შორის, ჩინელ მოდელებთან ერთად, „შანხაი ფეშენ ვიქზე" ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. რაც შეეხება გადაღებებს, მე ძირითადად, კატალოგისთვის მქონდა გადაღებები, ნია კი ჩინელებმა უფრო საქორწინო კაბაში დაინახეს.

**ნია**: იმდენჯერ მეცვა გადაღებებზე საქორ-



**ნია: „ჩინეთში ერთმა გერმანელმა მკითხა, საიდან ხართო. საქართველოდან-მეთქი. თბილისიდანო? თანხმობა რომ ვუთხარი, – დიმიტრი იაშვილს იცნობო? – ქართული ვარიანტი გაუშვა"**

წინო კაბა, რომ ვამბობდი, არასდროს გავთხოვდები-მეთქი.

**– ჩინური სამზარეულოს მოყვარულები თუ ხართ?**

**მაგდა**: ჩინურ სამზარეულოს რამდენჯერმე მივეცით შანსი, მაგრამ, მაინც არ მოგვეწონა.

**ნია: „ჩინეთში ქუჩაში რომ მივდიოდით მე და მაგდა, მანქანებიდან გვიღებდნენ ფოტოებს, გვაჩერებდნენ, გვესაუბრებოდნენ. ხალხი ძალიან კეთილგანწყობილი იყო ჩვენ მიმართ, ფოტოებს იღებდნენ ჩვენთან ერთად"**

რაც იქ ვიყავით, სულ ქართულ კერძებზე ვოცნებობდით.

**– თავისუფალი დრო გქონდათ?**

**ნია**: მხოლოდ შაბათ-კვირას ვისვენებდით.

**– ორი თვით იყავით წასული და ამ ყველაფერმა ხელი არ შეგიშალათ სწავლაში?**

**ნია**: მე „გაუს" მეორე კურსის სტუდენტი ვარ. ახლა გამოცდებისთვის ვემზადები და, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის. შანხაიში სულ გვეუბნებოდნენ, რად გინდათ სწავლა, დარჩით და აქ იმუშავეთ სააგენტოშიო. იქ უფრო სხვა პრიორიტეტები აქვთ, ჩემთვის კი მთავარი მაინც სწავლაა და მერე – მოდელობა.

**მაგდა**: მე პოლიტექნიკურში ვსწავლობ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ლექტორები ხელს ნამდვილად მიწყობენ. ამ ეტაპზე მეც გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადები.

**– ხალხის ყურადღება როგორ მოქმედებს თქვენზე?**

**ნია**: ჩინეთში ქუჩაში რომ მივდიოდით მე და მაგდა, მანქანებიდან გვიღებდნენ ფოტოებს, გვაჩერებდნენ, გვესაუბრებოდნენ. ხალხი ძალიან კეთილგანწყობილი იყო ჩვენ მიმართ. ფოტოებს იღებდნენ ჩვენთან ერთად და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ძალიან სასიამოვნო იყო. იქ ყოფნის დროს ერთმა გერმანელმა მკითხა, საიდან ხართო. საქართველოდან-მეთქი. თბილისიდანო? თანხმობა რომ ვუთხარი, მკითხა დიმიტრი იაშვილს იცნობო? – ქართული ვარიანტი გაუშვა. მოკითხვები დამაბარა.

**– ნია, ოჯახში ორი მოდელი ხართ – შენ და მანიკა. რძალ-მული ერთ სააგენტოში მუშაობთ. მოდელობა მას შემდეგ გადაწყვიტე, რაც მანიკა შემოვიდა თქვენს ოჯახში?**

**ნია**: მოდელობაზე საერთოდ არ მიფიქრია, უბრალოდ, ჩემი ფოტოები ნახეს ინტერნეტში. თავიდან მოყვარულის დონეზე ვიყავი. ნინომ რომ დამირეკა და მითხრა, შანხაიდან არის მოწვევაო, არ მინდოდა წასვლა, მაგრამ, მერე ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი. თან, ასეთი შანსი, შეიძლება, აღარც მქონოდა. ასე რომ, ძალიან კარგი ვქენი, რომ წავედი.

**– ერთმანეთს როგორ დაახასიათებთ?**

**მაგდა**: ნია რომ დავინახე პირველად, არ ვიცნობდი და ძალიან თვითდაჯერებული მეგონა. მაგასთან საქმეს არ დავიჭერ-მეთქი, – ჩემთვის ვამბობდი. მერე, რომ გავიგე, ნიასთან ერთად მივდიოდი შანხაიში, ხომ – საერთოდ. მაგრამ, კარგად რომ გავიცანი, ძალიან შემიყვარდა და დავმეგობრდით.

**ნია**: მე და მაგდა შანხაიში ძალიან დავმეგობრდით, ყველაფერში მეხმარებოდა, გამოცდილება ჩემზე მეტი აქვს და ბევრ რამეს მასწავლიდა – გადაღების დროს რა როგორ უნდა გამეკეთებინა. დედასავით მყავდა. დიდი სიამოვნებით წავიდოდი კიდევ სადმე მაგდასთან ერთად.

**მარიკა ხიდურელი**

# რატომ დაანგრიეს ლავრენტი ბერიას ბრძანებით თამამშევის ქარვასლა-თეატრის შენობა და რა ისტორიები უკავშირდება „ტილიპუჭურას“ დუქანს

*1874 წლის 11 ოქტომბერს თბილისში არნახული მასშტაბის ხანძარი გაჩნდა. ცეცხლის ალში იყო გახვეული ქალაქის მშვენება, გრაფ მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით, იტალიელი არქიტექტორის, ჯოვანი სკუდიერის პროექტითა და მეცენატ გაბრიელ თამამშევის ფულით აშენებული ოპერა-თეატრი, რო-*



დამწვარი ქარვასლა-თეატრი, 1974 წლის შემოდგომა

*მელსაც თბილისელები „თამამშევის ქარვასლა-თეატრს“ უწოდებდნენ.*

## ხანძარი თამამშევის ქარვასლა-თეატრში

გრიგოლ ორბელიანი წერდა: „დაიწვა თამამშევის ქარვასლა და მასთან – ჩვენი თეატრი. მხოლოდ იმ ღამეს შევიტყვეთ, რომ თბილისში არ ყოფილა „პაჟარნი კამანდა“. შეგროვდა მრავალი ხალხი და მწუხარებით შეჰყურებდა, როგორ ადიოდა ალი ვარსკვლავებამდის“. იოსებ გრიშაშვილი წერდა: „1874 წლის 11 ოქტომბერს „ერევანსკის მოედნის“ მახლობლად დიდი



თამამშევის ქარვასლის ინტერიერი

ჩოჩქოლი ატყდა. ამ საღამოს თეატრში უნდა დაედგათ „ნორმა“. არტისტებს უკვე გრიმი ჰქონდათ გაკეთებული, რომ უცბად ქარვასლის შენობაში გაჩნდა ცეცხლი. პირველი ალი ამოვარდნილა ყაზაროვის მაღაზიიდან. ეს ყველას უკვირდა, რადგან მაღაზიები ადრე იკეტებოდა და მთავრობის განკარგულებით, არასდროს სანთელანთებულნი არ ვაჭრობდნენ. როგორც შემდგომ გამოძიებამ დაამტკიცა, ქარვასლის ვაჭრებს არ ეპიტნავებოდათ სავაჭრო სახლის შუაგულში თეატრის არსებობა. თურმე გაკოტრების მიზნით ვინმე ყაზაროვს (მეორე ვერსიით – ლაზარევს) თავის სავაჭროში შუქი განზრახ დაუტოვებია. გაზეთი „დროება“ წერდა: „გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ცეცხლი თამამშევის ქარვასლას თავისით ან შემთხვევით არ გასჩენია. ზოგიერთმა გარემოებამ და მოწმეების ჩვენებამ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ ამ საქმეში ვაჭარი ი. ლაზარევი უნდა ყოფილიყო დამნაშავე.“ სასამართლომ ლაზარევს ან ყაზაროვს განაჩენი გამოუტანა და მიუსაჯა ცხრაწლიანი კატორღა და შემდეგ – სამუდამო გადასახლება ციმბირში. ცეცხლთან მებრძოლი რაზმი, რომელიც ალმოდებული შენობის პირდაპირ იყო განლაგებული, მაშინვე გაჩნდა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ შესაფერისი ხელსაწყო-იარაღი, არ იყო სახანძრო კიბე. მოედნის შუაგულში მდებარე აუზი კი ამომშრალი იყო და მეხანძრეები იძულებულნი იყვნენ, პოლიციის დახმარებით მოერეკათ თბილისის თულუხჩები და მტკვრიდან წყალი ამოეტანათ. მეთულუხჩეების 16-საათიანი შრომის მიუხედავად, ხანძრის ჩაქრობა ვერ მოხერხდა. ამ პერიოდში



აღდგენილი თამამშევის ქარვასლა, XIX საუკუნის ბოლო პერიოდი

მოედანზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი და უყურებდნენ, თუ როგორ ნადგურდებოდა თეატრის შენობა, რომლის დაწვის შემდეგ, თბილისურ საზოგადოებას რამდენიმე მცდელობა ჰქონდა, აღედგინა ოპერის შენობა. მეცენატმა თამამშევმა უარი განაცხადა ხელახლა გამოეყო ფული ოპერის ასაშენებლად, თანაც იმ დროისთვის ოპერის აშენების მთავარი ინიციატორი – გრაფი ვორონცოვი ცოცხალი აღარ იყო და თამამშევს ვერავინ დააძალა ფული ჩაედო. ერევნელი სომხებიც ეხვეწებოდნენ, ჩვენთანაც ააშენე ოპერაო ან ფულით დაეხმარე წარმატებულ სომეხ ახალგაზრდობას კულტურის ამბავშიო, მაგრამ კულტურული ცხოვრება თამამშევს არ აინტერესებდა. მისი მთავარი ამოცანა იყო ფინანსური მოგება მიეღო და სწორედ ამის გამო აღარ აღადგინეს ოპერა, სამაგიეროდ, აღადგინეს მხოლოდ მაღაზიები და დუქნები.

## თამამშევის ქარვასლის მაღაზიები

ცნობილია მაღაზიების მფლობელების ჩამონათვალი: ავეტისიანის, ალიხზანოვის, ანდრიასოვის, ბაღდასაროვის, ბერიძის, ერამოვის, ტერ-გუკასოვის, ზედგენიძის, კოვალიოვის, ელიზის, ყაზაროვის, კონდახჩევის, მურადოვის, ნერსესოვის, ტიევის, სულინოვის, ტერ-აბრამოვის, ძმებ ხარაზოვების, ძმებ იარალოვების და სხვათა საგალანტერეო მაღაზიები. დოლონიძის, იოსიფოვის, ნასიბოვის, ტერ-ავეტისიანის და შიოშვილის ქალთა ტანსაცმლის მაღაზიები და რაბინოვიჩის ოქროს ნაკეთობათა საიუველირო მაღაზია. აგრეთვე, იქ იყო სხვადასხვა სახელოსნო, მეწაღეებისა და მკერავების სამუშაო ადგილები. ქარვასლაში იყო გახსნილი ცნობილი საყვავილე, რომელიც მეყვავილე მიხეილ მამულაშვილს ეკუთვნოდა. ყვავილების



თამამშევის ქარვასლა და ჩასასვლელი დუქანში, 1890-იანი წლები

მაღაზიის სახელი იყო „სოლეიდორი“ ანუ „ოქროს მზე“. სულ ქარვასლაში გახსნილი იყო 266 მცირე და საშუალო ზომის მაღაზია. 1895 წელს ქალაქის მეორე ელექტროსადგურმა სწორედ თამამშევების ქარვასლაში დაიწყო მუშაობა.

## დუქნები

თამამშევის თეატრ-ქარვასლაში რამდენიმე დუქანი იყო გახსნილი, მათ შორის ყველაზე ცნობილი – „ტილიპუჭურას“ დუქანი, რომლის სახელს რამდენიმე საინტერესო ისტორია უკავშირდება. „ტილიპუჭურას“ მფლობელი იყო ვინმე არტემ ქამელოვი, სომეხი მედუქნე. მაშინდელ თბილისში ძალიან იაფი და ძალიან პოპულარული დუქანი იყო. უამრავი ადამიანი სტუმრობდა ამ დუქანს, მათ შორის პოლიცმაისტერები. დუქანს თავისი სასტუმრო ჰქონდა,



ილია ჭავჭავაძე ქარვასლის ფონზე

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**მართლმადიდებლური სამყარო აღდგომიდან 40 დღის შემდეგ ჯერ მაცხოვრის ამაღლებას ზეიმობს, 50-ე დღეს კი – სულთმოფენობას. ამ დღეს ეკლესია ყვავილებით ირთვება, რომელიც მრევლს სახლში მიაქვს. სულთმოფენობის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი.**

# რა ენაზე ამხელს მაცხოვარი მეორედ მოსვლის ჟამს ადამიანებს და ვინ დაიწყო სულთმოფენობის დღესასწაულზე ქართულად ლაპარაკი



**სულის შაბათი, ანუ სულთაობა – ასე უწოდებენ ამ დღეს და ადამიანები საკუთარი გარდაცვლილების მოსახსენებლად, მათი სულის საოხებლად ეკლესიაში მოდიან, ესწრებიან საყოველთაო პანაშვიდს**

**– მამაო, როგორც ვიცი, აღდგომის შემდეგ მთელი 50 დღის განმავლობაში გრძელდება სადღესასწაულო დღეები.**

– აღდგომის შემდეგ სადღესასწაულო დღეები ისევ გრძელდება, თუმცა ბევრი ადამიანისთვის ისინი დამთავრდა, რადგან აღარ მოდიან ეკლესიაში და მათთვის ნაკლებად გასაგებია, რა დღეები გაიარა აღდგომის შემდეგ მაცხოვარმა და რა ბრწყინვალე მოვლენები აღსრულდა მაცხოვრის აღდგომიდან მეორმოცე და ორმოცდამეათე დღეს. როგორც ცნობილია, აღდგომიდან მეორმოცე დღეს არის ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ყოველ დილით სარწმუნოების სიმბოლოში მართლმადიდებელი ქრისტიანი წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს: „და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა“. ამას გვაუწყებს მარკოზის სახარებაც. როდესაც მაცხოვარმა მოციქულები აიყვანა ელეონის მთაზე, დაასხა ხელი, მიჰბერა მათ სულიწმიდა, ანუ სამღვდელო მადლი და უთხრა: ვისაც მიუტევებთ ცოდვებს – მიეტევებათ, ვისაც არ მიუტევებთ – არ მიეტევებათო. ანუ, ცოდვის მიტევება-არმიტევების ხელმწიფება იესო ქრისტემ მისცა მოციქულებს, სამოციქულო ეკლესიის წიაღს და ამით არის მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღმატებული ყველა სხვა ეკლესიასა და კონფესიაზე. ცოდვების მიტევება-არმიტევება ხდება მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში. სხვა ეკლესიები ამ ძალაუფლებას არ ფლობენ, რადგან ისინი გამოეყვნენ, განუდგნენ მართლმადიდებელ დედაეკლესიას. როდესაც მაცხოვარი ელეონის მთაზე ამაღლდა, მოციქულები უყურებდნენ ქვევიდან ზევით და მათ ეჩვენათ ორი ადამიანი სპეტაკი სამოსით. როგორც მოციქულებმა იხილეს, როგორ ამაღლდა მაცხოვარი ზეცად, ასევე მთელი კაცობრიობა იხილავს მაცხოვრის მეორედ მობრძანებას. რაც შეეხება სულთმოფენობას – ეს ტერმინი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში შემოვიდა საქართველოში. უფრო ადრე ამ დღესასწაულს ერქვა „მარტირია“, რაც ნიშნავს დამოწმებას, მოწმობას. უფალი ამაღლებამდე ეუბნება თავის მოციქულებს: „მე მამას შევავედრებ და თქვენ ის მოგივლენთ სულიწმიდას, რომელიც მისგან გამოვალს, იქნება თქვენში და გასწავლით ყოველივეს“. ყველა მოციქული ამოწმებდა ამას, რომ ისინი იყვნენ მოწმენი იესო ქრისტეში, მამა ღმერთში და იყვნენ წევრი ერთი წმიდა, კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა. ეს არის ეკლესიის დაბადების დღე, ამ დღეს დაარსდა ახალი აღთქმის ქრისტიანული დედაეკლესია. ამ დღეს სიონის მთაზე იყო შეკრებილი ბევრი ადამიანი. იქ იყო ღვთისმშობელიც და ისინი ელოდებოდნენ აღთქმულს. მათ იცოდნენ, რომ უნდა დაარსებულიყო დედაეკლესია და სულიწმიდა გადმოსულიყო იქ შეკრებილ საზოგადოებაზე. როცა ისინი ერთად ლოცულობდნენ, გადმოვიდა სულიწმიდა ცეცხლოვანი ენის სახით და „დაადგრა მოციქულთა ზედა“. ამ მოვლენას ძალიან ბევრი ადამიანი დაესწრო და მოისმინეს, თუ როგორ ამეტყველდნენ მოციქულები სხვადასხვა ენაზე.

**– ასეთი გადმოცემაც არსებობს, რომ ამ დღეს ღვთისმშობელი ქართულ ენაზე ამეტყველდა.**

– რადგან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამიტომ ის ამეტყველდა ქართულად, რათა ქართულად ექადაგა ჭეშმარიტი სარწმუნოება. თუმცა მისი კურთხევითვე, ეს ყოველივე აღასრულეს მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. როდესაც ერთ ენაზე მეტყველებდა ერი, ქვეყანა, ერთი ერი და ეროვნება იყო. ისინი

**ამ მოვლენას ძალიან ბევრი ადამიანი დაესწრო და მოისმინეს, თუ როგორ ამეტყველდნენ მოციქულები სხვადასხვა ენაზე**

გაერთიანდნენ იმისთვის, რომ აეშენებინათ გოდოლი, რომელსაც შემდეგ ბაბილონის გოდოლი ეწოდა, რათა მისულიყვნენ ღმერთთან და თავიანთი პრეტენზიები წაეყენებინათ. უფალმა დაინახა, რომ ეს ხალხი ერთიანდებოდა არა უფლისთვის, არამედ გარკვეული პროტესტი ჰქონდათ და მათი ერთობა არ იყო საღმრთო. ამიტომ მან ენები აღურია მათ და ამის შემდეგ მოხდა სხვადასხვა ეროვნების დაბადება. მათ ველარ გაუგეს ერთმანეთს და მიიღეს კურთხევა, რომ დასახლებულიყვნენ მთელ მსოფლიოში. ასე რომ, დედამიწის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ეროვნება გამრავლდა, დადგინდა და გავრცელდა უფლის კურთხევით. ასევე, უფლის კურთხევით, სულიწმიდის გარდამოსვლით მოხდა სამოციქულო ეკლესიის ამა თუ იმ ენაზე ალაპარაკება, რომ ყველა ეროვნებას თავის ენაზე ექადაგა ღვთის სიტყვა. ეს დღემდე ასე გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ მაცხოვარი მეორედ მოვა ჩვენს სამხილებლად და სანამ ყველა ენაზე არ მოხდება სახარების ქადაგება.

**– როგორც ცნობილია, მოციქულების დროს ისინი ადამიანებს ხელდასხმით ნათლავდნენ, ახლა კი ეს მირონის ცხებით ხდება.**

– დიახ, დღეს ეკლესიაში სულიწმიდის გარდამოსვლა აღესრულება მირონის ცხებით. ადრე, როდესაც მოციქულები ნათლავდნენ ადამიანებს, მათი ხელდასხმით გადმოდიოდა ადამიანებზე სულიწმიდა. რადგან ნათლისღების მსურველთა რაოდენობა ბევრი აღმოჩნდა, ამიტომ ეკლესიაში დადგინდნენ მოციქულების მიერ ნაკურთხი ხუცესები, იგივე მღვდელმსახურები, რომელთაც კეთილსურნელების სახით მირონი გადაეცათ. მირონის ცხებით ნათლისღების საიდუმლოს დროს ადამიანს ენიჭება სულიწმიდის მადლი. ბევრმა არ იცის, რომ ნათლისღების დღეს ის ორ საიდუმლოში მონაწილეობს. პირველი – ეს არის ნათლისღება, ხოლო მირონცხებით ადამიანს ენიჭება სულიწმიდის მადლი, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია, თქვას აღსარება, ეზიაროს, იაროს ეკლესიაში, რაც მთავარია, ვერ ცხონდება. ასე რომ, სულთმოფენობა, ანუ „ორმოცდამეათე“, ნიშნავს იმას, რომ მთელ კაცობრიობას მოციქულების სახით მიეცა დედაეკლესია. ამიტომაც, დღემდე ჭეშმარიტად მართლმადიდებელ ეკლესიას ჰქვია სამოციქულო ეკლესია, რადგან ღმერთმა ის მოციქულების მოძღვრებაზე დააარსა.

**– მამა გიორგი, ამ დღეს ეკლესია ირთვება ყვავილებით, რომელიც მლოცველებს ეკლესიიდან სახლში მიაქვთ.**

– სულიწმიდის გარდამოსვლის დღესასწაულამდე, შაბათს, ეკლესიაში იხდიან დიდ პანაშვიდს მიცვალებულების სულის საოხებლად. სულის შაბათი, ანუ სულთაობა – ასე უწოდებენ ამ დღეს და ადამიანები საკუთარი გარდაცვლილების მოსახსენებლად, მათი სულის საოხებლად ეკლესიაში მოდიან, ესწრებიან საყოველთაო პანაშვიდს. სულიწმიდის მოფენის დღეს, საზეიმო წირვისას ეკლესია ხის მწვანე რტოებით, ბალახებითა და ყვავილებით ირთვება, რაც იმ წმიდა და განმაცხოვებელ მადლს მოგვაგონებს, სულიწმიდის მოფენის შემდეგ რომ ვიღებთ. ყვავილები და სიმწვანე, სიმბოლურად, სიცოცხლის მანიშნებელია. სულიწმიდის მადლის მოფენა სიმბოლურად მიანიშნებს ყვავილებით შემკულ ეკლესიაზე.

**ნათია უტიაშვილი**

# უფლის მორჩილი ბუნება

### ჭეშმარიტება აღიარა

კუნძულ კიფისას გვალვის სასტიკი შოლტი ხშირად ხვდებოდა, რის შედეგადაც აქ ყველაფერი გადახმებოდა. ასეთ შემთხვევებში კუნძულის მცხოვრებნი ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს „მირტიდიოტისსას“ მიმართავდნენ დახმარებისთვის, ისინი ლიტანიობას აღასრულებდნენ სულით და გულით. დედაღვთისა კი ყოველთვის უგზავნიდა მათ წვიმას.

ერთხელ, როცა კიფისას მცხოვრებნი ლიტანიობისთვის ემზადებოდნენ, მათ შორის მოხვდა კუნძულ კვიპროსიდან ჩამოსული მდიდარი თურქი.

– რატომაა ეკლესიის გარშემო ასეთი უჩვეულო ხალხმრავლობა? – გაოცებულმა იკითხა მან.

– ხალხი ლიტანიობისთვის ემზადება, – უპასუხეს მას, – უკვე რამდენი თვეა, წვიმა არ მოსულა, ახლა ჩვენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს „მარტიდიოტისსას“ გამოვაბრძანებთ, რომ მისი წმიდა ლოცვის შემწეობით ღვთის რისხვა შეწყდეს და გვალვა დამთავრდეს.

– რა სულელები ხართ! – თქვა თურქმა და ცაში აიხედა, – ცაზე ერთი ღრუბელიც კი არ არის! მაგრამ თუ წვიმა მართლაც წამოვა, მე „მირტიდიოტისსას“ ამ ბრილიანტის სამკაულს შევწირავ. ურჯულო თურქმა იმიტომ გაბედა დანაძლევებულიყო ამ გასაოცარი სილამაზის სამკაულზე, რომ ვერც კი წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ამ დღეს წვიმა მოსულიყო. მალე ღვთის მსახურებმა და ხალხმა ლიტანიობა აღასრულეს, ყველამ მუხლი მოიყარა და აღელვებულნი აღუვლენდნენ ლოცვას დედაღვთისას.

მსვლელობის დროს ცაზე ღრუბლებმა დაიწყო თავმოყრა. როცა ხალხი ტაძარში დაბრუნდა, წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც სიხარულით აღავსო კუნძულის მცხოვრებთა გულები.

თურქი ენაჩავარდნილი იდგა. მან დამარცხებულად აღიარა თავი და დანაპირები შეასრულა. ეს ნახევარმთვარის ფორმის ბრილიანტის ყელსაბამი დღესაც ამკობს ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატს და ყველას ახსენებს „მირტიდიოტისსას“ მიერ აღსრულებულ სასწაულს.

### მხოლოდ მის მფარველობაში მყოფი ადამიანის ცოდვები უშლის ხელს უფლის ანგელოზს, დაეხმაროს ამ უკანასკნელს

ერთხელ ღირსმა ნიფონტმა დაინახა ახალგაზრდა, რომელიც სახლის კარებთან იდგა და ტიროდა, რატომ დგახარ აქ და რა გატირებს?! – ჰკითხა ღირსმა მამამ. „მე უფლის ანგელოზი ვარ, კაცი, რომლის დასაცავად წარმოვიგზავნე. რამდენიმე დღეა, ამ უსარგებლო სახლში ცხოვრობს. აქ იმიტომ ვდგავარ, რომ არ შემიძლია, მივუახლოვდე ცოდვილს. ჩემი ტირილის მიზეზი კი ისაა, რომ თანდათან მეკარგება იმედი მისი სინანულის გზაზე დაყენებისა“.

### გულისხმაყოფისთვის, ღვთის რისხვა

ერთხელ აბბა ანასტასიამ გაიგონა, რომ დაყუდებული ბერი გიორგი მწარედ ტიროდა და ჰკითხა ტირილის მიზეზი. „როგორ არ ვიტირო, როცა ვიცი, რომ უფალი განრისხებულია ჩვენზე. მე ვნახე, რომ ვდგავარ ტახტის წინაშე, ათასები შესთხოვდნენ ტახტზე მჯდომს რაღაცას, მაგრამ იგი ყურს არ ათხოვებდა მათ ლოცვას. მიუახლოვდა მას სამეფო პორფირში გამოწყობილი ქალი და შეჰღაღადა: „ჩემი გულისთვის მაინც იქმენი მოწყალე“, მაგრამ მისი ნება კვლავ ურყევი იყო. ვძრწი და ვტირი იმის გამო, რომ არ ვიცი, რა მოგველის“, – თქვა მამა გიორგიმ.

ბერმა ეს ხილვა ხუთშაბათს უამბო მამა ანასტასიას, პარასკევ დილით კი საშინელმა მიწისძვრამ დაანგრია ფინიკიის ზღვისპირა ქალაქები.

**წიგნიდან „ღვთისმშობლის ხატის სასწაულები“**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: თუ შეიძლება, მიპასუხეთ, ჩემი მეგობარი მოინათლა ორსულობის დროს. გადადის თუ არა ნათლობა მის ნაყოფზეც, ანუ მონათლულად მიიჩნევა თუ არა ბავშვიც?**

**პასუხი**: ასეთ შემთხვევაში, მამათა კანონების მიხედვით, მონათლულად ჩაითვლება მხოლოდ დედა და არა მისი ნაყოფი.

**კითხვა: აღდგომის ხატზე გამოსახულია იესო ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთიდან მართალთა ამოყვანა. რატომ იყვნენ მართალთა სულები ჯოჯოხეთში?**

**პასუხი**: მხოლოდ ადგომის შემდეგ გაიღო უკუნის კარები – მანამდე კი მართალნიც ჯოჯოხეთში იმყოფებოდნენ, მაგრამ ტანჯვას არ განიცდიდნენ სიმართლით განვლილი ცხოვრების გამო. მათ სამყოფელს აბრაამის წიაღი ეწოდებოდა. აქ არ იყო ტანჯვა, მაგრამ არც სრული ნეტარება სუფევდა, როგორიც სასუფეველშია.

**კითხვა: რატომ არის ძნელი საკუთარი ცოდვების დანახვა?**

**პასუხი**: ადამიანის ბუნება დასაბამიდან დამძიმდა ცოდვებისგან და შემდგომ, თანდათან ხდებოდა ცოდვების დაგროვება. ამიტომ არის, რომ დაბადებიდან ცოდვებისკენ ვართ მიდრეკილნი. თუმცა, ადამიანი ამ თანდაყოლილ და შეძენილ ცოდვებს თანდათან დაშორდება, თუ უფალთან მიახლოებას დაიწყებს და ეკლესიურად იცხოვრებს. სხვა შემთხვევაში, ხდება ცოდვათა გათავისება და ადამიანი ვერ ამჩნევს ან უჭირს თავისი ცოდვების აღიარება. უფალი გვაძლევს საშუალებას, რომ მოვინანიოთ ცოდვები.



**კითხვა: როდის არ შეისმენს უფალი ჩვენს ლოცვას?**

**პასუხი**: ლოცვას არ აქვს ფასი, როდესაც ის გულწრფელად არ მიემართება უფალს, ან უგულისყუროდ არის წარმოთქმული. თავად უფალი ასეთ მლოცველებზე ბრძანებს: „ეს ხალხი პატივს მცემს ბაგეებით, მათი გული კი შორს არის ჩემგან“ (მათე, 15, 8)

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

* ერთხელ ტაძარში ერთი სემინარიელი შევიდა, ყურადღებით უსმენდა წირვას. გვერდით მდგომმა ნაცნობმა ჰკითხა: „რას გასწავლიან სემინარიაში?“ მან არ უპასუხა. მეზობელი კი არ ცხრებოდა – „რას გასწავლიან სემინარიაში?“ და ისევ ვერ მიიღო პასუხი. მესამეჯერ ჰკითხა: „შენ გეუბნები, რას გასწავლიან-მეთქი სემინარიაში?“ „იმას, რომ ეკლესიაში არ ვილაქლაქოთ“, – იყო პასუხი.

* იყო ორი ძმა, მეთევზეები. კვირადღეს ერთმა უთხრა მეორეს: „მე წავალ ეკლესიაში, შენ კი დარჩი. მიხედე ბადეებსა და ანკესებს, თევზს უდარაჯე“. ასეც მოიქცნენ. უფროსი ეკლესიაში წავიდა, უმცროსი კი დარჩა, მაგრამ გონებით ის ეკლესიაში იყო. ნავში მჯდომი წარმოიდგენდა, თუ როგორ გალობენ „ღირს არსს“. გალობდა თვითონაც და აი, მივიდნენ „აქებდით“-ამდე. აქებდა ისიც. დადგა დიდების დრო, იგი პირჯვარს იწერდა და გალობდა. აი, ახლა კი აღავლენენ: „კურთხეულ არს მეუფება“... ასე ფიქრით მიჰყვებოდა ის წირვის მსვლელობას.

უფროსი ძმა კი ეკლესიაში წირვაზე იდგა, მაგრამ გონებით ნავში იყო ძმასთან და თევზთან. გამუდმებით ფიქრობდა: „გაართმევს თუ არა ჩემი ძმა საქმეს თავს? გადააგდებს ბადეს? ვაითუ თევზი არ მოჰყვეს?“

ვინ მიიღო სარგებელი ღვთის მსახურებისაგან?

***

ნეტარ ლუკას ჰყავდა ღვიძლი ძმა, მონაზონი, რომელიც საკუთარ სულზე ნაკლებად ზრუნავდა. როდესაც იგი გარდაიცვალა, მის სენაკში იპოვეს საკმაოდ ბევრი ფული და ნეტარი ლუკა გაანაწყენა იმ ამბავმა, რომ მისმა ძმამ უპოვარების მონაზვნური აღთქმა დაარღვია. მთელი ნაპოვნი ქონება ბერმა ძმის სულის საოხად გასცა.

ლოცვის დროს ნეტარი ლუკა ხშირად ევედრებოდა უფალს, მისთვის ძმის ხვედრი ეუწყებინა. ბოლოს მას ჰქონდა ხილვა და დაინახა, როგორ ედავებოდნენ დემონები მისი ძმის სულს ანგელოზებს. ანგელოზები პასუხობდნენ, რომ სული მისთვის გაღებულმა მოწყალებამ გადაარჩინა.

„დიახ, მე ნამდვილად გავიღე მოწყალება ჩემი ცოდვილი ძმის სულისთვის“, – თქვა ნეტარმა და ხილვა გაქრა.

***

ერთი აზნაური ეტლით მიდიოდა და გზაზე ქვეითად მიმავალი კეთილმსახური მგზავრი დაინახა, ეტლში ჩაისვა და წაიყვანა. ისინი სადილის საჭმელად მახლობელ სასტუმროში გაჩერდნენ. სადილზე აზნაურმა ხუმრობა დაიწყო კეთილმსახურებაზე და თავის თანამგზავრს ჰკითხა:

– რას ფიქრობთ მომავალ ცხოვრებაზე?

– თქვენთან მოგზაურობა სადგურიდან სადგურამდე არაა საშიში და სასიამოვნოც არის, მაგრამ ამქვეყნიური ცხოვრებიდან საუკუნო ცხოვრებაში გადასვლას თქვენთან ერთად ერთი გზით არ ვისურვებ, – უპასუხა მგზავრმა.

***

საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის არქიმანდრიტი ხარლამპი ვასილოპულოსი მოგვითხრობს:

„– მოძღვრისგან ერთხელ ასეთი მონათხრობი მოვისმინე: „ერთ მდიდარ კაცს გზად ერთი მათხოვარი შეხვდა. მათხოვარმა მას თავისი უბედურების შესახებ უამბო, მდიდარს შეებრალა იგი და იმ შვიდი ლირიდან, რომელიც თან ჰქონდა, ორი უწილადა. მას შემდეგ, რაც მათხოვარმა თავის სხვა უბედურებებზეც მოუთხრო, კიდევ ორი ლირა მიიღო. წყაროსთან მისულებმა წახემსება გადაწყვიტეს. მდიდარმა ღარიბს თავისი საგზალი გაუყო და მოისმინა რა ახალი ისტორია მისი ცხოვრებიდან, კიდევ ორი ლირა მისცა. ამდენად, მოწყალე იყო! მათხოვარმა ექვსი ლირა რომ მიიღო, მადლიერების ნაცვლად, უეცრად ტანსაცმელში დამალული დანა ამოიღო და მეშვიდე ლირა მოითხოვა. საარაკო უმადურობაა! რისი ღირსია იგი? – დაასრულა თავისი ამბავი მოძღვარმა.

– სიკვდილის! – შესძახეს მისმა მსმენელებმა.

– თქვენც ასეთივე მკაცრ სასჯელს იმსახურებთ, – უთხრა მოძღვარმა მათ, – სწორედ თქვენა ხართ ის უმადური მათხოვარი. ღმერთმა ექვსი დღე მოგცათ და თავისთვის მხოლოდ ერთი დაიტოვა, თქვენ კი ის ერთი დღეც მოსტაცეთ!“

**გრიგოლ (იგივე ნიკუშა) შვანგირაძე ერთ-ერთია იმ ქართველ სპორტსმენთაგან, რომელიც ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში თამაშობდა. 15 წლის ასაკში ის თავად ერთ-ერთი, ყველაზე ცნობილი ესპანური საკალათბურთო კლუბ „არონას" პრეზიდენტმა შეარჩია, როცა მისი თამაში ნახა თბილისში. გრიგოლის მეუღლე ასევე წარმატებული სპორტსმენია კანარის კუნძულებიდან – მშვენიერი აინოა ერნანდეს ერნანდესი, ფრენბურთელი. ის ისეთ ცნობილ კლუბში თამაშობდა, როგორიცაა „ტენერიფე“. წყვილმა ერთმანეთი კანარის კუნძულებზე გაიცნო და ამჟამად პირველ შვილს ელოდებიან.**

# როგორ ჩამოდიოდა დასასვენებლად კანარის კუნძულებიდან თბილისში გრიგოლ შვანგირაძე და როგორ აღმოჩნდა ის ესპანეთის პრესტიჟულ საკალათბურთო კლუბებში

**გრიგოლ (ნიკა) შვანგირაძე:** კალათბურთის თამაში 10 წლის ასაკში დავიწყე, შემდეგ გადავედი ვაჟა კვარაცხელიასთან „კოლხაში". 2 წლის შემდეგ გამოჩნდა შესაძლებლობა, წავსულიყავი ესპანეთში და იქ მეთამაშა ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში. საკალათბურთო აგენტი – თვით კლუბ „არონას" პრეზიდენტი იყო ჩამოსული საქართველოში, რომელმაც რამდენიმე ბიჭი შეგვარჩია ესპანეთში სათამაშოდ. „არონა" საკალათბურთო ლიგის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კლუბია. ყოველთვის მინდოდა უცხოეთში თამაში. სხვათა შორის, ჩემი უფროსი ძმაც კალათბურთს თამაშობდა, მერე ფრენბურთში გააგრძელა ვარჯიში და ირანში წავიდა სათამაშოდ. მამაჩემი მეცნიერია და დიდი სურვილი ჰქონდა, მეც მეცნიერი გავმხდარიყავი. იყო კიდეც ამის შესაძლებლობა, მაგრამ საბოლოოდ კალათბურთელობა გადავწყვიტე. მამა ჩვენი აქტიური გულშემატკივარია, ამიტომ ჩემს არჩევანს პატივი სცა და 15 წლის ასაკში ესპანეთში გამიშვეს. კი, ნერვიულობდნენ ძალიან, იყო სახლში განსჯა და ამბავი, მაგრამ საბოლოოდ, ჩავალაგე ბარგი და წავედი. მამა ზედმეტად კრიტიკული არასდროს ყოფილა, პირიქით გვარიგებდა და მხარს გვიჭერდა.

15 წლის ვიყავი და პირველად წავედი უცხოეთში მარტო. ძალიან კი გამიჭირდა, მაგრმ იქ სხვა ქართველებიც იყვნენ და ნელ-ნელა შევეჩვიე. ძირითადი სირთულე ის იყო, რომ ესპანურის აზრზე არ ვიყავი. რომ წავედი, ვიცოდი ინგლისური და ესპანეთში ინგლისური ცუდად იციან. მეტოქეობის ამბავია და არ მიაჩნიათ საჭიროდ ინგლისურის სწავლა – საერთაშორისო ენაა ესპანური. მწვრთნელს ინგლისურად ვეკონტაქტებოდი, თანაგუნდელებს სასაცილოდ – ხელებით და ფეხებით, რაღაცნაირად ვაგებინებდი. დავდიოდი სპეციალურ სკოლაში ერთ წელს, სადაც უცხოელებისთვის ესპანურს გაძლიერებულად ასწავლიან და ასე, ნელ-ნელა ვისწავლე. ენების ნიჭი მაქვს, როგორც ჩანს ***(იცინის).*** ყველაფრის ფულს გუნდი გვიხდიდა – კვებისას, ტანსაცმლისას და სტიპენდიაც მქონდა დანიშნული. „არონაში" საკმაოდ წარმატებულად ვიასპარეზე. ჯერ კუნძულის ჩემპიონები გავხდით, მერე კანარის მთლიანად და ესპანეთის ჩემპიონატში მესამე ადგილი დავიკავეთ. ჩემთვის, პირადად, ძალიან წარმატებული სეზონი იყო. სხვათა შორის, იქ ხალხს ხშირად ესპანელი ვეგონე. ამბობენ, რომ ვგავარ მათ.



ჰო, აბა, გარეგნობით მოვეწონე, თორემ ისე ხომ არც შემომხედავდა და არც დამელაპარაკებოდა

**– თანაგუნდელ ბიჭებს როგორ შეეწყვე?**

– რა ვიცი, ხომ გეუბნები, ხელებით და ფეხებით ვეკონტაქტებოდი, სასაცილო სიტუაციებშიც ხშირად ჩავვარდნილვარ. თვითონაც სასაცილო, დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობდნენ და იმათთვისაც სტიმული იყო, რომ ინგლისური ესწავლათ ***(იცინის).*** ზოგჯერ იქაურები მწვრთნელს ესპანურად ელაპარაკებოდნენ, ჩვენ ვისხედით დებილებივით და არაფერი გვესმოდა ***(იცინის).*** სხვათა შორის, ენის კომპლექსი არ მქონია და არც იმათ ჰქონდათ დაცინვის მომენტი. ძალიან მიყვარს ესპანეთი, მაგრამ ესპანეთი სხვაა და კანარის კუნძულები სხვა. კანარის არქიპელაგი აფრიკასთან ახლოსაა და ტროპიკული კლიმატია. წელიწადის 12 თვე სულ სიცხეა, პლაჟი, მშვენიერი წყალი... ძალიან მომეწონა ეგ ამბავი. მეგობრები დამცინოდნენ, კანარის კუნძულებიდან თბილისში ჩამოდიხარ დასასვენებლადო ***(იცინის).*** მართლა ეგრე გამოვიდა. ხალხი იქ წასვლაზე ოცნებობს და მე იქიდან კიდევ ზაფხულში თბილისში ჩამოვდიოდი.

**– რის დათვალიერება მოასწარი ესპანეთში?**

– მადრიდი ვნახე, მადრიდი ძალიან მომწონს, ულამაზესი არქიტექტურაა. კანარის 5 კუნძული, ალმერია, სევილია, ბარსელონა, ანდალუსია, გრანადა... ძირითადად, თამაშებზე მიწევდა იქ ჩასვლა. სანტიაგო ბერნაბეუზეც ვიყავი, რეალის სტადიონზე.

**– შენს სპორტულ კარიერაზე გვიამბე.**

– „არონადან" რამდენიმე წლის შემდეგ გადავედი „ტენერიფეში", რომელიც როგორც კანარის კუნძულების, ასევე მთელი ესპანეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მაღალ კატეგორიაში თამაშობს. იქ კანარის ჩემპიონატზე ვთამაშობდით, თუმცა სამწუხაროდ, ჩემპიონები ვერ გავხდით. ტენერიფედან გადავედი „ტაკორონტაში", პროფესიულ NBA ლიგაში. თავიდან გამიჭირდა, პირველი წელი რთული იყო, მაგრამ მაინც შევძელით და უმაღლეს ლიგაში გადავედით. ფინალშიც გავედით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვიგეთ. ეს გუნდი ფინანსური პრობლემების გამო დაიშალა და შემდეგ ადგილობრივ კლუბ „სან ისიდოროში" გადავედი. ყველაზე წარმატებული სეზონი ჩემთვის ტიტულების მხრივ ალბათ, მაინც „ტაკორონტეში" იყო. ტენერიფეში გუნდმა ვერ მიაღწია წარმატებებს, მაგრამ პერსონალურად საკმაოდ მაღალი შედეგი მქონდა. 5 წელი ვითამაშე ესპანეთში, თავიდან 2 წელი საერთოდ არ ჩამოვსულვარ საქართველოში. იქაც ფინანსური კრიზისი დაიწყო და გადავწყვიტე, დავბრუნებულიყავი. ამჟამად საკალათბურთო კლუბ „სოხუმში" ვთამაშობ და წელს ისევ აქ დავრჩები.

**გაგებულიც კი არ ჰქონდა, თუ ასეთი ქვეყანა არსებობდა საერთოდ. მერე მამამისს ჰკითხა და იმან იცოდა თურმე, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა**

ზოგადად, ესპანეთში მაქვს გადაწყვეტილი დაბრუნება, თუ რომელიმე სხვა ქვეყნიდან მექნება შემოთავაზება, არ ვიცი, შეიძლება, დავთანხმდე. საქართველოს საკალათბურთო ლიგაშიც აშკარა პროგრესია. თუმცა, პრობლემა ისაა, რომ ცოტა ნაკლები გუნდია ლიგაში. უკეთესია, მეტი გუნდი იყოს.

**– აინოასაც ვკითხოთ ახლა, ის პროფესიონალი ფრენბურთელია, როგორ დაინტერესდა ამ სპორტით?**

**აინოა ერნანდეს ერნანდესი:** ფრენბურთის თამაში 10 წლის ასაკში დავიწყე სკოლის გუნდში, შემდეგ გავიარე გამოცდა ესპანეთის ყველაზე ტიტულოვან საფრენბურთო კლუბ „ტენერიფეში" და ყველა ასაკობრივ კატეგორიაში გამოვდიოდი – ჯუნიორებშიც ვთამაშობდი და პროფესიულ ლიგაშიც.

**– ერთმანეთი როგორ გაიცანით?**

**გრიგოლი:** „ტენერიფეში" რომ ვთამაშობდი, ერთ სკოლაში ვსწავლობდით. იქ შევამჩნიე და მომეწონა. შორიდან ვუყურებდით ერთმანეთს და ორივე ვგრძნობდით სიმპათიებს. მაგრამ, მაშინ არ გაგვიცნია ერთმანეთი. ვერ ვბედავდი დასალაპარაკებლად მისვლას. მალულად გავარკვიე, რომ ფრენბურთელი იყო, იმანაც გაიგო, კალათბურთელი რომ ვიყავი. მალულად შევაგროვეთ ერთმანეთზე ცნობები ***(იცინის).*** ვეპრანჭებოდი, მაგრამ ერთმანეთს არ ვიცნობდით. საერთო მეგობრები გვყავდა და იქ გავიცანით ერთმანეთი, როგორც იქნა. თითქმის იმ დღიდან ერთად ვართ, სიყვარული ძალიან მალე ავუხსენი.

**– აინოა, რით მოგხიბლა გრიგოლმა?**

**აინოა:** ფიზიკურობით, რა თქმა უნდა. „სილამაზით" (ქართულად ამბობს – ავტორი). ***(იცინიან).***

**გრიგოლი:** ჰო, აბა, გარეგნობით მოვეწონე, თორემ ისე ხომ არც შემომხედავდა და არც დამელაპარაკებოდა. ენობრივი ბარიერი აღარ მქონდა უკვე. რომ გავიცანი, ძალიან კარგად ვიცოდი ესპანური. აპრილის ბოლოს დაიწყო ყველაფერი, მაგრამ მაისში წამოსვლა მიწევდა 2 თვით და რომ დავბრუნდი, უკვე ერთად ცხოვრება დავიწყეთ. ხასიათით კარგად ვეწყობით ერთმანეთს, თითქმის არ ვჩხუბობთ, მარტო „ბარსა“-„რეალის“ თამაშებზე.

**– და საქართველოზე იცოდა რამე, სანამ შენ გაგიცნობდა?**

– საერთოდ არაფერი, გაგებულიც კი არ ჰქონდა, თუ ასეთი ქვეყანა არსებობდა. მერე მამამისს ჰკითხა და იმან იცოდა თურმე, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა. პირველად შარშან, იანვარში ჩამოვიდა საქართველოში ერთი თვით. ბოლო წელს სუპერლიგის საუკეთესო გუნდში თამაშობდა, სადაც ტრავმა მიიღო, ჯვარედინი იოგი გაუწყდა და საოპერაციო გახდა. სანამ ოპერაციას დაუნიშნავდნენ, შუალედში თბილისში ჩამოვიდა. მე აქ ვიყავი, აინოა – ესპანეთში. ძალიან გვიჭირდა უერთმანეთოდ. რომ ჩამოვიდა, გაიყინა საწყალი ***(იცინის).*** კანარის კუნძულებიდან ზამთარში აქ ჩამოსვლა წარმოგიდგენია? ისე, ძალიან მოეწონა აქაურობა. ნელ-ნელა დაიწყო ქართულის სწავლა, ესმის, რუსულიც ესმის. ყ-ს ჭ-ს და ასეთ ბგერებს ვერ გამოთქვამს ***(იცინიან).*** მე ვარ ამათი თარჯიმანი ოჯახში. სხვათა შორის, ბორშჩი, ხინკალი, მწვადი და აჭარული ხაჭაპური უყვარს, ქაბაბიც.

**– ერთმანეთის სპორტს თუ ქომაგობთ?**

– მე ფრენბურთი ყოველთვის მიყვარდა და მაინტერესებდა, ჩემი ძმა ფრენბურთელი იყო. აინოას არ უყვარდა კალათბურთი, მაგრამ ჩემი ხათრით უყურებს და წესებიც ისწავლა. ერთმანეთის თამაშებზეც დავდივართ.

**ქეთი დიდებულიძე**

## უსაინ ბოლტის „ფორმულა ერთი“

ორ თვეზე ოდნავ ნაკლებია დარჩენილი მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე და ტურნირის ფავორიტი სპორტსმენები მზადებაში არიან, რათა კიდევ ერთხელ ასახელონ თავიანთი ქვეყნები. რეკორდსმენი სპრინტერი უსაინ ბოლტი კერძო, ფინანსურად თავისთვის მომგებიან ტურნირზე – „ბრილიანტის ლიგის“ მეექვსე ეტაპზე გამოდიოდა და რა თქმა უნდა, ტრიბუნებზე შეკრებილი საზოგადოება მორიგი „ტრიუკით“ გაართო. ბოლტი სარბენ ბილიკზე „ფორმულა ერთის“ ბოლიდით გამოვიდა და ამით ქომაგების ოვაციები დაიმსახურა. საინტერესოა, რომ 200-მეტრიანი დისტანცია ბოლტმა იმაზე სწრაფად დაფარა, ვიდრე სარბოლო ავტომობილით გადაადგილდებოდა – მანძილი, სულ რაღაც, 19 წამში გაირბინა.

## მესის ახალი რეკორდი

არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა ლიონელ მესიმ მორიგი საფეხბურთო რეკორდი დაამყარა. „ბარსელონას“ ფორვარდმა დიეგო მარადონას რეკორდი მოხსნა და სანაკრებო დონეზე გატანილი გოლების რაოდენობაში გადაასწრო. ლეგენდარულ დიეგოს კარიერის განმავლობაში 34 გოლი ჰქონდა გატანილი, ხოლო მესიმ, გვატემალასთან გამართული ამხანაგური მატჩის დროს შესრულებული ჰეთ-ტრიკით 35 გოლს მოუყარა თავი და მარადონას რეკორდი გააუმჯობესა. საგულისხმოა, რომ 35 გოლის გატანას მესიმ 8 წელი მოანდომა. ის არგენტინის ნაკრებში 2005 წლიდან თამაშობს, ხოლო მარადონამ 34 გოლი 17 წლის განმავლობაში გაიტანა – 1977-1994 წლებში.

## ბანკების მძარცველი მსოფლიო ჩემპიონი

მსოფლიო კრივის ასოციაციის ვერსიით, მსოფლიოს ექსჩემპიონს ჯეიმს პეიჯს ფედერალური გამოძიების ბიურო ჩრდილოეთ კალიფორნიაში რვა ბანკის ძარცვაში სდებს ბრალს. პეიჯი უკვე დაკავებულია. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. საგულისხმოა, რომ პეიჯს უკვე გატარებული აქვს 10 წელი ციხეში ბანკების ძარცვის ბრალდებით. 41 წლის ექსჩემპიონი 2012 წელს გათავისუფლდა და რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა. თუმცა, პირველივე შეხვედრაში, მეორე რაუნდში ნოკაუტით დამარცხდა. გავრცელებული ვერსიის თანახმად, ამჟამინდელი ბრალდებით პეიჯს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება.



## შარაპოვას კაბა უიმბლდონზე

„დიდი შლემის“ ტურნირის, უიმბლდონის წლევანდელი გათამაშების დაწყებამდე, ერთ-ერთმა ფავორიტმა და ქალთა ჩოგბურთის სექს-სიმბოლომ, რუსმა მარია შარაპოვამ ტურნირის დაწყებამდე „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე კაბის ფოტო ატვირთა, რომლითაც ლონდონის კორტებზე ითამაშებს. შარაპოვა უიმბლდონის 2004 წლის გამარჯვებული და 2011 წლის ფინალისტია. რუსი ჩოგბურთელი სერენა უილიამსთან ერთად წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევა, ხოლო „ნაიკის“ ფირმის სპორტული კაბა მას წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

## რომანის აზრი ლებრონზე

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე კოლორიტული ცენტრი, სკანდალური ქრონიკების გმირი დენის როდმანი საყვარელ საქმეს, მოქმედი კალათბურთელების კრიტიკას დაუბრუნდა და განაცხადა, რომ „მაიამი ჰითის“ ვარსკვლავი, ლებრონ ჯეიმსი გასული საუკუნის 90-იან წლებში მაიკლ ჯორდანის აჩრდილობაზე მეტს ვერ „გაქაჩავდა“. ლებრონ ჯეიმსი „ჩიკაგო ბულზის“ ზეობის ეპოქაში ერთი საშუალო დონის კალათბურთელი იქნებოდა და ვერავინ გაიხსენებდა, ხოლო ჯორდანის და პიპენის დუეტი დღემდე საუკეთესოდ ითვლება.

## სექსუალური მეგოლფე



ბლერ ონილი პროფესიონალი მეგოლფე და ამავე დროს, წარმატებული მოდელია. ბლერი 13 წლის ასაკიდან დაინტერესდა გოლფით და პროფესიონალურ ტურნირებში 2004 წლის იანვრიდან დაიწყო ასპარეზობა. სექსუალური ბლერი კალიფორნიის შტატის ტერიტორიაზე ჩატარებული გოლფის ტურნირების მუდმივი მონაწილე და გამარჯვებულია. გარდა ამისა, ქერათმიანი ლამაზმანით მოდური ჟურნალებიც ინტერესდებიან და „გულახდილ“ ფოტოსესიებში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ. მაგალითად, სულ რამდენიმე ხნის წინ, ბლერ ონილმა გოლფის ყვანჯით ხელში იპოზიორა, პრაქტიკულად შიშველმა.

## პრინცი იბიცაზე ისვენებს

გასული სეზონი „მილანის“ განელი ვარსკვლავისთვის, კევინ პრინც-ბოატენგისთვის წარუმატებელი გამოდგა. პრინცმა დიდი დრო მოანდომა ტრავმების მოშუშებას და შესაბამისად, მოედანზეც მისი აჩრდილი დაიარებოდა. ამის მიუხედავად, ფეხბურთელი მაქსიმალურად იყენებს შვებულებას და საცოლესთან, იტალიელ დივა მელისა სატასთან ერთად, იბიცაზე ისვენებს. პრინცი და მელისა მთელ დროს სანაპიროზე ან იახტაზე ატარებენ. იქვე ისვენებს პრინცის თანაგუნდელი ჰოლანდიელი ნაიჯელ დე იონგი ოჯახთან ერთად და როგორც ჩანს, მეგობრები გართობას არ იკლებენ. პრინცი და მელისა 2011 წლის ოქტომბრიდან ხვდებიან ერთმანეთს, ხოლო 2012 წლის ივლისიდან დანიშნულები არიან. ამბობენ, რომ პრინცის ხშირი ტრავმიანობა მელისას უკავშირდება. წყვილს კვირაში ათჯერ აქვს სექსი. ფეხბურთელის თქმით, იგი სრულიად იფიტება ამის გამო და ვერ ახერხებს კონცენტრირებას საფეხბურთო მოედანზე.



## კონტე დაქორწინდა

ტურინის „იუვენტუსის“ მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ კლუბთან ერთად იტალიის ჩემპიონატის მოგების შემდეგ დამსახურებული შვებულება მიიღო და თავისუფალი დრო ოჯახს დაუთმო. კონტემ, თავის დიდი ხნის შეყვარებულზე, ელიზაბეტა მუსკარელოზე იქორწინა. ჯვრისწერა ტურინში, „სანტი ანჯელი კუსტოდის“ ეკლესიაში შედგა და მას რამდენიმე ათეული მოწვეული სტუმარი დაესწრო, მათ შორის, კონტეს ყოფილი თანაგუნდელები და ამჟამინდელი კოლეგები: ჩირო ფერარა, ჯანლუკა პესოტო, მარკო სტორარი, „იუვენტუსის“ ყოფილი მენეჯერი ლუჩანო მოჯი, კლუბის მფლობელი ანდრეა ანიელი და საფეხბურთო სამყაროსთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი სხვა პიროვნებები. ქორწილის დასრულების შემდეგ ანტონიო კონტე და ელიზაბეტა მუსკარელო თაფლობის თვის გასატარებლად ეგზოტიკურ კურორტზე გაემგზავრნენ.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ატამი ღვიძლისთვის, გარგარი კი გულისთვის სასარგებლო ხილია

ჯანმრთელობის შენარჩუნებაში გარგარი დაგეხმარებათ. ას გრამ გარგარში იმდენი სასარგებლო ნივთიერება შედის, რამდენიც 250 გრამ საქონლის ღვიძლში ან ერთ კილოგრამ ვაშლში.

გარგარი მდიდარია კალიუმის მარილებით, რაც შესანიშნავად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. ასევე, გარგარში ბევრია A ვიტამინი, რომელიც აუცილებელია თვალისა და კანის ჯანმრთელობისთვის.

ატამი აძლიერებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჯირკვლების სეკრეციას, აადვილებს ცხიმიანი და მძიმე საკვების მონელებას. ატმის კომპოტის სმა კარგია თირკმელებისა და ღვიძლის დაავადებების, აგრეთვე, გულსისხლძარღვთა პათოლოგიების დროს.

ატმის ნაყოფი რეკომენდებულია სისხლნაკლებობის დროს და კუჭის დაავადებებისას.

თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ატამი იწვევს აღგზნებას და ვისაც ნერვული სისტემა სუსტი აქვს, მის ზედმეტ ჭამას უნდა მოერიდოს. ასევე, კარგი არ არის მისი მიღება ჭარბი წონისა და დიაბეტით დაავადებულთათვის.

## ვაშლის წვენი ბუნებრივი შარდმდენი საშუალებაა

ვაშლი მდიდარია ორგანული მჟავებით, რკინითა და ვიტამინებით. ის საუკეთესო დიეტური პროდუქტია. მასში არსებული ორგანული მჟავები ხელს უწყობს ნაწლავებში მიკროფლორის გაუმჯობესებას, ხოლო ნორმალური ბიოლოგიური მიკროფლორა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზმის მყარი იმუნური სისტემის შენარჩუნებას.

ვაშლი ამცირებს ნაწლავებში დუღილისა და ლპობის პროცესს. ის კარგი შარდმდენი საშუალებაცაა. სასარგებლოა შეშუპების, დიათეზის, ნიკრისის ქარის დროს. ვაშლი დიდი რაოდენობით შეიცავს ფრუქტოზას. ის დიეტური ხილია, მის ზოგიერთ სახეობას არ აქვს უკუჩვენება შაქრიანი დიაბეტის დროს.

ორგანიზმის შეშუპების შემთხვევაში, კარგია შემდეგი სახის ნაყენის მომზადება: გახეხეთ ერთი ვაშლი და გაწურეთ მარლაში. მიღებულ სითხეს დაამატეთ იმდენივე რაოდენობის წყალი და დაახლოებით 5 გრამი სტაფილოს დაჩეჩქვილი თესლი. მიიღეთ დილით, რადგან საღამოს მისი მიღება გახშირებულ შარდვასაც გამოიწვევს. ასევე, შარდმდენი თვისებების გამო, მისი ხშირად გამოყენება სასურველი არ არის. რეკომენდებულია მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში.

## რაზე მეტყველებს სახეზე გაჩენილი გამონაყარი

სახის თითოეული ნაწილი ორგანიზმის გარკვეულ ორგანოს უკავშირდება, კერძოდ: სახის ქვედა ნაწილში გამონაყარი ენდოკრინული პრობლემების ნიშანია; ასევე, შესაძლოა, საკვერცხეების დაავადებითაც იყოს გამოწვეული. ასეთი დარღვევები ამ ორგანოების დაძაბვაზე მეტყველებს.

თუ გამონაყარი შუბლზე, ცხვირზე ან ზედა ტუჩზე გამოგდით ხშირად, ეს ნაწლავების დაავადების ბრალია. ამიტომ, თუ ნაწლავის პრობლემებს დროულად მიხედავთ, გამონაყარიც გაქრება.

თვალის უპეების შესიება საშარდე ბუშტის ანთებას მოასწავებს. თვალების ქვემოთ შავი რგოლები ღვიძლის პრობლემების ბრალია, ხოლო ქვედა ქუთუთოებთან მოლურჯო შეფერილობის რგოლები – თირკმელების დაავადების ნიშანი.

სხეულზე გამონაყარიც გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის: ზურგის ზედა ნაწილში გამონაყარი მიანიშნებს იმას, რომ წესრიგში არ არის ლიმფური ქსოვილები; გამონაყარი ზურგის შუა ნაწილში – ღვიძლის ფუნქციის დარღვევაზე მეტყველებს. ღამის განმავლობაში ღვიძლი აქტიურად მუშაობს. ამ ორგანოს მთავარი მიზანი ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნაა. სწორედ ეს ტოქსინები ხდება გამონაყარისა და სახის ფერის ცვლილების მიზეზი. ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ ძილის ხარისხსა და სწორ კვებას.

დილით მინერალური წყლის დალევა კი, უბრალოდ, აუცილებელია.

## რომელი პროდუქტია ორგანიზმისთვის ყველაზე უსაფრთხო და აუცილებელი

დიდი ხნის კვლევის შედეგად გამოიკვეთა იმ პროდუქტების სასარგებლო და აუცილებელი მნიშვნელობა, ადამიანმა რეგულარულად რომ უნდა მიიღოს, რათა მთელი რიგი დაავადებები აიცილოს თავიდან და ჯანმრთელობა და სიმხნევე დიდხანს შეინარჩუნოს. კერძოდ:

ისპანახი მდიდარია რკინითა და ბევრი სასარგებლო ნაერთით. ის ამაგრებს ნერვულ სისტემასა და სისხლძარღვებს, ხელს უშლის თვალის ბადურის დაშრევებას. ასევე, დაბალკალორიულია.

ნიორი იცავს გულს, დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის სიმსუქნის წარმოქმნასა და განვითარებას. თუმცა, მისი ჭამა მათ ეკრძალებათ, ვისაც კუჭის დაავადებები აწუხებს, რადგან ის აღიზიანებს ლორწოვან გარსს.

პომიდორი მდიდარია ანტიოქსიდანტური ლიკოპენითა და C ვიტამინით. ის ხელს უშლის ფარისებრი ჯირკვლებისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებების განვითარებას. კენჭოვანი დაავადებების მქონე ადამიანები პომიდვრის ჭამას უნდა მოერიდონ.

კომბოსტო და სატაცური მდიდარია ბეტა-კაროტინით, ვიტამინებითა და ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც ხელს უშლის კიბოს განვითარებას.

მოცვი აუმჯობესებს მხედველობასა და მეხსიერებას, ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და კიბოს განვითარების რისკს.

თხილი, ნუში, არაქისი და ნიგოზი შეიცავს ისეთ მჟავას, რომელიც სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებს. გულისთვის კი ეს პროდუქტი უებარი საშუალებაა.

თევზი ომეგა 3-ის წყაროა, რომელიც გულს მთელი რიგი დაავადებებისგან იცავს, ხელს უშლის რევმატოიდული ართრიტისა და ონკოლოგიური დაავადებების წარმოქმნას, ხელს უწყობს თავის ტვინის მუშაობას.

## როგორ ვითარდება თიაქარი და რა გამოვლინებები ახასიათებს მას

თიაქარი ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში გვხვდება. არსებობს თანდაყოლილი და შეძენილი თიაქარი, მაგალითად, მუცლის, შინაგანი ორგანოების, მუცლის კედლის, მენჯის, დიაფრაგმისა და ასე შემდეგ. ამ დაავადებას იწვევს ასაკი, მემკვიდრეობა, სიმსუქნე, მუცლის კედლის ტრავმა, პოსტოპერაციული ნაწიბურები და სხვა. ასევე, დაავადების გამომწვევია ყველა ის ფაქტორი, რაც განაპირობებს მუცლის შიდა წნევის მომატებას. ამას მიეკუთვნება მძიმე ფიზიკური შრომა, მძიმე მშობიარობა, შეკრულობა, შარდვის გაძნელება, ხანგრძლივი ხველა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორსულობა, რადგან ამ დროს, მუცლის ღრუში წნევის მკვეთრ გაძლიერებასთან ერთად, მუცლის პრესი დუნდება და თხელდება. რაც შეეხება ბავშვებს, მათ ასაკში ზოგიერთი დაავადება, მაგალითად, ფაღარათი, შეკრულობა, ყივანახველა, თიაქრის განვითარების ხელსაყრელ პირობას ქმნის. გარდა ამისა, შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს თანდაყოლილი მანკი. გვხვდება მუცლის შიგნითა და გარეთა, ასევე, თანდაყოლილი და შეძენილი თიაქარი. ძირითადად, მამაკაცებში ჭარბობს საზარდულის, ხოლო ქალებში კი ჭიპისა და ბარძაყის თიაქარი. ამ დაავადების მქონე ადამიანს აწუხებს სიმძიმის შეგრძნება, ხშირი შარდვა. უჩივის შრომისუნარიანობის დაქვეითებას. აგრეთვე, თიაქარს ახასიათებს გამობერვა და ტკივილი თიაქრის მიდამოებში. სხვათა შორის, თიაქარი ადვილად ამოსაცნობი დაავადებაა. მისი გართულებებიდან აღსანიშნავია ანთება და ჩაჭედვა. ჩაჭედვის შემთხვევაში, მუცლის ღრუში წნევის უეცარი აწევის გამო თიაქრის პარკში ჩვეულებრივზე მეტი ორგანო ჩამოდის. ამ დროს თიაქრის ფარის კუნთები სალტისებურად შემოეჭირება პარკში მდებარე ორგანოებს და უკან დაბრუნების საშუალებას არ აძლევს, ახშობს მათ სისხლძარღვებს. თიაქრის ჩაჭედვის დროს სასწრაფო, გადაუდებელი ოპერაციაა საჭირო. ამ დროს დაუშვებელია, მუცლის ღრუში მისი შესწორება. ამ მძიმე დაავადებისგან რომ დაიზღვიოთ თავი, აუცილებელია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ზედმიწევნით დაცვა. თიაქრის

განვითარების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა ვარჯიში, რომელიც მუცლის კედლის კუნთებს ამაგრებს. ასევე, აუცილებელია შრომის სწორად გადანაწილება, ორსულობის დროს კი – მნიშვნელოვანია რეჟიმის დაცვა, მშობიარობის შემდეგ მუცლის მასაჟი და ვარჯიში. ბავშვებისთვის აუცილებელია რაციონალური კვება და კუჭ-ნაწლავის მოქმედების რეგულირება. მათ არ უნდა ჰქონდეთ ჭინთვები. გაითვალისწინეთ ეს ყოველივე და ამ საშიში დაავადებისგან დროულად დაიცავით თავი.

### რომელ დაავადებებს ამწვავებს ზაფხულის სიცხე

ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ მათ, ვისაც გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები აწუხებთ. მაგალითად, სტენოკარდია, გულის უკმარისობა, აჩქარება და ასე შემდეგ. ერიდეთ დახუთულ ოთახში ყოფნას და მზეზე დგომას.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სასმელებს. ორგანიზმის მარილოვანი ცვლის აღსადგენად, სვით მინერალური წყლები.

სიცხეში წყურვილს ტკბილი და გაზიანი სასმლით ნუ მოიკლავთ. სითხე სისხლიდან ქსოვილებში გადავა და ხელ-ფეხის ან სახის შესიებას გამოიწვევს. მიღებული სითხის ხარჯზე იმატებს სისხლის ცირკულაცია, რაც იწვევს წნევის აწევასაც.

ასევე, სიცხე ქრონიკული დაავადების სახიფათო მტერია. ამ დროს ყველა ქრონიკული დაავადება მწვავდება. მზის აბაზანების ბოროტად გამოყენებისას კი მაღალია ბრონქული ასთმისა და კუჭის წყლულის შეტევის ალბათობა. ამიტომ, გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე და ყურადღება, განსაკუთრებით ცხელ პერიოდში.

### ჭამის წინ დალეული ერთი ჭიქა მინერალური წყალი, შიმშილის გრძნობას თრგუნავს

სწორი კვება ნიშნავს, საკვებიდან მიიღოთ ჭეშმარიტი სიამოვნება, შეინარჩუნოთ შესანიშნავი გუნება-განწყობა, ადვილად გადაწყვიტოთ ჭარბი წონის პრობლემა. სასურველია, დაახლოებით, ყოველ სამ საათში პატარა ულუფებით წაიხემსოთ. ეს სასიკეთოდ აისახება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მდგომარეობასა და ნივთიერებათა ცვლის პროცესზე. ამასთან, სისხლის მიმოქცევის სისტემა ძალიან არ დაიტვირთება და ორგანიზმი ვიტამინებსა და მინერალებს მშვენივრად შეითვისებს. არც შიმშილის გრძნობა შეგაწუხებთ, მადას გააკონტროლებთ და ზომიერებას დაიცავთ. შედეგად კი არ შეიძენთ ზედმეტ კალორიებს და ჭარბი წონისგანაც თავს დაიზღვევთ. თუ დააკვირდებით, სწორი კვებით თვეში ორ კილოგრამსაც კი დაიკლებთ.

მსუბუქი წახემსებისთვის ყველაზე კარგია ვაშლი, ბანანი, ფორთოხალი, იოგურტი, სალათის ფოთლები, უცხიმო ყველი, მოხარშული კარტოფილი, ბულიონი, ფინჯანი ჩაი ან ყავა.

დილით კარგია ნიგოზი, უცხიმო ხაჭო, ხილი ან ბოსტნეულის სალათა.

სადილის ან ვახშმის მომზადებისას შეარჩიეთ გემრიელი და სასარგებლო პროდუქტები.

ჭამეთ ყველაფერი, რაც გნებავთ, მაგრამ ცოტ-ცოტა. საკვები ნელა და გულმოდგინედ ღეჭეთ. ლუკმის დიდხანს ღეჭვისას საკვები მოცულობაში გაიზრდება და კუჭში დიდ ადგილს დაიკავებს, დანაყრების შეგრძნებაც დაგეუფლებათ.



ჭამის დროს კითხვა, ტელევიზორის ყურება, გამაღიზიანებელი საუბარი არ ღირს. როცა თავის ტვინში სხვა ცენტრები აღიგზნება, საჭმლის მომნელებელი პროცესი უარესდება.

ჭამის წინ, ათი წუთით ადრე, ერთი ჭიქა მინერალური წყალი დალიეთ. ის ორგანიზმს სასარგებლო ნივთიერებებით ავსებს, საჭმლის მონელებას აუმჯობესებს და შიმშილის გრძნობას თრგუნავს.

დროდადრო კარგია, თუ მიირთმევთ ცივ საკვებს. გახსოვდეთ, კუჭი არასოდეს ამუშავებს საკვებს, რომლის ტემპერატურა სხეულის ტემპერატურაზე დაბალია. მას ჯერ გაათბობს, ამაზე კი ზედმეტი კალორიები იხარჯება.

გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

## ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 60 წლის ქალბატონი. ექოსკოპიაზე დამიდგინეს მარჯვენა თირკმელზე დიდი ზომის კისტა – 55 მილიმეტრის დიამეტრით. საჭიროა თუ არა რაიმე მკურნალობა ან ოპერაცია?**

**პასუხი:** ჩვეულებრივ, ასეთ დროს რეკომენდებულია დაკვირვება 6 თვეში ერთხელ და ტრავმის თავიდან აცილება, თუმცა საბოლოოდ საკითხი ნეფროლოგმა უნდა გადაწყვიტოს.

**კითხვა: ვარ 21 წლის. ბავშვობიდან მაქვს ქრონიკული სურდო. მაინტერესებს, თუ იკურნება და რა საშუალებას მირჩევდით?**

**პასუხი:** ასეთი სურდო უფრო ხშირად ალერგიასთან არის დაკავშირებული და წარმოადგენს მის ერთ-ერთ ფორმას. უნდა დაინიშნოს შესაბამისი მკურნალობა. შეგიძლიათ, მიმართოთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს ან ალერგოლოგს. სამწუხაროდ, დაავადება არცთუ იშვიათად ხასიათდება ქრონიკული მიმდინარეობით.

**კითხვა: აბორტის შემდეგ რამდენ ხანში შეიძლება წყალში ჩასვლა?**

**პასუხი:** იდეალურ შემთხვევაში, სასურველია, აბორტის შემდგომი პირველი მენსტრუაციის დასრულების შემდეგ. თუ თქვენთვის ეს ძალიან დიდი დროა, წყალში ჩასვლის მომენტისთვის არ უნდა გქონდეთ არანაირი გამონადენი. ადრეული ბანაობის შემთხვევაში დიდია ინფიცირების რისკი.

**კითხვა: რა იწვევს „ეგზოსტოზს" და აუცილებელია თუ არა ოპერაცია?**

**პასუხი:** ეგზოსტოზი არის ძვლოვანი ან ძვლოვან-ხრტილოვანი წანაზარდი ძვლის ზედაპირზე. მისი გამომწვევი მიზეზებია: ანთებითი პროცესი, ძვლისაზრდელასა და ხრტილის ანომალიები, ტრავმა, ინფექციური დაავადებები, ენდოკრინული სისტემის პათოლოგიები. მკურნალობა მხოლოდ ქირურგიული გზით შეიძლება, რაც გაზრდილი ძვლოვანი ქსოვილის მოკვეთას ითვალისწინებს.

**კითხვა: ამბობენ, მჭადი არ ასუქებსო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

**პასუხი:** მჭადი შეიცავს კალორიათა არცთუ მცირე რაოდენობას. ამიტომ, დიდი ოდენობით მირთმევისას, შესაძლოა, წონაში მატებაც გამოიწვიოს.

**კითხვა: რა ფორმით მიღებისას არის უფრო ეფექტური სტაფილო – წვენის სახით თუ ცოცხლად?**

**პასუხი:** მეტი ეფექტისთვის უმჯობესია, სტაფილოს ახლად გაწურული წვენი მიირთვათ.

**კითხვა: მაქვს ჭარბი ოფლიანობა, ფარისებრიც და სხვა ჰორმონებიც წესრიგში მაქვს. მართებულია თუ არა ამ დროს ბოტოქსის გაკეთება?**

**პასუხი:** ბოტოქსის ინიექციები იღლიის არეში არის ჭარბი ოფლიანობის მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდი.

**კითხვა: მაწუხებს ყურები, ყველაფერი თითქოს შორიდან მესმის. რა შეიძლება იყოს მიზეზი?**

**პასუხი:** შესაძლოა იყოს ყურში ეგრეთ წოდებული გოგირდოვანი საცობი ან შუა ყურში მიმდინარე ანთებითი პროცესი. გირჩევთ, მიმართოთ ოტოლარინგოლოგს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# ვის უჩქმიტა მწარედ „ერთ ადგილას“ დერიუგინმა და ვინ გაშიშვლდა სპეციალურად მისთვის ტრიბუნაზე

„საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში ნიკოლოზ დერიუგინი იყო ყველაზე ეშმაკი და ჭკვიანი მოთამაშე იმათ შორის, ვინც მინახავს და მახსოვს. სწორედ საკალათბურთო ეშმაკობით უგებდა ის უფრო მაღალ და ფიზიკურად ძლიერ მეტოქეებს: ბელოსტენის, ტკაჩენკოს, საბონისს და სხვებს. დერიუგინს არ ჰქონდა განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემები და მაღალი ნახტომი, მაგრამ გიგანტებთან ჭიდილში, მეტწილად, გამარჯვებული გამოდიოდა. მისი მთავარი კოზირი იყო სწრაფი აზროვნება და ტექნიკური მრავალფეროვნება. ის ქართველი ერის დიდი შვილია, ოღონდ – რუსული გვარით“, – ამბობს საბჭოთა კალათბურთის ვარსკვლავი სერგეი ტარაკანოვი. დღეს გადაგიშლით ერთი ქუთაისელი, „ზასტაველი“ ბიჭის ცხოვრების დღიურებს და ფოტოალბომს, რომელსაც ბურთის თავგანწირულმა სიყვარულმა კალათბურთის სამყაროში ფართოდ გაუღო კარი და ვარსკვლავად აქცია.





ნიკოლოზ დერიუგინი 1959 წელს ქუთაისში დაიბადა. ვარჯიში უდიდეს მწვრთნელთან, სულიკო თორთლაძესთან დაიწყო. 16 წლისა თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა, 19 წლისა – საბჭოთა კავშირის ნაკრებში. იყო ევროპის ჩემპიონი, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი. 1982 წელს კი, მსოფლიო ჩემპიონი გახდა. 26 წლის ასაკში მიღებულმა უმძიმესმა ტრავმამ დერიუგინი დიდ კალათბურთს ჩამოაშორა, მაგრამ კალათბურთიდან არასოდეს წასულა. სპორტი დღემდე მისი ცხოვრების მთავარ საქმედ დარჩა. პირველი ქორწინებიდან ჰყავს ვაჟი – ნიკოლაი დერიუგინი, რომელიც წარმატებული კალათბურთელია ამერიკაში, დასავლეთ ვირჯინიის შტატში. ამჟამად მას ჰყავს მეუღლე მადონა ცაავა და ქალიშვილი ანა, რომელიც ტანვარჯიშს ეუფლება და მოდელობაც ძალიან უნდა.



(წინა პლანზე) ნიკოლოზ დერიუგინი

## ყველაფერი ასე დაიწყო...

მამაჩემი ტყიბულში დაიბადა და გაიზარდა, მერე დაქორწინდა და მთელი ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში გადმოვედით. მაშინ 5-6 წლის ვიქნებოდი. სახლის წინ ვთამაშობდი ხოლმე კალათბურთს. ერთხელაც, მამაჩემის მეგობარმა გაიარა მანქანით. შემამჩნია, როგორი მონდომებით ვთამაშობდი. მამას ურჩია, სულიკო თორთლაძესთან მივეყვანე. სულიკო თორთლაძე საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ბევრი დიდი კალათბურთელის აღმომჩენი, პატივსაცემი პიროვნება გახლდათ. მიმიყვანეს და აღარც გამომიშვა, თუმცა მაშინ არც განსაკუთრებული მონაცემებით და არც სიმაღლით გამოვირჩეოდი. ბატონი სულიკო მთელ გუნდს ჩემთვის ათამაშებდა. თუ პასს არ მომაწოდებდნენ, „შე შობელძაღლოო“ – უკმაყოფილო დაუყვირებდა. 16 წლისა უკვე თბილისის „დინამოში“ გადმოვედი. ჩვენი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი იყო. ჩამოსვლისთანავე მითხრა: მე სულიკო თორთლაძე არ ვარ, თვითონ უნდა მოძებნო საკუთარი ადგილი გუნდშიც და მოედანზეცო. მისი სიტყვები ძალიან წამადგა. „ცსკათან“ თამაშისას ერთ მატჩში 59 ქულა მოვაგროვე. ამას მთელი ამბები მოჰყვა. გაზეთებში დაიწერა, ყველა ჩვენზე ლაპარაკობდა. ბედნიერი ვარ, რომ გენიალურ კალათბურთელთან ერთად მომიწია თამაში. არ დამავიწყდება მიხეილ ქორქია. თვითონ კი არ ისროდა ბურთს, მე მაწოდებდა, რომ შანსი მოეცა. მერე სსრკ-ის ნაკრებში ამიყვანეს. დამინიშნეს ხელფასი – 350 მანეთი. „დინამოში“ კი არაფერს მიხდიდნენ. მაშინ არ შეიძლებოდა გქონოდა ორი ხელფასი, ორი მანქანა, ორი ბინა... 1980 წელს მომცეს ეს ოროთახიანი ბინა, ასი კვადრატული მეტრი. ერთი ამბავი ატეხეს ამაზე – ერთ კაცს ამხელა ბინა არ ეკუთვნისო. ჯერ კიდევ არ ვიყავი დაოჯახებული. მერე გავიგე, რომ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებს – კაპუსტინს და ბოროდაჩევს ხელფასი 600-700 მანეთი ჰქონიათ. მე კი, თავს ვიკლავდი მოედანზე, ძალ-ღონეს არ ვიშურებდი და მხოლოდ ნაკრებიდან მიხდიდნენ.


ნიკოლოზ დერიუგინი ძმასთან ერთად

## დერიუგინისთვის გაშიშვლებული გულშემატკივარი და „ჯანდაბაში“ ნასროლი ბურთი

ყოველთვის დიდ სიყვარულს და პატივისცემას ვგრძნობდი გულშემატკივრებისგან და ხშირად ჩვენს მოგებაში სწორედ გულშემატკივარს შეუტანია დიდი წვლილი. ეს ძალიან დიდი სტიმული იყო, თუმცა სხვაგვარადაც ყოფილა საქმე. მაგალითად, მიშა ქორქიას ნაამბობიდან ვიცი, ერთხელ როგორ გამოიყვანა წყობიდან გულშემატკივარმა. თამაშის დროს ვიღაცას ცოლი შეუგინებია მისთვის. მიშას თამაში მიუტოვებია, აჭრილა ტრიბუნაზე, ასი კაციდან ის ტიპი ამოუცნია და კარგად მიუთეთქვავს. ჩვენს დროს სხვა რაღაცეები უფრო იყო. ჩვენს თამაშებს ხშირად ესწრებოდნენ ქალები. არ დამავიწყდება, ერთხელ ჯარიმას ვისვრი. კალათას დავუმიზნე და... უცებ ვხედავ, ტრიბუნაზე ვიღაც ადგა, ქურქი გადაიხსნა და შიშველი მეჩვენა. ისე გავოგნდი, ბურთი ყველა ტრიბუნას გადავაცილე.



## დერიუგინის მამის მამა

17-18 წლის ვიყავი როცა დიდ სპორტს ვეზიარე. უკვე თბილისის „დინამოში“ ვთამაშობდი. შეუმჩნეველი არ დავრჩენილვარ ლეგენდარულ მწვრთნელს ვლადიმერ გომელსკის. ერთხელაც, სსრკ-ის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ცსკა“ ჩამოვიდა. ის თამაში მაშინ წავაგეთ, მაგრამ თავი არ დაგვიზოგავს, 59 ქულა შევძინე ჩვენს გუნდს. ეს უზარმაზარი წარმატება იყო. მატჩის შემდეგ გომელსკიმ რუსეთში გადასვლა შემომთავაზა – ბინა, მანქანა, კარგი ხელფასი, ყველაფერი გექნებაო. ჩემი ასაკის ბიჭისთვის ეს შოკისმომგვრელი წინადადება იყო და ცოტა არ იყოს, დავიბენი, არ ვიცოდი რა მეპასუხა. აბა, რას იტყვი, თანახმა ხარ? არ ვიცი, მამაჩემს უნდა ვკითხო-მეთქი, ვუპასუხე. ამ დროს მამაჩემი და დედაჩემი ფოიეში იყვნენ და ყავას მიირთმევდნენ. მივიდა მამაჩემთან და ეუბნება – მე მინდა, თქვენი შვილი ჩვენთან გადავიყვანოო... ახლა მამაჩემი ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში და დაიბნა. სად, ბატონო?.. – ჩვენთან... – მერე ჩვენ? – ჰკითხა მამამ. თქვენც გადმოხვალთ რუსეთში. ბინა, მანქანა, ხელფასი, პრივილეგიები... – დაიწყო თავიდან გომელსკიმ. იცით, მამაჩემს უნდა ვკითხო და თუ თანახმა იქნება... – გადაირია გომელსკი. ეს რა ხალხში მაქვს საქმე, რავა ყველა მამამისს ეკითხება სად წავიდ-წამოვიდესო. იფ-


(წინა პლანზე) დერიუგინი მეგობართან ერთად



ნიკოლოზ დერიუგინის ხელის მოწერის დღე

იქრა, ალბათ, ქართველების ტრადიციაა ასეთიო და ისევ ეკითხება მამას – კი, ბატონო და, სად ვნახო მამათქვენიო. ძალიან შორსაა, ჩემო ბატონო! –თქვენ მითხარით, სადაა და დანარჩენს მე მოვაგვარებო. საფიჩხიაზეო – უპასუხა მამამ. ყველაფერი გასაგებიაო, – შებრუნდა და წავიდა ჩაფიქრებული. თურმე ჩვენს მსაჯთან მისულა და უკითხავს, სადაა საფიჩხიაო. რაშია საქმე, რატომ მეკითხებიო. დერიუგინის მამის მამა ყოფილა იქ და იმ კაცის ნახვა მაინტერესებსო.



მშობლები

აბა, რა იცოდა გომელსკიმ, რომ ბაბუაჩემი კარგა ხანია ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე განისვენებს. მამაჩემმა თქვა, რომ იგი მამამისის საფლავს არასოდეს მიატოვებდა. ასე დავრჩი საქართველოში.

### დერიუგინისგან გათიშული ტკაჩენკო

80-იანი წლებია. თბილისში მეტოქეთა რისხვა, კიევის „სტროიტელი“ ჩამოვიდა „დინამოსთან“ სათამაშოდ. თავი მოიკალი და როგორც გინდა ტკაჩენკო გათიშეო, – მივიღე ლევან მოსეშვილის დავალება. გათიშე კაია... მთელი „სტროიტელი“ ტკაჩენკოზე დგას. ფიზიკურად ძალიან ძლიერი და ნიჭიერი ეს კალათბურთელი მოწინააღმდეგის დაცვას შიშის ზარს სცემდა. მოკლედ, დაიწყო თამაში. პირველ ტაიმს მინიმალური ანგარიშით ვაგებთ. ტკაჩენკოს ვერაფერს ვუხერხებ, მხოლოდ რამდენიმე პერსონალური „ავკიდე“. დაიწყო მეორე ტაიმი. დაიძვრება გრიგალივით ტკაჩენკო და დააკავე, თუ ბიჭი ხარ. არადა, იგებს კიევი. გვიგებს ეს კაცი მთელ გუნდს. მოსეშვილი ისეთი თვალებით მიყურებს, დროზე რაღაც თუ არ მოვიმოქმედე, ვიძირებით. მატჩის არბიტრიც ძალიან მონდომებულია, ვერაფერს გამოაპარებ. ვერცხლისწყალივითაა, წამში რომ აქაა, მეორე წამში გვერდით გიდგას. ვფიქრობ ახლა, ისეთი მომენტი შევურჩიო, როცა მე, ტკაჩენკო და მსაჯი ერთ ხაზზე აღმოვჩნდებით. მარტივად რომ ვთქვა, ტკაჩენკო უნდა მფარავდეს მსაჯის თვალისგან. ნანატრი წამიც დადგა. ვხედავ ტკაჩენკო მოიწევს ჩვენი კალათისკენ, მივვარდი. მეტოქე რაღაც მომენტში ჩემკენ ზურგით შეტრიალდა. რაღაც წამებში შევამჩნიე, რომ არბიტრი ვერ მხედავს და უცებ... ტკაჩენკოს ისეთი ძალით ვუჩქმიტე საჯდომზე, რომ თვითონ მეტკინა თითები. გამწარებულმა გაიქნია ამხელა ხელი და მომხვდა პირდაპირ სახეში. გადავვარდი, ორი სალტო სპეციალურად გავაკეთე ზედმეტად, რომ ამით მისი უხეშობა კარგად მეჩვენებინა. მსაჯმა ბოლომდე არ „ჭამა“ და ორივე გაგვაძევა მოედნიდან სპორტული ხულიგნობისთვის. მაგას დავეძებდი? მთავარი ის იყო, რომ ტკაჩენკო მოედანზე აღარ იყო. ის მატჩი დამაჯერებლად მოვუგეთ „სტროიტელს“.

### ერთი ყუთი „ხვანჭკარა“, ჩაშუშულის სუნისგან დაცემული ძაღლი და 52 ზომა ბოტასი

გავიდა წლები. „სტროიტელი“ ისევ გვეწვია თბილისში. კიეველები სასტუმრო „აჭარაში“ დაბინავდნენ. მატჩის წინ, დილით ადრე ტკაჩენკო სახლში მირეკავს. კოლია, ხვალ მაგისთვის არ გვეცლება და ერთი რამე უნდა გთხოვოო. ვიფიქრე, რა უნდა მთხოვოს თბილისში ჩამოსულმა სტუმარმა კაცმა ისეთი, რომ ვერ შევუსრულომეთქი. ჩემს ცოლს ძალიან მოსწონს ქართული შავი ღვინოო. „ვსიო იასნა“! – ვუთხარი. გავვარდი მაღაზია „საჭაშნიკეში“ და ერთი ყუთი „ხვანჭკარა“, სპეციალურად გაფორმებული სტუმრისთვის, გამოვიტანე და ნომერში ავუტანე. შევედი ოთახში და ვხედავ, კაცს სახეზე ფერი არ ადევს.



ნიკოლოზ დერიუგინი მამასთან და ძმასთან ერთად

მოხდა რამე? – ვეკითხები. „ბოტასი, ბოტასი უკრალი“... – „კაკ უკრალი“? – „ა ტაკ“! (ვაი, შენს კოლიას, მოგვეჭრა თავი – ვფიქრობ) არადა, მგონი, 52 ზომა ფეხი აქვს, ფეხშიშველი ხომ არ გამოვა სათამაშოდ? აბა, მილიცია, აბა, პოლიცია, ძაღლიც მოიყვანეს. სად „ეყენა“ თქვენი ბოტასებიო, – ეკითხებიან. „პოდ კრავატო“... – სულ გადაქექეს იქაურობა, ვერც ძაღლმა აიღო გეში, მგონი, მშიერი იყო და რესტორნიდან გემრიელი ჩაშუშულის სუნი რომ ამოდიოდა, სულ იქითკენ იქაჩებოდა. დავანებოთ ყველაფერს თავი, მაგრამ როგორ გავა თამაშზე?.. თავის მოჭრაა პირდაპირ. ისევ ჩვენმა ორგანოებმა ივაჟკაცეს და პირდაპირი თუ ტრანზიტული რეისით კიევიდან ჩამოუტანეს ბოტასები თამაშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე. დღემდე არაა ცნობილი იმ ბოტასების ადგილსამყოფელი. ალბათ, რომელიღაც გულშემატკივარს უდევს პიანინოს თავზე სუვენირად. ისე კი, გულშემატკივრობასაც თავისი წესი და პეწი აქვს... ყველაფერი კი არ უნდა იკადრო!



ნიკოლოზ დერიუგინი მამასთან ერთად

**ეკა პატარაია**

## რატომ დაანგრიეს ლავრენტი ბერიას ბრძანებით თამამშევის ქარვასლა-თეატრის შენობა და რა ისტორიები უკავშირდება „ტილიპუჭურას“ დუქანს

(23-ე გვერდიდან)

სადაც დასავლეთ საქართველოდან ჩამოსული ქალაქის სტუმრები ჩერდებოდნენ. იაფიანი იყო, თუმცა კეთილმოწყობილი. კაი ხანს აკაკი წერეთელი იყო გაჩერებული ამ სასტუმროში, რამდენიმე თვე იცხოვრა და გადმოცემით ამბობენ, რომ სწორედ აქ დაასრულა მან რომანის „ბაში-აჩუკის“ დაწერა. ამბობენ, რომ წერეთელი ფულს არ უხდიდა ამ მედუქნეს და ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, სხვების შეგროვილი ფულით გაუსტუმრა ვალი ქამელოვს. კიდევ ერთი ისტორია: ალექსანდრე ყაზბეგი მავან ყმაწვილკაცებს მაგრად უცემიათ ამ „ტილიპუჭურას“ დუქანში. ცუდი სიმთვრალე ჰქონია და ამის გამო. ქარვასლაში კიდევ ერთი ცნობილი დუქანი იყო, სახელად „ფანტაზია“, თუმცა თბილისში კიდევ ერთი რესტორანი იყო ამ სახელწოდებით, რომელიც კოჯრის გზაზე იყო გახსნილი. „ტილიპუჭურას“ დუქანს უკავშირდება კიდევ ერთი ლეგენდა: თითქოს სტალინი და კამო სწორედ ამ დუქნიდან გამოცვივდნენ და თავს დაესხნენ კავკასიის ფოსტის ეტლს, რომელსაც ფული გადაჰქონდა.



ტრამვაის გაჩერება ქარვასლასთან, 1910-იანი წლები

1934 წელს გასაბჭოებული საქართველოს სათავეში მოსულმა ლავრენტი ბერიამ მაშინდელ ზაკფედერაციის და ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე არსებული თამამშევის ქარვასლის შენობის დანგრევის და მოედნის სივრცის გათავისუფლების ბრძანება გასცა. ისტორიული შენობა კომუნისტებმა მიწასთან გაასწორეს და მის ადგილზე მარმარილოს ტრიბუნა ააგეს. შემდგომ ეს ტრიბუნა ვლადიმირ ლენინის ძეგლმა ჩაანაცვლა, ხოლო ამჟამად ქარვასლის ადგილზე ზურაბ წერეთლის წმინდა გიორგის მონუმენტი დგას.



ლავრენტი ბერიას სახელობის მოედანი, 1930-1940-იანი წლები

**უშანგი რუხაძე**



**ნებისმიერი ჩვენგანის სურვილია, დალაგებული, უპრობლემო და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდეს, თუმცა, ეს არც ისე ადვილია. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი მანანა ამბობს, ცხოვრების ასაწყობად თავად უნდა მივიღოთ ზომები: სწორად დავგეგმოთ ყოველი ქცევა თუ მოქმედება და ჩვენს სასარგებლოდ შემოვაბრუნოთ მოვლენები.**

# რაზეა დამოკიდებული ბედისწერა და რატომ არ უნდა დაგავოთ იატაკი, როცა ოჯახის წევრი გზაშია

**მანანა**: ყველა თავის წილ დარდს, საიდუმლოსა და ტკივილს დაატარებს. თუმცა, ცოტამ თუ იცის, რომ შეგვიძლია, ჩვენი ცხოვრება უფრო სასიამოვნო, სახალისო, ბედნიერი და წარმატებული თავადვე გავხადოთ. კერძოდ, არსებობს წესები, ყველა ოჯახში რომ უნდა დაიცვან. ამით უბედურებას, უიღბლობასა და უფულობას აიცილებენ თავიდან. ასეთი წესები კი არც ისე ბევრია და მათი შესრულება თუ გათვალისწინება აუცილებელია. მაგალითად, საღამოს მაგიდაზე თავლია ჭურჭლის დატოვებამ ღამით საცხოვრებელში ბოროტების გავრცელება იცის; გაბზარული ან გატეხილი ჭურჭლის შენახვას უბედურება მოაქვს; ღამით მაგიდაზე დანის ან რაიმე მჭრელი საგნის დატოვებას უსიამოვნებები მოსდევს ოჯახის წევრებს შორის; სხვისი ნივთის ან ტანსაცმლის ტარებამ ბედის შეცვლა იცის; ნუ დაგვით იატაკს, თუ ოჯახის რომელიმე წევრი გზაშია; ნუ გექნებათ სახლში ორი ცოცხი – ის ბედზე ცუდად აისახება და არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან კონფლიქტის მიზეზი გახდეს. ასეთი უამრავი რჩევაა და ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ასევე, გეტყვით, რომ ბედისწერა მჭიდროდაა დაკავშირებული ავგაროზებსა და თილისმებზე.

**– თილისმასა და ავგაროზს შორის რა განსხვავებაა?**

– თილისმა არის ნივთი, რომელიც რაიმე კონკრეტული შემთხვევისთვისაა შექმნილი. მისი დამზადებისას გათვალისწინებულია ფორმა, მასალა და შეფერილობა. ამის შემდეგ, თილისმა იწყებს საჭირო ენერგიის გადმოფრქვევას იმაზე, ვინც მას ატარებს. ავგაროზი კი ნებისმიერი ნივთი შეიძლება იყოს. თუ მას დადებითი ენერგიით დამუხტავთ, ის კოსმიურ პროგრამირებასთან დაგაკავშირებთ, ანუ – ბედისწერასთან. დღეს უამრავი ავგაროზი იყიდება, რომელსაც აწერია, კერძოდ რისთვის არის მისი ტარება სასურველი. მაგალითად: ბედის გასახსნელად, სიყვარულის საპოვნელად, ოჯახის გასამყარებლად, მატერიალური კეთილდღეობისთვის თუ კარიერის მოსაწყობად. გაფრთხილებთ, მათი გაუთვითცნობიერებლად შეძენა და ტარება საშიშია და არა ბედნიერების მომტანი ან დაცვის ძალის მატარებელი. არასწორად შერჩეული ავგაროზი არღვევს კავშირს ბედისწერასთან და მისი გავლენა, შესაძლოა, უკიდურესად ნეგატიურიც კი აღმოჩნდეს. ევროპის ბევრ ქვეყანაში ასეთი რამეების მეტად სჯერათ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ბიზნესის დამცავ ავგაროზზე. ბიზნესმენი, რომელიც ასეთ ნივთს ატარებს, მას თავისთავად მუხტავს თავისი ენერგიით, ის კი გადასცემს ინფორმაციას მოსალოდნელი არასასურველი მომენტების შესახებ, რომლებიც მისი ქვეცნობიერისთვის კოსმიური პროგრამების საშუალებითაა ცნობილი. ჩვენთან ავგაროზები კუსტარულად მზადდება და მას არანაირი დანიშნულება არ აქვს. უცხოეთში კი ამაზე პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსთა მთელი ჯგუფი მუშაობს.

**– როგორ უნდა ატაროს ადამიანმა ავგაროზი, რომ მან სიკეთე და ბედნიერება მოუტანოს პატრონს?**

– ავგაროზი მუდამ თან უნდა გქონდეთ, უნდა ეხებოდეთ, ხედავდეთ, გრძნობდეთ. ავგაროზი, რომელიც წარმატებების მომტანია ერთი პიროვნებისთვის, მეორისთვის, შესაძლოა, სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს. ამიტომ, სხვისი ავგაროზი თქვენ არ გამოგადგებათ – ის ინდივიდუალურია და ყველას თავისი უნდა ჰქონდეს. ბევრი მეკითხება, იქნებ, დაგვაკვალიანოთ და მოგვცეთ რჩევა, როგორ შევარჩიოთ სწორად ავგაროზი, რომ მან მთელი წლის განმავლობაში წარმატება და ბედნიერება მოგვიტანოსო. ახლა მეძლევა საშუალება, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან გავცე მათ პასუხი: ავგაროზის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ, უმჯობესია, ის გლუვი იყოს და მახვილი კუთხეები არ ჰქონდეს. მახვილი კუთხეები ხელს უწყობს ნივთიდან ენერგიის გამოდინებას. აუცილებელია, რომ ავგაროზი, როგორც ნივთი, ძალიან მოგწონდეთ, გსიამოვნებდეთ მისი ყურება და შეხება – ასე მისი დამუხტვაც ადვილად ხდება, რადგან, ენერგეტიკული კავშირი მყარდება ნივთსა და თქვენ შორის. ავგაროზი იოლად იმუხტება, თუ ის სხეულს ეხება. ამიტომ, უმჯობესია, ის გულზე დაიკიდოთ. ძილის წინ ადამიანი კონკრეტულ საკითხზე ფიქრობს, საკუთარ თავში იკეტება, აკეთებს ანალიზს, აწყობს გეგმებს; ძილის დროს კი ქვეცნობიერი განაგრძობს ამაზე მუშაობას და გულზე დაკიდებული ავგაროზი ნელ-ნელა იმუხტება. დილით მას სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლია მისი მფლობელისთვის. ასე რომ, ავგაროზსა და ბედისწერას შორის უდიდესი კავშირია და ეს უნდა გახსოვდეთ.

**გათვალვის არიდება უფრო იოლია, ვიდრე მისგან განკურნება, რადგან, ასეთი დაავადება ჩვეულებრივი წამლებით არ იკურნება**

**– თილისმის ფერსაც აქვს მნიშვნელობა?**

– თილისმის ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. უძველესი მაგიური ფერებია ცისფერი და წითელი. რუსეთის ზოგ სოფელში წითელი და ცისფერი ლენტებით დღესაც რთავენ ცხოველებსა და ბოსტანში დარგულ მცენარეებს – ფიქრობენ, რომ ასე იცავენ მათ საშიშროებისგან. გათვალვის საწინააღმდეგოდ კი გამოიყენებოდა თეთრი და შავი ფერები. უფრო რთულად იყო საქმე ყვითელ ფერთან. გადმოცემის თანახმად, ადამიანი, რომელიც ოკულტური გავლენისადმი მგრძნობიარეა და ადვილად იღებს თვალს, არ იცვამს ყვითელ ტანსაცმელს; უფრო მეტიც – ყვითელი ფერის საგნების გარემოცვაში თავს მოუსვენრად გრძნობს. ძველად საქართველოში მიაჩნდათ, რომ ხმაურით ავ და ბოროტ სულებს ადვილად დააფრთხობდნენ. კერძოდ, ხმაურის საშუალებით ადვილად აძევებდნენ ბოროტ ძალას და მის ავ საქმეებს უშლიდნენ ხელს. ასევე, ბოროტებას ადვილად აფრთხობს ხელების ტკაცუნი და ძაღლის ყეფა.

**– გათვალვის არიდება უფრო ადვილია თუ მისგან განკურნება?**

– რასაკვირველია, გათვალვის არიდება უფრო იოლია, ვიდრე მისგან განკურნება – ასეთი დაავადება ხომ ჩვეულებრივი წამლებით არ იკურნება! ამიტომაც, გათვალული ადამიანები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ავი თვალი აიღეს და ამის გამო ცხოვრებაში სირთულეები შეექმნათ ან ბედი ჩაეკეტათ, მაშინვე მიმართავდნენ უძველეს მეთოდს, კერძოდ, წყლის, ნახშირისა და დანის საშუალებით ცდილობდნენ პრობლემის მოგვარებას. სხვათა შორის, ამ მეთოდს დღესაც იყენებენ ჩვენს მთიან სოფლებში, აღმოსავლეთის ქვეყნებში კი – ჩვილი ბავშვის დასამშვიდებლად, ხოლო მოზარდებში – ღამის ძილის მოსაწესრიგებლად.

**– ძილში მართლაც არის შესაძლებელი ადამიანის ბედისწერის შეცვლა?**

– ძილი არის ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც ადამიანს უხილავ ენერგეტიკულ სამყაროსთან აახლოებს და აკავშირებს. ამ ყველაფერს კი რეალურ, ფიზიკურ ცხოვრებასთან მიზეზშედეგობრივი კავშირი აქვს. ბედის შეცვლა სიზმარში მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანს ფხიზელი ცნობიერების შენარჩუნება შეუძლია, რაც ყველას როდი ძალუძს. სანამ დაძინებას გადაწყვეტთ, დადექით ონკანთან და გამდინარე წყალს დააკვირდით, შემდეგ ფანჯარასთან მიდით, მოდუნდით და ცას უყურეთ რამდენიმე წუთი. რამდენჯერმე გააკეთეთ ასე და, თავად დარწმუნდებით, რომ თქვენს ბედში სასიკეთო ძვრები მოხდება, სასიამოვნო სიზმრებიც გარანტირებული გექნებათ და დილით კარგ განწყობაზეც გაიღვიძებთ. საერთოდ, როცა ადამიანს კეთილი ზრახვები ამოძრავებს, ბოლმა და სამაგიეროს გადახდის სურვილი არ აქვს ქვეცნობიერში ჩადებული, კოშმარული სიზმრები არ ესიზმრება.

**ნონა დათეშიძე**

## ვითომ პრინცესა

რატომაც არა – თუ პრინცესა ხარ, ამას რა ჯობია. მაგრამ თუ არ ხარ, უმჯობესია, ამ როლში საერთოდ არ შეხვიდე. ზოგიერთი ახალგაზრდა ქალი, პირიქით ფიქრობს, რომ პრინცესას იმიჯს მოირგებს და ამით მოხიბლავს მამაკაცებს, მით უმეტეს, თუკი როლში ადრეულ ასაკში შევა. პრინციპში, თითქოს ადვილია: წამწამები გულუბრყვილოდ უნდა დაახამხამო, ტუჩები გაბუსხო და ყველაფერი გაიოცო. შენიშვნასაც ვერავინ მოგცემს. ბევრისთვის ნაცნობი ტიპაჟია, მაგრამ ძალიან წამგებიანი. მამაკაცები მხოლოდ დროებით ებმებიან ამ ანკესზე. „შემიყვარე ისეთი, როგორიც ვარ“, – ამბობს „პრინცესა“ და „რაინდმაც“ უნდა დაუთმოს, ყველაფერი გააკეთოს მისი სიამოვნებისთვის. მუდმივად ჩაიდინოს საქმენი საგმირონი და ყველა გააოცოს თავისი სიყვარულით. ძალიან იშვიათად მოიძებნება მამაკაცი, რომელიც ამაზე იქნება თანახმა.

უფრო ზუსტად – თითქმის არ მოიძებნება. იმიტომ, რომ მამაკაცები ასეთი „პრინცესებისგან“ ძალიან სწრაფად იღლებიან. ცუდი ის არის, რომ „პრინცესა“ ხასიათის საკმაოდ უარყოფით თვისებებს ავლენს. ის მფლანგველია, მშიშარა, ლაქლაქა... ყველა წვრილმანი სწყინს... მუდმივად თამაშობს... თითქოს გულმავიწყია და ცდილობს, თავისი წარმოსახვით შექმნილ სამყაროში იცხოვროს. კითხულობთ ამ ყველაფერს და არ მოგწონთ? – ბუნებრივია. მაშინ ნუ იქნებით „პრინცესა“. მამაკაცებს ჩვეულებრივი, შემდგარი და წარმატებული ქალები ურჩევნიათ – გამორჩეულები პიროვნული ღირსებებით.

## საამაყო არაფერია

საკუთარი ნაკლოვანებების საჯაროდ აფიშირება და ამით თავმოწონება საკმაოდ ცუდი თვისებაა. ასე ქალი თითქოს ალიბს იქმნის და თავს ისაწყლებს, მაგრამ სინამდვილეში შთაბეჭდილების მოხდენა სურს. „ოი, მე ისეთი მოუხერხებელი ვარ!“, „ვაიმე, ყველა და ყველაფერი როგორ მავიწყდება“, „ფული ჯიბეში არ მიჩერდება... ყველა თეთრს მაშინვე ვხარჯავ“... დანაშაულის აღიარებას ჰგავს, ხომ მართალია?! თუმცა, ეს თვითდამკვიდრების მცდელობაა და ზოგჯერ – წარმატებულიც. მაგრამ, უფრო ხშირად სრულ გაუგებრობას იწვევს და ურთიერთობას აფუჭებს. თითქოს გამოწვევასავით ჟღერს – „ხომ ხედავთ, მე თავად ვაღიარებ ჩემს სისუსტეებს – კეთილი ინებეთ და ამიტანეთ. სულაც არ მადარდებს თქვენი აზრი!“

წარმოიდგინეთ, უნდა მამაკაცს ასეთი ქალი გვერდით? ან რა საამაყოა ნაკლი. რატომ უნდა მოიწონო თავი იმით, რომ არაფერი გახსოვს?! ესეც თამაშია და საკმაოდ უნიჭო. ვერც ორიგინალური იქნებით და ვერც განსაკუთრებული. გაცილებით ჯობია, იყოთ ბუნებრივი და ნატურალური. მამაკაცი შეიძლება მოტყუვდეს, მაგრამ დიდი ხნით არა! პრობლემები აუცილებლად შეგექმნებათ და კონფლიქტიც გარდაუვალი იქნება.

ერთი სიტყვით, იმაყეთ მხოლოდ მიღწევებით. ქალს შვენის ბავშვობა, მაგრამ ეს ბუნებრივი უნდა იყოს.

## არ გაჩუმდე – თქვი!

შეყვარებულ ადამიანებს შორის საიდუმლო არ უნდა არსებობდეს – ასე მიაჩნია უმრავლესობას. გააჩნია, ამ საკითხს რომელი მხრიდან შევხედავთ. კრიზისი ცარიელ ადგილას არ ჩნდება. ანუ, არაფრისგან პრობლემას ვერ შექმნი... მართალია, ამის დიდოსტატებიც არსებობენ, მაგრამ იშვიათ გამონაკლისებზე ნუ ვისაუბრებთ.

თუკი არსებობს პატარა გამაღიზიანებელი ფაქტორი და ამაზე არავინ ილაპარაკებს, მოსახდენი აუცილებლად მოხდება. წყენა და უკმაყოფილება დაგროვდება და თუ ამ ყველაფერმა სპონტანურად ამოხეთქა, განხეთქილება გარდაუვალია. თუ რაიმე გაწუხებს ან გაინტერესებს, აუცილებელია, ბოლომდე გაერკვე. თქვი და ათქმევინე იმასაც – მერე ორივე შეეცადეთ, ერთმანეთს გაუგოთ.

დაძაბული ურთიერთობა სასიამოვნო ნამდვილად არ არის და შემდგომში ის ძალიან სერიოზულ პრობლემებსაც შობს. დაძაბულობა და გაღიზიანება შეიძლება, გადაიზარდოს სიძულვილსა და კონფლიქტებში.

საუბარი აუცილებელია. არ გაჩუმდე, თქვი, რაც განუხებს! თქვი – რომ თქვენს ურთიერთობაში კრიზისი კი არ გაჩნდა, არამედ შეკითხვები დაგროვდა, რომლებსაც ერთად უნდა უპასუხოთ.

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ უმიზეზო კრიზისი, როცა ობიექტურად ყველაფერი კარგად არის, შეიძლება დადგეს, თუკი წყვილი, უბრალოდ, დაიღლება ერთმანეთისგან; ან თავიანთ ცხოვრებას სხვისას შეადარებენ. მთავარია, ამისგან ტრაგედია არ შექმნათ. ნებისმიერი კრიზისის ნეიტრალიზება შეიძლება – მთავარია, არ გაჩუმდე და თქვა!

## ზოგჯერ კარგიც არის!..

მტკივნეული პერიოდები ჩვენს ცხოვრებაში საკმარისზე მეტია. მაგალითად, განშორება საყვარელ ადამიანთან... ეს შენი ინიციატივითაც რომ ხდებოდეს, მაინც ძალიან რთული გადასატანია. გონზე მოსასვლელად დრო აუცილებლად დაგჭირდებათ. ბევრი ნერვიულობის შემდეგ კი, მოვლენებს სალად შეაფასებთ და მიხვდებით, რომ რთული პერიოდები, ზოგჯერ კარგიც არის.

არასოდეს ეცადოთ, დააჩქაროთ მოვლენები. არ იფიქროთ იმაზე, რომ სიცარიელის შევსება შემთხვევითი რომანით ან გართობისთვის გამიზნული ურთიერთობით საუკეთესო ვარიანტია. ჯობია, იფიქროთ, რომ დროებითი სიმარტოვე აუცილებელი იყო, რათა მოვლენები სალად შეგეფასებინათ და ღირებულებები გადაგეფასებინათ.

რაც არ უნდა გააკეთოთ: შეიძულოთ საპირისპირო სქესი და თქვათ, რომ აბსოლუტურად ყველა ერთნაირია, არ შეიცოდოთ საკუთარი თავი და არაფერი ინანოთ.

მარტო ხართ? – ეს სულაც არ არის ტრაგედია. სამაგიეროდ, ახლა უამრავი დრო გაქვთ, იზრუნოთ საკუთარ თავზე, გარეგნობასა და კარიერაზე. გაერთოთ და დაისვენოთ ისე, რომ სინდისის ქენჯნამ არ შეგაწუხოთ. დრო მხოლოდ თქვენ გეკუთვნით და მას ისე მოექეცით, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ.

აღარ გაიმეოროთ დაშვებული შეცდომები. მერე რა, რომ სიყვარული წარუმატებლად დამთავრდა. ამაში თქვენი დანაშაული არ არის. ნამდვილად ღირს, კიდევ ერთხელ სცადოთ, გაგიმართლებთ!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რა აკავშირებდა ედი მერფის პოპის მეფე მაიკლ ჯექსონთან და რომელი ფილმისთვის წარადგინეს ის „ოსკარის“ ნომინაციაზე

***ედი მერფის პოპულარობის პიკი გასული საუკუნის 80-იანი წლებია. იმ პერიოდში კინოეკრანებზე გამოსული ფილმები: „პოლიციელი ბევერლი-ჰილზიდან“ და „მოგზაურობა ამერიკაში“ კინოგაქირავების რეკორდებს ამყარებდა და საკულტო ფილმებად მიიჩნეოდა. მერფი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო კომიკურ მსახიობად ითვლება და მისი პერსონა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში.***

* ედვარდ რეგან მერფი 1961 წლის 3 აპრილს დაიბადა ბრუკლინში, ნიუ-იორკის სატრანსპორტო პოლიციელისა და სატელეფონო ოპერატორის ოჯახში.



* ედის მამა 1969 წელს ტრაგიკულად დაიღუპა და დედა მეორედ გათხოვდა. ედი ნახევარძმებთან ერთად იზრდებოდა.

* ედის მამინაცვალი – ვერნონ ლინჩი ნაყინის მწარმოებელ ქარხანაში მუშაობდა და მათ მაცივარში სხვადასხვა სახის ნაყინი კილოგრამობოთ ინახებოდა.

* ედის სამსახიობო ნიჭი პირველმა მისმა მამინაცვალმა შეამჩნია და ყველანაირად ეხმარებოდა, რათა ბიჭს წარმატებისთვის მიეღწია.

* 15 წლის ასაკში ედი მერფი ახალგაზრდულ კლუბებში მაყურებლის წინაშე საავტორო მინიატურებით გამოდიოდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

* ედი მერფის ნიჭი კლუბ „კომიკ სტრიპის“ მფლობელებმა რობერტ უოქსმა და რიჩარდ ტინკენმა შეამჩნიეს. დამწყები კომიკოსი პოპულარულ ტელეშოუ „შაბათ ღამის ლაივში“ მიიყვანეს, სადაც დაიწყო კიდეც მერფის ვარსკვლავური კარიერა. ამავე გადაცემიდან გაიცნო მაყურებელმა ცნობილი ვარსკვლავები დენ ეიკროიდი და ჯეიმს ბელუში.

* ყველაზე კარგად მერფის პაროდიები გამოსდიოდა. სწორედ ამით მოიპოვა მან მაყურებლის სიყვარული. იგი ორჯერ იყო წარდგენილი პრესტიჟულ „ემის“ პრემიაზე, თუმცა ორივეჯერ მხოლოდ ნომინაციით შემოიფარგლა.

* როდესაც მერფის პოპულარობამ პიკს მიაღწია, გადაწყდა მისი გამოცდა მხატვრულ ფილმში. როლმა პოპულარულ ბლოკბასტერში „48 საათი“, სადაც მერფის პარტნიორი ცნობილი მსახიობი ნიკ ნოლტი იყო, ახალგაზრდა მსახიობს არნახული წარმატება მოუტანა. ცნობისთვის, თავდაპირველად „48 საათის“ სცენარი სილვესტერ სტალონესთვის იწერებოდა, თუმცა რემბომ უარი განაცხადა ფილმში თამაშზე და ბოლოს ედი მერფი მიიწვიეს.

* 1983 წელს ედი მერფის მონაწილეობით კიდევ ერთი სუპერპოპულარული კომედია გამოვიდა ეკრანებზე „ადგილების შეცვლა“, სადაც მერფის პარტნიორი იყო დენ ეიკროიდი.

* ედი მერფის ყველაზე ვარსკვლავურ როლად პოლიციელ აქსელ ფოულის პერსონაჟი ითვლება. სამი ნაწილისგან შემდგარი ბლოკბასტერიდან „პოლიციელი ბევერლი-ჰილზიდან“, კომედიური ჟანრის „ბოევიკში“ მერფიმ სრულად გამოაჩინა თავისი იუმორისტული ნიჭი და დღემდე ტრილოგიის პირველი ნაწილი ერთ-ერთ ყველაზე მაღალშემოსავლიან ფილმად ითვლება ჰოლივუდში.

* 80-იანი წლების ბოლოს ედი მერფიმ დააარსა საკუთარი კინოკომპანია „ედი მერფი პროდაქშენი“ და შავკანიან მსახიობებს კინემატოგრაფში დაფუძნების საშულებას აძლევდა.

* 1989 წელს ედი მერფიმ ბედი სცადა რეჟისორობაში და გადაიღო „ჰარლემის ღამეები“, თუმცა ფილმი ნაკლებად წარმატებული გამოვიდა.

* 90-იანი წლების დადგომამდე ედი მერფის უკვე უწოდებდნენ მსოფლიო კინოს კომედიის მეფეს, ხოლო მისმა ჰონორარებმა, საერთო ჯამში, ერთ მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ჰოლივუდში მერფის ხუმრობით „ოქროს ბიჭუნას“ უწოდებდნენ.

* ჟურნალ „ემფაირს“ ედი მერფი შეყვანილი ჰყავს ყველა დროის 100 საუკეთესო კინომსახიობის რეიტინგში.

* ცნობილი კინოფილმის, „ოქროს ბავშვის“ სცენარი თავდაპირველად მელ გიბსონისთვის იწერებოდა, თუმცა გადატვირთული გრაფიკის გამო, გიბსონმა უარი განაცხადა ფილმში თამაშზე და როლი ედი მერფის გადაეცა.

* ედი მერფი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი შავკანიანი მსახიობია ჰოლივუდში.

* ედი მერფის რომანი ჰქონდა უიტნი ჰიუსტონთან, სანამ ის ბობი ბრაუნს გაჰყვებოდა ცოლად.

* ედი მერფის კერპია ელვის პრესლი. მსახიობის სახლში ელვისის არაერთი პოსტერი ამშვენებს კედლებს.

* გარდა მსახიობობისა და რეჟისურისა, ედი მერფი გახმოვანებითაც არის ცნობილი. მაგალითად, იგი ახმოვანებდა ცნობილ ვირს ანიმაციური ბლოკბასტერიდან „შრეკი“.

* 2006 წელს კინოეკრანებზე გამოსულ მიუზიკლში „ოცნების გოგონები“ ედი მერფიმ, კარიერაში პირველად, სერიოზული დრამატული როლი შეასრულა და ამისთვის „ოსკარის“ ნომინაციით დაჯილდოვდა.

* კინოს გარდა, მერფი მუსიკითაც არის გატაცებული. იგი ჯგუფ „ზი ბას ბოისის“ ვოკალისტი იყო და 1983 წელს გამოსული ალბომისთვის – „კომედიან“ მან „გრემის“ პრესტიჟული ჯილდოც კი მიიღო. 80-იან წლებში მერფიმ კიდევ ხუთი ალბომის გამოშვება მოახერხა ჯგუფთან ერთად.

* ედი მერფის კარიერაში ერთ-ერთ ყველაზე წარუმატებელ ფილმად ითვლება თრილერი „ვამპირი ბრუკლინში“, სადაც მან ვამპირის, სახელად მაქსიმილიანის, როლი შეასრულა.

* ფილმში „მოგზაურობა ამერიკაში“ ედი მერფიმ რამდენიმე პერსონაჟი განასახიერა. იგივე განმეორდა ფილმ „შეშლილი პროფესორის“ გადაღების დროს.

* ედი მერფი მაიკლ ჯექსონის მეგობარი იყო. მას მონაწილეობა აქვს მიღებული პოპის მეფის ცნობილ კლიპში „რემემბერ ზი თაიმ“, სადაც ის ფარაონის როლს ასრულებს. კლიპში მერფის პარტნიორობას უწევენ კალათბურთის ვარსკვლავი მეჯიქ ჯონსონი და სუპერმოდელი იმანი.

* 1997 წლის მაისში ედი მერფი პოლიციის ეკიპაჟმა ავტომობილში ტრანსვესტიტ მეძავთან ერთად დააკავა.

* ედი მერფის ხანგრძლივი რომანი ჰქონდა ნიკოლ მიტჩელთან. 1993 წელს წყვილი ნიუ-იორკის „პლაზა“ ოტელში დაქორწინდა. მათ ხუთი საერთო შვილი ჰყავთ. 2006 წელს მერფი და მიტჩელი განქორწინდნენ, თუმცა ფაქტობრივად ერთად 2004 წლიდან არ ცხოვრობდნენ. მერფის ჰყავს ორი შვილი ტამარა გუდისთან და პოლეტ მაკნიკოლისთან. ორივე ბავშვის მამობა მან ოფიციალურად დაადასტურა. მიტჩელთან განქორწინების შემდეგ ედის რომანი ჰქონდა პოპულარული ჯგუფ „სფაის გერლზის” წევრთან, მელანი ბრაუნთან. 2007 წელს მელანის ქალიშვილი გაუჩნდა. თავდაპირველად: მერფი უარს აცხადებდა მამობის აღიარებაზე, თუმცა დნმ-ის ტესტმა დაადასტურა, რომ ის ბავშვის მამა იყო.



* 2008 წელს ედი მერფი კინოპროდიუსერ ტრეისი ედმონდსზე დაქორწინდა. წყვილი ნიუ-იორკში, ლონგ-აილენდზე ცხოვრობს.

* ედი მერფი ცნობილი ქველმოქმედია. ის პერიოდულად უწევს ფინანსურ დახმარებას შიდსთან მებრძოლ ორგანიზაციებს, აგრეთვე „მარტინ ლუთერ კინგის“ სახელობის კიბოსთან მებრძოლ საქველმოქმედო ფონდს.

**უშანგი რუხაძე**

სითი ფარმა
CITY PHARMA

ჯიპისი GPC

# ზღაპრული ფასები ჯიპისის და სითი ფარმას ქსელში!

## ყოველ ოთხშაბათს

20 ლარის ან მეტის დახარჯვის შემთხვევაში

მიიღეთ **წარმოუდგენლად დაბალი ფასი**

**ნებისმიერ მედიკამენტზე**



ასევე **ყველაზე დაბალი ფასები**

კოსმეტიკის, პირადი ჰიგიენის,

ბავშვის მოვლისა და კვების

**ყველაზე მოთხოვნად 30 პროდუქტზე.**

**პამპერსის სველი ხელსახოცი**




2,60 ~~3,65~~

**ბავშვის საფენი - პამპერსი 7-18 N54**




17,90 ~~25,55~~

**ელსევე შამპუნი**




3,40 ~~4,80~~

**ოლვეისი - ულტრა ნორმალი 4წვ**




2,90 ~~4,20~~

# როგორ აღმოჩნდა სიმსივნისგან სრულიად განკურნებული 55 წლის ქალბატონი და რა სასწაული მოახდინა „კამელინმა“

*„თბილისელების“ დახმარებით ჩვენს მკითხველს არაერთხელ მივაწოდეთ ინფორმაცია ნატურალური თაფლისგან დამზადებული ქართული პრეპარატის, „კამელინის“ ამპულების, კაფსულების, მალამოსა და სანთლების შესახებ. ბევრმა ადამიანმა სწორედ ჩვენს ჟურნალში გასული საინტერესო ინფორმაციის, პაციენტების ისტორიების წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა მისი გამოყენება და ხშირ შემთხვევაში, დადებითი შედეგებიც მიიღეს. ამ პრეპარატის შექმნის ისტორია დღეს არ დაწყებულა, ის დაახლოებით 60 წლის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში. როგორც ცნობილია, ის შექმნა ცნობილმა ქირურგმა და მეცნიერმა ბენედიქტე – ძაგული მაღლაკელიძემ, სწორედ იმ დროს, როდესაც არ არსებობდა ეფექტური საშუალება სხვადასხვა ბაქტერიული და სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ. ამ დროიდან დაიწყო პრეპარატის ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების ხანგრძლივი გზა. დღეს კი მიმდინარეობს „კამელინის“ თვისებების ახლებური კვლევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში.*



**ბატონი კობა გურიელიძე** *(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი):* ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოში ადამიანებმა ერთხელ და სამუდამოდ ისწავლონ, რომ ყველაზე უტყუარი მეთოდი კიბოს საწინააღმდეგოდ არის მისი პროფილაქტიკა – სწორი და ხარისხიანი კვება ცნობილია მრავალი პროდუქტი – მცენარეული თუ ცხოველური, რომლებიც შეიცავენ მეტად საჭირო ნივთიერებებს, რაც ხელს უწყობენ ადამიანის იმუნიტეტის ამაღლებას. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატები, რომლებიც მკვეთრად ზრდიან იმუნური სისტემის ეფექტურ მოქმედებას და შედეგად, კიბოს წარმოქმნის ალბათობაც მინიმალურ დონეზეა დასული. ამ პრეპარატებს იმუნომოდულატორები ეწოდება. სწორედ ასეთ შესანიშნავ იმუნომოდულატორს წარმოადგენს პრეპარატი „კამელინი“. იმუნური სისტემის გამაძლიერებელი პრეპარატების შესაქმნელად ამერიკასა და მთელ მსოფლიოში მილიარდები იხარჯება და სიამაყით მინდა ვთქვა, რომ „კამელინის“ სითხისა და კაფსულების ფორმამ უმოკლეს დროში წარმატებით გაიარა მეტად პრესტიჟული და რთულად გადასალახავი ბარიერი, რომელსაც ჰქვია ამერიკის კვებისა და წამლის სააგენტო და უპრობლემოდ შევიდა ამ ქვეყნისა და ევროპის ბაზარზე.

***დღეს ონკოლოგების გარკვეული ნაწილი უკვე ღიად საუბრობს „კამელინ მ1-ის“ და „კამელინ მ2-ის“ გამოყენებით მიღებულ იმ შედეგებზე, რომელიც მიღწეული იყო სხვადასხვა სიმსივნის, უმძიმესი დიაგნოზის – მე-4 სტადიის მქონე პაციენტებში. შედეგი ასეთია: ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევებში დროებით მოხსნაც, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება, მადისა და ენერგიის მატება, დეპრესიული ფონის მოხსნა, მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი. რაც მთავარია, ცოტა ხნის წინ ვესაუბრე ქალბატონს, რომელსაც საბერძნეთში ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. იქვე გაიკეთა ოპერაცია, მაგრამ წლების განმავლობაში საშინელი ტკივილები აწუხებდა. მოგვიანებით ჩაიტარა „კამელინით“ მკურნალობის 4 კურსი და როდესაც თბილისში ჩამოსულმა სრულფასოვანი გამოკვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ჯანმრთელი იყო და სიმსივნე აღარ ჰქონდა.***

**ნარგიზი ქლენტი**: 55 წლის ვარ, პროფესიით – მუსიკის მასწავლებელი. დაახლოებით ორი თვის წინ ჩამოვედი საბერძნეთიდან, ამიტომ ჯერჯერობით უმუშევარი ვარ. 2007 წელს ჩავედი საბერძნეთში, კერძოდ ქალაქ ათენში. დავიწყე მუშაობა და 4 თვეში მარცხენა ძუძუზე რაღაც გამომივიდა, გამაგრებული იყო. რა თქმა უნდა, გადავიღე მასტოგრაფია და მითხრეს, რომ სასწრაფოდ უნდა გამეკეთებინა ოპერაცია. რადგან საბერძნეთში ვალებით ვიყავი ჩასული, ამიტომ ოპერაცია ვერ გავიკეთე, ვიფიქრე: ვაითუ, ვეღარ ვიმუშაო და ვალები ვეღარ გავისტუმრო-მეთქი. მოკლედ, 6 თვის განმავლობაში არ გამიკეთებია ოპერაცია. სიმაგრე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. ბოლოს, 2008 წლის ოქტომბერში გავიკეთე ოპერაცია, ამომკვეთეს სიმსივნე.

– **რა იყო დიაგნოზი?**

– მეორე სტადიიდან მესამეში გარდამავალი ავთვისებიანი სიმსივნე. დავიწყე მკურნალობა: გავიკეთე ქიმიოთერაპია, სხივები. 5 წლის განმავლობაში, ყოველ 6 თვეში ერთხელ ვიკეთებდი ანალიზებს. არ იყო მაინცდამაინც კარგი პასუხები. მოკლედ, ისევ ცუდად ვიყავი, ტკივილები მქონდა. ერთ დღესაც ჩემმა ძმისშვილებმა დამირეკეს თბილისიდან, მომაწოდეს ინფორმაცია „კამელინის“ შესახებ და მირჩიეს, იქნებ გაიკეთოო. მალევე გამომიგზავნეს და დავიწყე „კამელინის“ კაფსულების დალევა. სანთლებიც გავიკეთე. მოკლედ, მალევე კარგად ვიგრძენი თავი, ამიტომ მკურნალობის ორი კურსი ჩავიტარე და გავჩერდი. მოულოდნელად მარჯვენა მხარეს არა მხოლოდ მკერდში, ბეჭშიც დამეწყო ძლიერი ტკივილები. ისეთი საშინელი ტკივილები მქონდა, საერთოდ არ მაძინებდა. ერთი წუთით არ ჩერდებოდა, შევშინდი, ვიფიქრე: ალბათ, მეორე ძუძუზეც გადავიდა სიმსივნე-მეთქი და მაშინვე გადავიღე მასტოგრაფია. დამამშვიდეს: ისეთი არაფერიაო. არ დავიჯერე და დავიწყე „კამელინის“ დალევა. მეხუთე კაფსულის მიღებიდან დღე-ნახევრის შემდეგ საერთოდ გამიქრა ტკივილი. ჩავამთავრე მკურნალობის კურსი. შემდეგ შევისვენე და ისევ დამეწყო ტკივილები. გავაგრძელე „კამელინით“ მკურნალობა და მეოთხე კურსის დამთავრების შემდეგ, დღემდე კარგად ვარ.

– **მხოლოდ „კამელინს“ იღებდით?**

– მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ „კამელინს“ ვიღებდი, სხვა არაფერი მიმილია და შემიძლია დავიფიცო კიდეც, რომ ის მოულოდნელი შედეგი, რაც მივიღე, მხოლოდ ამ პრეპარატის დამსახურებაა.

– **რას გულისხმობთ?**

– როგორც გითხარით, ცოტა ხნის წინ ჩამოვედი თბილისში. გადავწყვიტე ანალიზები გამეკეთებინა, გამომეკვლია კიდევ ერთხელ. ყველანაირი გამოკვლევა ჩავიტარე ჯერ ტატიშვილის კლინიკაში, შემდეგ სანდრა რულოვსის კლინიკაში და რადგან ვერაფერი მიპოვეს, მითხრეს: სრულიად ჯანმრთელი ხარო. არ ვიცი, სად გაქრა სიმსივნე! ონკოლოგიურში ჩემი ექიმი არის ჩემი ყოფილი მოსწავლე. მასთან მივედი და ვუთხარი: ბევრი ექიმი არ ცნობს ასეთ წამლებს, შეიძლება შენც გაგეცინოს, მაგრამ აქ ვარ ცოცხალი მაგალითი: რაც „კამელინით“ მკურნალობა დავიწყე, არც არაფერი მტკივა და არც არაფერი მაწუხებს-მეთქი.

– **საბერძნეთიდან წამოსვლის წინაც ჩაიტარეთ გამოკვლევები?**

– ბოლოს, წამოსვლამდე დაახლოებით 6 თვით ადრე ჩავიტარე გამოკვლევები. იმ დროს უკვე დაწყებული მქონდა „კამელინის“ მიღება და ორგანიზმი ნელ-ნელა დგებოდა მწყობრში. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თავად ვიგრძენი თავი კარგად. ანალიზებში უკვე იყო ცვლილებები. თავიდან ცუდი პასუხები იყო და „კამელინის“ მიღების შემდეგ, ანალიზის პასუხები უკეთესი გახდა. ანუ „კამელინის“ მიღებამდე საკმაოდ ცუდად ვიყავი. მქონდა ტკივილები. ვერც მარცხენა მხარეს ვწვებოდი, ვერც მარჯვენა მხარეს. გულაღმა რომ დავწვებოდი, მერე ზურგში მტკიოდა რაღაც. შესაბამისად, ნორმალურად ვერ ვიძინებდი. ხელი დღესაც გასიებული მაქვს, არ დამცხრალა. მაშინვე მითხრეს, როცა ლიმფოდენები ამოღებულია, ხელი არ დაცხრებაო, თან, თუ მძიმე სამუშაოს ასრულებ, მით უმეტეს არ ცხრება. ფიზიკურადაც სუსტად ვიყავი. ახლა კარგად ვარ, ყოჩაღად. თუ არა „კამელინმა“, სხვამ რამ განმკურნა? ამ პრეპარატის გარდა, სხვა არაფერი მიმილია! თუმცა ვერ ვიტყვი, რომ პირველი კურსის ჩატარების შემდეგ ვიგრძენი დიდი შვება. სამაგიეროდ, მეორე კურსის დაწყებისას აშკარად ვიგრძენი პროგრესი, შვება. მესამე კურსზე საერთოდ გაქრა ტკივილები. გამოკვლევებისას ეძებდნენ: იქნებ სადმე რამე არისო, მაგრამ არაფერია. სასწაულია ნამდვილი! ზოგჯერ ადამიანს რაღაცის არ სჯერა, სკეპტიკურად უყურებს, განსაკუთრებით ასეთ პრეპარატებს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში „კამელინმა“ მართლაც სასწაული მოახდინა. ამიტომაც ყველას, ვისაც რამე აწუხებს, ვურჩევ მის მიღებას, განსაკუთრებით მათ, ვისაც სიმსივნე აქვს. მე ავთვისებიანი სიმსივნის საკმაოდ მძიმე ფორმა მქონდა და დღეს წარმოიდგინეთ: ანალიზებში არაფერია. ყველანაირი ანალიზი გავიკეთე, ვერსად ვერაფერი იპოვეს: არც ჯირკვალი, არც მეტასტაზები. კიდევ მინდა მეხუთე კურსის ჩატარება, მაგრამ ცოტა ხანს ფინანსების გამო თავს ვიკავებ.

***P.S.** ამ ამბის მოსმენამ ჩემზე საოცრად იმოქმედა და დარწმუნებული ვარ, ბევრ ადამიანს გაუჩინა იმედი. ამიტომაც „კამელინთან“ დაკავშირებით, ვისაც აქვს საინტერესო ინფორმაცია, შეგიძლიათ, ჩვენს ჟურნალს მოაწოდოთ. ხოლო მათ, ვისაც სურს, ამ უნიკალური პრეპარატის შესახებ უფრო მეტი გაიგოს, ან გაიაროს კონსულტაცია, დარეკეთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89, 599 2-58-09-07, 599 23-03-33; 2-98-57-78, 2-71-04-80, 2-22-26-68, 2-93-20-87.*

**ნათია უტიაშვილი**

# საქართველოში დაზოგვის კულტურა იცვლება

**საქართველოს რეალობაში წლების განმავლობაში ფულის დაზოგვის სხვადასხვა მეთოდი არსებობდა, რომლებსაც დღესაც აქტიურად იყენებენ. თუმცა ოცდამეერთე საუკუნემ მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ რადიკალურად შეგვეცვალა ფულის დაზოგვის მეთოდები თუ საშუალებები.**

**განსხვავებული შემოსავლების მქონე 10 გამოკითხულიდან 8 გეტყვით, რომ მისთვის დაგროვება რთული და თითქმის შეუძლებელია. დღეს ფულის დაზოგვის თანამედროვე საშუალებები, ძირითადად, ბანკთან ასოცირდება, თუმცა მათ მოსალოდნელი რისკების ფონზე ძალზე რთული მექანიზმები შეიქმნეს, რაც საქართველოში არსებული სოციალური და არასტაბილური ეკონომიკური გარემო პირობების გათვალისწინებით, მომხმარებელთა უმრავლესობაზე, არცთუ ისე მორგებულია.**

**დღეს აღნიშნული პრობლემის დარეგულირებას გვთავაზობს ბანკი „კონსტანტა“. მან შექმნა ისეთი პროდუქტი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, დააგროვოს ფული მარტივად და მოხერხებულად. „კონსტანტას“ ახალი პროდუქტი „ინბოქსი“ საშუალებას აძლევს მომხმარებელს, შემოსავლების მიუხედავად, დააგროვოს თანხა, თუნდაც 50 თეთრიდან.**

**ინოვაციური პროდუქტის შემოღებით ბანკმა შეძლო, შეექმნა ერთგვარი ელექტრონული ყულაბა, რომელიც ადამიანებს ფულის დაგროვებისკენ მოუწოდებდა და მაში ძველი გამოცდილების ახალი ალტერნატივის გამოყენების სურვილს გააღვივებდა.**

**„ინბოქსი“ მაღალი ცნობადობით გამოირჩევა, რაც აქტიური სარეკლამო კამპანიის დამსახურებაა. თუმცა შესაძლოა, ყველა ვერ ხვდებოდეს, თუ რა არის „ინბოქსი“ და როგორ გამოიყენოს ის. პროდუქტის აქტიურ მომხმარებელთა უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს, რომ აქამდე ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ფულის დაგროვება ასე იოლად გახდებოდა შესაძლებელი.**

**უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად ბანკ „კონსტანტას“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსს ლაშა გოგუას გავესაუბრეთ:**

– ხშირად, თანხა ისე მარტივად და უცებ გეხარჯება, შეიძლება, უბრალოდ, ვერც კი მიხვდე. თუნდაც, ჯიბეში ჩარჩენილი 2-3 ლარი ისე გადავიხადოთ "რაღაცაში", შეიძლება, ვერც გავიხსენოთ, რაში ან რატომ დავხარჯეთ. „ინბოქსი“ კი, საშუალებას გვაძლევს, მაგალითად, შოპინგის შემდგომ მორჩენილი კონკრეტული თანხა შევინახოთ და არასასურველ შენაძენს თავი დავაღწიოთ. ყოველდღიურად ამ თანხის შეგროვება კი, საბოლოო ჯამში, ძალიან დადებით ფინანსურ ეფექტსა და სარგებელს იძლევა.

**„ინბოქსის“ გახსნა მარტივია. ეს პროცედურა სულ რაღაც 7-8 წუთს მოითხოვს და ამისთვის მხოლოდ პირადობის მოწმობაა საჭირო**

**– როგორ ვიყენებ დაგროვილ თანხას?**

– „ინბოქსის“ ვადა 1 ან 2 წელია, რაც მომხმარებლის სურვილზეა დამოკიდებული. „ინბოქსში“ თანხის შეტანისთანავე მობილური ტელეფონის პირად ნომერზე ჩარიცხული თანხის რაოდენობასა და ნაშთის შესახებ შეტყობინებას იღებთ. ეს რაც შეეხება კონტროლის მექანიზმს, ხოლო თანხის გამოტანა ხდება მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება.

არის შემთხვევები, მაგალითად, როდესაც კლიენტი ჩქარობს ფულის გატანას ან უკვე დააგროვა ის თანხა, რაც დაგეგმილი ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში ვადას არღვევს და იხდის საკომისიოს – 2 %-ს, თუმცა ამ ეტაპზე ვმუშაობთ, რომ აღნიშნული საკითხიც მომხმარებელზე მორგებული გავხადოთ!

**– დაგროვილ თანხას ერიცხება თუ არა პროცენტი?**

– მომხმარებელთა-6 ერთწლიანი ხელშეკრულებულის გაფორმების შემთხვევაში, დაგროვილ თანხას ერიცხება – 2 %, ხოლო ორწლიანი შეთანხმებისას – 5 %. კვლევებმა გვაჩვენა, რომ რეალურად ის ძირითადი ფაქტორი, რის გამოც „ინბოქსში“ თანხის დაგროვება ხდება, არა მხოლოდ ეს დამატებითი პროცენტია, არამედ დანაზოგის დაცვა საკუთარი თავისგან. როდესაც „ინბოქსით“ აგროვებთ, საკუთარი თანხის უმისამართოდ დახარჯვას, უბრალოდ, ველარ ახერხებთ.

**– რამდენად მოიწონა მომხმარებელმა ეს ინოვაცია?**

– ინტერესი საკმაოდ დიდია და არცთუ უსაფუძვლო. „ინბოქსი“ საქართველოს ბაზარზე აქტიურად 2013 წლის თებერვლიდან გამოჩნდა. ფუნქციონირების მოკლე დროის მიუხედავად, დღეისთვის უკვე 70 ათასამდე მომხმარებელი ჰყავს. თავისი არსით, „ინბოქსი“ ანაბარის კონკურენტი არ არის. ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ანაბარი და ამავდროულად, „ინბოქსი,“ რადგან დაგროვება ამ ორ პროდუქტზე განსხვავებულად ხდება და მათი დანიშნულებაც განსხვავებულია. 70 ათასი ადამიანი, რომელიც 2 პროცენტად თანხას დებს სადღაც, ფაქტია, აქ სულ სხვა ფაქტორები მუშაობს – მათ პროდუქტი აშკარად მოეწონათ და მასში ბევრი საინტერესო და მიმზიდველიც ნახეს. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მომხმარებელი არ არის ერთგვაროვანი. ვგულისხმობ, რომ ყველა ერთნაირად არ აგროვებს, არის საკმაოდ დიდი განსხვავებები. მაგალითად, ზოგი აგროვებს ბიზნესისთვის, ზოგი ვალს იბრუნებს ზოგი – მევალის „ინბოქსში“ რიცხავს თანხას, არის ჯგუფური დაგროვების შემთხვევებიც, როცა ერთი კონკრეტული მიზნისთვის შეგიძლია შენი „ინბოქსის“ კოდი გაანდო რამდენიმე ადამიანს და ერთად დაიწყოთ თანხის დაგროვება.

გარდა ამისა, არსებობს უამრავი მიმზიდველი ისტორია „ინბოქსთან“ დაკავშირებით. ჩვენ მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ „ინბოქსის“ სხვადასხვა წარმატებული ისტორია. ერთ-ერთი ასეთია „თბილისი ოფენ ეართან“ დაკავშირებული ამბავი. მეგობრებმა ამ ღონისძიებაზე დასწრებისთვის საჭირო თანხა „ინბოქსის“ საშუალებით შეაგროვეს; ახალგაზრდა წყვილები, რომლებმაც ზაფხულისთვის ფულის შეგროვება „ინბოქსით“ დაიწყეს; ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელმაც სიგარეტის მოწევას თავი დაანება და ამ ფულს „ინბოქსში“ რიცხავდა; ბებია, რომელიც შვილიშვილს უგროვებს ფულს; ჯგუფელები, რომლებმაც ერმანეთთან შეხვედრისთვის ფული ერთ ინბოქსზე შეაგროვეს, რადგან საქართველოს სხვადასხვა მხარეს ცხოვრობენ.

მოკლედ, არის ძალიან ბევრი საშუალება და ბევრი სცენარი პროდუქტის განვითარებისთვის და თითქმის ყოველდღიურად „ინბოქსი“ ახალ-ახალ შესაძლებლობებს იძლევა...

**– როგორ და სად შეიძლება ინბოქსის გახსნა?**

– ინბოქსის გახსნა მარტივია, ეს პროცედურა სულ რაღაც 7-8 წუთს მოითხოვს და ამისთვის მხოლოდ პირადობის მოწმობა საჭირო. დაინტერესებულ პირს შეუძლია, მიბრძანდეს ბანკი „კონსტანტას“ ნებისმიერ ფილიალში ან მსხვილ სავაჭრო ცენტრებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განთავსებულ ინბოქს-ოპერატორებთან.

# როგორ გახდა სტრიპტიზი სოფია კანდელაკის უსაყვარლესი საქმე და რაზე უთხრა მან კატეგორიული უარი ცნობილ მილიონერს

*ქუთაისში დაბადებული სოფია კანდელაკი თითქმის 15 წელია, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ლამაზი, ხალისიანი, ენერგიული სოფია არავის ტოვებს გულგრილს, რის გამოც რამდენიმე ხნის წინ სერიოზულ სკანდალში გაეხვია. ამან კი მის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა. სოფია 12 წელია, ვეგანია, არ ჭამს ცხოველურ საკვებს. მას დამთავრებული აქვს ნიუ-იორკში ცნობილი თეატრალური უნივერსიტეტი და ამჟამად ივენთების მოწყობით არის დაკავებული.*

**სოფია კანდელაკი**: ქუთაისში დედასთან და მამასთან ვიზრდებოდი, ლამაზ და უნიჭიერეს ადამიანებთან ერთად. მაინცდამაინც არ მიყვარდა სკოლაში სწავლა, განსაკუთრებით რამდენიმე საგნის. ამის გამო მე და დედას სულ ჩხუბი გვქონდა. სამაგიეროდ, მიყვარდა ცეკვა-თამაში, გართობა, ინგლისური. ბავშვობიდან სტერეოტიპულ, ტრადიციულ რალაცეებს სულ ვეწინააღმდეგებოდი, არ მიყვარდა ჩარჩოებში მოქცევა და ამის გამო სულ წინააღმდეგობებში ვცხოვრობდი. ყველაფერი, რაც ხდებოდა, გარედან იყო მოხვეული, თორემ შინაგანად ძალიან თავისუფალი ვიყავი, ამის გამო სხვებთან ცოტა დაძაბული ურთიერთობა მქონდა. ხომ იცი, ჩვენთან როგორ არის – დაამთავრებ სკოლას, აუცილებლად უნდა დაამთავრო უნივერსიტეტი, ოღონდ, რომ არ იცი რატომ მიდიხარ და სად მიდიხარ... 20 წლის ვიყავი, როდესაც ჩემმა 20 წლით უფროსმა მეუღლემ ბებიაჩემის პანაშვიდიდან მომიტაცა. წელიწად-ნახევარი ვცხოვრობდით ერთად. მერე გოგონა მეყოლა, ნინა, რომელიც ახლა ჩემთან ერთად ცხოვრობს ნიუ-იორკში. ძალიან კარგი ქართველი მასწავლებელი ვნახეთ, ჟანა გურგენიძე, რომელიც ვიოლინოზე დაკვრას ასწავლის. „ჯულიარდისთვის" ვემზადებით, მალე კონცერტებზე დაუკრავს. მეუბნება: ჩემი ბენდი უნდა შევქმნა და საქართველოში კონცერტი ჩავატაროო.

– **როდის გაემგზავრე ამერიკაში?**

– დეიდაჩემის მეგობარმა ამერიკიდან გამომიგზავნა ვიზა, თან ჩემი დაბადების დღე იყო და მომწერეს: გილოცავთ, წაბრძანდით ამერიკაშიო. გავემგზავრე, ოღონდ ბავშვის გარეშე. ამის შემდეგ 13 წელი არ მყავდა ჩემი შვილი ნანახი. მხოლოდ სამი წელია, რაც ჩემთან არის. ყოველთვის ოცნებად მქონდა ამერიკაში გამგზავრება, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ აქ მოვხვდებოდი და თან მანჰეტენზე ვიცხოვრებდი. თავიდან არ ვაპირებდი დარჩენას, მაგრამ, როგორც კი ჩამოვედი, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ჩემი ქალაქია. თავიდან ბევრი სირთულე იყო, ბებიებთან დავიწყე მუშაობა. ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილება მქონდა, რადგან საქართველოში ჩემს ბაბუას ვუვლიდი. შემდეგ შევიცვალე სამსახური, ათასნაირი საქმე მქონდა... მერე გავთხოვდი, თან ორჯერ, ორივე ქმარი ამერიკელი იყო. მესამედ გათხოვების შემდეგ მივხვდი, რომ ოჯახი არ მაინტერესებდა.

– **როგორც ვიცი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტრიპტიზს ცეკვავდი და დღეს ნიუ-იორკის ღამის ცხოვრების მოყვარულთა შორის საკმაოდ ცნობილი ხარ.**

– სტრიპტიზს ვცეკვავდი და ამას არასდროს ვმალავ. ეს იყო ჩემი უსაყვარლესი საქმე, სამსახური – ეს არის ქალურობა, სილამაზე, სიძლიერე და ყველა ქალის შინაგანი სამყაროსთვის აუცილებელი რამ, აყვანილი სულიერების დონეზე. როცა სამსახური გინდა, იქ აგენტები გყავს და ისინი გაწყებინებენ მუშაობას ბებიებთან. ერთი პერიოდი საერთოდ აღარ იყო სამუშაო. ერთ-ერთმა მამაკაცმა აგენტმა მითხრა: შენ სამსახურს არ გაპოვნინებო. ვიფიქრე, ამის ჯინაზე როგორ ვერ უნდა ვიშოვო სამსახური-მეთქი და უცებ გამოჩნდა ეს საქმე. თავიდან გადავირიე: ქართველი ქალი ვარ, ეს როგორ მაკადრეთ-მეთქი. ახლა ქუთაისში რომ ჩახვიდე და ვინმეს უთხრა, სოფიკო სტრიპტიზს ცეკვავდაო, არავინ დაგიჯერებს. მოკლედ, წავედი სხვა აგენტებთან. ბებია ვიპოვე, მაგრამ ბოლოს ვთქვი: მოდი, ვცდი. რადგან ზოგადად რისკიანი ადამიანი ვარ, წავედი საცეკვაოდ. ძალით ამიყვანეს სცენაზე, ნერვიულობისგან სულ ვკანკალებდი, სხვა ტანსაცმელი მივიტანე, იმათ სხვა ჩამაცვეს. მოკლედ, ძალიან ვინერვიულე. თან, ცეკვის მხრივ არანაირი გამოცდილება არ მქონდა. მაგრამ სცენაზე აღმოვაჩინე. ვთქვი, ეს რა შემძლებია-მეთქი. სხვანაირად შევხედე ჩემს თავს. ბევრი რამ აღმოვაჩინე და მივხვდი, რომ ეს არაჩვეულებრივი საქმეა. დღემდე ვგიჟდები ამ სამსახურზე და ზოგადად იქ მიღებულ გამოცდილებაზე. თავიდან ვცეკვავდი ნიუ-ჯერსის ერთ-ერთ კლუბში. მერე ნელ-ნელა დავიხვეწე. გავიგე, რომ უკეთესი ადგილებიც არსებობდა და მანჰეტენზე გადმოვედი. თუმცა დიდი ხანია, აღარ მიცეკვია, რადგან ეს ეტაპი დამთავრდა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ საოცრად დიდი გამოცდილება მივიღე. საკმაოდ ცნობილი ვიყავი ამ სფეროში, მაგრამ საკუთარ თავს არ ვაძლევდი იმის უფლებას, ამ სფეროში პოპულარული ვყოფილიყავი. ამის გამო ბევრი უსიამოვნებაც შემხვდა. ამ სფეროში მომუშავე გოგონები ერთმანეთის მიმართ შურით არიან განწყობილები, ამის გამო ბევრი ჩხუბი მაქვს გადატანილი. ზოგადად, მე ყველაფერს მაღალ დონეზე ვაკეთებ, არ აქვს მნიშვნელობა რა იქნება ის. ყველაფერში პირველი უნდა ვიყო და კარგი. ეს კი ბევრ დაძაბულობას, შურს, სტრესს იწვევდა. მოკლედ, ეს იყო ჩემს ცხოვრებაში უსაყვარლესი პერიოდი.



მხოლოდ ერთი რამ არის სიმართლე: კაცი ფიზიკურ ძალადობაზე გადმოვიდა მაშინვე, როგორც კი ჩემგან უარი მიიღო

**20 წლის ვიყავი, როდესაც ჩემმა 20 წლით უფროსმა მეუღლემ ბებიაჩემის პანაშვიდიდან მომიტაცა**

– **რამდენიმე წლის წინ შენთან დაკავშირებით სერიოზული სკანდალი მოხდა, რამაც მთელი ამერიკა აალაპარაკა. საქმე ეხებოდა იტალიურ რესტორანში განვითარებულ მოვლენებს, სადაც ცნობილმა მილიონერმა, თომას ჰარტმანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მოგაყენა და ამის გამო ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაჭერილიც იყო.**

– დღესაც სასამართლოშია საქმე. უკვე სამი პროცესი გვქონდა და როგორც ადვოკატი მეუბნება, 2013 წლისთვის ყველაფერი დამთავრდება. სიმართლე ბოლომდე გაირკვევა და ყველა გაიგებს, რა მოხდა სინამდვილეში. აქ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ამ ყველაფრის გაკეთება სჭირდებოდათ და ყველანი აგებენ პასუხს.

– **ერთ-ერთი ვერსიით, ჰარტმანმა შენ ფულის სანაცვლოდ ინტიმური კავშირის დამყარება შემოგთავაზა, რაზეც უარი მიიღო და, პასუხით უკმაყოფილო მილიონერმა „როლექსის" ოქროს საათი რამდენჯერმე გაგარტყა სახეში, რის გამოც შუბლზე 16 ნაკერის დადება დაგჭირდა. თუმცა ჰარტმანის დამცველების თქმით, ცალფეხა ჰარტმანმა ფეხის პროთეზის გაუმართაობის გამო წონასწორობა დაკარგა, ამიტომ ხელების ქნევა დაიწყო და შემთხვევით ხელი გაგარტყა. რა მოხდა სინამდვილეში?**

– ადვოკატმა მთხოვა, რომ ჯერჯერობით არ გავცე არანაირი ინფორმაცია. თუმცა, თუ დამიჯერებ, გეტყვი, რომ ყველაფერი, რაც დაიწერა იყო სიცრუე და პროვოკაცია. ეს ადამიანი ისე ცუდად მოიქცა, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ – ჩემზე ბევრი ცუდი რამ უნდა მოეფიქრებინათ, ჩირქი მოეცხოთ. დაწერეს კიდეც, რომ თითქოს ჯიბეში ჩავუყავი ხელი და გაძარცვას ვუპირებდი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ტყუილია, მხოლოდ ერთი რამ არის სიმართლე: კაცი ფიზიკურ ძალადობაზე გადმოვიდა მაშინვე, როგორც კი ჩემგან უარი მიიღო. 15 წელია, აქ ვარ და ერთ კაცს არ მოუყენებია ჩემთვის თუნდაც სიტყვიერი შეურაცხყოფა, რადგან ამის უფლებას არავის მივცემ და ვერ მაკადრებენ. ამ ადამიანმა დაკარგა კონტროლი, გაგიჟდა, გასულელდა და რესტორანში, ამდენი ხალხის წინაშე, ძალადობაზე გადავიდა. ამის გამო დაჭერილიც იყო. უფრო დიდხანს უნდა ყოფილიყო ციხეში. უბრალოდ, მილიონერია, ისეთი ადვოკატი ჰყავდა, მოახერხა მისი გათავისუფლება. ახლა გაქცეულია.

– **არ ითხოვ მორალური და ფიზიკური ზარალის ანაზღაურებას?**

– კი, ვითხოვ, მაგრამ ჯერ პროცესები მიდის, არ დამთავრებულა. ამ ფაქტამდე სულ სხვა გეგმები მქონდა. რეალითი შოუ მქონდა მომზადებული, რომელიც მთლიანად ჩემს ცხოვრებას შეეხებოდა, რადგან აქ ჩემი საქმიანობის, ცხოვრების შესახებ საკმაოდ დიდი ინტერესია. სცენარიც დავწერეთ, რომელსაც ჰქვია: „საბჭოთაკავშირელი სოფია". უნდა გადაგველო და შემდეგ არხები გვქონდა არჩეული, სადაც უნდა მიგვეტანა და გაგვეყიდა. მანამდე ორ შოუში ვმონაწილეობდი. პირველი „ენ-ბი-სიზე" გადიოდა. მეორე მაშველების შოუ იყო, ძალიან საინტერესო. მაგრამ მერე თავი დავანებე და ახლა უკვე ჩემი რეალითი შოუთი დავბრუნდები. ვხუმრობ ხოლმე, „მანჰეტენზე ლოქალ სელებრითი" ვარ-მეთქი. იმ სკანდალთან დაკავშირებით ბევრი რამ დაწერეს ჩემზე. ეს ძალიან არასასიამოვნო იყო, ამიტომაც გავჩერდით. ჩემმა პროდიუსერმა მითხრა: ჯერ ამ საქმეს მივხედოთ, რადგან სასამართლო პროცესით ვერ შევალთ რეალითი შოუშიო. ამიტომ, როცა სასამართლო დამთავრდება, მერე გავაგრძელებთ. რა თქმა უნდა, ეს მომენტი გახდება რეალითი შოუს რაღაც ნაწილი.

– **ამჟამად რით ხარ დაკავებული?**

– მანჰეტენზე ოთხი გოგონა ვაკეთებთ ივენთებს: საქველმოქმედო, დაბადების დღის და ასე შემდეგ. ჩვენს სტუმრებს შორის ზოგჯერ არიან სელებრითებიც, თუმცა უფრო მეტად მანჰეტენზე მცხოვრებ მდიდრებთან ვმუშაობთ, მათთან, ვინც ქველმოქმედებაშია ჩართული..

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ აიცილა ამერიკასთან ომი სტალინმა



**„ტრიუმენ დურაკ“**
**(1947 წლის მაისი)**

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობები იძაბებოდა, კაპიტალისტური ქვეყნების აგრესია ყოველდღიურად მძაფრდებოდა. დასავლური პრესა ასობით პასკვილს ბეჭდავდა და ამგვარად ცდილობდა ჩვენი ქვეყნის დისკრედიტაციას. ეს ის პერიოდია, როცა ამერიკულმა ატომურმა იარაღმა მიწასთან გაასწორა იაპონიის რამდენიმე ქალაქი და ატომური შანტაჟის გზით ცდილობდა ჩვენს დამორჩილებასაც. თუმცა სტალინის შეშინება შეუძლებელი იყო. იგი ერთი გოჯის დათმობასაც არ აპირებდა. 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 2 წლისთავისადმი მიძღვნილი პარადი გაიმართა, რომელსაც უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიური კორპუსიც დაესწრო. სტალინის ბრძანებით, პარადი ხაზგასმული პომპეზურობით გაიმართა, მასზე საბჭოთა არმიის გაძლიერებული შეიარაღება გამოიყვანეს. ბოლოს კი მძიმე ბომბდამშენებისა და გამანადგურებლების ესკადრილიამ გადაუფრინა წითელ მოედანს. მფრინავები უმაღლესი პილოტაჟის ურთულეს ნომრებს ასრულებდნენ. საზეიმო სიტყვაში სტალინმა ხაზი გაუსვა საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას და დაასრულა: „ჩვენ, ბოლშევიკები, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მშვიდობისკენ ვისწრაფით და მიგვაჩნია, რომ წითელი არმია მშვიდობის ბურჯია, თუმცა ნურავის დაავიწყდება, რომ ამ მშვიდობის ბურჯს დიდი უბედურების მოტანაც შეუძლია აგრესორებისთვის, რაც მას არაერთხელ დაუმტკიცებია“. საღამოს, კრემლში გამართულ ბანკეტზე მან იგივე გაიმეორა და, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთის ელჩებთან ერთად, მშვიდობის სადღეგრძელო შესვა. ამის შემდეგ კი დასავლური პრესა წერდა – საბჭოთა კავშირი მესამე მსოფლიო ომისთვის ემზადება და ჩვენი მოვალეობაა, სამშობლო რუსების აგრესიისგან დავიცვათ, რისთვისაც პირველი დარტყმა უნდა დავასწროთო.

10 მაისს საბჭოთა უშიშროების ანალიტიკური სამსახურმა სტალინს პრესის ანალიტიკური ბიულეტენი დაუდო, რომელშიც ღიად იკითხებოდა ჩვენდამი სამხედრო მუქარა. სტალინს ეს მოხსენება ბერიამ გააცნო და დიდმა ბელადმა დაასკვნა: „ამ პასკვილებით, მათ საკუთარი ხალხის ახალი ომისთვის მომზადება სურთ და ჰგონიათ, რომ ატომური ბომბით შეგვაშინებენ“. მან ბერიას დაწვრილებით გამოჰკითხა, როგორ მიმდინარეობდა ატომური ბომბის შექმნის პროცესი. ბერიამაც დაწვრილებით მოუთხრო აკადემიკოს კურჩატოვის სამუშაოების შესახებ. „მიუხედავად იმისა“, – ამბობდა სტალინი, რომ ეს იარაღი ძალიან დიდ ფინანსებს მოითხოვს, რაც ჩვენს ბიუჯეტზე აისახება, აუცილებლად უნდა შევქმნათ ატომური ბომბი, რათა მსოფლიოს კატასტროფა ავიცილოთ“. დოქტრინა – ატომური იარაღი, მსოფლიოში მშვიდობის გარანტია – სწორედ სტალინს ეკუთვნის და ამერიკელებმა ის 70-იან წლებში მიითვისეს. 50-იანი წლების მიწურულს, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ამერიკა ატომური იარაღის ერთადერთი მფლობელი იყო, თერმობირთვული ომის დაწყების დიდი საშიშროება არსებობდა. სწორედ იმ პერიოდში მოახერხა საბჭოთა საგარეო დაზვერვამ და „პენტაგონის“ ზესაიდუმლო გეგმები მოიპოვა, სადაც საბჭოთა კავშირთან დასაწყები ომის თარიღი და 50 სამიზნე იყო აღწერილი. 11 მაისს, საღამოს 20 საათზე ლავრენტი ბერიამ სასწრაფო აუდიენცია ითხოვა სტალინთან და თანხმობა რომ მიიღო, დაუყოვნებლივ კრემლში მივიდა. ბერიას დიდი ბელადის კაბინეტში ჯერ წესიერად ფეხიც არ ჰქონდა შედგმული, რომ სტალინი მიეგება: „რა იყო, ლავრენტი, ამერიკა ხომ არ დაგვესხა, ასე სასწრაფოდ რომ მოითხოვე ჩემთან შეხვედრა?“ ბერია შეცბა და სტალინს მიუგო: „თითქოს ჩემს გულში იჯექით, ისეთი ფრაზა თქვით ახლა. ამ დილით ჩვენმა ამერიკელმა რეზიდენტმა „აპოლონმა“ პენტაგონის სეიფებს გასაღები მოარგო და აი, ეს ცნობები მოგვაწოდა“. ბელადმა საქაღალდე გადაშალა, სავარძელში მოიკალათა და ფურცლებს ჩაუღრმავდა. 15 წუთის შემდეგ, სტალინმა თავი ასწია და მძიმედ ჩაილაპარაკა: „თუ ეს ცნობები დეზინფორმაცია არაა, რაც არ მგონია, მაშინ არც ისე კარგად ყოფილა ჩვენი მშვიდობის საქმე და ომი რომ თავიდან ავიცილოთ, ეს სადაზვერვო მასალა ჩვენდამი კონტროლირებად, რომელიმე ევროპული გაზეთის ფურცლებზე უნდა აღმოჩნდეს“. გადაწყდა, რომ „აპოლონის“ მიერ გადმოცემულ საიდუმლო ცნობებს ფრანგულ „იუმანიტეში“ დაბეჭდავდნენ. სტატია 15 მაისს მართლაც დაიბეჭდა, პირველ გვერდზე კი უზარმაზარი სათაური გამოიტანეს: „ამერიკა, საბჭოთა კავშირის 50 ქალაქზე ერთდროულ დარტყმებს ამზადებს“. მასში „პენტაგონის“ ყველა საიდუმლო ინფორმაცია იყო გაშიფრული. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა „იუმანიტეში“ დაბეჭდილმა სტატიამ შოკში ჩააგდო, თუმცა თავი ვერაფრით იმართლა. პუბლიკაცია 16 მაისს საბჭოთა კავშირის ყველა მოწინავე გაზეთმა გადმობეჭდა კომენტარებით. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი ახსნა-განმარტება მოსთხოვა შეერთებული შტატების საელჩოს, რომელმაც ყველაფერი უარყო, მაგრამ ისეთი არადამაჯერებელი ფორმით, რომ ეს ყოველივე დასტურს უფრო ჰგავდა, ვიდრე უარყოფას.

17 მაისს სტალინმა თავის ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი პრესკონფერენცია ჩაატარა კრემლში, მცირე სააქტო დარბაზში. მას ხუთასამდე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი დაესწრო. სტალინი დიპლომატიურად პასუხობდა მათ. თუმცა, ყველასთვის აშკარა იყო, ამერიკის შეერთებული შტატების კრახი. „ნიუიორკ ტაიმსის“ ჟურნალისტმა სარა მორგანმა თავისი მთავრობის დაცვა სცადა და სტალინს არადემოკრატიულობაში დასდო ბრალი. „ბატონო სტალინ, – მიმართა სარა მორგანმა მას, – თქვენს ქვეყანაში, ჩვენგან განსხვავებით, დემოკრატია არ არსებობს!“ „მაგალითად?“ – შეუბრუნა კითხვა სტალინმა, რაზეც მორგანმა უპასუხა: „მაგალითად, ის, ბატონო სტალინ, რომ თეთრი სახლის წინ, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დადგეს და იყვიროს ტრუმენ დურაკ! და ამისთვის მას არამცთუ დახვრეტენ, არც კი დასჯიან. თქვენთან კი მსგავსი საქციელისთვის...“ აქ სტალინმა სიტყვა შეაწყვეტინა და მიუგო: „ქალბატონო მორგან, არც ჩვენ დავსჯით ვინმეს, თუკი ის წითელ მოედანზე დადგება და იყვირებს – ტრუმენ დურაკ!“ სტალინის ფრაზამ საერთო მხიარულება გამოიწვია და ისეთი ხარხარი ატყდა, სარა მორგანმა პრესკონფერენცია დატოვა.

**ნიკა ლაშაური**

## მ ო ს ა გ ო ნ ა რ ი

## 40 დღე გავიდა უშენოდ, დედა...



თბილი. მოალერსე, თავგანწირული – ასეთი გვემახსოვრები მუდამ. შენი ცხოვრება მაგალითია ჩვენთვის გულისხმიერების, კეთილშობილების, სიკეთის.

უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა გქონდა, თავდაუზოგავი შრომა იცოდი, საინტერესო მოსაუბრე იყავი; ქართული ენისა და ლიტერატურის უზადო მცოდნეს, კარგ პედაგოგს გულწრფელი ცრემლებით დაგემშვიდობა მოსწავლეთა მრავალი თაობა, სკოლისა და გაზეთის რედაქციის დიდი კოლექტივი.

საოცრად კარგი დედა, მეუღლე, ბებია და დედამთილი იყავი – მოსიყვარულე, მზრუნველი, ტაქტიანი. დიდი რიდი და პატივისცემა გვქონდა, ყოველთვის ვამაყობდით შენით.

„დედა გენაცვალოს“ – მხოლოდ ასე მოგვმართავდი, ახლა კი... ჩვენი ბავშვობა დამთავრდა.

ყველაფრისთვის მადლობას გწირავთ!

**შენი საყვარელი ოჯახი**

# სექსუალური ენერგიის არასწორად ხარჯვა, ორგანიზმში კოსმიური ენერგიების შემოდინებას აფერხებს



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ყველასთვის აუცილებელია იმ ძალების აღდგენა, დედამიწიდან და კოსმოსიდან რომ მოდის ჩვენამდე, გვავსებს და გვამარაგებს სასიცოცხლოდ საჭირო, აუცილებელი ენერგიებით. ყველას სჭირდება ბუნებრივი ენერგიის წყარო, ანუ „დედამიწის ძალა“. სწორედ ამის საშუალებით კვებავს თითოეული ჩვენგანი თავის ნერვულ სისტემას და შიდა ორგანოებს. ბუნების ძალები სამ კატეგორიად იყოფა: უნივერსალური, დედამიწისა და კოსმიური ძალები. უნივერსალური ვლინდება, როგორც პლანეტებისა და გალაქტიკის ერთობლივი ენერგია. ეს ძალა კვებავს სამყაროში ყველაფერს, მათ შორის – ადამიანის გონებას და სამყაროში მის ყველა გამოვლინებას უწყობს ხელს. ადამიანები ამ ენერგიებს მხოლოდ ზედა კოსმოსური ხვრელიდან იღებენ. მას „ადამიანის გონების ენერგიასაც“ უწოდებენ. დედამიწასა და მთვარეს შორის არსებობს უდიდესი მიზიდულობის ძალა. ამით იქმნება ერთიანი მაგნიტური ველი, რომელიც დედამიწისკენ მიმართავს ჩვენი გალაქტიკის ყველა ვარსკვლავის ენერგიას და ის ადამიანის ერთიან ენერგეტიკულ ველზე უდიდეს გავლენას ახდენს.

დედამიწის ძალა შეიცავს მცენარეების, ცხოველებისა და დედამიწის ყველა ბუნებრივი მინარევის ენერგიას ერთიანად. როცა მცენარე ზრდის დროს ზევით მიიწევს, ამით კოსმიურ ენერგიას შთანთქავს და ზრდის პროცესსა და კვებას განაგრძობს. ცხოველები კი, ბალახისა და სხვა მცენარეების საშუალებით იღებენ ამ კოსმიურ ენერგიას. რაც შეეხება ადამიანს, დედამიწის ძალას ის ფეხისგულში მდებარე წერტილებიდან იღებს, შემდეგ ქჩის ქვედა მხარეს ათავსებს და ასე იზოგავს მას. თუ გსურთ, სასიცოცხლო ენერგია აღიდგინოთ, მოიხსნათ სტრესი, იგრძნოთ შვება და დედამიწის ენერგიით დაიმუხტოთ, ხშირად იარეთ ბალახზე ფეხშიშველმა.

რაც შეეხება მესამე კოსმიურ ძალას, მას „ადამიანის სასიცოცხლო ძალასაც“ უწოდებენ. ის უნივერსალურ ძალთა ნაწილია და მთელ კოსმოსს ავსებს ამ ძალებით. ყოველი ჩვენგანი კოსმიური ძალის უმაღლესი გამოვლინებაა. ის ამ ენერგიას მედიტაციისა და სასუნთქი აპარატის, ანუ ცხვირისა და ფილტვების მეშვეობით ითვისებს და შეიწოვს, რითაც შემდეგ ენერგიის სანყის წყაროს უკანვე აბრუნებს. ადრე ჩვენი კანის უჯრედებს შეეძლო, შთაენთქა და ენერგიულ საკვებად გამოეყენებინა კოსმიური და სინათლის ენერგიის დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი. შემდგომ კი ადამიანმა დაიწყო სექსუალური ენერგიის არასწორად გამოყენება, რასაც მისი უჯრედების დეგრადირება და გადაგვარება მოჰყვა. სწორედ ამის შედეგია, რომ დღეს კოსმიური ენერგიის მხოლოდ ათი პროცენტის გამოყენება შეგვიძლია. ადამიანები ბუნებრივი ცხოვრების წესის გამო დაშორდნენ თავიანთ შინაგან „მეს“, გონება სხვა სფეროებში გადატანეთა და, ამიტომ, სულ უფრო დავშორდით კოსმიურ ძალებთან კონტაქტს. საჭირო ენერგიას კი ადამიანი იღებს მცენარეებით, ბოსტნეულით, მინერალებით, ცხოველის ხორცით. ასეთი საკვების მიღებით გამოფიტული ორგანიზმი კოსმიური ენერგიით ივსება. ამიტომ, ეცადეთ ხშირად გახვიდეთ ბუნებაში, ახლოს იყოთ ხეებთან, ბალახთან, მიწასთან და ასე დაიმუხტოთ „დედამიწის ძალით“. ასე, თქვენს ორგანიზმს მისცემთ საშუალებას, გაძლიერდეს და მეტად შეძლოს კოსმოსიდან წამოსული სასიკეთო ენერგიებით მომარაგება.

ასევე, ირგვლივ არსებული ნივთი თუ მიმდინარე უამრავი მოვლენა – მაგალითად, არასწორად შერჩეული ნივთი, გამჭოლი მზერა, ბედში ხელოვნური ჩარევა და ასე შემდეგ, იწვევს ჩვენი აურის დაზიანებას, შემდეგ კი გამჭოლ ნახვრეტებს აჩენს მასში, რაც, რასაკვირველია, ძალიან საშიშია ნებისმიერისთვის. ზოგჯერ ადამიანს უეცარი ტკივილი ეწყება სხეულის კონკრეტულ ადგილას და ვერ ხვდება, რისი ბრალია. შესაძლოა, ექიმმაც ვერ დაადგინოს, რა მიზეზით არის ამა თუ იმ ორგანოს ტკივილი გამოწვეული. რეალურად კი ეს, შესაძლოა, დაზიანებული აურის ბრალი იყოს. ნორმალური აურა, ადვილად იცავს ადამიანს გარემოს საშიში ზემოქმედებისგან. აურის გასაფართოებლად აუცილებელია ვარჯიშების სპეციალური კურსის ჩატარება, რათა პრობლემებს ადვილად აარიდოთ თავი. კერძოდ: თავისუფალი დროის უმეტესი ნაწილი სუფთა ჰაერზე, ბუნებაში უნდა დაჰყოთ. ბუნებაში არსებული მინერალები და მცენარეები უარყოფით ენერგიას ისრუტავენ და უდიდესი დადებითი მუხტით „გვტუმბავენ“. ამიტომ, მზიან და სასიამოვნო ამინდში ბევრი ისეირნეთ, იარეთ ბალახზე ფეხშიშველმა, გაშალეთ მიწაზე პლედი, წამოწექით და უყურეთ ზეცაში ღრუბლებს, უსმინეთ ბუნებაში არსებულ უცნაურ ხმებს, მაქსიმალურად შეისრუტეთ დადებითი და მშვიდი ემოციები და განიტვირთეთ. ეს ემოცია, მერწმუნეთ, დიდხანს გაგყვებათ და დაგიცავთ უარყოფითი ზეგავლენისგან.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანი უარყოფით ენერგიას იღებს, მაგრამ, ძლიერი აურა აქვს და ველი იოლად არ უმცირდება. ასევე, ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება განსაზღვრული პოტენციალი, შემდეგ კი ხდება მისი გაძლიერება. საერთოდ, რაც უფრო განიერია ბიოველი, მეტ წინააღმდეგობას უწევს უარყოფით ენერგიას და ისიც ძნელად აღწევს სხეულში. ნებისმიერ ადამიანს საკუთარი ენერგია აქვს, კერძოდ, – უარყოფითი ან დადებითი. სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას მათი ენერგიები ერთმანეთს კვეთს და, შესაძლოა, სწორედ ამ გადაკვეთისას, სხვისი უარყოფითი ენერგია მიიღოთ და აურაც დაიბინძუროთ. იმ ოჯახებში, სადაც მშობლები ხშირად ჩხუბობენ და კამათობენ, შვილსაც უზიანდება აურა. ზოგჯერ ადამიანი სხვასთან ურთიერთობის შემდეგ, იფიტება, გრძნობს სისუსტეს და ეწყება თავის ტკივილი. ამ დროს უნდა ეცადოთ, მაქსიმალურად შეინარჩუნოთ ჯანსაღი აზრი. ეს უარყოფითი ენერგიის დაბლოკვის ერთ-ერთი მეთოდია. დაბინძურებულმა აურამ, შესაძლოა, ადამიანს ის ორგანო დაუავადოს, რომელიც შედარებით სუსტი აქვს. ძლიერად დაზიანებული ორგანოს გამოჯანმრთელება კი, შეიძლება, აურის გაწმენდის შემდეგაც ველარ მოხერხდეს. ამ შემთხვევაში, იმასაც აქვს მნიშვნელობა, რა ფორმით და სახით არის აურა დაზიანებული. მისი გასუფთავებითა და გაძლიერებით ხდება უარყოფითი ენერგიის გაუვნებელყოფა, რადგან, ძლიერი დამცავი შრე, ანუ აურა შიგნით არ უშვებს ცუდ ენერგიებს და ასუსტებს მის ზეგავლენას ორგანიზმზე. არსებობს პერიოდი, როცა თავად შეგიძლიათ აურის გაძლიერება, კერძოდ, როცა მთვარე კლებას იწყებს. ამ დროს აქტიურად უნდა დაძაბოთ გონება და იფიქროთ ბედნიერ მომავალსა და იმაზე, რომ ცხოვრებაში ვერავინ და ვერაფერი მოგერევათ; ხართ ყველაზე წარმატებული ადამიანი და ვერავინ შეძლებს თქვენთვის ცუდის გაკეთებას; იფიქრეთ იმაზე, რომ ძლიერი პიროვნება ხართ და სპეტაკი ზრახვები გაქვთ სხვების მიმართ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1984 წლის 15 აგვისტოს. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესია მომიტანს წარმატებას?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ მეტად კეთილშობილი, ენერგიული, ინიციატივიანი, ლიდერი, ორგანიზებული და ჰარმონიული სასიყვარულო და პარტნიორულ ურთიერთობებში. დაეყრდენით ოპტიმიზმს, ცოდნას, კომუნიკაბელურობას. გახდით მარტოხელა მებრძოლი, გამოიმუშავეთ პასუხისმგებლობის გრძნობა, დაიცავით წესრიგი. იყავით პრაქტიკული. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: პლასტიკური ქირურგია, სტომატოლოგია, კარდიოლოგია, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმიანობა, იურისპრუდენცია, საიუველირო საქმე ან ბიზნესი, სადალაქო საქმიანობა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი ან საქმიანობა, გასართობი ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1985 წლის 3 სექტემბერს, დღის 2 საათზე. მინდა უცხოეთში წასვლა. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელი ქვეყნებია ჩემთვის ასტროლოგიურად მეტად მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმულ-კოსმიური მისია არ არის, მაგრამ, წარმატებების შანსი ნამდვილად გაქვთ. იქ მიღებული ცოდნა, გამოცდილება და ფინანსები სამშობლოში უნდა დააბანდოთ. ქვეყნებიდან კი შედარებით უკეთესია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, ყაზახეთი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ვიეტნამი, ჩინეთის აღმოსავლეთი მხარე, გერმანიის ბავარიის მხარე, მაროკო, შვედეთის დასავლეთი მხარე, კუბა, მექსიკა, უნგრეთი; არ გირჩევთ წასვლას შემდეგ ქვეყნებში: ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ინდოეთი. დანარჩენი ქვეყნები მეტ-ნაკლებად მისაღებია.

# თეატრები

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

25 ივნისი, **სამშაბათი** 20.00 – **„ქალები"** – (დიდი სცენა) – (ბილეთის ფასი – 4 – 10.50 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წთ.;*

26 ივნისი, **ოთხშაბათი** 20.00 – **„გრონჰოლმის მეთოდი"** – (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი – 6 – 16 ლარი), რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

25 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 – **„ჯინსების თაობა"** – (ბილეთის ფასი – 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წთ.;*

27 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.00 – **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** – (ბილეთის ფასი – 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

29 ივნისი, **შაბათი** 19.00 – **„მექანიკური ფორთოხალი"** – (ბილეთის ფასი – 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

30 ივნისი, **კვირა** 19.00 – **„კავკასიური ცარცის წრე"** – (ბილეთის ფასი – 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 4სთ.*

**მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)**
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

25–26 ივნისი, **სამშაბათი–ოთხშაბათი** 20.00 – **„ტარტიუფი"** – (ბილეთის ფასი – 5, 14 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

**სამეფო უბნის თეატრი**
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292–38–70, 299–61–71.**

25 ივნისი, **სამშაბათი** 20.00 – **„ტროელი ქალები"** – (ბილეთის ფასი – 10 ლარი), რეჟისორი დათა თავაძე. მონაწილეობენ: ნატუკა კახიძე, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

30 ივნისი, **კვირა** 20.00 – **„ფრეკენ ჟული"** – (ბილეთის ფასი – 7, 10 ლარი), რეჟისორი დათა თავაძე. მონაწილეობენ: პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე, იაკო ჭილაია, ანა წერეთელი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.*

**მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
**დ. აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234–28–99, 235–31–52.**

25 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 – **„ბალადა ვეფხისა და მოყმისა"** – (ბილეთის ფასი – 7 ლარი), რეჟისორი გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, გუგა კახიანი, ნათია მეტრეველი, ანა ნიკოლაიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

26–27 ივნისი, **ოთხშაბათი–ხუთშაბათი** 19.00 – **„პოლიცია"** – (ბილეთის ფასი – 10 ლარი), რეჟისორი ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, გიორგი ყიფშიძე, ვანო თარხნიშვილი, ნიკა წერედიანი, თემო ნატროშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

28 ივნისი, **პარასკევი** 19.00 – **„ჩუპარი-ჩუპარ დარეჯან!"** – (ბილეთის ფასი – 7 ლარი), რეჟისორი კოტე მირიანაშვილი. მონაწილეობს: ლაურა რეხვიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

29 ივნისი, **შაბათი** 19.00 – **„იკაროსი"** – (ბილეთის ფასი – 7 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი. მონაწილეობენ: ანრი ბიბინეიშვილი, რეზო თავართქილაძე, ანა მატუაშვილი, ნატო შენგელაია, ნიკა წერედიანი, ბექა ჯღუმუტია, ანა-მარია გურგენიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

30 ივნისი, **კვირა** 19.00 – **„ბაკულას ღორები"** – (ბილეთის ფასი – 10 ლარი), რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, რამაზ იოსელიანი, ლაურა რეხვიაშვილი, გვანცა გურგენიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, გიორგი ყიფშიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.*

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98–65–91 (მაგთი ფიქსი), 298–65–90**

27 ივნისი, **ხუთშაბათი** 20.00 – **„რამონა"** – (ბილეთის ფასი – 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

28 ივნისი, **პარასკევი** 20.00 – **„სტალინგრადის ბრძოლა"** – (ბილეთის ფასი – 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

29 ივნისი, **შაბათი** 20.00 – **„ჩემი ბაზაფხულის შემოდგომა"** – (ბილეთის ფასი – 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

**საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 99-63-14.**

25 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 – **„ქრისტე"** – (ბილეთის ფასი – 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 50 წუთი;*

28 ივნისი, **პარასკევი** 19.00 – **„სტუმარ–მასპინძელი"** – (ბილეთის ფასი – 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 60 წუთი.*

**თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი**
**დ. აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295–78–74, 295–39–27.**

27, 29 ივნისი, **ხუთშაბათი, შაბათი** 19.00 – **„კარებს აჯახუნებენ"** – მცირე დარბაზი – (ბილეთის ფასი – 7, 10 ლარი), რეჟისორი მაია ჩართოლანი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

28 ივნისი, **პარასკევი** 19.00 – **„დეჟა ვუ"** – მცირე დარბაზი – (ბილეთის ფასი – 7, 10 ლარი), უფროსი ასაკის მაყურებლისთვის. რეჟისორი ხათუნა მილორავა. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

29 ივნისი, **შაბათი** 15.00 – **„მზის სხივი"** – მცირე დარბაზი – (ბილეთის ფასი – 7, 10 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. *ხანგრძლივობა: 45 წუთი;*

29 ივნისი, **შაბათი** 17.00 – **„ჭინჭრაქა"** – დიდი დარბაზი – (ბილეთის ფასი – 7, 10 ლარი), რეჟისორი გოგა ქაჩიბაია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

30 ივნისი, **კვირა** 12.00 – **„მზის სხივი"** – მცირე დარბაზი – (ბილეთის ფასი – 7, 10 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. *ხანგრძლივობა: 45 წუთი;*

30 ივნისი, **კვირა** 16.00 – **„სიცოცხლის ხე"** – მცირე დარბაზი – (ბილეთის ფასი – 7, 10 ლარი), რეჟისორი კოტე მირიანაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.



## ორშაბათი 24 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.35 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ტ/სერ **"ჭორიკანა"** 17.00 "გურმანია" 18.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 19.05 ტ/სერ **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 21.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 22.00 ტ/სერ **"ნიკიტა"** 23.00 მხ/ფ **"კუნძული"** (სკ. იოჰანსონი) 01.10 "დღეს ორის ნახევარზე".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"**. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 სერ. **"ლიკვიდაცია"** 5 სერ. 00.15 მხ/ფ. **"გამოსასყიდი"** (მ.ბელო).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 შერეკილები. 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 22.00 "საქართველოს ვარსკვლავი" 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 11.00, 22.20, 1.30 მაგთიფანი 12.50, 23.00, 3.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 16.00 **სერიალი "შტორმი"** 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "1001 ღამე"** 22.00, 0.30, 5.30 "ყოველდღიური აბები".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.55 მხ/ფ **"ლომა, დავიწყებული მებობარი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"პასტორალი"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი – **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 17.00 დოკ/ფ "ველური ბუნება" 17.25 "საუფლონი" – უფალი სუფევს 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"სანამ წვიმა გადიღებს"** 20.40 ძილი ნებისა 21.20 სღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ **"მე მხოლოდ ბზავენილი ვარ"** 23.20 დოკ/ფ "აკადემია-70" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ "სარფი მოლენა" 02.00 ირაო.

## სამშაბათი 25 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.35 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ტ/სერ **"ჭორიკანა"** 17.00 "ჩვენი ეზო" 18.00 დ/ფ "ადამიანი პლანეტა" 19.05 ტ/სერ **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 21.00 "აქცენტები" 22.00 ტ/სერ **"ნიკიტა"** 23.00 მხ/ფ **"სამახსოვრო დღიური"** 01.00 "დღეს ორის ნახევარზე".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: "ნანა ცინცაძე" 1 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"** 18.50 სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 სერ. **"ლიკვიდაცია"** 6 სერ. 23.00 მხ/ფ. **"გატეხილი ისარი"** (კ.სლეიტერი) 01.35 მხ/ფ. **"უცხოები"** (ლ.ტაილერი) (ტიტ.).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ. **"ერთგულების ძალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. **"გრიმი"** 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 11.00, 22.20, 1.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.50, 23.00, 3.30 თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" 16.00 **სერიალი "შტორმი"** 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "1001 ღამე"** 22.00, 0.30, 5.30 "ყოველდღიური აბები".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 სპექტაკლი - **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 სღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"სანამ წვიმა გადიღებს"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ "მოკითხვა უთხარით საქართველოს" 16.25 კონცერტი - ადრიანო ჩელენტანო 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.40 თვენი - "ღირსი ასურელი მამა ისიდორე სამთავნელი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.55 კარაბადინი.

გაგრძელება 47-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**24 – 30 ივნისი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.50, 17.15, 20.00, 22.30 – „ფოლადის კაცი: სუპერმენი" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 – „რა მოხდა კიევში", *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 19.55 – „ფორსაჟი 6", *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

14.30, 17.15 – „დედამიწის შემდეგ", *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 – „დიდი გეთსბი" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 4*

11.25, 13.40, 15.50 – „ეპიკი" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

18.05, 20.20, 22.30 – „ჰენგოვერი III", *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 5*

11.25, 13.40, 15.50, 18.05, 20.20, 22.35 – „რა მოხდა კიევში", *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 – 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00 – „ეპიკი" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.50, 17.15, 20.00, 22.30 – „ფოლადის კაცი: სუპერმენი" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 – „რა მოხდა კიევში", *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.15 – „მე აღგზნებული ვარ", *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 – 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო"**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 20.00 – „რა მოხდა კიევში", *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 22.00 – „ფოლადის კაცი: სუპერმენი" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

17.00 – „დიდი გეთსბი" 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 5 – 9 ლარი).

# ლობიო ხორცის ბურთულებით













**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი დაკონსერვებული მწვანე ლობიო. 300 გრამი ხორცის ფარში, 1 ცალი კვერცხი, 1 თავი ხახვი, მარილი – გემოვნებით, ზეთი შესაწვავად, 5-6 კოვზი არაჟანი, 3 კბილი ნიორი, კამა და ოხრახუში – თითო კონა, 30 გრამი მაგარი ყველი.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად. შეურიეთ ფარშს და დაუმატეთ კვერცხი. უყავით მარილი გემოვნებით და აურიეთ ძალიან კარგად.

ლობიო გადაწურეთ და დაყარეთ ტაფაზე. მოშუშეთ ცოტა ზეთში. შუშეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე, თავდახურული 10-12 წუთის განმავლობაში.

ფარშისგან გააკეთეთ პატარა ბურთულები. მოათავსეთ ლობიოსთან ერთად. შუშეთ ისევ თავდახურული კიდევ 10 წუთს. პერიოდულად, ფრთხილად მოურიეთ. მოასხით არაჟანი, უყავით მარილი და შუშეთ 5 წუთი. მწვანილი წვრილად დაჭერით, ნიორი კარგად დანაყეთ. დაუმატეთ ეს ყველაფერი ლობიოს და შუშეთ კიდევ 5 წუთი.

სუფრასთან მიტანის წინ შეგიძლიათ, მოაყაროთ გახეხილი ყველი.

# რაგუ ბოსტნეულით





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ძროხის რბილი ხორცი, 5 ცალი კარტოფილი, 2 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 1 ცალი ბადრიჯანი, 1 ცალი ყაბაყი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 3 ცალი პომიდორი, პატარა თავი კომბოსტო, ცოტა სოიის სოუსი, მარილი, შავი პილპილი, როზმარინი, ცოტა კარაქი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით მომცრო ზომის კუბიკებად. დაასხით სოიის სოუსი და გააჩერეთ ნახევარი საათი მაინც. ბოსტნეული გაასუფთავეთ და დაჭერით ისე, როგორც თავად გსურთ. გამოსაცხობ ტაფაზე ფენებად ჯერ კარტოფილი, მერე სტაფილო, ხორცი, ხახვი, ბადრიჯანი, ყაბაყი, ბულგარული წიწაკა, კომბოსტო, ცოტა კარაქიც დაადეთ. მოაყარეთ მარილი და პილპილი. გადააკარით ფოლგა და მოათავსეთ ცხელ აირღუმელში. გამოაცხვეთ საათ-ნახევრის განმავლობაში. ბოლოს მოხსენით ფოლგა. დააწყვეთ ზემოდან პომიდორი და 10 წუთით შეაბრუნეთ აირღუმელში.

# ბადრიჯნის „კალეიდოსკოპი“








**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი ბადრიჯანი, 1 ცალი მოზრდილი პომიდორი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 თავი ხახვი, 2-3 კბილი ნიორი, 5-6 ღებანი ნიგოზი, 1 კონა ოხრახუში, 100 გრამი მაგარი ყველი, 2 სუფრის კოვზი სიმინდის ან ზეითუნის ზეთი, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით, 3-4 სადილის კოვზი 20-პროცენტიანი ნაღები ან მაიონეზი.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი გაჭერით შუაზე და ამოაცალეთ რბილობის ნაწილი. მოაყარეთ მარილი და გააჩერეთ 15-20 წუთი. ხახვი დაჭერით კუბიკებად, მოშუშეთ ზეთში. დაუმატეთ ბადრიჯნის დაჭრილი რბილობი, შუშეთ კიდევ.

მწვანილი დაჭერით ძალიან წვრილად. პომიდორს გადააცალეთ კანი და ბულგარულთან ერთად დაჭერით კუბიკებად. ნიორი დანაყეთ. ამ ყველაფერს დაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი ყველი და დანაყილი ნიგოზი. დაუმატეთ ნაღები. უყავით მარილი, პილპილი, თუ გნებავთ სუნელიც, და აურიეთ.

ეს ფარში თითქმის დამოუკიდებელი კერძია. ბადრიჯნებს ამოავსებთ ამ ფარშით, დააწყობთ გამოსაცხობ ტაფაზე და გამოაცხობთ 180 გრადუს ტემპერატურაზე 30-35 წუთში.

უკვე მზა კერძს, სურვილისამებრ, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი.

# გურმანთა მეგზური



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

## ნაყინი კარამელით

**საჭირო ინგრედიენტებია:** 2 კვერცხი, 75 გრამი შაქარი, 150 გრამი ნატურალური იოგურტი, 150 მილილიტრი არაჟანი, 1 სუფრის კოვზი ვანილის შაქარი. კარამელი – მოსართავად.

**მომზადების წესი:** კვერცხის გულები და შაქარი კარგად გათქვიფეთ, დაუმატეთ იოგურტი, არაჟანი და ვანილის შაქარი. მასა ჩაასხით კონტეინერში და შედგით საყინულეში 1,5 საათით. ცილა ძალიან კარგად გათქვიფეთ და შეურიეთ გაყინული მასა, შემდეგ კვლავ გადაიტანეთ კონტეინერში და შედგით საყინულეში. იმისთვის, რომ ნაყინმა ნაზი კონსისტენცია მიიღოს, სანამ ბოლომდე გაიყინება, კიდევ ორჯერ გათქვიფეთ. მზა ნაყინს მოასხით ცხელი კარამელი და ისე მიიტანეთ სუფრასთან.



## აღმოსავლური სალათა



**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი მოხარშული კიბორჩხალის ხორცი ან ჩხირები, 4 ცალი პატარა ზომის მჟავე კიტრი, ნახევარი ჭიქა უკურკო მწვანე ზეთისხილი, 3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი ძმარი ბალზამიკო, 3 სადილის კოვზი ფორთოხლის წვენი, 1 კონა კამა.

**მომზადების წესი:** კიბორჩხალის ხორცი ან ჩხირები დაჭერით და სასალათეში მოათავსეთ, შეურიეთ წვრილად დაჭრილი კიტრი, მწვანე ზეთისხილი და კამა. ზეითუნის ზეთი, ძმარი და ფორთოხლის წვენი კარგად ათქვიფეთ და მოასხით სალათას.

## შემწვარი მოივა ჭარხლით

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი მოივა, 1 სადილის კოვზი ფქვილი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 2 ღერი ოხრახუში, მარილი გემოვნებით. გარნირისთვის: 2 ცალი ჭარხალი, 0,5 ჭიქა წითელი ღვინო, 150 გრამი კარაქი, პილპილი, მარილი და შაქარი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ფქვილი და მარილი შეურიეთ ერთმანეთს, ფქვილში ამოავლეთ თევზი და შეწვით ზეთში. ჭარხალი მოხარშეთ, გაფცქვენით, დაჭერით პატარა ნაჭრებად. ტაფაში გაადნეთ კარაქი, დააყარეთ შაქარი, მარილი, პილპილი და ჩაამატეთ დაჭრილი ჭარხალი. 2 წუთში ჭარხალს დაასხით ღვინო და კიდევ 2-3 წუთი შუშეთ. ცხელი გარნირი მოასხით თევზს და ისე მიიტანეთ სუფრასთან.



42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 26 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ჭორიკანა"** **17.00** "აღმოაჩინე საქართველო" **17.30** "AQUA – GEORGIA" **18.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **19.05** ტ/სერ **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** **21.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **22.50** **ფეხბურთი**. **აშაფ**-ს კონფედერაციის თასი. ნახევარფინალი (პ/ტრ ბრაზილიიდან) **01.00** "დღეს ორის ნახევარზე".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ფულთან თამაში **23.00** სერ. **"ლიკვიდაცია"** 7 სერ. **00.15** მხ/ფ. **"ვიკი კრისტინა ბარსელონა"** (პ.კრუსი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** ნანუკას შოუ. **23.30** კონცერტი. **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 4.30, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **11.00** მაგთიფანი (გამ) **11.30** აბები (გამ.) **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტ-რი" (გამ.) **16.00** **სერიალი "შტორმი"** **18.05, 1.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "1001 ღამე"** **21.30** მაგთიფანი კონცერტი **23.30, 5.00** თოქ-შოუ "კვირის არგ-უმენტები"(გამ.) **2.30** მაგთიფანი კონცერტი (გამ.).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** მხ/ფ **"რომაული არდადეგები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **12.40** ღია აუდიტორია **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.50** დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" **16.45** წმინდა ანთიმოზ ივერიელი **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"იავნანა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **23.45** განთიადის სიუჟეტი "ლო-მისობა" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ანთიმოზ ივერიელი"** I ნაწ.

## ხუთშაბათი 27 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ჭორიკანა"** **17.00** "ჩვენი ფერმა" **17.30** "საფარი" **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** **21.00** "საჯარო პოლიტიკა" **22.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **22.50** **ფეხბურთი**. **აშაფ**-ს კონფედერაციის თასი. ნახევარფინალი. (პ/ტრ ბრაზილიიდან) **01.00** "დღეს ორის ნახევარზე".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** სერ. **"ლიკვიდა-ცია"** 8 სერ. **23.00** მხ/ფ. **"ეჭვქვეშ"** (მ.ფრიმენი) **01.35** მხ/ფ. **"თაფლობის თვე"** (ს.მილერი) (ტიტ.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **11.00** კვირის აბები (გამ.) **12.50** მაგთიფანი კონცერტი (გამ.) **16.00** **სერიალი "შტორმი"** **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "1001 ღამე** **22.00, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" **22.20, 1.30** მაგთიფანი **23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"ანთიმოზ ივერიელი"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** დოკ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"იავნანა"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "თუჯი" **16.15** კონცერტი - ანს."ფესვები" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ჩარირამა"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25, 23.15** დოკ/ფ "ლადო ასათიანი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ანთიმოზ ივერიელი"** II ნაწ.

## პარასკევი 28 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ჭორიკანა"** **17.00** "საუკუნის პორტრეტები" **17.30** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **18.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **19.05** ტ/სერ **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** **21.00** "აქცენტები" **22.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **23.00** "წითელი ზონა" **00.00** მხ/ფ **"ცის ქუხილი"** (ჟ.გაბენი) **01.30** "დღეს ორის ნახევარზე" .

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **21.50** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.15** მხ/ფ. **"კაშკაშა ვარსკვლავი"** (ე.კორნიში).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ.**"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები.

**11.00, 22.20, 1.30** "მაგთიფანი" **11.30** აბები (გამ.) **12.50, 23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **16.00 სერიალი "შტორმი"** **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 0.30, 5.30** "ყოველდღიური აბები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"ანთიმოზ ივერიელი"** II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** მოკ/ფ **"სამი ამბავი ტელეფონით"** **11.05** ისტორიის გაკვეთილი **11.40** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ჩარირამა"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.45** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.10** საუბრები ლიტერატურაზე **16.40** კონცერტი - საგუნდო მუსიკის ფესტივალი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ/ფ **"მაცივარში ვიღაც იჯდა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ირაო.

## შაბათი 29 ივნისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ. მხ/ფ **"ბავშვები უყურადღებოდ"** **10.00** საბ. ან/სერ. **"ზინგზილები"** **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** "მოამბე" **12.30** კ. კავსაძის შემოქმედებითი საღამო **14.00** ფილმი ნოსტალგია: **"ბორსალინო და კომპანია"** (ალენ დელონი) **16.30** ქართ. ტ/ფ "გამჭოლი მოქმედება" **18.00** "ეტალონი" **19.00** "10|10" **20.35** "ახალი ქართული კინო" **21.00** მხ/ფ**"ორი კვირით ადრე"** **22.00** მხ/ფ **"თუ დედამთილი ურჩხულია"** (ჯ.ლოპესი) **23.40** მხ/ფ **"სექსი დიდ ქალაქში – 2"** (ს.ჯესიკა პარკერი).

**08.15** ან/ფ "ავატარი" **6-7** სერ. **09.00** მხ/ფ. **"სავსე მთვარის სამეფო"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან/ფ "სპანჯბობი" **3** სერ. **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** **8** სერ. **14.20** იმედიატორი (გ/ჩ) **15.50** დოკ/ფ "ჩვენ ლეგიონი ვართ" (გ/ჩ) **17.50** სერ **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ. **"კერკეტი კაკალი 2"** (ბ.უილისი) **02.15** მხ/ფ. **"ჯარისკაცები"** (დ.ლუნდგრენი).

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შერეკილები **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **13.30** ქართ. მხ/ფ **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ. **"ერთგულების ძალა"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** რა? სად? როდის? **00.30** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **01.00** "Latin Angels" **01.30** სერ. **"გრიმი"** **02.00** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" (გამ.) **10.00, 18.45, 23.00, 3.30** მაგთიფანი **10.30** აბები (გამ.) **11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "1001 ღამე" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **21.45, 0.30, 4.30** თოქ-შოუ "პრესპრესი" **1.30, 5.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **2.30** "ღია კარის დღე" **6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მაცივარში ვიღაც იჯდა"** **13.15** ქართული სულის თავშესაფარი ლონდონში **13.50** ქრისტიანული სწავლება **14.00** სათავეებთან **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.10** ოპერა-**"აიდა"** **17.45** ფოტოგალერეა **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექსით ქებათა ქება **21.35** კარაბადინი **22.25** ისტორიის გაკვეთილი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **22.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** მხ/ფ **"ნისლების სანაპირო"** **02.00** ირაო.

## კვირა 30 ივნისი

**08.00** დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" **09.00** საბ. ან/სერ. "ზინგზილები" **10.00** "ეტალონი" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – მ. თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლი: **"ბნელ ოთახში"** **14.30** ფილმი ნოსტალგია: **"მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმელით"** (პ.რიშარი) **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ქართ მხ/ფ **"ჩაკლული სული"** **18.30** იტალიური კ/მუსიკის შედევრები **19.50 ფეხბურთი. აშაფ**-ს კონფედერაციის თასი. მატჩი მესამე ადგილისთვის. (პ/ტრ ბრაზილიიდან) **22.00** კონცერტი: "მე ხომ ლოცვად მინდა..." პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი **00.00** მხ/ფ **"ზაბრისკი პოინტი"** **01.50 ფეხბურთი. აშაფ**-ს კონფედერაციის თასი. ფინალი.

**08.15** ან/ფ "ავატარი" **4-5** სერ. **09.00** ქ.მხ/ფ. **"სიყვარული ყველას უნდა"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** **9** სერ. **14.20** მხ/ფ. **"ტყუპების ეფექტი – 2"** **17.40** იმედის გმირები **17.50** სერ. **"სახიფათო კავშირი"** **4** სერ. **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** რომ გადახვალ" გააჩერე **00.00** იმედიატორი **01.30** დოკ/ფ "ცხოვრება **2.0**".

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შიშის ფაქტორი **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ "ნილს ბორი" (ფრაგმენტი) **13.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **16.30** პროფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **01.30** მხ/ფ.

**7.00, 23.30, 4.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **8.00** მალვიძარა (კვირის კოლაჟი) **9.15, 18.45, 3.30** "ღია კარის დღე" **10.00, 20.00, 4.30** ჩემი ქორწილი **11.00, 12.30, 15.30 სერიალი "1001 ღამე" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **19.30** "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **21.45, 1.30** კვირის აბები **22.30, 0.00, 2.30, 5.30** მაგთიფანი.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ვინ შეკაზმავს ცხენს"** **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.00** დოკ/ფ "ქართული მულტიპლიკაციის თავგადასავალი საქართველოში" **14.30** კარაბადინი **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **18.50** ღია აუდიტორია **19.35** მხ/ფ **"ჩვენი ეზო"** **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.45** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **23.40** დრო და ადამიანები **00.10** პატრიარქის ქადაგება **00.30** მხ/ფ **"მამა გორიო"**.

## ვერძი



მეტი იმოქმედეთ, რათა გაზარდოთ შემოსავლები. მოაწყვეთ ახალი საქმიანი შეხვედრები. ეცადეთ, რეალურად შეაფასოთ სასიყვარულო ურთიერთობა და თავი დააღწიოთ ფანტაზიებს, რათა არ დარჩეთ განბილებული. კარგია მოგზაურობა.

## კურო



ბევრი გადაადგილება გელით. შეხვედრები დამლღელი აღმოჩნდება. ამიტომ, ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ. კარგია ახალ პროექტებზე მუშაობა და მათი დაგეგმვა. ასევე, კარგია იმიჯის შეცვლა, რადგან ამით მეტ ყურადღებას მიიზიდავთ საპირისპირო სქესის მხრიდან.

## ტყუპები



კომუნიკაბელური იქნებით, მეტ ყურადღებას მიაქცევთ გარეგნობის მოწესრიგებას. გაერკვიეთ გრძნობებში და ნუ ეცდებით, ერთდროულად რამდენიმე ადამიანის მოხიბვლას. ეს გაგირთულებთ, როგორც პირად, ასევე, კარიერულ ურთიერთობებს. ასევე, არ გირჩევთ მოგზაურობას და უცხოელებთან კონტაქტს.

## კირჩხიბი



გაზრდილია ფიზიკური აქტივობა, რისი წყალობითაც არაერთ საქმეს შეასრულებთ. დაეყრდენით ინტუიციას. ამ პერიოდში წამოწყებული სასიყვარულო ურთიერთობა ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ და დიდხანს გაგრძელდება. კარგია მოგზაურობაც.

## ლომი



ბევრი საქმის შესრულება მოგიწევთ. რომანტიკული ურთიერთობა თქვენს ცხოვრებაში მოულოდნელ ცვლილებებს შემოიტანს. მოგზაურობა კი წარუშლელ შთაბეჭდილებებს დაგიტოვებთ. თუ გრძნობთ, რომ გადაიღალეთ, მეგობრებთან და თანამოაზრეებთან დაჰყავით მეტი დრო და ეს განტვირთვაში დაგეხმარებათ.

## ქალწული



საქმეში გამოიყენეთ გამოცდილება და ისე იმოქმედეთ. პირადი ურთიერთობებისთვის დრო ნაკლები გექნებათ, რაც თქვენს საყვარელ ადამიანს გაანაწყენებს. ადვილად შეძლებთ პროფესიონალიზმის გაღრმავებას. კარგია მოგზაურობა, რადგან სიამოვნებას მოგანიჭებთ და რომანტიკულს გაგხდით.

## სასწორი



მოიმატებს საქმეების რაოდენობა. არ არის გამორიცხული, თქვენს ცხოვრებაში დაბრუნდეს ადამიანი, ვისთანაც ადრე რომანტიკული ურთიერთობა გაკავშირებდათ. კარგია შემოქმედებითი საქმიანობა, რადგან ის წარმატებას და ფინანსურ კეთილდღეობას გპირდებათ. ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი გარშემო მყოფების მიმართ.

## მორიელი



ფინანსების მოსაპოვებლად მოგიწევთ ბევრი შრომა. უცხოელებისგან მიღებული ინფორმაცია დადებითად წაგადგებათ. საყვარელ ადამიანთან კი შესაძლოა, გაგირთულდეთ ურთიერთობა. კარგია ვარჯიში, გამაჯანსაღებელი პროცედურები და მკურნალობის დაწყება.

## მშვილდოსანი



დაეყრდენით ინტუიციას, თუ გინდათ კარიერაში წინსვლა. კარგია დამატებითი ცოდნის მიღება. პირადი პრობლემები დაუკავშირდება საყვარელი ადამიანის ზედაპირულ გრძნობებს და სიცივეს. ეს გახდება თქვენს შორის დავის მიზეზი. კარგია მოგზაურობა. ეს მოგანიჭებთ სიმშვიდეს და დადებითად იმოქმედებს თქვენს გუნება-განწყობაზე.

## თხის რქა



მომავლის რეალისტურად ხედვა გაგიადვილებთ სწორი არჩევნის გაკეთებას. საქმეები დამლღელი მოგეჩვენებათ, თუმცა საჭიროა ძალების მობილიზება. ხშირი ურთიერთობა გქონდეთ მეგობრებთან და ამით განიტვირთეთ. არ არის გამორიცხული, მოგზაურობის დროს აიხდინოთ დიდი ხნის ოცნება.

## მერწყული



მატერიალური პრობლემები იჩენს თავს. გაგიძლიერდებათ ინტუიცია და წინასწარმეტყველების უნარი. კარგია ქალაქგარეთ დასვენება. გადაადგილებები წარმატებებს გიქადით. პირადი პრობლემების გადაწყვეტაში ახლობლები დაგეხმარებიან.

## თევზები



სასიკეთო პერიოდია, როგორც პირადი, ასევე კარიერის თვალსაზრისით. არ იკამათოთ და წესრიგში გქონდეთ საბუთები. საყვარელ ადამიანთან შეხვედრები და მისი გრძნობები მეტ სტიმულს მოგცემთ ცხოვრებაში. ეცადეთ, ძალიან არ გადაიტვირთოთ.

**ახალმთვარეობა – 8 ივლისი, 07 სთ: 12 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

## ორშაბათი

კარგია სასიყვარულო კავშირები. ნუ გასცემთ ტყუილუბრალო დაპირებებს. ნუ აიღებთ ვალად ფულს. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი ან მწვანე იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის.***

## სამშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ინტელექტუალური საქმიანობა. ნურაფერს დაგეგმავთ, იცხოვრეთ სპონტანურად. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, წითელი, ყვითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი ან ძოწი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. კარგია მშენებლობა, რემონტი, გართობა. სუსტდება თვალები, სისხლძარღვები, ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

## ოთხშაბათი
## გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი

კარგია ოჯახური ტრადიციების დაცვა, ოპტიმისტური მოქმედება, შემოქმედებითი მუშაობა. იმოქმედეთ დიპლომატიურად. კარგია მშენებლობა, რემონტი. ატარეთ წითელი, ყვითელი, ვარდისფერი, ცისფერი, ვერცხლისფერი ან ნეონის ფერის სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ამაზონიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია ადგილსამყოფლის შეცვლა, გართობა. სუსტდება ნერვული სისტემა, მხედველობა, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

## ხუთშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

იყავით მომთმენი. კარგია იურისტებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, სასიყვარულო შეხვედრები, სასამართლო პროცესის დაწყება, შემოქმედებითი მუშაობა. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, ლურჯი, იისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი, გიშერი ან მარჯანი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

## პარასკევი

აკონტროლეთ ილუზიები. შეზღუდეთ კონტაქტი უცხო ადამიანებთან, მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, გარეგნობის მოწესრიგებას, ჯანმრთელობას. ატარეთ მწვანე, ვერცხლისფერი, იისფერი, ფირუზისფერი, ყვითელი ან ლურჯი სამოსი, ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიაცინტი, ამეთვისტო ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმეები, სასამართლო პროცესების დაწყება, კაპიტალდაბანდება, მოგზაურობა. მოერიდეთ სასიყვარულო შეხვედრებს. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## შაბათი

კარგია დასვენება, მოგზაურობა, იურიდიული საქმიანობა, კაპიტალდაბანდება, სასიყვარულო კავშირები. ატარეთ ფირუზისფერი, იისფერი, ლურჯი, მწვანე, ვერცხლისფერი, წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, გიშერი, ლალი ან წითელი იასპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, ფინანსურ ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, თმის შეჭრას. სუსტდება ტერფები, ლიმფური სისტემა, თავი, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

## კვირა

ნუ გადაიტვირთებით და ნუ დაიძაბებით. სანამ ნაბიჯს გადადგამთ, კარგად დაფიქრდით, ნუ აჩქარდებით. აკონტროლეთ აგრესია, სულსწრაფობა, უყაირათობა. მოერიდეთ წესების დარღვევას, სასიყვარულო კავშირებს, თმის შეჭრას, სტომატოლოგიურ პროცედურებს. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, ყურები, თვალები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ავთანდილაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ავთანდილი. ეს სახელი არაბულ-ირანული წარმოშობისაა და ქართულად „სამშობლოს რწმენას" ნიშნავს. ის საქართველოში ოდითგანვე გავრცელებული იყო. მისი კნინობითი ფორმაა ავთო.

1721 წლის აღწერით, პატარა ზურაბის ყმად საფიეთში მოიხსენიება მოლაშქრე თამაზ **ავთანდილაშვილი.**

საკარისში ყმები ყოფილან ფარუა და ყულიჯან **ავთანდილაშვილები.**

1721 წლის აღწერითვე, **ავთანდილაშვილები** მემამულეებიც იყვნენ.

საქართველოში 203 **ავთანდილაშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 101, თბილისში – 44, გორში – 12. არიან სხვაგანაც.

### ტოგონიძე

გვარის ფუძეა სიტყვა ტოგუნი, რაც სულხან-საბას მიხედვით „მაღალ დასაჯდომს" ნიშნავს.

1730 წელს ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია გიორგი **ტოგუნიძე**.

**ტოგონიძეები** 1941 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ფარახეთიდან ასურეთში გადავიდნენ საცხოვრებლად. ისინი ცხოვრობდნენ სოფლებში: სევა, ფარახეთი, ძეგლევი.

ამავე ძირისაა გვარი **ტოგოშვილი**.

საქართველოში 1 303 **ტოგონიძე** ცხოვრობს: თბილისში – 526, ქუთაისში – 145, წყალტუბოში – 133. არიან სხვაგანაც.

### ფარსადანაშვილი-ფარსადანიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ფარსადანი**, რომელიც სპარსული წარმოშობისაა და ქართულად ბრძენს, სწავლულს, მეცნიერს ნიშნავს. ეს სახელი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში.

1737 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელიც იასე როინიშვილ-ყორღანაშვილს თავისი ბიძაშვილისთვის, ზაალ როსტომაშვილისთვის მიუცია, მოხსენიებულია ზურაბ **ფარსადანაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარი **ფარსადანიშვილიც**.

საქართველოში 76 **ფარსადანაშვილი** ცხოვრობს: გარდაბანში – 51, თბილისში – 20, თეთრი წყაროში – 5.

137 **ფარსადანიშვილი**: თბილისში – 59, თელავში – 30, გურჯაანში – 28. არიან სხვაგანაც.

### შიხიაშვილი-შიხაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **შიხა.**

ამავე ძირისაა გვარი **შიხაშვილი**.

ამ გვარის წარმომადგენლებით დასახლებულ უბანს შიხიანთხევი ეწოდება, ყვარლის რაიონში კი არის სოფელი შიხიანი.

ვარაუდით, ამავე ძირის უნდა იყოს გვარები: შიხაიდარიშვილი და შიხანბეგისშვილი.

„შიხიანთ დემეტრეს შვილი, ავთანდილი თავად დავით ბარათოვის (ბარათაშვილის) გლეხად 1823 წლის აღწერაში დიდ ენაგეთში მოიხსენიება".

საქართველოში 256 **შიხიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 140, თეთრი წყაროში – 88, რუსთავში – 28.

383 – **შიხაშვილი**: სიღნაღში – 122, თბილისში – 117, ლაგოდეხში – 97. არიან სხვაგანაც.

კომპანია „ალბატროსის" პრეზიდენტს, ბატონ ზაზა ჩხაიძეს და მის მეუღლეს, ქალბატონ დიანა აკობიას ვულოცავ დაბადების დღეს და ულევ სიხარულს, გამრავლებას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ.
ხატია ჟღენტი



### ტატიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ტატა**, **ტატია.**

„გოგია **ტატიშვილი**, იგივე ფეიქრიშვილი, ოჯახის წევრებთან ერთად მოიხსენიება ვარდისუბანში, 1823 წლის აღწერაში".

„მანგლისის მთავარეპისკოპოსი ათანასე **ტატიშვილი** მოიხსენიება 1619 წელს, სვიმონ მეორის მიერ გაცემულ წყალობის წიგნში".

ამავე ძირისაა გვარები: **ტატაშვილი, ტატალაშვილი, ტატანაშვილი, ტატიკაშვილი, ტატიური, ტატუაშვილი, ტეტელოშვილი, ტეტუნაშვილი.**

ქართველების გრიგორიანული წესით მონათვლის გამო, ზოგ ადგილას, ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულია, რომ **ტატიშვილები** ტატინიანად ჩაუწერიათ.

**ტატიშვილი** აზნაურული გვარია.

საქართველოში 1 612 **ტატიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 980, გორში – 169, მცხეთაში – 99. არიან სხვაგანაც.




### მჭედლიშვილი

ადამიანთა გაჩენისა და გამრავლების კვალობაზე, ერთმანეთისგან განსხვავებულად აუცილებელი გამხდარა სახელის, გვარისა და მამის სახელის გაჩენა. გვართა ერთი ჯგუფი წარმოშობილია ხელობის აღმნიშვნელი სიტყვებისგან. ხელობათა შორის განსაკუთრებული პატივი რგებია მჭედელს – მჭედელი ყველა სოფლის, დაბისა თუ ხევისთვის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი პიროვნება იყო.

ქართველებთან მჭედელთანაა დაკავშირებული გვარები: **მჭედლიანი, მჭედლიშვილი, მჭედლაძე, მჭედლური, ჭედია, ნალბანდიშვილი** (ნალბანდიც მჭედელია, რომელიც მუშა პირუტყვს ჭედავს, ნალს აკრავს).

ძვირფასი ლითონების ოსტატს კი, ოქრომჭედელი ეწოდება, აქედანაა გვარი **ოქრომჭედლიშვილი.**

მჭედელს მეგრულად ჭკადუ ჰქვია, სვანურად – მუშკიდ. აქედანაა გვარები ჭკადუა და მუშკუდიანი. ძველი ფორმა მუშკუდიანისა გვხვდება მეთოთხმეტე საუკუნეში.

ამავე ხელობის აღმნიშვნელი უნდა იყოს გვარი ჭელიძე, რომელიც მიღებული ჩანს **მჭედლიძისგან**. ასევე მჭედლიშვილისგან უნდა იყოს მიღებული ჭელიშვილი.

**მჭედლიშვილთა** შტო-გვარებია: ქიტოშვილი, ტეტელოშვილი; ბულაურთა ნაწილი **მჭედლიშვილთა** გვარსაც ატარებს.

მჭედლის მიერ შექმნილი საგნებიდან გაჩენილია გვარები: ცელაძე, ნამგალაური, ნამგალაძე, ნამგლაძე, წალდაძე, ჭინჭილაკაშვილი, ჩინჩილაკაშვილი და ასე შემდეგ.

მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, **მჭედლიშვილები** მოიხსენიებიან სოფლებში: ანგრევანში (ქვემო ქართლში, 1537-1638 წლებში), აბელიაში, ხანდაკში, ბიწმენში, გომარეთში.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის, **მჭედლიშვილებს** 17-ე ადგილი უკავიათ.

საქართველოში 9 359 **მჭედლიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 3213, სიღნაღში – 770, ხაშურში – 644. არიან სხვაგანაც.

### მიქიაშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი მიქა. ეს სახელი ბევრ ისტორიულ წყაროშია დასახელებული. „მიქა – მოწმე ნავროზა ჯოჯნიტაშვილის მიერ გიორგისთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა" (1547 წელი).

სახელი მიქა სათავეს იღებს ძველებრაულიდან შემოსული სახელიდან – მიქელა, რაც ნიშნავს „ღვთის სწორს," „ღვთაებრივს," სიტყვა-სიტყვით კი – „ვინც ღმერთივით არის". სახელის პირვანდელი ფორმაა – მიხაელ. მიხაი გვხვდება რუმინულში, ქართველებთან კი მიხა, მიხეილი, კნინობითი მიხო, მიხაკო, უფრო ძველი ფორმაა – მიხეილ;

მიქაელიდან ნაწარმოებია გვარები: **მიქაბერიძე, მიქაელიძე, მიქალაძე, მიქასაშვილი, მიქაძე, მიქელაისძე, მიქელასშვილი, მიქელაშვილი, მიქელაძე, მიქელია, მიქელიანი, მიქელისშვილი.** ეს გვარები იხსენიება მეთხუთმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებიდან. **მიქიაშვილი** მეჩვიდმეტე საუკუნიდან გვხვდება. ასევე, არსებობს გვარები: მიქოსძე, მიქუაშვილი, მიქუტაშვილი, მიქუჭაძე.

არსებობს ასეთი ლეგენდა, სამურზაყანოში, სოფელ საბერიოში თქმული: „ბერი მიქია შეყვარებულთან, სოფლელ ქალთან ერთად გაიქცა. მათ თავი შეაფარეს კავკასიის მთას."

ასევე, შემორჩენილია რაჭაში, სოფელ მოტყიარში თქმული: „ბერი მიქია მეუღლით დასახლდა მამულში, იქ, სადაც ამჟამად ორი წმინდა მუხაა ჯვარზე შემოზრდილები. იქვე ნასახლარია, ბერის წყარო და სახნავ-სათესი მიწა, ჯვარებად წოდებული. მათ შეეძინათ ოთხი ვაჟი, დამფუძნებელნი ბიძაშვილობისა ჩვენისა."

საქართველოში 988 **მიქიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 399, ამბროლაურში – 196, ტყიბულში – 69. არიან სხვაგანაც.

### კინწურაშვილი-კინწურია

**კინწურაშვილი** იმერეთში წარმოშობილი გვარია. მის საწყისად აღებულია მეტსახელი კინწურა.

გვხვდება, ასევე, გვარი **კინწურეიშვილი** და **კინწურია**.

1840-იან წლებში, **კინწურაშვილი** მოიხსენიება იმერეთის სოფლებში: დედელაურში, დევკუხში, ჟონეთში, ჩუნეში, წყალტუბოში, ხომულში; **კინწურია** კი – საყულიაში. ამ გვარების წარმომადგენლები იყვნენ საბატონო, საეკლესიო და სასულიერო პირები.

**კინწურაშვილი, კინწურეიშვილი, კინწურია** ერთი და იგივე გვარი უნდა იყოს და მიგრაციის შემდეგ უნდა მომხდარიყო მათი ფორმის სახეცვლილება.

**კინწურეიშვილები** გვხვდებიან გურიაში, კინწურიები კი – სამეგრელოში.

საქართველოში 2 596 **კინწურაშვილი** ცხოვრობს: წყალტუბოში – 644, ქუთაისში – 464, თბილისში – 390. არიან სხვაგანაც.

28 – **კინწურეიშვილი**: ფოთში – 12, ხობში – 12, თბილისში – 4.

55 – **კინწურია**: ქუთაისში – 36, წყალტუბოში – 19.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**




სერტიფიცირებულია
ალკოჰოლის დიდი ოდენობით მიღება ვნებს ჯანმრთელობას

**ცნობილი ადამიანების მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველთვის იყო და იქნება. როგორები არიან ისინი რეალობაში, როგორ ცხოვრობენ, რა ყოფითი პრობლემები აქვთ, რა უჭირთ და რა ულხინთ. ეს ყველას ძალიან გვაინტერესებს. ამ დღეში არიან მათი მეორენახევრებიც, რომლებიც პოპულარული მეუღლეების გვერდით, ძალაუნებურად, ჭორებისა და კრიტიკის ქარცეცხლში ეხვევიან. დღეს ხალხისთვის იმედის მიმცემისა და საყვარელი ასტროლოგის, მიშა ცაგარელის მეუღლეს გაგაცნობთ.**

# როგორ ააწყო პირადი ცხოვრება ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით მიშა ცაგარელმა

**– ქალბატონო ნანა, სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი-მეთქი არ გკითხავთ. ვიცი, რომ ერთმანეთს გვიან შეხვდით, 30 წელს რომ გადაცილდით, თან, იმ დროს უკვე მიშა ცოლს გაცილებული იყო. ხომ არ იყო თქვენთვის რაღაც მომენტში ხელისშემშლელი ფაქტორი ის, რომ მას უკვე ჰქონდა ოჯახი?**

– მიშიკო სტუდენტი იყო, როცა დაქორწინდა და ძალიან მალე დაშორდნენ, ერთმანეთს. მრავალი წლის მერე კი მე შევხვდი. რა თქმა უნდა, რომ გავიცანი და სერიოზულად დავახლოვდით, ყველაფერი ვიცოდი. დედამთილ-მამამთილთან ერთად ვცხოვრობდით და ბავშვი მამასთან, ბებია-ბაბუასთან ხშირად მოდიოდა. იმდენად კარგი პიროვნება იყო მიშიკო, იმდენად არაორდინარული (განსხვავდებოდა ჩემ ირგვლივ მყოფი მამაკაცებისგან, მეგობრების ქმრებისგან), რომ ეს მომენტი ჩემთვის მეორეხარისხოვანი იყო. ქალისთვის ხომ მთავარი ოჯახია. მე შევხვდი ისეთ ადამიანს, რომელსაც უზომოდ შეუძლია სიკეთის გაკეთება, სიყვარული. ყველაფერია ამ კაცში და ის, რომ მას უკვე ჰქონდა ოჯახი და ეს იყო, როგორც თვითონ ამბობს ახალგაზრდული შეცდომა, ამისთვის მნიშვნელობა არ მიმინიჭებია.



**როცა მიშიკომ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, თავის სპეციალობის პარალელურად, მაშინ იმდენი რაღაც გახდა ჩემთვის ნათელი, რომ ვიგრძენი – იმ დღიდან ყველაფერს მიშიკოს თვალით ვუყურებ**

**– ჩვენთან ინტერვიუში თქვენი მეუღლე ამბობს: „მეორე ოჯახს რომ ვქმნიდი, მაშინ ჩემი დამოკიდებულება უკვე საკმაოდ გააზრებული იყო. ვგრძნობდი, რომ ჩემი მუხრუჭები კარგად მუშაობდა, ვიცოდი ზოდიაქოს ნიშანთა თავსებადობაც, ისიც, რა პერიოდში შეიძლებოდა მომხდარიყო კონფლიქტი, როგორ უნდა ამევლო გვერდი პრობლემისთვის. მეორე ოჯახთან – დღემდე მომყვება სტაბილურობა" თქვენ თუ ფიქრობდით, ზოდიაქოს რა ნიშნის შეიძლებოდა, ყოფილიყო თქვენი მომავალი მეუღლე, შეეთავსებოდით ერთმანეთს, არ შეეთავსებოდით?..**

– მე მაინც არ მიმაჩნია, რომ ამ ნიშნით შემარჩია, იმიტომ რომ მაშინ მიშიკო არ იყო კარგად ჩახედული ასტროლოგიაში. შეიძლება თავისთვის ჩუმად რაღაცეებს არკვევდა და გაუხარდა, რომ „ქალწული" შეხვდა, მაგრამ არა მგონია, ამიტომ შევერთე. არც მე გამითვლია. ისიც კი არ ვიცოდი, „კურო" რომ იყო და „ქალწული" „კუროსთან" ასპროცენტიანი შეთანხმებაა. მაშინ, საერთოდ არაფერი ვიცოდი ასტროლოგიაზე. მერე, უკვე მოგვიანებით, როცა მიშიკომ სერიოზულად მოკიდა ხელი ამ საქმეს, თავისი სპეციალობის პარალელურად, მაშინ იმდენი რაღაც გახდა ჩემთვის ნათელი – ვიგრძენი, რომ იმ დღიდან ყველაფერს ვუყურებ მიშიკოს თვალით. როდის რა გავაკეთო, როგორ წარიმართება ჩემთვის დღე... ყველაფერი დაგეგმილი მაქვს. ამის მიხედვით ვცხოვრობ და ძალიან კმაყოფილი ვარ.

**– გაფრთხილებთ ხოლმე როგორი დღე გექნებათ?**

– საქესთან ვზივარ და რომ მეტყვის, დღეს ცუდი დღე გაქვს, ავარიული, სახლში ვტოვებ მანქანას და ტაქსით მივდივარ. პრობლემა არ არის. რა თქმა უნდა, ყოველთვის ვუსმენ და ძალიან მჯერა, იმიტომ რომ ბევრჯერ წავიმტვრიე კისერი.

**– მაინც როგორია თქვენი ვარსკვლავური წყვილი?**

– იდეალური შეთანხმება გვაქვს. „ქალწული" ცოტა ისეთი ნიშანია – პედანტური, მომთხოვნი, მაგრამ მომთხოვნი არა წვრილმანებში, რაც შეიძლება კაცს აღიზიანებდეს. მიშიკო ძალიან მომთმენი, თბილია, ყველაფერს გიადვილებს. ჩვენ პეკინზე ვცხოვრობდით და გაგვქურდეს. წაიღეს ყველაფერი, რაც კი გვქონდა – დაწყებული სამკაულებიდან. ცხადია, გული დამწყდა. აი, ეს მომენტი ისე გამიადვილა, ვერ წარმოიდგინეთ. ეს ყველაფერი ახლა ხელზე რომ გკეთებოდა, ღამე, სამსახურიდან დაბრუნებული სადარბაზოში შემოსულიყავი და ვიღაც დაგსხმოდა და თავში ჩაერტყა, ის გერჩივნა, თუ ასე, უმტკივნეულოდ რომ წაიღესო – ძალიან მშვიდად და დინჯად მითხრა. მიშიკოსთვის ძვიფასეულობას, სიმდიდრეს არავითარი ფასი არ აქვს. ელემენტარულად, ლარნაკი ვიყიდე. მიშიკო ხომ ლამაზია? – ვკითხე. კი – მოკლედ მითხრა და მორჩა. ხომ არიან მამაკაცები ფული აქვთ, წავლენ იყიდიან ოქროს ან რამე ძვირფას ნივთს, დადებენ. ბევრი ვიცი ასეთი. მიშიკოს ამის არანაირი მოთხოვნილება არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ „კუროა" და მოსწონს სილამაზე. მისთვის მთავარია დასვენება, ჯანმრთელობა და კარგი ურთიერთობები.

**– როცა პრეტენზია თუ შენიშვნა გინდათ წაუყენოთ ქმარს, როგორ ეუბნებით – პირდაპირ, საქციელით აგრძნობინებთ, შეპარვით თუ მოფერებით?**

– შენიშვნა შეიძლება ბავშვს მისცე, მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ ეს მეუღლეს სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, მე მას ვაძლევ არჩევნის საშუალებას – ეს რომ არ ვარგა ასე, სხვა რა ალტერნატივა არსებობს, რომ უკეთესად გავაკეთოთ? „ქალწული" ვარ და კარგად შემიძლია ლავირება.

**– რით მოგხიბლათ მიშა ცაგარელმა თავიდან? თან, იმ დროს არც იყო საზოგადოებაში ასე ცნობილი.**

– როცა ერთმანეთს შევხვდით, როგორც გითხარით, მომხიბლა თავისი აზრებით, ერუდიციით, სითბოთი. ვიფიქრე, არ შეიძლება, ამ კაცთან რაღაც შემეშალოს, ზედმეტი მომივიდეს. იმ დღიდან მოყოლებული, რაც ჩვენ ერთად ვართ, არანაირი ბზარი არ გაგვჩენია ურთიერთობაში. ხომ არის მომენტები, როცა ქალი რაღაცას ნანობს, ეს ვის გავყევი, ეს რა ყოფილა და არ ვიცოდიო. ამდენი წელია, ერთად ვართ და გულის კუნჭულში ერთი პატარა წყენაც არ მაქვს. მინდა გითხრათ, რომ სულ გვენატრება ერთმანეთი და სულ ისეთი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთის მიმართ როგორც პირველ დღეს. ამხელა ქალი ვარ, ცოტა მერიდება ამის თქმა, მაგრამ ასეა. სახლიდან ისე არ გავა, რომ ლოყაზე არ მაკოცოს და არ შემოვა, რომ არ ჩამეხუტოს. ძალიან უშუალო, ბავშვურია – მოფერებით ყველაფერს რომ გააკეთებინებ. მე გაბრაზებული მიშიკო ჯერ არ მინახავს. მეც ძალიან თბილი ვარ ურთიერთობაში და მიყვარს, როცა ჩემდამი იჩენენ სითბოს.

**– არ გსიამოვნებთ, როცა გარეთ პოპულარული ქმრის გვერდით გადიხართ. დარწმუნებული ვარ, ამ დროს ყველა გიყურებთ.**

– ადრე, სანამ ჩვენთან, პეკინზე მაღაზიები გაიხსნებოდა, ბაზრობაზე მივდიოდით და იქ ვყიდულობდით ბავშვისთვის რაღაცეებს. იქედან ველარ გამოვდიოდით – ბატონო მიხეილ, დღეს როგორი დღე მექნება, მითხარით... ყველა რომ გაჩერებს და რაღაცას გეუბნება, როგორია?! აი, მაშინ მართლა ვიღლებოდი. ახლა, ეს სიამოვნება მომაკლდა. ისე, პოპულარობა ახალგაზრდობაში არც მე მაკლდა. უცხო ენათა ინსტიტუტში ვსწავლობდი, ინსტიტუტში საესტრადო ჯგუფი იყო შექმნილი, დავდიოდით გასტროლებზე, ყოველკვირა საესტრადო პანორამა იყო და ხშირად აშუქებდნენ ჩვენს კონცერტებს. მერე, მიშიკოს რომ გავყევი, მოსკოვში გვქონდა გასტროლები, სადაც ერთად გამოვდიოდით. ამიტომ, ამის პოპულარობა

# როგორ აღმოჩნდა ხევსური მეომარი იაპონიაში და რა გამაოგნებელი საქციელი ჩაიდინა მან იქ

ისტორიული ფაქტია – ხევსურმა ლიქოკელმა სამურაების ოცეული გაანადგურა. ეს შემთხვევა ქართული საბრძოლო ხელოვნების ისტორიაში, ალბათ, ერთადერთია, როდესაც ქართული სკოლა იაპონურს დაუპირისპირდა და ეს პაექრობა პირველის აშკარა უპირატესობით დასრულდა. მეოცე საუკუნეში პრისტავის მოკვლის გამო კუნძულ სახალინზე გადაუსახლებიათ ხევსურეთის მკვიდრი, ვინმე ლიქოკელი. ხევსური თავის კუთხეში შესანიშნავ მოფარიკავედ ითვლებოდა. იმხანად რუსეთ-იაპონიის ომი მიმდინარეობდა და იაპონელთა ერთმა რაზმმა კუნძული დაიკავა. ლიქოკელი მტერს მედგრად დაუხვდა. ერთ სახლში გამაგრდა და შენობაში შესულ მოწინააღმდეგეთაგან გარეთ ცოცხალი ერთიც არ გამოუშვია. ბოლოს და ბოლოს, იაპონელებმა საერთო ძალებით კარი შეანგრიეს და ყველასათვის გასაოცრად, თვალწინ ასეთი სურათი გადაეშალათ: ოთახის შუაგულში ერთადერთი კაცი იდგა, გვერდ-

**იაპონელებმა საერთო ძალებით კარი შეანგრიეს და გაოგნდნენ: ერთადერთი კაცი იდგა, გვერდით კი ათეულობით იაპონელი მეომრის გვამი ესვენა**

ით კი რამდენიმე ათეული იაპონელი მეომრის გვამი ესვენა. თანამემამულეთა პრესტიჟის ხსნა რაზმის მეთაურმა მოისურვა, რომელიც სამურაების კასტას განეკუთვნებოდა – ამ წრის წარმომადგენლებს კი იაპონიაში ფარიკაობის ილეთების საიდუმლოებებს ბავშვობის ასაკიდან ასწავლიდნენ – ამოიღო ხმალი სამურაიმ და დაიძრა ხევსური ლიქოკელისკენ. მისდა სამწუხაროდ, იარაღის მოქნევა ვერ მოუსწრია, რომ ლიქოკელს ოთხად გაუჭრია. ბოლოს და ბოლოს, ხევსური ჯერ დაუტყვევებიათ, შემდეგ კი დაუხვრეტიათ.



ერთი საინტერესო ამბავი თამარ მეფეს უკავშირდება. მას, თურმე, ხახმატში პატარა ციხე აუგია, სადაც ზაფხულობით ადიოდა დასასვენებლად. ასეთი ლეგენდა არსებობს: ერთხელ მეფე თამარს შვილი, ლაშა-გიორგი დაუკარგავს. ბევრი უძებნია, მაგრამ ვერსად უნახავს. შემდეგ მიმხვდარა, რომ ის აუცილებლად ხახმატში იქნებოდა გაპარული, რადგან ლაშა-გიორგის ძალიან ჰყვარებია ხევსურეთი. წასულა თამარი შვილის სანახავად. ხახმატში ასულს ხალხი შეუკრიბავს და ლაშას მოძებნა უბრძანებია. მათ მართლაც ხევსურეთში იპოვეს ლაშა, მაგრამ მეფის შვილის დავალებით, თამარისთვის უთქვამთ, რომ ლაშა-გიორგი არ იყო ხევსურეთში. მეფე გაბრაზებულა და მკაცრად მოუთხოვია მცხოვრებთათვის, სასწრაფოდ ეპოვათ მისი შვილი და მასთან მიეყვანათ. ხევსურებს კი მეფე ციხეში ჩაუკეტავთ და ასე უთქვამთ: ლეკებისა და ქისტების ჯარი აშლილია, მთებს ვყარაულობთ, არ გვცალია თქვენი შვილის საძებნად, სამშობლო გვაქვს დასაცავიო. თამარ მეფეს კი მიუგია: გამიღეთ კარი, წავალ. უპოვიხართ თავის ჭკუისები და იმიტომ წამოსულა აქ. ვიცი, რომ მან დაგარიგათო. ბოლოს დაუყოლებია: „ეს მინდა ფრახს, დედას, შვილის მაძევარს (მძებნელსო)“.

წინაპრებს ისიც უთქვამთ, რომ თამარს ხახმატელთა სალოცავისთვის ვერცხლის მონეტებით სავსე ქვაბები შეუწირავს, რაც შემდგომ კომუნისტებს მოუპარავთ... ასევე, კომუნისტებს დაუნგრევიათ თამარის მიერ აგებული ზემოთ ხსენებული ციხე. მასალა გზის გაყვანისას გამოუყენებიათ.

**ნინო წულუკიძე**

---

თითქოს დაბალანსებულად მოხდა, დიდად არაფერი შეცვლილა.

**– თქვენს პირად ცხოვრებაში ისე დალაგებული ყოფილა ყველაფერი, მართლა ვერანაირ ეჭვს ვერ შეიტან. გამოდის, რომ ამბობენ, იდეალური წყვილი არ არსებობსო, თურმე არსებობს**

– ალბათ, აქ მაინც ძალიან დიდ როლს თამაშობს ასტროლოგია. ჩვენ, რომ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, ეს იყო ასპროცენტიანი შეთანხმება. ვინც გვიცნობს და გვიცნობს თითქმის ნახევარი საქართველო, ყველა აღიარებს, რომ მე და მიშა ცაგარელს გვაქვს იდეალური ოჯახი.

**– მიშა ცაგარელი ის მამაკაცია, ვინც თქვენ წარმოგედგინათ გვერდით?**

– ასეთი ნამდვილად ვერ წარმომედგინა, ვერ დავხატავდი ჩემს წარმოსახვაში. წარმომედგინა კაცი, რომელიც არ სვამს, არ ეწევა – რასაც მთელი ცხოვრება ვერ ვიტანდი, განათლებულია, აუცილებლად უნდა ყოფილიყო ოჯახის მოყვარული. ჩემს წარმოდგენაში გარეგნობით საერთოდ არ ჰგავდა ჩემი მომავალი მეუღლე მიშას და ახლა, ჩემს ქმარზე ლამაზი არავინ მგონია. მელოტ კაცებს ვერ ვიტანდი. საერთოდ, უნდა აგრძნობინო, რომ სადავეები მას უკავია. შეიძლება, ჩვენ ერთ დონეზე ვართ, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, ოჯახში წამყვანი ძალა კაცია.

**– ქალი, რომ მთელი დღე გასულია სახლიდან, დატვირთულია, სახლშიც იმდენი საქმე აქვს, მაგას რაღა ჰქვია აბა?**

– ჩვენ ბინა შევიძინეთ და ცოტა ვალი დაგვრჩა. ამიტომ, რამდენიმე სამსახურში ვარ. მიშაც მუშაობს და წარმოიდგინეთ, ორშაბათი დღე რომ იწყება, მთელი კვირა ასე გრძელდება – მოვდივარ სკოლიდან, მერე მივდივარ მეორე სამსახურში, მერე – მესამეში. სალომე ბებიასთან

**სახლიდან არ გავა, რომ ლოყაზე არ მაკოცოს და არ შემოვა, რომ არ ჩამეხუტოს**

არის ამ დროს, რომელიც აქვეა, ახლოს. ღამე რომ ვბრუნდები სახლში, საწოლთან მისული არ ვარ, რომ მეძინება. ხუთზე, ექვსზე ვწვები დასაძინებლად. ოჯახში დამხმარე არ მყავს, ყველაფერს თვითონ ვაკეთებ. ხანდახან ისე ყოფილა, არც გამომიცვლია ტანზე, დავმჯარვარ მიმუშავია, ტესტები მომაქვს სკოლიდან და ვასწორებ. დილით კი სამსახურში წავსულვარ. ერთ-ერთ გადაცემაში შეკითხვა დამისვეს – თქვენი ჰობიო და ვუპასუხე სამზარეულო-მეთქი. რა ჯობია, როცა სახლში ხარ, აცხობ ნაირნაირ ნამცხვარს, აკეთებ საჭმელს. გაგიჟდა ის ქალი, რომ მისმენდა. ეს გაუშვეს. რამდენი დამცინებდა, წარმომიდგენია – ამ ქალს რა ენატრებაო. ყველაფერს ღამე ვაკეთებ. ერთი სული მაქვს, როდის გავალ პენსიაზე.

**– წეღან კი შეგაქეთ იდეალური წყვილი ხართ-მეთქი, მაგრამ როგორც ყველა მამაკაცს, ალბათ, მასაც აქვს ისეთი მხარე, რაც არ შეიძლება, არ დაინახოთ, თუ „არაფერი მესმის და ვერაფერს ვხედავ,“ – ამ პოზიციაში ხართ?**

– ახალგაზრდობაში უფრო მქონდა ეს მომენტი, როცა ვეჭვიანობდი. ბევრი რეკავდა ჩემდამი აგრესიით, იმიტომ რომ მოსწონდათ, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა. მიშიკოს ვერ ვეუბნებოდი და ჩემს დედამთილს ვუშლიდი გულს. დედამთილთან ყოველთვის ძალიან მეგობრულად ვიყავი. თვითონ ისეთი ტიპაჟია, რომ არ შეიძლება, მასზე იეჭვიანო. უნდა იცნობდე კაცს, რომ ეს გრძნობა გაგიჩნდეს. ასი და ორასი პროცენტით დავდებ თავს მის ერთგულებაზე. მიშიკო, რაღაც არაამქვეყნიური, სულ სხვანაირია. ძალიან განსხვავდება ირგვლივ ჩემი ნაცნობი მამაკაცებისგან, ჩემი მეგობრების ქმრებისგან.

**ეკა პატარაია**

**სულ ახლახან ბათუმში, ბრენდონ სთოუნის – ბესო შაპეტიშვილის სოლო-კონცერტი გაიმართა. მომღერალმა თავისი ოცნება აისრულა – სამშობლოში, საყვარელი თანამემამულეებისთვის იმღერა. შემოსული თანხა საქველმოქმედო საქმეში გადარიცხა. თავის უკრაინელ ცოლს და შვილსაც აუსრულა დანაპირები – როგორც იქნა, მოახერხა და ისინი საქართველოში ჩამოიყვანა. ბრენდონი სულ სამი დღით იმყოფებოდა სამშობლოში. როდესაც დავუკავშირდით, უკვე გერმანიაში იყო და მეორე დღეს რუსეთში აპირებდა გამგზავრებას, სადაც „ახალი ტალღის" კონკურსისთვის ემზადება.**

# რით „დაშოკა" გერმანელი ტურისტები ბრენდონ სთოუნმა და რატომ გაუკვირდათ მისი „გამოკიდება" შუაგულ ბათუმში

**ბრენდონ სთოუნი:** ყოველთვის მინდოდა, საქართველოში საქველმოქმედო კონცერტი ჩამეტარებინა და ამით მეც რამე გამეკეთებინა ჩემი ქვეყნისთვის. ერთი წლის წინათ ბათუმში გავმართე კონცერტი და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ხალხის სითბო და სიყვარული ვიგრძენი. მივხვდი, რომ მიუხედავად იმისა, აქ აღარ ვცხოვრობ და უცხოეთში ვმოღვაწეობ რამდენიმე წლის განმავლობაში, მაინც ვახსოვარ და მაფასებენ. ეს ჩემთვის დიდი სტიმული და დაფასებაა. აჭარის მთავრობა დამიკავშირდა და მთხოვა, თუ შეგიძლია ჩამოხვიდე და კიდევ ერთი კონცერტი გამართოო. ბათუმში შენდება ეკლესია, წმინდა ილიას სახელობის ტაძარი, რისთვისაც გარკვეული თანხებია საჭირო და მითხრეს, თუ სურვილი გექნება, იქნებ შენც შეიტანო მის მშენებლობაში წვლილიო. უარს როგორ ვიტყოდი?! მიუხედავად, უამრავი საქმისა, ყველაფერი გადავდე და დიდი სიამოვნებით გადმოვფრინდი საქართველოში.

**– შენს კონცერტს ბათუმში ბევრი გერმანელიც ესწრებოდა. ეს უბრალო დამთხვევა იყო, თუ ისინი სპეციალურად ჩამოვიდნენ შენს მოსასმენად საქართველოში?**

– გერმანელები ბათუმში ისვენებდნენ, კონცერტის ბანერი უნახავთ ჩემი სურათით. ჯერ გაოცებულან, ამას აქ რა უნდა, სად გამოკიდებულაო ***(იცინის)*** და გადაწყვიტეს კონცერტზე დასწრება. ჩემდა გასაოცრად, ყველა ბილეთი გაიყიდა და კონცერტის დღეს, მიუხედავად მოთხოვნისა, აღარ იყო. ის გერმანელი ტურისტები პირადად დამიკავშირდნენ, მთხოვეს, ძალიან გვინდა დასწრებაო და მეც „ჩავუწყვე" საქმე ***(იცინის).*** „ჩაწყობა" ხომ მოსულა?



იმდენ საქმეს ვაკეთებ ერთად, დამცინიან, რვაფეხა ხარო

**– რასაკვირველია, მოსულა. და, რატომ გაუკვირდათ შენი კონცერტი ბათუმში? ხომ იციან, რომ წარმოშობით ქართველი ხარ?**

– როგორ არ იციან, მაგრამ მერე მითხრეს, არასდროს მართავდი საქართვველოში კონცერტს, სულ გერმანელ მომღერლად აღგიქვამდით და ბანერი რომ „გავჩითეთ" ბათუმში, შოკში ჩავვარდით, მაგრად გაგვიკვირდაო. ასე რომ, ამ ერთი კონცერტით კეთილი საქმეც გავაკეთე, თანამემამულეებისთვისაც დავიხარჯე და სტუმრად ჩამოსული ტურისტი გერმანელებიც „დავშოკე" ***(იცინის).*** თუმცა მეც სტუმრად არ ვითვლები? აქ ბინა არ მაქვს. მინდოდა ყიდვა, მაგრამ ჯერ ვფიქრობ.

**– და, კიდევ ერთი მთავარი გამოგრჩა – შვილის ნათლობა!**

– ცოლ-შვილს დიდი ხანია ვპირდები, საქართველოში ჩაგიყვანთ-მეთქი და ვერ ვახერხებდი. ქორწილი და ჯვრისწერაც აქ მინდოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა. რამდენიმე დღით მიწევდა ჩამოსვლა და ამხელა გზაზე მათი წამოყვანა არ ღირდა. არადა, ჩემი უკრაინელი ცოლი მეუბნებოდა, ყველა იმას ამბობს, ქართველებმა მაგარი მასპინძლობა იციან, ძალიან გალამაზებულია ბათუმი და რა გახდა ჩემი იქ წაყვანაო. ჰოდა, აი, ავუსრულე ნატვრა. მერე მეხვეწებოდა, მალე წავიდეთ, თორემ სულ ჭამე-ჭამეს მეუბნებიან, მეც ვერ ვიკავებ თავს ასეთ საჭმელებს რომ ვუყურებ და ისე გავსუქდი, ტანსაცმელს ვეღარ ვირგებო ***(იცინის).*** სამ დღეში ხუთი კილო მოიმატა. სხვათა შორის, მეც წონაში ვიმატებ, როცა აქ ჩამოვდივარ და ახლაც, კონცერტისთვის, ორი პერანგი მქონდა წამოღებული. ერთი აღარ შემეკრა და ერთის ამარა დავრჩი სცენაზე ***(იცინის).*** მოკლედ, ძალიან მოეწონათ საქართველო – ხალხი, გარემო, სიტუაცია. ბავშვის ნათლობა კი სპონტანურად მოხდა. კონცერტის შემდეგ ვიჯექი ახლობლებთან ერთად, მამა ნიკოლოზიც ჩვენ გვერდით იყო, რომლის ეკლესიის ასაშენებლადაც ჩავატარე კონცერტი. იდეა გამიჩნდა, მოდი, რადგან აქ ვარ, ბარემ შვილსაც მოვნათლავ მამაო-მეთქი. გაუხარდა, დამთანხმდა და მეორე დღეს გავქრისტიანდით. ჩემს შვილს ლუიზა ჰქვია, ნათლობის სახელი ელიზაბეტია, უბედნიერესი იყო და არასდროს დაავიწყდება ეს დღე, როგორ შორსაც არ უნდა იყოს თავისი ქვეყნიდან.

**– სულ მალე „ახალი ტალღის" კონკურსი იწყება, სადაც საქართველოს სალომე ქათამაძე წარმოადგენს. კონკურსანტების მოსამზადებელ ციებ-ცხელებაში აქტიურად ხარ ჩართული, თუმცა, როგორც გავიგე, სალომესთან არ მუშაობ. რატომ?**

– „ახალი ტალღის" ყველა კონკურსანტის ფონოგრამებზე მე ვმუშაობ. გაწამაწიაში ვარ, რომ დროზე დავასრულო და ამაზე ვარ ორიენტირებული. პარალელურად, ჩემი ახალი ალბომიც გამოდის გერმანიაში და მასზეც ვმუშაობ. უნდა დავასრულო. კიდევ ერთი პროექტი მაქვს, რომელსაც გერმანელ რეპერთან „რაშ 41-თან" ერთად ვაკეთებ, კლიპიც გადავიღეთ და მასზეც პარალელურად ვმუშაობ. დამცინიან, რვაფეხა ხარო ***(იცინის).*** მეც არ ვიცი, ამდენ საქმეს როგორ ვასწრებ ერთდროულად, მაგრამ სხვა რა გზაა? რაც შეეხება სალომე ქათამაძის მომზადებას, მასთან არაჩვეულებრივი მუსიკალური პროდიუსერი, ნასტია მუხინა მუშაობს. მე კი ევროპელ კონკურსანტებს ვამზადებ. ყველა მეკითხება, შენ რატომ არ აიყვანე ქართველი კონკურსანტიო. ეს ჩემი კომპეტენცია არ არის, ჩვენ ვინაწილებთ სამუშაოს. მე ევროპელებს ვეხმარები, ნასტია კი „სნგ-ს" ყოფილი ქვეყნების წარმომადგენლებს.

**– ყოველ წელს სპეციალურად კონკურსისთვის წერ ახალ სიმღერას. შარშანაც აპირებდი ახალი სიმღერის შესრულებას ვალერი მელაძესთან და ქართველ კონკურსანტთან ერთად, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, ეს ვერ მოხერხდა. წელს თუ გეგმავ მსგავს სიურპრიზს?**

– ძალიან მინდოდა, მაგრამ რევზინმა, როგორც გითხარით, ევროპელებზე მიმამაგრა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდება. მეორე ტურში იგეგმება დუეტები. ვიფიქრე, მე და სალომემ „ყვავილების ქვეყანა" რომ ვიმღეროთ, ლამაზი და მომგებიანი იქნება-მეთქი, მაგრამ, მგონი, საქართველოდან ყოფილი „ახალი ტალღელები" ჩამოდიან და მათთან მოუწევს გამოსვლა სალომეს. მე კი, სამწუხაროდ, ერთ-ერთი ევროპელი კონკურსანტის გვერდით მომიწევს დგომა სცენაზე. ყოველთვის მიხარია ჩემი თანამემამულეების გამოსვლა იურმალაში. ყოველთვის ვამაყობ ამით და თუკი რამეში დავჭირდი სალომეს, მე ყველაფერში დავეხმარები.

**– წელს რამდენად გვაქვს გამარჯვების შანსი და კონკურსანტების შესახებ რას იტყვი?**

– სალომე ძალიან ძლიერი გოგონაა, განსხვავებული, მსუყე ტემბრით. მიხარია, რომ ასეთი ძლიერი კონკურენტი ჰყავთ სხვებს, ქართველი სალომეს სახით. მისი იმედი მაქვს. ვფიქრობ, სამი ადგილიდან ერთ-ერთი გარანტირებული გვაქვს. მოგების შანსი ნამდვილად მაღალი გვაქვს ქართველებს სალომეს სახით. თუმცა წელს ძალიან ძლიერი კონკურსანტები გამოდიან. კონკურსი კი მაინც კონკურსია და არავინ იცის, რა მოხდება სცენაზე. როცა საქართველოში შესარჩევი კონკურსი დასრულდა და უკრაინაში ჩავედით ქასთინგზე, ჟიურის ყველა წარმომადგენელი აღიარებდა, უკრაინელები ქართველებთან ვერ მოდიან სიმღერაში, მაგრამ მათ პლასტიკა არ უვარგათო. ვუთხარი, ჩვენ ისეთ ხალხურ სიმღერებზე ვართ გაზრდილი, რომელსაც მხოლოდ ხმა სჭირდება და ამით ატყვევებს მსმენელს, ამ დროს, მოძრაობა ზედმეტია-მეთქი. სალომემ ისე მაგრად იმღერა, „დახია" იქაურობა, მაგრამ სცენაზე მოძრაობა უჭირს. სამწუხაროდ, ეს შესამჩნევია და დიდ სცენაზე დგომა, პლასტიკას და რიტმულ მოძრაობებსაც მოითხოვს. იმედია, ამას გამოასწორებს პედაგოგების წყალობით და იურმალაში „ამოძრავებული" დამხვდება ***(იცინის).*** ასე რომ, წინ დიდი ციებ-ცხელება გველის. მიხარია, ამ

**ყველა მეკითხება, შენ რატომ არ აიყვანე ქართველი კონკურსანტიო. ეს ჩემი კომპეტენცია არ არის, მე ევროპელებს ვეხმარები**

ციებ-ცხელებაში ქართველებიც რომ ჩაებით და დიდი შანსიც გაქვთ.

**– გავიგე, რომ წელს პირველად იღებს ამ კონკურსზე მონაწილეობას ორი ქვეყნის წარმომადგენელი. მათზე რას იტყვი?**

– სულ ვეძებ ახალ, ნიჭიერ მომღერლებს და ესენი, ორივე მე აღმოვაჩინე გერმანიაში. ჩემი კონკურსანტები არიან. ისინი გამოდიან კუბის და ვიეტნამის სახელით. კუბელი რომ ხმას ამოიღებს, ეს სასწაულია, ვიეტნამელი კი ისეთ ილეთებს აკეთებს სცენაზე, გაოცებული ვუყურებ. მართალია, ესენი ჩემები არიან, ჩემი აღმოჩენილები, მაგრამ რა ვქნა, მე ქართველი ვარ და სალომეს „ვუბალეშჩიკებ".

**ნონა დათეშიძე**

# რამდენიმე უნივერსალური წესი სხეულის იდეალური ფორმების შესანარჩუნებლად

ყველამ იცის, რომ სხეულის მოვლის, წონის რეგულაციის, სიმხნევისა და სიჯანსაღისთვის, რაც ერთად აღებული, სილამაზის გარანტია, მტკიცე ნებისყოფა და გამძლეობაა საჭირო. უნდა შეზღუდო საკვები, მისდიო სპორტს და რაც მთავარია, ყველაფერ ამისთვის უნდა გქონდეს მოტივაცია. შემოგთავაზებთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომელთა გათვალისწინება დიდ სირთულეს არ წამოადგენს, მიზნის მიღწევაში კი ნამდვილად დაგეხმარებათ.



* უპირველესად, წონაში რომ არ მოიმატოთ, დღეღამური კილოკალორიების ნორმა ასე გამოითვალეთ: საკუთარი წონა კილოგრამებში გაყავით 0,45-ზე და გაამრავლეთ 14-ზე. თუ ფორმის შენარჩუნება კი არა, წონაში დაკლება გსურთ, მაშინ ფორმულაში საკუთარი წონის ნაცვლად, სასურველი წონა ჩასვით.

* ხშირად იცინეთ. ყოველდღე 10-15 წუთის სიცილი კვირაში 280 კილოკალორიას დაგახარჯვინებთ.

* ვარჯიშის ან სეირნობისას რიტმულ მუსიკას უსმინეთ. ეს ფიზიკური აქტივობის მოტივაციას ზრდის.

* ფიტნესისთვის დრო დილით, საუზმემდე გამოყავით. ჯერ ერთი, ეს მთელი დღის განმავლობაში მეტაბოლიზმს დააჩქარებს და მეორეც, ორგანიზმი საკვებისგან მიღებული ენერგიის ნაცვლად, თქვენივე ცხიმოვანი ქსოვილის ენერგიას დაწვავს.

* ყველაზე ეფექტური ტრენაჟორი სარბენი ბილიკია. სირბილის შემდეგ კი, ყველაზე ეფქტური დატვირთვა სიარულია, რაც სპორტული დარბაზის გარეშეც შეიძლება.

* ინგლისელმა მეცნიერებმა ყველაზე იდეალურ საუზმედ აღიარეს მოხარშული კვერცხი, პურის ნაჭერთან და ხილთან ერთად. კვერცხი მდიდარია ცილით, რომლის წყალობითაც ორგანიზმი მთელი დღის განმავლობაში უკეთ ხარჯავს მიღებულ კალორიებს. ნახშირწყლები კი ენერგიას გვმატებს და საგრძნობლად აყოვნებს შიმშილის გრძნობას.

* წითელი ღვინო მუცლის არეში ცხიმის დაგროვებას უშლის ხელს. ოღონდ, ზედმეტი არ მოგივიდეთ – დღეში ერთი ჭიქა სრულიად საკმარისია.

* არასოდეს თქვათ უარი ინტიმზე, როგორი დაღლილიც არ უნდა იყოთ. სექსის დროს დაახლოებით 1 500 კილოკალორია იწვება და გამომუშავდება ჰორმონი, რომელიც მეტაბოლიზმს აჩქარებს.

* ცხიმებზე სრულად უარის თქმა დაუშვებელია. ეს ბევრი მინერალისა და ვიტამინის შეთვისებისთვისაა აუცილებელი. უმჯობესია, „ჯანსაღი ცხიმები" მიიღოთ. რძის და ხორცის ცხიმიანი პროდუქტების ნაცვლად, მიირთვით ინდაურის ხორცი, თევზი, ბამბისა და ზეითუნის ზეთი, კვერცხი, ნიგოზი. ამგვარი ჩანაცვლება არა მარტო წონის დაკლებაში დაგეხმარებათ, არამედ გულისთვისაც სასარგებლოა.

* პომიდორი განსაკუთრებულ ნივთიერებას შეიცავს, რომელიც შიმშილის ჰორმონის წარმოქმნას აფერხებს. მისი მოქმედება რომ იგრძნოთ, საკმარისია, რამდენიმე ნაჭერი პომიდორი დაუმატოთ სადილს, ბუტერბროდს ან ერბოკვერცხს.

* იდეალური ინტერვალი საკვების მიღებას შორის 3 საათია. გზადაგზა ნუ შეჭამთ. მაგიდასთან ადამიანი საშუალოდ 30 პროცენტით ნაკლებს მიირთმევს.

* ენერგეტიკული სასმელები საშუალოდ 4-8 ჯერ უფრო კალორიულია, ვიდრე ყავა. ეს სასმელები სისხლში შაქრის მკვეთრ მომატებას იწვევს. ასე, რომ, თუ ყავა მეტაბოლიზმის პროცესებს დაგიჩქარებთ, ენერგეტიკული სასმელები, პირიქით, ჭარბი წონის მიზეზად შეიძლება გექცეთ.

# კარბოქსითერაპია – უსაფრთხო პროცედურა ლამაზი და ახალგაზრდა კანის მისაღებად

ასაკის მატებასთან ერთად, თხელდება კანქვეშა კაპილარები, რომლებიც უჯრედებს ჟანგბადით ამარაგებს. ამას დამატებული გარემო სტრესი და სხვა მავნე ფაქტორები, და უჯრედთა რეგენერაციის უნარი ქვეითდება – შედეგად, უჯრედი კარგავს ელასტიკურობას და კოლაგენის დონე ეცემა. 30 წლის ასაკისთვის მასში ჟანგბადი 25 პროცენტით მცირდება, 40 წლისთვის – 50 პროცენტით.



აქედან გამომდინარე, კანის დაბერების პროცესი ჩქარდება, ჩნდება გამონაყარი, სიწითლე, გაღიზიანებული არეები და პიგმენტური ლაქები... მაგრამ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, მით უმეტეს, ამ ჩვენს კოსმეტიკური თუ პლასტიკური სასწაულების ეპოქაში... ასეთი სასწაულმოქმედი აირია ნახშირბადის დიოქსიდი, რომელსაც ეფუძნება კარბოქსითერაპია. ბოტოქსის შემდეგ, დღეს ის მსოფლიო სილამაზის ინდუსტრიაში, კანის გაახალგაზრდავების უტყუარი მეთოდია.

კარბოქსითერაპია აბსოლუტურად უსაფრთხოა და თითქმის არ ითხოვს პროცესში ორგანიზმის ჩართვას. იმავდროულად კი, ანახლებს, აჯანსაღებს კანს, აცილებს ნაოჭებს, ცელულიტს და ხსნის დაჭიმულობას. თერაპია დაფუძნებულია ნახშირბადის დიოქსიდის კანქვეშ შეყვანაზე. შედეგად, ხდება ცხიმოვანი ფენის მოცილება, რაც ასტიმულირებს კოლაგენის გამომუშავებას. პროცედურა არ ითხოვს შემდგომ რეაბილიტაციას და გრძელდება 15-60 წუთს. ასე რომ, თამამად შეიძლება, ითქვას: კარბოქსითერაპია – უსაფრთხო პროცედურაა ლამაზი და ახალგაზრდა კანის მისაღებად.

სახე კარბოქსითერაპიის შემდეგ ასე გამოყურება: გაღიავებული და გამკვრივებულია არე თვალის გარშემო; იჭიმება მოშვებული და მოდუნებული კანი; სტიმულირდება კოლაგენის გამომუშავება; შემცირებულია ეგრეთ წოდებული „მეორე ნიკაპი" და იშლება ცხიმები. ეს ყველაფერი ერთად კი, ქმნის პორტრეტს, რომელსაც უკვე კარგა ხანია, გამოემშვიდობეთ. ახლა კი დაგიბრუნდათ და მასთან ერთად, დაგიბრუნათ ის, 10 წლის წინანდელი განწყობა და ხალისი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაქვს ძალიან მშრალი კანი და ხშირად მექერცლება. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვუარო მას სახლის პირობებში?**

**პასუხი:** აქერცლილ და მშრალ კანს არბილებს, აახალგაზრდავებს და მსუბუქი ნამზეურის ელფერს სძენს შემდეგი სახის ნიღაბი: 1 სადილის კოვზი თაფლი, 1 სადილის კოვზი ყავა, 3 წვეთი აბუსალათინის (ზეითუნისაც შეიძლება) ზეთი, 1/2 ჩაის ჭიქა რძე. ყველა ინგრედიენტი კარგად აურიეთ ერთმანეთში და მიღებული მასა წაისვით სუფთა სახეზე. 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ასევე, ყავის ნალექში თუ ცოტა შაქარს და 1 ჩაის კოვზ ზეითუნის ზეთს აურევთ, არაჩვეულებრივ ტანის სკრაბს მიიღებთ, რომელიც ამკვრივებს კანს და ებრძვის ცელულიტს.

**კითხვა: გამიგია, რომ მჭადის ფქვილი წმენდს სახის კანს. როგორ უნდა გამოვიყენო ის?**

**პასუხი:** მჭადის ფქვილის გამოყენებას სახის კანის გასაწმენდად მრავალწლიანი ტრადიცია აქვს. დაბანის დროს, როცა კანი გახურებული და დარბილებულია ორთქლის საშუალებით, მჭადის ფქვილით მსუბუქად დაიმასაჟეთ სახე. ეს ფორებს გახსნის და კანს სირბილესა და ელასტიკურობას შესძენს.

**კითხვა: მინდა, მბზინვარე და ფუმფულა თმა მქონდეს, ისეთი, როგორც რეკლამებშია. იქნებ ისეთი ნიღბის რეცეპტი შემოგვთავაზოთ, სახლის პირობებშიც იოლად მომზადდეს.**

**პასუხი:** თქვენ დაგჭირდებათ დიმექსიდი (აფთიაქში იყიდება), A და B ვიტამინი (ზეთოვანი) და ლიმონის ახალგამოწურული წვენი. ყველა ეს ინგრედიენტი აიღეთ 2-2 ჩაის კოვზი და ერთმანეთში კარგად აურიეთ. მიღებული ნარევი შეიზილეთ თმის ძირებში, მჭიდროდ შემოიხვიეთ თავზე პოლიეთილენის პარკი და დაიხურეთ ქუდი. გაიჩერეთ ერთი საათი და შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ასევე, ერთი კვერცხის გულს აურიეთ 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 10 წვეთი A ვიტამინი (ზეთოვანი) და 50 მილიგრამი სპირტი. მიღებული ნიღაბი შეიზილეთ თმის ძირებში, დაიხურეთ პოლიეთილენის ქუდი და გარედან ცხელი პირსახოცი შემოიხვიეთ. 40-50 წუთის შემდეგ, თავი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ნიღაბი შეიძლება დაიდოთ კვირაში ერთხელ. 4-5 პოცედურის შემდეგ, სასურველია თმა დაასვენოთ, ან ჩაანაცვლოთ სხვა ნიღბით.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# რატომ მოაჭრეს თავი ქალაქ სოჭის სამძებროს უფროსის მოადგილეს

### თავანი

ტყუპები – პეტრე და პავლე ზარანდიები თბილისში ცხოვრობდნენ. პეტრე, მეტსახელად „ცხვირა“, კანონიერი ქურდი იყო. პავლეს კი „ქარბორბალას“ სახელით იცნობდნენ და ქურდული ტიტულის მოპოვებაში ის უშლიდა ხელს, რომ ჯარში იყო ნამსახურები. თუმცა, კანონიერი ქურდები მას დიდ პატივს სცემდნენ და არა ძმის გამო, არამედ იმიტომ, რომ საკმაო დამსახურება ჰქონდა ქურდული სამყაროს წინაშე. ქარბორბალა მაღალი კლასის შემსრულებელი იყო და თანაბარი ოსტატობით მონაწილეობდა ქურდობა-ძარცვაში და არც ფულის გამოძალვაში ჰყავდა ბადალი – ვერც ერთი ქართველი „ცეხავიკი“ ვერ ბედავდა მისთვის უარის თქმას. ძმები მარტოხელები იყვნენ და ერთმანეთის გარდა, ამქვეყნად არავინ გააჩნდათ. ამიტომ, მათ მიერ ნაშოვნი ფულის 80 პროცენტი ქურდულ სალაროში მიდიოდა და თავისთვის მიზერულ თანხას იტოვებდნენ. სამოციანი წლების დასაწყისში ტყუპებმა ერთ-ერთი ურჩი „ცეხავიკის“ ბინა გაქურდეს და სასამართლომ მათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ძმები რეციდივისტები იყვნენ, განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებად ითვლებოდნენ, ამიტომ მთავრობამ ისინი თავიდან მოიშორა და ციმბირში, კოლიმის მეშვიდე კოლონიაში გაგზავნა, სადაც ქურდები და სხვა საშიში დამნაშავეები იხდიდნენ სასჯელს.

**„კოლო“ სოჭის მახლობლად გვირაბში მოკლული იპოვეს, თავში 2 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი**

ცხვირამ და ქარბორბალამ ზონაში კუთვნილი ადგილი დაიკავეს და დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს პატიმართა შორის. ამ ფაქტმა „ბურატინოს“ უკმაყოფილება გამოიწვია და ძმების დაშოშმინება გადაწყვიტა. ბურატინო, ანუ მარლენ გორგილაძე კანონიერი ქურდი იყო და ზონას უყურებდა. ის თბილისში იყო დაბადებული და 10 წლამდე იქ იზრდებოდა. შემდეგ მისი ოჯახი სოჭში გადასახლდა და ქურდად ის რუსეთში ჩამოყალიბდა. ქართულად თითქმის არ ლაპარაკობდა, მაგრამ ყველაფერი მშვენივრად ესმოდა. ამის გამო მას ცხვირა ხშირად დასცინოდა და ბურატინოს ეს ხინჯიც გულში ედო. ცხვირა აზარტული მოთამაშეც იყო. ბურატინომ მშვენივრად იცოდა ცხვირას ეს სისუსტე და ამის გამოყენება გადაწყვიტა, რამდენიმე ქურდი მალულად შეკრიბა და უთხრა:

– ზარანდიები თუ არ მოვკვეთეთ, ძალაუფლებას ისინი აიღებენ ზონაში და ჩვენ გვერდზე გაგვწევენ. ცხვირა უნდა გავაფუჭოთ, ქარბორბალას კი თავისთავად დაეკარგება ძალა.

– კი, მაგრამ, როგორ? – დაინტერესდა „ვენია ტუზი“, რომელიც ქურდიც იყო და შულერიც. თუმცა, ამის შესახებ რამდენიმე ადამიანმა იცოდა და მათ შორის ბურატინომაც.

– როგორ და თამაშში უნდა ჩავრთოთ. ბლოკი შევუკრათ და იმხელა თანხა წავაგებინოთ, რომ ვერ ჩააბაროს. ამის შემდეგ მას თავიდან მოვიშორებთ. ამ საქმეში მთავარი როლი შენ გეკისრება, – თქვა ბურატინომ. შემდეგ ქურდებმა დეტალური გეგმა შეიმუშავეს და დაიშალნენ. თამაში ხუთი დღის შემდეგ გაიმართა და ვენია ტუზმა ცხვირას 650 ათასი მანეთი მოუგო.

– მოიგე. მეყოფა თამაში, – თქვა ცხვირამ და კარტი მაგიდაზე დაყარა. შემდეგ წამოდგა და წელში გაიმართა.

– ბევრი წააგე, ცხვირა. არ გინდა, რომ გაქვითო, ან ფოსტა შეამცირო? – მლიქვნელურად ჰკითხა ბურატინომ.

– კმარა. დღეს არ მიმართლებს.

– მოგებულს როგორ მივიღებ? – ჰკითხა ვენია ტუზმა ცხვირას.

– როგორც მოვილაპარაკეთ, სამ კვირაში, – მშვიდად მიუგო ცხვირამ და ბარაკიდან გავიდა.

შეთქმული ქურდები ხარობდნენ. ისინი მოუთმენლად ელოდნენ სამი კვირის გასვლას, რომ ცხვირა გაეფუჭებინათ. მან კი საქართველოში „ქსივა“ აფრინა და საიმედო ხალხს თავანის შეგროვება და კოლიმაზე დროულად ჩამოტანა დაავალა. ეს საქმე ზაზა კიკაბიძემ, მეტსახელად „კოლომ“ ითავა. მან 2 კვირის განმავლობაში ცეხავიკებისგან 700 ათასი მანეთი შეაგროვა და უსაფრთხოების მიზნით, კოლიმაზე მატარებლით გაემგზავრა. მართალია, თვითმფრინავით ის უფრო მალე ჩაფრინდებოდა, მაგრამ ფულის აღმოჩენის შეეშინდა და რკინიგზა ამიტომ აირჩია. გამგზავრებამდე კოლომ ცხვირას ქსივა გაუგზავნა, რომელშიც ეწერა: „ყველაფერი რიგზეა, მატარებლით მოვდივარ. არ ინერვიულო“.

დანიშნულ დროს კოლო ზონაში არ გამოჩენილა. ცხვირა თავის ბარაკში იწვა და მოუთმენლად ელოდა კოლოს. თუმცა, თავანის ჩაბარების ვადა რომ ამოიწურა, მან პირჯვარი გადაიწერა, კაპრონის თოკი ჩამოკიდა ხის კოჭზე და თავი ჩამოიხრჩო. ქარბორბალა ამ დროს ზონაში იყო გასული და ძმის თვითმკვლელობის ამბავი მას ქურდებმა შეატყობინეს.

– ღირსეული კაცი იყო ცხვირა და ამქვეყნიდანაც კაცურად წავიდა, – მიუსამძიმრა ბურატინომ ქარბორბალას.

კოლონიის ადმინისტრაციას ცხვირას დასაფლავება პატიმართა სასაფლაოზე უნდოდა, მაგრამ ქურდებმა ფული გადაიხადეს, თბილისში გადაასვენეს და იქ დაასაფლავეს.



ქურდის დაღუპვის გამო ქურდული სამყარო ფეხზე დადგა – გაუჩინარებულ კოლოს ეძებდნენ. საბოლოოდ, ის სოჭის გზაზე, ერთ-ერთ სარკინიგზო გვირაბში აღმოაჩინეს. კოლოს ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი თავში და აშკარა იყო, ჯერ მატარებელში მოკლეს, შემდეგ კი გადააგდეს.

– ესე იგი, ყველაფერი მოწყობილი იყო და კოლო პატიოსანი კაცია. ღმერთმა აცხონოს, – ჩაილაპარაკა ქარბორბალამ, როდესაც მას კოლოს ამბავი აცნობეს ზონაში გაგზავნილი ქსივით.

ქარბორბალა ყოფილი სპეცმეომარი იყო და საბრძოლო თვისებების გარდა, გონებაც კარგად უჭრიდა. ის ვარაუდით მიხვდა, თუ სად უნდა ეძებნა ძმის მკვლელი და შესაბამის მომენტს დაელოდა. ერთ მშვენიერ დღეს, მან ტუზი მიტოვებულ სამქროში შეათრია და ყველაფერში გამოატეხა. ტუზი დიდხანს ჯიუტობდა, მაგრამ სკალპის ახდას ვერ გაუძლო და სიკვდილის წინ თქვა:

– ყველაფერი ბურატინომ მოაწყო. მან ჯერ ბლოკი შეგვაკვრევინა ცხვირასთვის, შემდეგ კი თავის ხალხს სოჭში შეატყობინა კოლოს შესახებ, მოაკვლევინა ის და ფული გადაამალვინა.

ქარბორბალას და ტუზის დიალოგს შემთხვევით ერთ-ერთმა ქურდმა და ქათამმა მოჰკრეს ყური, რომლებიც საამქროში სექსისთვის იყვნენ შესულები. ის ქურდი, მეტსახელად „ბასრი,“ ცხვირას წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობდა და ყველაფერი ბურატინოს შეატყობინა. შეთქმულმა ქურდებმა ქარბორბალას მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ მან სამი ქურდი გამოასალმა სიცოცხლეს და ერთ-ერთი ბარაკის სახურავზე მოკალათდა. ბადრაგმა ის სახურავიდან ჩამოიყვანა და მკაცრ იზოლაციაში მოაქცია. ბურატინომ, გათქმის შიშით, ზონა აბუნტა და ამ არეულობაში ქარბორბალას მოკვლა სცადა. თუმცა, ამ ბუნტით ყველაზე უკეთ თავად ქარბორბალამ ისარგებლა და ზონიდან გაიქცა.

### მარტოხელა

კოლიმის ზონიდან ქარბორბალა 11 ივლისს გაიქცა. მდევარი მას მხოლოდ 12 საათის შემდეგ დაადევნეს, მაგრამ პავლე ზარანდია ვერ შეიპყრეს და ხელმოცარული დაბრუნდნენ უკან. 12 ივლისს ქარბორბალაზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა და მისი სურათები მთელი ქვეყნის მასშტაბით დააგზავნეს.

– თუ ტაიგას გადაურჩა, მაშინ აუცილებლად სამშობლოში დაბრუნდებოდა და ჩასაფრება თბილისში მოვუწყოთ, – უთხრა ტელეფონით დოდენკომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. დოდენკო მაშინ საკავშირო სამძებრო სამმართველოს ხელმძღვანელობდა და ქარბორბალას შეპყრობა პრესტიჟის საქმედ მიაჩნდა.

გაქცეულ ბოროტმოქმედს ქურდებიც ეძებდნენ.

ბურატინომ გამჟღავნების შიშით ქარბორბალაზე ნადირობა გამოაცხადა და საბაბად სამი ქურდის მკვლელობა დაასახელა.

„ვინც მაგ მარტორქას გააჩერებს, ის ჩვენი ძმა გახდება“, – წერდა სხვადასხვა ქალაქში გაგზავნილ ქსივებში ბურატინო.

ამასობაში ქარბორბალამ სოჭამდე ჩააღწია და ძველ ქურდს, მეტსახელად „ნეპმანს“ შეხვდა.

– აქ მოსვლა როგორ გაბედე? – ჰკითხა 70 წლის ნეპმანმა ქარბორბალას, – შენ სიკვდილი გაქვს მისჯილი ჩვენი საძმოსგან და რომ შემეძლოს, სიამოვნებით ავასრულებდი განაჩენს.

ქარბორბალამ ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა ნეპმანს და დაამატა:

– აქ იმიტომ მოვედი, რომ საქმის კურსში ჩაგაყენო. სამივე ქურდი სიკვდილის ღირსი იყო, თუმცა მე მათი მოკვლა არ მინდოდა და ასე გამოვიდა.

– თუ არ ტყუიხარ, მაშინ ყველას თავისი მიეზღვება, მაგრამ სიმართლის დამტკიცება ძალიან გაგიჭირდება.

– ნეპმანო, ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ და სიტყვა მომეცი, თუ, ამაში დარწმუნდები, შენს ქურდულ სიტყვას იტყვი და ულირსებს მკაცრად დასჯი.

– სიტყვას გაძლევ.

ქარბორბალა სოჭში დარჩა და გაიგო, რომ კოლოს მკვლელობის საქმეს კაპიტანი იური ბოჩაროვი იძიებდა. პავლე ზარანდიამ მისი მისამართი შეიტყო და კაპიტანს პირდაპირ სახლში ესტუმრა. ბოჩაროვი მარტოხელა იყო და ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა.

–მე ქარბორბალა ვარ და მთელი საბჭოთა კავშირის მილიცია მეძებს. უკან დასახევი გზა არ მაქვს. მითხარით, ვინ მოკლა კოლო და სად შეიძლება მკვლელების პოვნა, – ჰკითხა ქარბორბალამ კაპიტანს და იარაღი მიუშვირა.

– კოლო, „კლოუნმა" და „ბიძამ" მოკლეს. ისინი ამჟამად იმალებიან და თქვენ უფრო ადვილად იპოვით.

ქარბორბალამ 10 ათასი მანეთი დაუტოვა კაპიტანს. შემდეგ იარაღი დაუბრუნა და წავიდა.

იმავე ღამეს დაბა ხოსტაში ქარბორბალამ კლოუნი და ბიძა იპოვა, რომლებიც ექთანი გოგონას სახლში იმალებოდნენ. ექთანი კლოუნის საყვარელი იყო და ქარბორბალამ ეს ერთ-ერთი სოჭელისგან შეიტყო, რომელიც ცხვირასთან მეგობრობდა.

ქარბორბალამ სამივე გაკოჭა. შემდეგ სოჭში გაემგზავრა და ნეპმანი ხოსტაში წაიყვანა.

– აი, ნეპმანო, კოლოს მკვლელები და თქვან, რა მოხდა სინამდვილეში და ვინ დაავალა მათ კოლოს მოკვლა.

კლოუნი და ბიძა ლაპარაკს არ აცდიდნენ ერთმანეთს.

– კოლოს სოხუმში ჩავუსაფრდით, სოჭამდე მოვკალით და გვირაბში გადავაგდეთ. 700 ათასი მანეთი კი აი, ამ ბუფეტის უკანაა დამალული, – თქვა კლოუნმა.

ფული მართლა ადგილზე აღმოჩნდა. ნეპმანმა იკითხა:

## „ქარბორბალამ" ქურდები სათითაოდ დახოცა, შემდეგ იძაურობას ბენზინი გადაასხა და დაწვა

– ვინ დაგავალათ ეს საქმე?

– ბურატინომ! – ერთხმად უპასუხეს გაკოჭილებმა.

– ახლა ყველაფრის მჯერა. დღესვე დავწერ ქსივებს, ყველგან გავგზავნი და ბურატინოსა და მის შაიკას საკადრისად დასჯიან, – თქვა ნეპმანმა.

– ნება მიბოძე, ჩემი ძმის მკვლელები მე დავსაჯო, – თქვა ქარბორბალამ.

– კი, მაგრამ, როგორ? შენ ხომ აქ ხარ, ისინი კი – კოლიმაზე?

– აი, ამის საშუალებით, – თქვა ქარბორბალამ და ნეპმანს ფულით სავსე ჩანთა დაანახვა.

### განაჩენი

ქარბორბალას მარტო მოქმედება ძალიან გაუჭირდებოდა, ამიტომ მას ოთხი თავისი ძველი თანამებრძოლი ეხმარებოდა. პავლეს მსგავსად, ისინიც ძველი მეგობრები იყვნენ და ბრწყინვალე სამხედრო სპეცმომზადება ჰქონდათ გავლილი. ქარბორბალას ჯერ კიდევ ცხვირას სიცოცხლეში ჰქონდა ჩაფიქრებული ორგანიზებული დაჯგუფების შექმნა და საამისოდ ის ძველ თანამებრძოლებს ეძებდა.

700 ათასი მანეთიდან 100 ათასი კოლოს ოჯახს გაუგზავნეს. 100 ათასი – ნეპმანს გადასცეს, 100 ათასი დაიტოვეს, 400 ათასი კი №7-ე კოლონიაში წაიღო ივანე პრონინმა.

– ვანია, – უთხრა ქარბორბალამ პრონინს, – ეს ფული მაიორ სტუკაჩოვს გადაეცით. ის რეჟიმის უფროსია და გაქცევა მან მომიწყო. ის გამოგატანთ ბურატინოს და სხვა ძუნებს.

ორი კვირის შემდეგ პრონინმა, ქარბორბალამ და დაჯგუფების კიდევ სამმა წევრმა სოჭში ბურატინო, „ბალლინჯო," „შავი" და „ნიკალაშკა" ჩამოიყვანეს. მაიორმა ოთხივე დააძინა და ქარბორბალას ძმაკაცებს გადასცა. 12 საათის შემდეგ კი ზონაში განგაში ატყდა – ისინი გაქცეულებად გამოცხადდნენ და ტაიგაში მდევარი დაადევნეს.

3 აგვისტოს ხოსტაში, კლოუნის საყვარლის, ექთნის სახლში ქურდული სასამართლო გაიმართა. მას ნეპმანის გარდა, კიდევ ექვსი ქურდი ესწრებოდა. ბრალდებულებს ყველამ სიკვდილი მიუსაჯა.

– ახლა ისინი შენს განკარგულებაში არიან და შეგიძლია, გასაკეთებელი გააკეთო. ჩვენ შენთან არანაირი პრეტენზია არ გვექნება, – უთხრა ქარბორბალას ნეპმანმა და წამოდგა, – მხოლოდ, ჯერ ჩვენ წავალთ და მერე კი, შენ იცი.

ქურდები რომ წავიდნენ, ქარბორბალამ ექთანი გაუშვა. შემდეგ ბურატინო და მისი დამქაშები სათითაოდ ახსნა და ორ-ორი გასროლით დახოცა.

– მორჩა, ცხვირას მკვლელები საიქიოს გავისტუმრე, – თქვა ქარბორბალამ და იძაურობას ჯერ ბენზინი გადაასხა, შემდეგ კი ანთებული ასანთი გადააგდო...

### სისხლიანი შეტაკება

ელდარ ზუევი სოჭის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილე და მარლენ გორგილაძის, იგივე ბურატინოს ალალი დეიდაშვილი იყო. თავისი აგენტების მეშვეობით, მან უახლოესი ნათესავის მკვლელის ვინაობა დაადგინა და ქარბორბალაზე ნადირობა გამოაცხადა. მანამდე კი სოჭში ნეპმანი მოაკვლევინა.

მაიორი ზუევი ქარბორბალას კვალს პირადად დაადგა და თავის „გალავარეზებთან" ერთად, სოჭში, ქართველთა დასახლება პლასტუნკაში მოიხელთა მეგობრებითურთ.

მილიციის თორმეტკაციანმა რაზმმა ხუთი ყოფილი სპეცრაზმელი იური აბესაძის სახლში ალყაში მოაქცია და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ცეცხლი გახსნა. თითქმის ერთსაათიანი შეტაკების შემდეგ, ექვსი მილიციელი დაიღუპა და ორი მძიმედ დაიჭრა, ქარბორბალას კი სამი მეგობარი მოუკლეს – მხოლოდ მან და ვანია პრონინმა მოახერხეს გაქცევა.

– ეშმაკის კერძი! – ღრიალებდა ზუევი, – ის, ისევ დაგვისხლტა ხელიდან, ახლა ეძიე ნემსი თივის ზვინში!

### უთავო მაიორი

ზუევი დარწმუნებული იყო, რომ ქარბორბალამ მას საქართველოში გაასწრო და იქ მისი დევნა ველარ გაბედა.

– არა უშავს, – ბუტბუტებდა მაიორი, – მასზე ძებნაა გამოცხადებული და სადმე ძალლივით ჩაკლავენ.

სისხლიანი შეტაკებიდან სამი კვირის შემდეგ, მაიორი ზუევი რესტორანში ქეიფის შემდეგ სახლში დაბრუნდა და თავისი ბინის კარს რომ მიაწვა, კეფაზე ცივი ლულა იგრძნო.

– არ გაინძრე, შე ბოზო! – მოესმა ზუევს და ვილაცის ძლიერმა ხელმა ის ბინაში შეაგდო.

ქარბორბალამ და ვანია პრონინმა მაიორს ჯერ ჩოგბურთის ბურთი ჩატენეს პირში, შემდეგ ზურგსუკან ხელები შეუკრეს და რკინის საწოლის თავზე დაადებინეს თავი.

– ჩაძაღლდი, შე ნაბოზარო! – თქვა ქარბორბალამ და მაიორს სამართებელივით ალესილი ხანჯლით თავი მოაჭრა. შემდეგ ის რადიომიმღებზე დადო და პრონინთან ერთად იქიდან გაუჩინარდა.

უთავო მაიორის ცხედარი მისმა მძღოლმა აღმოაჩინა, რადიომიმღებზე დადებული თავი კი მოგვიანებით შეამჩნია.

პრონინი მილიციამ კრასნოდარში მოკლა. ქარბორბალა კი მძიმედ დაჭრილი შეიპყრეს და როგორც განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი, მოსკოვში გადაიყვანეს, გაასამართლეს და დახვრიტეს.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**24 ივნისი**

1497 – ინგლისელმა ზღვაოსანმა ჯონ კაბოტმა აღმოაჩინა კანადის სანაპირო (ნიუფაუნდლენდი).

1812 – ნაპოლეონის დიდი არმია თავს დაესხა რუსეთის იმპერიას.

1901 – პარიზში გაიხსნა პაბლო პიკასოს პირველი პერსონალური გამოფენა.

1963 – „ბიბისის" სტუდიაში პირველად წარმოადგინეს სამომხმარებლო ვიდეომაგნიტოფონი.

**25 ივნისი**

1630 – ვირჯინიის გუბერნატორმა უინსტროპმა ისადილა, ეს, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო ამბავი იქნებოდა, მას რომ ამერიკის კონტინენტზე პირველად არ გამოეყენებინა ჩანგალი.

1783 – ფრანგმა ქიმიკოსმა ლავუაზიემ დაადგინა, რომ წყალი შედგება წყალბადისა და ჟანგბადის ატომებისგან.

1907 – ბანკის დიდი ძარცვა თბილისში, რომლის ორგანიზატორი იყო იოსებ ჯუღაშვილი, ხოლო შემსრულებელთა მეთაური – კამო.

1991 – დაიშალა იუგოსლავია.

1998 – გამოვიდა ოპერატიული სისტემა Windows 98.

**26 ივნისი**

1498 – როგორც ამბობენ, ამ დღეს ჩინეთში გამოიგონეს კბილის ჯაგრისი.

1925 – ეკრანებზე გამოვიდა ჩარლი ჩაპლინის ფილმი „ოქროს ციებ-ცხელება".

1940 – საბჭოთა ჯარებმა მოახდინეს მოლდავეთის ოკუპაცია.

1953 – დააპატიმრეს ლავრენტი ბერია.

1977 – ინდიანაპოლისში გაიმართა ელვის პრესლის ბოლო კონცერტი.

**27 ივნისი**

1615 – ევროპის კონტინენტზე პირველად მოხვდა ჩაი (ჩინეთიდან).

1905 – დაიწყო ცნობილი აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე".

1954 – ობნინსკში ამუშავდა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური.

**28 ივნისი**

1644 – მოხეტიალე მსახიობი ჟან პიერ პოკლენი პირველად გამოვიდა სცენაზე ფსევდონიმით – მოლიერი.

1820 – ამ დღეს საბოლოოდ „დაამტკიცეს", რომ პომიდორი შხამიანი არ არის და საკვებად ვარგისია.

1950 – დაიწყო კორეის ომი.

1988 – ერთმა სირაქლემამ ისრაელის ქალაქ ხაიფაში დადო რეკორდულად მძიმე (2,3 კილოგრამი) კვერცხი.

**29 ივნისი**

1916 – ჰაერში აიჭრა „ბოინგის" პირველი თვითმფრინავი.

1949 – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შერეული ქორწინებების აკრძალვით დაიწყო აპარტეიდის რეჟიმი.

1964 – დააპატენტეს ტელევიზორის მართვის დისტანციური პულტი.

1995 – სეულში დაინგრა სავაჭრო ცენტრის შენობა, დაიღუპა 500-მდე ადამიანი.

**30 ივნისი**

1908 – ჩამოვარდა ტუნგუსკის იდუმალი მეტეორიტი დასავლეთ ციმბირის ტაიგაში.

1910 – დაიწყო ტელეგრაფის კაბელის გაყვანა ატლანტის ოკეანის ფსკერზე ევროპისა და ამერიკის დასაკავშირებლად.

1964 – ამერიკულმა კოსმოსურმა სადგურმა „რეინჯერ 7-მა" დედამიწაზე პირველად გამოგზავნა მთვარის უკანა მხარის ფოტოები.

**მსახიობმა ნანა შონიამ ტელევიზიაში წამყვანის როლი საკმაოდ კომფორტულად მოირგო და როგორც თავად ამბობს, ამ ამპლუაში მას, სცენისგან განსხვავებით, თამაში არ უწევს. მას „მეცხრე არხზე" მიჰყავს გადაცემა „რაც დარჩა სათქმელი" და საკმაოდ საინტერესო, ცნობილი და საყვარელი ადამიანების ცხოვრების ისეთ დეტალებს გვაცნობს, დღემდე ჩვენთვის უცნობი, ან მივიწყებული რომ იყო. ნანა, წლების განმავლობაში თავისი თამამი, ოპოზიციური განწყობით გამოირჩეოდა. არასდროს მალავდა საკუთარ განწყობას და ცდილობდა, უსამართლობაზე თვალი არ დაეხუჭა. დღეს ის, გარდა ტელევიზიისა, სპექტაკლებში თამაშობს, სერიალის გადაღებებისთვისაც ემზადება და ოჯახისთვისაც იცლის.**

# რის გამო არ დასთანხმდება მერყევი ხასიათის ნანა შონია კულტურის მინისტრის მოადგილეობას და რატომ ერიდებოდნენ მასთან ურთიერთობას ნათესავები

**– იმის გამო, რომ თქვენს პოზიციას, ყოველთვის თამამად აფიქსირებდით, ამბობდნენ, ნანა „გაქანებული" ოპოზიციონერიაო. დღეს, კი ამბობენ, პოლიტიკურად დამშვიდებული ჩანსო. ასეა?**

– პოლიტიკურად ნამდვილად დავმშვიდდი, თუმცა პოლიტიკურად აქტიური ნამდვილად არ ვყოფილვარ. მე ჩემს პოზიციას ვაფიქსირებდი. თორემ, პოლიტიკოსობის ამბიცია ნამდვილად არ გამაჩნია. უსამართლობის წინააღმდეგ თუ ხმა აიმაღლე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურად აღგზნებული ხარ. მაშინ ისეთი დრო იყო, გვერდზე ყოფნა და თვალის დახუჭვა არ შეიძლებოდა, თორემ თანამდებობის პრეტენზია კი არ მქონდა. მე პარლამენტში რა მინდა? ჩემს სათქმელს სცენიდანაც დამაჯერებლად ვამბობ და ეს უფრო სასარგებლოა. წყობიდან რომ გამოხვალ ადამიანი, ხმასაც ამოიღებ და შენს სათქმელსაც თამამად იტყვი. თორემ, მე არავინ მეკიდებოდა ენაზე, არიქა, გამოდი და რამე თქვიო. მე ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადე. მე არავინ შემხებია, არც ჩემი ოჯახის წევრი ყოფილა დაჭერილი და არც მე ვყოფილვარ უმუშევარი, მაგრამ ქვეყანა ჩემით ხომ არ იზომება? ვერავინ მეტყვის, რამე არასწორად გააკეთეო. მე, წყნარად მინდოდა ჩემი საქმე მეკეთებინა, ქვეყანა კი თავზე გვენგრეოდა, ახლაც ნანგრევებში ვართ მოყოლილი. ხილს ვყიდულობდი, ვიღაც ქალმა ჩამიარა და წაილაპარაკა, ამ მსახიობებს ჰგონიათ, ბიძინა ააშენებთო. ვერ ვიგებ მსგავს პოლიტიკას და მწყინს. ბიძინა ჩემთვის ძალიან „სერიოზული ფენომენია" და მე ამას არასოდეს დავმალავ. ელემენტარულად, ჩემი სტუმრობისაც ეშინოდათ. არ დამავიწყდება, ნათესავთან მივედი და ისე მოიქცა, მაგრძნობინა, იქ მეტი აღარ მივსულიყავი. მეტი რა გითხრათ. ეს პოლიტიკური შეხედულების გამო ჩაიდინა. ელემენტარულად თეატრში, შტატშიც არ ჩამსვეს. თუმცა, ვერ ვიტყვი, ჩემი პოლიტიკური შეხედულების გამო, თეატრში ვინმემ გამომარჩია-მეთქი. ეს ტყუილი იქნება. ექვსი წელი უშტატო მსახიობი ვიყავი თუმანიშვილის თეატრში, თუმცა ამის გამო პრეტენზიაც არ გამომითქვამს. სტუმრად, მიწვეული მსახიობის სტატუსით ყოფნა, კომფორტულიც კია. თუმცა, მე დამწყები მსახიობი ხომ არ ვარ?



**ვიღაც ქალმა ჩამიარა და წაილაპარაკა, ამ მსახიობებს ჰგონიათ, ბიძინა ააშენებთო. ვერ ვიგებ მსგავს პოლიტიკას**

**– პროფესიული იმედგაცრუების გამო ხომ არ არჩიეთ ტელევიზია თეატრს?**

– არა, რატომ? პირიქით, მსახიობისთვის სატელევიზიო საქმიანობაც ისეთივე საინტერესოა, როგორც თეატრი. ეს ბევრ რამეს მაძლევს, ბევრ ხალხთან მიწევს ურთიერთობა, მსიამოვნებს რასაც ვაკეთებ. მე რადიოშიც მქონდა გადაცემა. ექსპერიმენტებს არასოდეს ვერიდები.

**– რამდენად გიადვილდებათ, რესპონდენტების გახსნა, მათთან ურთიერთობა. არ არის რთული, ათქმევინო ის, რაც სათქმელი დარჩათ?**

– არასდროს ჩავეძიები ადამიანს იმაზე, რისი თქმაც არ სურს. პირადზე ჩაძიება არ მიყვარს, უფრო მეტად ძვირფასი მომენტებიც არის ცხოვრებაში, რაც შეიძლება გაამხილო და მოსასმენად უფრო საინტერესო იყოს. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, საინტერესო და სხვადასხვანაირი მიდგომა სჭირდება. თუ გინდა, გახსნა რესპონდენტი, მას ინდივიდუალურად და სწორად უნდა მიუდგე. ნაკლებად ველაპარაკები პირადზე და თუ თავად გაუჩნდათ სურვილი, თამამად ყვებიან. მე არ ჩავეძიები. შეიძლება ცნობილი ადამიანის წარსულის შესახებ ვიცოდეთ რაიმე ფაქტი, მაგრამ წლების შემდეგ, მან ეს ისე მოყვეს, რომ სულ სხვანაირად აღიქვა და გაიხსენო. რაც დარჩათ სათქმელი, ვიბრძვი, რომ ის ვათქმევინო. მე კამერის წინ არ ვთამაშობ, სათამაშოდ სცენა მაქვს. ტელევიზია შენგან სინამდვილეს მოითხოვს და არა თამაშს.

**– ყველაზე რთულად „გასახსნელი" რომელი რესპონდენტი აღმოჩნდა?**

– რთულად „გასახსნელი" რესპონდენტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თემურ ჩხეიძე იყო ძალიან „გასახსნელი" და ისეთი რაღაცეები მოყვა, რაც ჩემთვის ძალიან ახალი იყო. მერაბ ნინიძე ჩემი მეგობარია, მაგრამ გადაცემაში ისეთი რამეები თქვა, მეც რომ არ მცოდნია.

**– ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ დავით აქუბარდია ჩაწერეთ. ის, თითქმის არც**

## კონკურენცია არ არსებობს, „აქუ" არის „აქუ"

**ერთ ტელევიზიაში არ მიდის და არც ჟურნალ-გაზეთებს სწყალობს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ გადაცემაში, საკმაოდ ენაწყლიანი და გახსნილია. მისი დაყოლიება როგორ შეძელით?**

– ძალიან საინტერესო ადამიანია. გარდა იმისა, რომ საოცრად კოლორიტულია და გააჩნია თავისი ხედვა და გადაცემის წაყვანის სტილი, ამის მიღმა ძალიან განათლებულია. შეუძლია, ნებისმიერ თემაზე საუბარი, მსუბუქი ფორმით ისეთ თემებზე საუბრობს, რაც განასხვავებს სხვისგან. ეს მისი სტილი კი არა, ჟანრია. მართალია, ასეთი სახის ინტერვიუ მისთვის პირველი იყო და მაგრამ, ძალიან საინტერესო გადაცემა გამოვიდა. აბსოლუტურად სხვა ადამიანი იჯდა ჩემ წინ – არ მეგონა, ეს ის თუ იყო, ვისაც წლების განმავლობაში ტელევიზიით ვუყურებ. ეს ჩემთვის აღმოჩენა გახლდათ და უცბად, გახდა ჩემიანი. კონკურენცია მისთვის არ არსებობს, „აქუ" არის „აქუ" ***(იცინის).***

**– პირადად, თუ იცნობ ბიძინა ივანიშვილს და ხომ არ გეგმავ მის მოწვევას გადაცემაში, სადაც იმას იტყვის, რაც დარჩა სათქმელი?**

– რასაკვირველია, მისი გადაცემაში სტუმრობა და მასთან საუბარი, ძალიან საინტერესო იქნება. მე მას პირადად არ ვიცნობ, უბრალოდ, შეხვედრებზე ვხვდებით ერთმანეთს. ძალიან საინტერესო რესპონდენტი იქნება, დარწმუნებული ვარ. ყოველთვის მაინტერესებდა ეს ადამიანი. წლების წინ, როცა მისი არსებობა გავიგე, დამაინტერესა, ასე უჩუმრად, როგორ შეიძლება, ადამიანმა აკეთოს ამდენი კეთილი საქმე. ეს იშვიათობაა და ქართულ რეალობაში ანალოგი არ გააჩნია.

**– თავად რომ რესპონდენტის სკამზე აღმოჩნდე გადაცემაში „რაც დარჩა სათქმელი", პირადი ცხოვრების დამალულ დეტალებს მოყვებოდი?**

– ხომ გაგიგონიათ, ყველას თავისი ჩონჩხი ჰყავს დამალული კარადაშიო ***(იცინის)***, ამ ჩონჩხების გამოყრა კი, არავის სიამოვნებს იმ კარადიდან. მირჩევნია, მთავარზე ვისაუბრო და არა პირადზე.

**– მერყევი ხასიათი თუ გაქვს და სანამ ნაბიჯს გადადგამ, ბევრს ფიქრობ?**

– მერყევი ხასიათი ნამდვილად მაქვს და სანამ რაიმეს გადავწყვეტ ბევრს ვფიქრობ. ზედმეტად არაკონფლიქტური ვარ და ვცდილობ, ადამიანებს შორის ურთიერთობები დავაბალანსო. ლავირების უნარი, ნამდვილად მაქვს. ზედმეტად მგრძნობიარე და ემოციური ვარ. ვერ ვიტან უსამართლობას და თავხედობას. ამას წყობიდან გამოვყავარ და მერე ამ წყობიდან გამოსვლასაც განვიცდი. სულ განცდებში ვარ ***(იცინის).*** ხისტიც არ ვარ და მოქნილი ხასიათიც მაქვს – ეს მეგრული გენის დამსახურებაა.

**– ამბობენ თითქოს, კულტურის მინისტრის მოადგილეობას გთავაზობენ. ეს ჭორია თუ სიმართლე?**

– ეს ჭორი მეც გავიგე, თითქოს კულტურის მინისტრის მოადგილედ მნიშნავენ. ეს სისულელე საიდან მოიტანეს, არ ვიცი. ამ რანგში, ჩემი თავი, ვერც წარმომიდგენია. ეს ტყუილია. რომც შემომთავაზონ, არ დავთანხმდები. მე მირჩევნია, ხალხს ჩემი ნახვა სცენაზე უნდოდეს, ვიდრე კაბინეტში.

**ნონა დათეშიძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა:** **მყავს ავტომობილი „ჰიუნდაი სანტაფე", დიზელზე, რომელმაც ამოუცნობი პრობლემა შეგვიქმნა. ერთ-ერთი დაქოქვისას საშინელ ხმაზე აგუგუნდა და როდესაც ჩემი მეუღლე აჩქარების პედალს დააწვა, ავტომობილი უმართავი გახდა, საშინელი სისწრაფით გაქანდა წინ და მხოლოდ შეჯახების შემდეგ გაჩერდა. უკანა სვლისას იგივე განმეორდა და ისევ შეჯახებამ შეაჩერა. ამის შემდეგ ჩვეულებრივად ამუშავდა. მიზეზი ვერავინ დაადგინა, ვერც ცენტრში და ვერც კორეაში, სადაც წერილი გავგზავნეთ და მივწერეთ, იქნებ თქვენი გამოცდილებით გვირჩიოთ, რა გავაკეთოთ-თქო. გაყიდვასაც ვერ ვბედავთ, სხვა რომ მსგავს ხიფათში ჩავაგდოთ, ამას ვერ გავაკეთებთ. რას გვირჩევთ, რა ვქნათ?**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> *მიხაილ შუმახერი*

**პასუხი:** მიზეზი მარტივი და სტანდარტულია, ეს საკმაოდ იოლი დასადგენია, შემსვლელ კოლექტორში მოხვდა ჭარბი რაოდენობით ზეთი. ამ ზეთმა დიზელის საწვავის ფუნქცია შეასრულა მოკლე პერიოდით, სანამ მარაგი ეყო. კონკრეტულად, ეს მოვლენა კი რამდენიმე მიზეზს შეიძლება გამოეწვია: ზეთი საქშენიდან შემშვებ კოლექტორში ხვდება, საქშენი ან გაბიდნილია ან –ეგრეთ წოდებული „კოლიცოებია" დამჯდარი, ანდა რომელიმე კოლიცოა გატეხილი ან ეგრეთ წოდებული „პორშინი" გაბზარული. ჩემი რჩევა იქნება, რომ ხელოსნებმა მოხსნან საქშენიდან კოლექტორში მიმავალი მილი და დააკვირდნენ. როცა ძრავა ძალიან ცხელია, სწორედ მაშინ ხდება ზეთის გადმოდინება. ჩახსნილი მილით თუ ივლით რამდენიმე დღის განმავლობაში და დააკვირდებით, დასკვნას უფრო მარტივად გააკეთებთ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მერსედეს ბენც ცე 180". რამდენიმე ხნის წინ დაიწყო ხელსაწყოების დაფაზე „ბას იესპის" ყვითელი შუქის ანთება და მაშინ ამას ხანდახან აკეთებდა. წამებშივე ქრებოდა. ახლა, როდესაც დავქოქავ ავტომობილს, ჩვეულებრივად ჩამქრალია და როგორც კი მუხრუჭის პედალს ფეხს დავადგამ, ეს „პრიბორი" მინთებს და აღარ ქრება. ამ მდგომარეობაში სიარულით რაიმეს დამატებით ხომ არ დავაზიანებ, ან რამეს ხომ არ ვაფუჭებ?**

**პასუხი:** პრობლემა შეიძლება ძალიან მარტივი იყოს. უმეტეს შემთხვევაში „მერსედესს" უფუჭდება მოწყობილობა, რომელიც დგას მუხრუჭის პედალთან და აფიქსირებს არა მხოლოდ უკანა ფარებზე მაშუქების ანთებას, არამედ სხვა მოწყობილობებსაც გადასცემს შესაბამის სიგნალს, რომ ჩვენ მუხრუჭი გამოვიყენეთ. ხელსაწყოების დაფაზე „ბას იესპის" ანთება ნიშნავს, რომ ავტომობილის სამუხრუჭე სისტემა გაუმართავად მუშაობს, რაც გულისხმობს ბასის, ანუ „ბრეიკ ასისტ სისტემის" გამოუყენებლობას. „ბას სისტემა" ეს არის კომპიუტერიზებული დამხმარე, რომელიც მკვეთრად დამუხრუჭების შემთხვევაში ავტომატურად თვლის, რომ წინ საფრთხეა და იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მუხრუჭის პედალზე ფეხის დაჭერა დააკელით, არადა შეიძლებოდა უფრო მოკლე მანძილში უფრო მკვეთრად გაჩერება, სამუხრუჭე სისტემა თვითონ პოულობს პედალზე ფეხის დაჭერის ოპტიმალურ ძალას.

**კითხვა:** **მყავს ავტომობილი „ფორდ ფოკუსი" 2001 წლის. ეგრეთ წოდებული „სალნიკიდან" გასდის ზეთი. სისტემატურად ვამატებ, მაგრამ გამოცვლას ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. როგორ შეიძლება ამ პრობლემის აღმოფხვრა და ამდენი ხანი ზეთის მატება ხომ არ გამიფუჭებდა ძრავას?**

**პასუხი:** ძრავის უკანა „სალნიკი" არ არის რთულად საშოვნელი, ან ძალიან ძვირად ღირებული დეტალი. ის სხვადასხვა ზომისაა და თუ მაინცდამაინც „ფორდ ფოკუსისას" ვერ იშოვით, მიიტანეთ და ზომის მიხედვით შეარჩიეთ. მაგრამ ამ პრობლემაში მთავარი სირთულე მისი მოხსნა და შეცვლაა, რომელიც დეტალზე გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ. იმისთვის, რომ ძრავას უკანა „სალნიკი" მოხსნან, მართვის კოლოფის მოხსნაა საჭირო, რაც დიდ დროს მოითხოვს და თან რთულიცაა. მაგრამ ეს მაინც გასაკეთებელია, თავისით ეს „ავადმყოფობა" არ გაივლის, ამიტომ აჯობებს. რაც შეიძლება მალე გააკეთოთ. რაც შეეხება ზეთის დამატებას: ძრავის სხვა დეტალები იმ შემთხვევაში არ დაზიანდებოდა, თუ მიუხედავად დამატებისა, ზეთს დროულად ცვლიდით. ამატებთ, ამატებთ, ძრავაში სულ არის საჭირო რაოდენობის ზეთი, მაგრამ, როცა დრო უწევს, ყოველ გავლილ ხუთ-შვიდ ათასზე, ზეთს მაინც ცვლით.

**კითხვა:** **მყავს ავტომობილი „პაჯერო იო", 1999 წლის გამოშვება. როგორ უნდა გავიგო, შესაცვლელია თუ არა ეგრეთ წოდებული „პადმატორნი", ძრავის სადები ბალიში?**

**პასუხი:** რადგან ეს კითხვა დაიბადა, ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც მინიმუმ, ხელოსანმა ან ვინმემ გითხრათ, რომ „პადმატორნი" შესაცვლელია და დაინტერესდით, მართლა შესაცვლელია თუ არა. როგორც წესი, ვიზუალური დათვალიერებით და მცირე გასინჯვით იოლად ჩანს ის დაზიანებულია თუ არა, მაგრამ შესაძლოა, უფრო უხეში მეთოდითაც გავსინჯოთ ისე, რომ თან საჭესთან ვიჯდეთ. უნდა ვაწვალოთ გაზის პედალი. ავტომატური კოლოფის შემთხვევაში ჩააგდეთ „ელ-ში" და რამდენჯერმე მკვეთრად ჩააჭირეთ გაზს, ანუ იმპულსურად – დააჭერთ, გაუშვებთ, დააჭერთ, გაუშვებთ. თუ „პადმატორნი" დაზიანებულია, გაზზე ფეხის დაჭერის ან აშვების დროს შეიმჩნევა მცირე ხმა, თითქოს რაღაც გადაბრუნდა, გაიდგაფუნა. მერე იწყებს აჩქარებას და შენელებას. დაზიანებული „პადმატორნით" სიარული ძრავას არ დააზიანებს, მაგრამ ეს არის დისკომფორტი, იმის განცდა, რომ თითქოს ძრავა უნდა ამოხტეს. რიგ ავტომობილებში ამის გამო იმდენად გადაადგილდებოდა ძრავა გვერდით, რომ სიჩქარეებიდანაც კი აგდებდა, შესაძლოა, ვიბრაცია სალონშიც გადმოვიდეს. იმდენად დაზიანებული იყოს ბალიში, რომ რკინა რკინას ედებოდეს. რაც შეეხება შეცვლას, გააჩნია თქვენს ავტომობილში რომელი „პადმატორნია" დაზიანებული, რადგან ის ყველა ავტომობილს რამდენიმე აქვს. ზოგიერთი ძვირი ღირს და რთული გამოსაცვლელია, ზოგი კი – იაფი და იოლი გამოსაცვლელიცაა.

**კითხვა: მაქვს ზაფხულის ორი საბურავი და დავაყენო თუ არა ისინი ჩემს ავტომობილზე? აუცილებელია თუ არა ოთხივე საბურავის გამოცვლა? ორი ძალიან ძველი მაქვს და მის დაყენებას მგონი აზრი არ აქვს.**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, ოთხის დაყენება აუცილებელია, რადგან ორის შეცვლით თქვენ კიდევ უფრო მეტ საფრთხეში ჩაიგდებთ თავს. ზოგადად მძღოლები, ძირითადად, უკან ცუდ საბურავებს, წინ კი ახალს აყენებენ. წინა საბურავები, რა თქმა უნდა, უფრო მეტად ცვდება, მიუხედავად იმისა, წინა წამყვანია ავტომობილი თუ უკანა წამყვანი თვლებით აღჭურვილი. ვგულისხმობ ნორმალური სიარულის დროს და არა ხელოვნურად მოცურების და „ბუქსაობის" დროს, როგორც ხშირად აწვალებენ უკანა წამყვანი თვლებით აღჭურვილ ავტომობილებს. მაგრამ, თუ უცებ რაღაც მოხდება, მოგიწიათ მკვეთრი მანევრის გაკეთება ან დამუხრუჭება, იმიტომ რომ წინა საბურავები უკანას ჩაგრავს, წინა მოუხვევს და უკანები ვერ შემოჰყვება და მოხდება ძალიან მარტივ სიტუაციაში მოცურება. როგორც კი ოდნავ ავჩქარდებით, ოდნავ მკვეთრი მოძრაობა მოგვიწევს, მაშინვე ვიგრძნობთ განსხვავებას. ასეთ დროს ისევ ჯობია, უკანა საბურავები იყოს ახალი და წინა – შედარებით ძველი. რამდენსაც მოუხვევდა, იმდენი მოეხვია და უკანა შემოჰყოლოდა, ვიდრე პირიქით.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

წეს-რიგის დამ-ცველი
სიმღერის სახე-სხვაობა
კაცის სომხური სახელი / ჭადრაკის ფიგურა
(......) ქარი
რომაული ღვთაება
“ოპე-ლოშია“
საგან-გებო დავა-ლება
შეის-მინა ანუ?
მტრის ზურგში მებრ-ძოლი
რუსული თვითმ-ფრინავი
ხელზე მკით-ხაობა
ევრო-პის „ჩექმა“
(......) ელიავა
თეფში
ანა ფრანკის მეგობარი / აყიყი
ქალაქი კანა-დაში
ბურთი მომეცი! / რუსეთ-ის ტვ
ბოსტ-ნეული
სისხლ-ძარღვი / ტაბაკა
აბა (......)! / ურწ-მუნო
„ბატო-ნო“(ესპ.) / ალვირი
უიმედო ანუ?
თავსამკაული / იტალიის ქალაქი
საბერ-ძნეთის მხარე
ბევრი ლორი
კატობ-რიობის მანკი
სახის მანჭვა
ცეკვა ანუ რა?
ორგა-ნული ნივთ-იერება
ავტო-ინსპე-ქცია სსრკ-ში
ნანას ვარი-ანტი / იერი
პოლონ. მლინარ. / ფულის გაშვება
ნორმა
ხილი / მწე-რალი
გაზაფ-ხულის მაცნე
მონ-ღოლი
ქვ.სანახაობა / ჟავჟავაძე / ჩასაყლაპი
ტერიტ.ერთეუ-ლი ლიბანში / თუშეთშია / ობელისკი
მხატ-ვარი, გუსტავ..
აშშ-ის ქალაქი / შემდეგ გადასახდელი
ქალაქი საფრა-ნგეთში
არის ასეთი ხმაც
3,5,7,9
სკარლეტ (......) / (.....)-ბოი რუსეთში
ჯორჯ ბერნ-არდ....
კატა ხაშ-ურში
ადვილი / დედა-აზრი
ავსტრა-ლიაშია / გულის სენი
იმპრე-სიონი-სტი
ევრ-ოპელ ქალებს ჰქვიათ
ნუსხა
წვერის სალე-ბავი
სიცოცხ-ლეს სწ-ავლობს
„საათი“ რომანულ ენებში
ლითონის დასამუშავებე-ლი იარაღი
ზავში / აიდაჰოს შტატშია
საუნა / მეტე-ორი
უდანაშ-აულობის საბუთი / სტალინი
(.....)-მასკა-რადი
იხილე ფოტო
პარიზის კოშკის ავტორი
გერდას ძმო-ბილი
სამი - გერმ-ანულად
(......) ვაიკულე
(......)-დიდება
ზოგჯერ თავს ესხმის
ნორჩი, ქორფა / ონორე (....) ბალზაკი
(......) ტოლ-სტოი
მთი-ელთა სოფელი
სპორ-ტული ჩხუბი



| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | 2 | | | | | | | | | | 6 | | | | | | | | | | | | |
| | | 3 | | 6 | | | | | | 7 | 6 | 1 | | | | | | | | | 4 | 2 | 8 | 8 | 8 | | | | | | | | | |
| | | 1 | 7 | 5 | 2 | 4 | | | | 8 | 5 | 5 | 4 | 5 | 5 | | | | | 2 | 1 | 5 | 5 | 8 | 8 | 7 | | | | | | | | |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 17 | 19 | 29 | 29 | 29 | 10 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 5 | 4 | 4 | 3 | 6 | 5 | 2 | 4 | 6 | 8 | 21 | 28 | 23 | 22 | 21 | 20 | 18 | 3 | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 3 |
| | | 5 | 6 |
| | 2 | 7 | 8 |
| | | 11 | 8 |
| | | 10 | 7 |
| | 3 | 7 | 7 |
| | 2 | 5 | 7 |
| | 2 | 4 | 7 |
| | 2 | 3 | 3 |
| 4 | 1 | 1 | 5 |
| | 6 | 5 | 7 |
| 7 | 4 | 1 | 8 |
| | 9 | 6 | 9 |
| | 14 | 3 | 9 |
| | | 14 | 13 |
| | | 13 | 12 |
| | 7 | 5 | 12 |
| | 6 | 2 | 11 |
| | 5 | 2 | 7 |
| | | 5 | 7 |
| | | 7 | 7 |
| | | 9 | 7 |
| | | 11 | 8 |
| | | 13 | 8 |
| | | 15 | 9 |
| | | 16 | 9 |
| | | 16 | 10 |
| | | 5 | 11 |
| | 4 | 6 | 5 |
| | 4 | 6 | 5 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 7 | | 5 | | 1 | 4 | 2 |
| | 4 | | 1 | 9 | | 7 | | 5 |
| | 5 | | 2 | 7 | | 8 | 9 | |
| 2 | 6 | 5 | | | 1 | | | |
| | | 9 | 5 | | 2 | | 3 | |
| 4 | | 8 | 7 | | 9 | 5 | 2 | |
| | 2 | 6 | | 1 | 7 | 3 | | 4 |
| 1 | 8 | | | 2 | | 9 | | 7 |
| 9 | | 3 | 4 | | 5 | | 1 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | | 6 | | 3 | | |
| | | 1 | | | | 2 | | |
| 2 | 7 | 6 | 1 | | 9 | 5 | 4 | 8 |
| | 8 | | 6 | | 5 | | 9 | |
| 1 | | | 9 | | | 4 | | 5 |
| | | | | 1 | | | | |
| 6 | 1 | | | | | 7 | | |
| | | | 2 | | | | | 1 |
| | 9 | | 5 | | 1 | | | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. მსხლის ფორმით დაიწყეთ ჯაცუნას ხატვა



2. მიახატეთ დიდი თვალები და ცხვირი



3. ჯაცუნას მიახატეთ ულვაშები და ქუდი



4. მიახატეთ დიდი ყურები, წარბები და პირი



5. მიახატეთ ხელები



6. ბოლოს – ფეხებიც



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რა გზით მივა ხომალდი ნაპირთან



## სცადე ჩრდილების ჩვენება თავადაც



# ჩხიკვი და მტრედები

## (იგავ-არაკი)

ერთმა ჩხიკვმა სამტრედეში შეიხედა და ნახა, მტრედებს გვარიანად ასმევ-აჭმევდნენ. ადგა, მტრედისფრად შეიღება და სამტრედეში შეფრინდა, იქნებ მეც მერგოს რამეო. სანამ ჩხიკვი ხმას ამოიღებდა, მტრედებს ისიც მტრედი ეგონათ და თავისიანად იგულვებდნენ. მაგრამ, როგორც კი ერთხელ მტრედობა გადაავიწყდა და წამოიჩხავლა, მტრედებმა ერთი წიოკი ატეხეს და სულ ცემით გამოაგდეს სამტრედედან. მშიერმწყურვალ ჩხიკვს რაღა უნდა ექნა? ადგა და ისევ ჩხიკვებთან დაბრუნდა, მაგრამ ახლა თავისიანებმა იუცხოვეს სხვაფრად შეღებილი მოძმე და გააგდეს.

არაკი გვეუბნება: გაუმაძღარი ადამიანი თავის წილს არ ჯერდება, ბევრს ეპოტინება და რაცა აქვს, იმასაც კარგავსო.

## რიცხვრებუსი

7,,,, ,,7,, 0,,, ,,,7



# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: ზაფხულში, როგორც წესი, ძალიან ბევრი მწერია, მით უმეტეს აგარაკებზე. საშიშია თუ არა ძაღლის მწერისგან დაკბენა და რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს?**

**პასუხი:** მწერების, ფუტკრისა და კრაზანის ერთეული ნაკბენები, ჯანმრთელი ძაღლისთვის განსაკუთრებულ საშიშროებას არ წარმოადგენს. სიფრთხილეა საჭირო იმ შემთხვევაში, როცა ნაკბენი მრავლობითია, განსაკუთრებით პატარა ტანის და დეკორატიულ ძაღლებში. ისინი, როგორც წესი, იკბინებიან ცხვირისა და ზედა ტუჩის მიდამოში. ნაკბენი მტკივნეულია და სწრაფად სივდება. ძაღლი ცდილობს, მოიფხანოს ნაკბენი თათებით ან უხახუნებს გარშემო საგნებს. პატარა ტანის ძაღლებში შეიმჩნევა მოწყენილობა და იშვიათად, ღებინება. სასწრაფოდ უნდა მოვაცილოთ ნესტარი და ნაკბენ ადგილას დავადოთ ბამბის ტამპონი, რომელიც დასველებული იქნება არაყში, სპირტში, წყალბადის ზეჟანგში ან ბორის მჟავაში.

**კითხვა: მაინტერესებს ლეკვის აყვანა რა ასაკშია სასურველი?**

**პასუხი:** სასურველია, ლეკვი დაბადებიდან 45 დღის შემდეგ აიყვანოთ. 30 დღის ასაკამდე აუცილებელია, ლეკვი დედის რძით იკვებებოდეს. 45 დღის ასაკში კარგად ჩანს ლეკვის, როგორც ანატომიური დეფექტები, ასევე, შესამჩნევია, ჯანმრთელია თუ არა ის. 45 დღის ლეკვს ადვილად შევამჩნევთ მხედველობისა და სმენის პრობლემას. გაითვალისწინეთ, რომ ლეკვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს შემკრთალი, მშიშარა.

**კითხვა: ანტიბიოტიკების მიცემა დასაშვებია თუ არა ძაღლისთვის?**

**პასუხი:** დაუშვებელია ანტიბიოტიკების თვითნებურად გამოყენება. ლაბორატორიული გამოკვლევის გარეშე მათი თვითნებური მიცემა ან ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის თვითნებური შეწყვეტა, აუარესებს ძაღლის შემდგომ მდგომარეობას. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო გენტამიცინისა და ბისებტოლის გამოყენებისას. აღნიშნული პრეპარატები ჰიპერსალივაციას და ღებინებას იწვევს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზოგი სახის ვეტერინარული პრეპარატის გამოყენება დაუშვებელია, თვითნებურად, დიაგნოზის დაზუსტების გარეშე, მათი ტოქსიკურობისა და ზოგიერთი ჯიშის გენეტიკური თავისებურებების გამო. ამიტომ ნურასდროს მისცემთ ძაღლს ანტიბიოტიკს ექიმის დანიშნულების გარეშე.

**კითხვა: შევამჩნიე, რომ ჩემი ძაღლი როცა იღლება, ფეხი უკანკალებს. მაინტერესებს რისი ბრალია?**

**პასუხი:** ძალიან რთულია ძაღლის უნახავად დიაგნოზის დასმა. აუცილებლად უნდა მიიყვანოთ ვეტერინართან და ნახოთ სახსრების ანთება ხომ არ აქვს. შეიძლება, სა-



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**

**ჯეიმს დუგლასი**

ერთოდ სხვა რამის ბრალი იყოს. გააჩნია რას გულისხმობთ დაღლაში და როგორ კანკალებს. თუ ოდნავ ძაგძაგებს და ცხელია, ეს არაფერია. ადამიანის შემთხვევაშიც, როცა ბევრს ირბენს, ან ხშირად ჩაიკუზება, თავისთავად იღლება კუნთი, მისი ქსოვილი და ის კანკალს იწყებს. თუ ძაღლმა ერთი კილომეტრი იარა და ფეხის კანკალი იმ შემთხვევაში დაეწყო, ესე იგი, პრობლემა აქვს. ყველა შემთხვევაში, თავის დაზღვევის მიზნით, ვეტერინართან ვიზიტი აუცილებელია.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა**: **როგორი სინათლე სჭირდება ბეგონიას?**

**პასუხი:** ამ მცენარეს სჭირდება გაფანტული სინათლე, ზაფხულში არ უყვარს მზის მწველი სხივები. ჰაერი უნდა იყოს ნესტიანი, ამიტომ, ტენიანობის შესანარჩუნებლად ქოთანს გვერდით დაუდგით წყლით სავსე ჭურჭელი. ბეგონია კარგად ეგუება ოთახის პირობებს და მშვენივრადაც ხარობს.

**კითხვა**: **როგორ ნიადაგში გავამრავლოთ ციკასი?**

**პასუხი:** ციკასი იოლად მრავლდება თესლითაც და ამონაყარითაც. არც ერთი საშუალებით გამრავლება არ შეგიქმნით სირთულეს ამიტომ, გაამრავლეთ, როგორც თქვენთვის ხელსაყრელი იქნება. ის ოთახის მშვენიერი მცენარეა. თუ ციკასი მომცრო ზომის ჭურჭელში გაქვთ, მაშინ კარგ დრენაჟიან ნიადაგში უნდა იყოს ჩარგული. გადარგვისას ფესვები არ უნდა შეაჭრათ. ჭურჭელში ჭარბი ტენი ფესვების ლპობას იწვევს. გახსოვდეთ, რომ ეს მცენარე გარე გრუნტშიც კარგად ხარობს, უყვარს ნოყიერი ნიადაგი და არ არის პრეტენზიული.

**კითხვა**: **როგორ გავამრავლოთ აცტეკიუმი და როგორი ნიადაგი სჭირდება მას?**

**პასუხი:** აცტეკიუმი, პრაქტიკულად გამოჰყავთ და ზრდიან მას სხვა კაქტუსების ძირზე დამყნობით. ბოლო დროს ჩატარდა სხვადასხვა ექსპერიმენტიც, კერძოდ, ცდილობენ, მცენარე თესლით გაამრავლონ, მაგრამ, ვინაიდან მას ფესვების გაკეთება უჭირს, ამიტომ ამყნიან სხვა „ფეხს." იჭრება რომელიმე ფესვიანი კაქტუსი, მჭიდროდ ედგმევა თავზე, მაგრდება და შემდეგ თავადვე შეეზრდება „თავის ფეხს."

ამ მცენარის ნიადაგი უნდა იყოს ნოყიერი: ორი წილი ფოთლოვანი და ნაკელიანი მიწა, ერთი წილი მსხვილი სილა და ნახევარი წილი ნახშირი.

**კითხვა**: **როგორ მოვუაროთ ზამიოკულკასს და რა პირობებში გავახაროთ ის ბინაში?**

**პასუხი:** ზამიოკულკასი მომთხოვნი მცენარე არ არის. ის ყველაზე კარგად იზრდება გაფანტულ სინათლეზე. არც ტემპერატურის მხრივაა პრეტენზიული, მაგრამ, სიცივე მაინც არ უყვარს. ის უძლებს მშრალ ნიადაგსაც და ნოტიოსაც, თუმცა, ზომიერება უმჯობესია. უყვარს წყლის შეპკურებაც. სასურველია, თუ წელიწადის თბილ პერიოდში მის ნიადაგს მინერალური და ორგანული საკვებით გაანოყიერებთ. ეს ხელს შეუწყობს მცენარის სწრაფად გაზრდას. ზამიოკულკასს ძველი ფოთლები ყოველგვარი მიზეზის გარეშე სცვივა, ხოლო თუ ახალგაზრდა ფოთლების ცვენა დაეწყო, ეს არასწორი მოვლის მანიშნებელი იქნება. ნიადაგის მიმართ ზამიოკულკასი მომთხოვნი არ არის. შეგიძლიათ, შეურიოთ ნაკელი, ფოთლოვანი ნიადაგი, ტორფი და სილა თანაბარი რაოდენობით. ეს მცენარე რეაგირებს ყოველწლიურ გადარგვაზე. სასურველია, თავიდანვე დიდ ქოთანში ჩარგოთ. თუ შეამჩნევთ, რომ მცენარეს დაესია რომელიმე მავნებელი, მორწყეთ კალიუმის პერმანგანატის („მარგანცოვკის") სუსტი ხსნარით და ამ დროს მცენარე დადგით მშრალ და მზიან ადგილას.

**მოამზადა**
**თეონა გოგალიშვილმა**

# ბავშვის გამშვილებელი დედა მისი შვილის გამზრდელს საიდუმლოს გამჟღავნების მუქარით აშანტაჟებდა



23 წლის გურამ უ., რომელიც დედის დაჭრის გამო ციხეში აღმოჩნდა, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. მის ნაცვლად პოლიციამ დედამისი მარინა გ. აიყვანა თავის საყვარელთან ერთად, რადგან უტყუარად დადგინდა, რომ დედა, რომელმაც შვილი, ანუ გურამ უ. გააშვილა, მის გამზრდელს აშანტაჟებდა – საიდუმლოს გამჟღავნების მუქარით, ის ქალს ფულს სძალავდა, რის გამოც მასა და მის საყვარელს ბრალი თანხის გამოძალვასა და მუქარაში დაედოთ.

დედების დაპირისპირებას გურამ უ. შემთხვევით შეესწრო და იძულებული გახდა, გამზრდელი დედა დაეცვა. მან ბიოლოგიურ დედას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და შემდეგ დანით დაჭრა. დაჭრილი პოლიციის საქმის კურსში ჩაყენების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ მოვლენები თავისთავად განვითარდა – პოლიციამ გურამ უ. დააკავა. საინტერესო დეტალი: გურამ უ-მ მხოლოდ ინციდენტის შემდეგ გაიგო, რომ ქალი, რომელიც დედამისს უპირისპირდებოდა, მისი ბიოლოგიური დედა იყო.

## გაშვილებული ბავშვის ისტორია

საქმის მასალებით გაირკვა, რომ გურამ უ-ს ბიოლოგიური დედა მარინა გ. 17 წლის ასაკში გათხოვდა და გოგონა შეეძინა, თუმცა მალე ქმარს გასცილდა და როგორც ჩვენებაში თავადაც არ მალავს, უწესო ცხოვრებას ეწეოდა. მისი თქმით, არაერთი სასიყვარულო ისტორია ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ მერაბ ბ. შეუყვარდა, რომლის სახითაც ნამდვილი სიყვარული იპოვა. რომანი მასთან გააბა, თუმცა, ვინაიდან მარინა შვილიანი იყო, ბიჭის მშობლები მათი ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგი წავიდნენ და მშობლებმა შვილი სხვა ქვეყანაში გაგზავნეს, რის შემდეგაც, მარინა ისევ მარტო დარჩა. მისი თქმით, ამის შემდეგ ის კვლავ უწესოდ ცხოვრობდა. რამდენიმე თვეში კი გაირკვა, რომ ორსულად იყო და გადაწყვიტა, ბავშვი მოეცილებინა, თუმცა უკვე 4 თვის იყო. მისთვის მუცლის მოშლა დაგვიანებულად ითვლებოდა, ამასთან, სარისკოც. სხვა გზა არ დარჩა, იძულებული გახდა, ბავშვი გაეჩინა.

ბრალდებულის ჩვენებით, უკვე მეცხრე თვეში იყო, როდესაც საბერძნეთიდან მერაბი დაუკავშირდა, უთხრა, რომ უყვარდა და საქართველოში დაბრუნებისთანავე მასთან მივიდოდა. სწორედ ამიტომ, მარინა გ-ს თქმით, მან გადაწყვიტა, ბავშვი გაეშვილებინა, დარწმუნებული იყო, რომ მით უმეტეს ორი ბავშვით, მერაბი არ მიიღებდა. მან მხოლოდ პირველი ბავშვის შესახებ იცოდა, თუმცა, მისი პირველი შვილი მარინას მშობლებთან იზრდებოდა.

როდესაც მარინამ ბავშვის გაშვილება გადაწყვიტა, იმ პერიოდში ის ქირით ცხოვრობდა, ეკონომიურად ძალიან უჭირდა და უმეტესად მეზობლები, მათ შორის, ლიკა ს. და მისი ოჯახი პატრონობდა. მარტოხელა დედას ხელს უწყობდნენ, რომ როგორმე ბავშვი გაეზარდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მარინა უწესო ცხოვრებას განაგრძობდა. რამდენიმე დღით იკარგებოდა, რა პერიოდშიც ბავშვს ლიკა პატრონობდა. სწორედ ამიტომ, როდესაც მან ბავშვის გაშვილება გადაწყვიტა, მთელი უბანი ცდილობდა, ბავშვი ნორმალურ ოჯახში მოხვედრილიყო. საბოლოოდ კი, მოხდა სასწაული, მიუხედავად იმისა, რომ ლიკა გასათხოვარი იყო, მასაც და მის ოჯახსაც პატარა იმდენად შეუყვარდათ, რომ ბავშვი მათ იშვილეს. ამ დღის შემდეგ დედას შვილისთვის აღარ მიუკითხავს. ლიკა ს. კი, დაცული რომ ყოფილიყო, შვილთან ერთად საცხოვრებლად ისრაელში, ნათესავებთან წავიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, საქართველოში აღარ დაბრუნებულიყო. მანამდე კი დოკუმენტაცია მოაწესრიგა, რომ პრობლემები არ შექმნოდა.

დაახლოებით 3 წლის შემდეგ ლიკა ს. ისრაელში გათხოვდა და დიდი შემოსავალიც ჰქონდა. ამიტომ გადაწყვიტა, მისი შვილის დედა მოეძებნა და გარკვეული თანხა მიეცა. ივარაუდა, რომ ის ეკონომიურად ისევ გაჭირვებული იქნებოდა. მან კითხვა-კითხვით იპოვა მარინა და 5 ათასი დოლარი სხვისი ხელით გაუგზავნა, რითაც მათი ურთიერთობა საბოლოოდ დასრულდა.

ლიკა ს. საქართველოში დედის გარდაცვალების შემდეგ შვილთან, ანუ გურამ უ-სთან ერთად დაბრუნდა. იმ პერიოდში გურამი უკვე 22 წლის იყო. დედა-შვილი დაახლოებით 6 თვის განმავლობაში უზრუნველად ცხოვრობდნენ, ვიდრე ოჯახში მოულოდნელად სატელეფონო ზარები არ დაიწყო. დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში, მათი სახლის ტელეფონზე ვიღაც რეკავდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ქალი იმდენად შეწუხდა, ზარების ავტორის დადგენა დაიწყო, მაგრამ შესაბამის სამსახურში განუცხადეს, რომ ამონაწერის საფუძველზე ზარების დადგენას ერთი თვის შემდეგ შეძლებდნენ. სამი კვირის შემდეგ ზარები შეწყდა, თუმცა ერთ დღეს, როდესაც ლიკა სახლში მარტო იმყოფებოდა, სრულიად უცნობმა მამაკაცმა მიაკითხა და სასწრაფოდ 500 ლარი მოსთხოვა. ქალი პოლიციის გამოძახებას აპირებდა, მაგრამ უცნობმა ურჩია, რომ მისთვის აჯობებდა, ხმა არავისთან ამოეღო, რადგან შესაძლოა. ვიღაცას მისი შვილისთვის ეთქვა, რომ ის მისი ნამდვილი დედა არ იყო.

**მარინა გ-ს საყვარელმა აღიარა, რომ ფულის გამოძალვის გეგმა მან და მარინამ ერთობლივად მოიფიქრეს**

ლიკა ს-ს ჩვენებიდან: „მეგონა, რომ ჩემი ბავშვის აყვანის ამბავი ყველამ დაივიწყა და როდესაც სრულიად უცნობმა ეს ამბავი გამახსენა, ძალიან შევწუხდი. ვკითხე, ვინ იყო და რა უნდოდა ჩვენგან, რაზეც მიპასუხა, რომ ჩვენი ოჯახის კეთილის მსურველი იყო და გვიცავდა. დაცვა კი იმით გამოიხატებოდა, რომ მისთვის 500 ლარი უნდა მიმეცა, რადგან სასწრაფოდ ვალი ჰქონდა გასასტუმრებელი და სხვანაირად საქმე ცუდად წაუვიდოდა. ვიცოდი, რომ შეცდომას ვუშვებდი, მაგრამ ამის მიუხედავად, ფული მაინც მივეცი. საღამოს გურამმა შემატყო უხასიათობა და მკითხა, რა მჭირდა. მისთვის არაფერი მითქვამს. დაახლოებით ერთ კვირაში შიშმა გამიარა, მაგრამ მალე უცნობი კიდევ გამოჩნდა და ამჯერად 200 დოლარი მომთხოვა. მიცემას არ ვაპირებდი, მაგრამ იმდენად არაადეკვატური იყო, მინდოდა, რაც შეიძლება მალე მომეცილებინა თავიდან. ჩემი ვარაუდით, ის ან ლოთი იყო, ან ნარკომანი. გადავწყვიტე, შვილისთვის ყველაფერი მომეყოლა და შესაბამის მომენტს ვეძებდი. ამასობაში კი უცნობი მესამედ გამომეცხადა. ამჯერად 600 ლარს მთხოვდა და მპირდებოდა, რომ ჩემს ცხოვრებაში მეტჯერ აღარ გამოჩნდებოდა“, – აცხადებდა დაზარალებული, რომელმაც შვილს სიმართლე იმიტომ ვერ უთხრა, რომ იმ მომენტში გურამთანაც უთანხმოება ჰქონდა. ლიკა ს-ს თქმით, მის შვილს მისთვის უცნობ, ვიღაც უზრდელ გოგონასთან ჰქონდა ურთიერთობა და იმ გოგონას წაქეზებით შვილიც ბევრ ფულს სთხოვდა. თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გოგონა, რომელთანაც გურამ ს-ს ურთიერთობა ჰქონდა, მასთან შეგნებულად იყო მიგზავნილი, რაც მისი ბიოლოგიური დედის და მისი საყვარლის ჩარევით ხდებოდა.

22 სექტემბერს ლიკა ს-ს უცნობ მამაკაცთან ერთად უკვე მისი შვილის დედაც გამოეცხადა და მუქარითა და შანტაჟით ქალისთვის 2 000 დოლარის გამოძალვას ცდილობდა. როგორც ლიკა ს. ამბობს, ასეთ რამეს არ ელოდა და მარინას დანახვაზე შოკში ჩავარდა. საბოლოოდ, მარინას საყვარელი გაიპარა, ქალებს შორის კი ხელჩართული ჩხუბი გაიმართა, რასაც გურამ უ. შემთხვევით შეესწრო. მან დაინახა, რომ ქალს, რომელიც დედამისს ეჩხუბებოდა, ხელში დანა ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ვინაიდან დედამისს საფრთხე ელოდა, მან მისთვის უცნობი ქალის გაკავება სცადა, რა დროსაც ქალი საკუთარ დანას შემთხვევით წამოეგო. ჭრილობა ძალიან მსუბუქი იყო, თუმცა მომხდარზე ატეხილი წივილ-კივილის გამო, მეზობლებმა სასწრაფო გამოიძახეს და დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, პოლიციამ კი გურამ უ. დააკავა.

სენსაციური აღმოჩნდა ბრალდებულის ჩვენება, რომელმაც განაცხადა, თითქოს გურამის მამა მას ლიკა ს-მ გააცნო და სწორედ ამიტომ დაუტოვა მას ბავშვი, რაც სიმართლე არ იყო. მისივე განცხადებით, ლიკას მისთვის არც 5 000 დოლარი გადაუხდია, მის საყვარელს კი ფული არავისთვის გამოუძალავს. თუმცა მისგან განსხვავებით, მარინა გ-ს საყვარელმა აღიარა, რომ ფულის გამოძალვის გეგმა მან და მარინამ ერთობლივად მოიფიქრეს. კერძოდ, მარინამ წააქეზა, რომ ისრაელიდან დაბრუნებულ ლიკა ს-ს ბევრი ფული ჰქონდა და დაგეგმეს, საიდუმლოს გამჟღავნების მუქარით, ფული გამოეძალათ. როგორც ბრალდებული ირწმუნებოდა, მან არ იცოდა, რომ გურამ უ. მარინას შვილი იყო. მარინას არ უთქვამს, რომ საქმე მის შვილს ეხებოდა. სწორედ ამიტომ, როდესაც ეს ამბავი გაიგო, ბრალდებულის თქმით, ძალიან გაბრაზდა და ამიტომ გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა...

საბოლოოდ გაირკვა ისიც, რომ გურამ უ-მ იცოდა, რომ ლიკა მისი ნამდვილი დედა არ იყო. თუმცა, როგორც მან პროცესზე განაცხადა, მარინა თუ მისი ბიოლოგიური დედა იყო, ეს არ იცოდა...

მოსამართლის გადაწყვეტილებით, შანტაჟისა და მუქარისთვის მარინა გ-სა და მის თანამზრახველს 5-5 წელი მიესაჯათ. მათვე დაეკისრათ იმ თანხის დაბრუნება, რომელიც ლიკა ს-ს გამოსძალეს.

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-25(651)

ამას წინათ ჩემი „ჯიპით“ სახლში ვბრუნდებოდი. შუაღამეს კარგა ხნის გადაშორებული იყო. ავლაბრიდან რომ ჩომოვუხვიე და ბარათაშვილის ხიდზე შევედი, დავინახე, რომ ჩემგან ხელმარცხნივ, ხიდის შუაში, მოაჯირზე გოგონა იჯდა. გულმა ცუდი მიგრძნო და მანქანა შუა ხიდზე გავაჩერე, რაც კატეგორიულად აკრძალულია. ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, არც მანქანები დადიოდნენ და არც საპატრულო პოლიცია ჩანდა. შემოდგომის მიუხედავად, არ ციოდა. მანქანიდან უჩუმრად გადმოვედი, რომ გოგონას უკნიდან წამოვდგომოდი და მოაჯირიდან მომეხსნა, რადგან, ინტუიცია მკარნახობდა, ის მდინარეში გადახტომას აპირებდა. კატასავით სწრაფად და ჩუმად ვმოძრაობდი და თითქმის მივაღწიე კიდეც მიზანს, მაგრამ, გოგონა მოაჯირს მოსწყდა და წყლისკენ დაეშვა... ფიქრის დრო არ იყო. ადიდებული მტკვარი საკმაოდ სწრაფად მოედინებოდა. მე პერანგზე პულოვერი მეცვა ზემოდან, რადგან, პიჯაკი მანქანაში დავტოვე. არც კი დავფიქრებულვარ, ისე გადავეშვი წყალში და მე და ის გოგონა თითქმის ერთდროულად ჩავცვივდით მდინარეში. მარცხენა ხელი ჩავავლე თმაში, რომ წყალს არ გაეტაცა, მარჯვენათი კი წყლის წინააღმდეგობის დაძლევას შევუდექი. ჯერ წონასწორობაში მოვიყვანე გოგონა და ჩემი თავი, შემდეგ კი წყალზე დავწექი, დინებას მივყევი და, თან, მძღოლები რომ იტყვიან, სულ მარჯვნივ და მარჯვნივ „ავილე“. ნახევარკილომეტრიანი ცურვის შემდეგ კი, მეტეხის წინ, აბანოებთან მოვახერხეთ ამოსვლა. სანამ წყალში ვიმყოფებოდით, გოგონას კრინტიც არ დაუძრავს, თითქმის არც კი განძრეულა. წყლიდან რომ ამოვედით და თვალებში ჩავხედე, ნაღვლიანად შემომხედა და მისაყვედურა:



– რატომ გადამარჩინეთ?

გოგონასთვის პასუხი არ გამიცია, ხელი ჩავკიდე და გზაზე ავედით. ქუჩაში მხოლოდ ტაქსები მოჩანდა კანტიკუნტად. ერთ-ერთ მათგანს ხელი დავუქნიე და გავაჩერე. ტაქსისტმა ვერ დააფიქსირა, რომ სველები ვიყავით. მე ჯერ გოგონას ვუბიძგე ხელი და უკანა სავარძელზე მივაგდე, შემდეგ თავადაც ჩავჯექი და მხოლოდ მაშინ შეამჩნია მძღოლმა, რომ სველები ვიყავით და აყროყინდა:

– გიჟები ხართ? ჩქარა, მანქანიდან გადადით, პოლსა და კრესლოებს დამისველებთ!

– ნუ ჩხუბობ, ასლარიანს გადაგიხდი და ყველაფერი რიგზე იქნება. წავედით, – ვუთხარი ტაქსისტს.

ასლარიანის ხსენებაზე, მძღოლმა ტონი შეარბილა და მკითხა:

– წვიმაში მოყევით?

– მტკვრიდან ამოვედით. მიდი, დაიძარი!

მძღოლმა, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა ჩემი სიტყვები, ირონიულად ჩაეცინა და მკითხა:

– სად წავიდე?

– ბარათაშვილის ხიდზე, – მშვიდად მივუგე მძღოლს.

ჩემმა სიტყვებმა ტაქსისტი უკიდურესად გააღიზიანა, შემომიტრიალდა, ხელების ქნევა დამიწყო და მიღრიალა:

– შენ, რა, დამცინი? ბარათაშვილის ხიდამდე ასლარიანს მიხდი? გიჟი ხარ, თუ მე გგონივარ გიჟი? ჩქარა გადადით მანქანიდან, თქვენი თავი არ მაქვს!

– დამშვიდდი, მეგობარო, მართლა გადაგიხდი ასლარიანს, დაიძარი, – მშვიდად მივუგე მძღოლს. მან კი მითხრა:

– მომეცი და წაგიყვანთ.

– აქ არ მაქვს, საფულე მანქანაში დავტოვე და, რომ მივალთ, მოგცემ, – კვლავ აუღელვებლად ვუთხარი ტაქსისტს.

ტაქსისტი წამით გაირინდა – როგორც მივხვდი, ჩემს სიტყვებს იაზრებდა ბარათაშვილის ხიდზე დატოვებულ მანქანასა და საფულეზე, რაც საკმაოდ არარეალური ჩანდა. ამიტომ, სახე აელეწა, ორივე ხელი სახესთან მომიტანა და მთელი ხმით მიღრიალა:

– ჩქარა, მანქანიდან გადაეთრიეთ, თორემ, მე თვითონ გადაგათრევთ!

დაყვავების დრო აღარ იყო. ამიტომ, მძღოლს მარცხენა ხელით ორივე ხელის ორ-ორი თითი მაგრად დავუჭირე, ისე გადავუგრიხე, რომ არ მოსტეხოდა, მაგრამ, ტკივილი ეგრძნო და ცივი ხმით ვუთხარი:

– ან ბარათაშვილის ხიდთან მიგვიყვან და ასლარიანს მიიღებ, ან მტკვარში გადაგაგდებ და მე თვითონ წავიყვან მანქანას. გასაგებია?

– გასაგებია, უფროსო, – მომიგო მძღოლმა, – ხელი გამიშვი, რომ მანქანა დავქოქო.

ტაქსისტს ხელი გავუშვა და, თან მანქანა ადგილიდან დაძრა, თან სარკიდან გვითვალთვალებდა – ეტყობოდა, შეშლილები ვეგონეთ.

ჩემდა საბედნიეროდ, ხიდზე კვლავ არავინ ჭაჭანებდა და, რაც მთავარია, არც პოლიცია ჩანდა. ჩემი „ჯიპიც“ იქვე იდგა. ჯერ გოგონა ჩავსვი უკანა სავარძელზე, შემდეგ პიჯაკიდან საფულე ამოვიღე, გავხსენი, ასლარიანი ამოვაცურე, მძღოლს გავუწოდე და ვუთხარი:

– აი, მიიღე დანაპირები. დიდი მადლობა.

მძღოლმა ფული გამომართვა და მითხრა:

– ბოდიში, ბიძაჩემო, რომ ცუდად გელაპარაკე. რა მოხდა?

– წვიმაში მოვყევით. მშვიდობით, – მივუგე მძღოლს, „ჯიპი“ ადგილიდან დავძარი და სახლისკენ გავემართე.

გოგონას მთელი გზა ხმა არ ამოუღია და მისი გამომეტყველებიდან მივხვდი, ცდილობდა გაეგო, ვინ ვიყავი და გონებაში ჩემს საქციელს იაზრებდა. კორპუსთან რომ მივედით, მანქანა სადგომზე გავაჩერე, გოგონა სახლში ავიყვანე, სავარძელში ჩავსვი, ცხელი ყავა მივუტანე და ვუთხარი:

– დალიე. მე სულ ხუთი წუთი მჭირდება, რომ შხაპი მივიღო და გამოვიცვალო, შემდეგ შენც მოწესრიგდი და დაისვენე.

სააბაზანოდან რომ გამოვედი, გოგონამ გამიღიმა და მკითხა:

– რა გქვიათ?

– კოკი.

– გმადლობთ, ბატონო კოკი, სიკვდილს რომ გადამარჩინეთ. მე თამთა მქვია, – მითხრა გოგონამ, შემდეგ მოიწყინა და დაამატა, – ღირდა კი ჩემი გადარჩენა?

– თამთა, მოდი, მოწესრიგდი. აი, იმ სააბაზანოში შედი, – გოგონას ხელით მივანიშნე სტუმრებისთვის განკუთვნილი სააბაზანოსკენ და დავამატე: – იქ ახალი ტანსაცმელია და ჩაიცვი. ხოლო ღირებულებებზე, მოგვიანებით ვისაუბროთ.

თამთა ოციოდე წლის, ლამაზი, ტანწერწეტა გოგონა იყო. მომწვანო თვალები და ქათქათა კბილები ჰქონდა. სააბაზანოდან რომ გამოვიდა, გამიღიმა და მითხრა:

– ბოდიში, რომ ამდენი უსიამოვნება მოგაყენეთ და კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ჩემი გადარჩენისთვის.

– მოდი, ვივახშმოთ, – ვუთხარი თამთას და გორგოლაჭიან მაგიდაზე გაშლილი სუფრა ახლოს მივუწიე. ამ დროს კედლის საათმა ოთხჯერ დარეკა და მეც დავამატე, – თუმცა, ეს ადრეული საუზმე უფროა, ვიდრე ვახშამი.

თამთა მადიანად შეექცეოდა და ჭამა რომ დაასრულა, მითხრა:

– დიდი მადლობა. სუფრას ავალაგებ.

– თამთა, მოდი, ასე ვქნათ, – გავუღიმე გოგონას, – წადი და კარგად გამოიძინე. დილით საქმეზე უნდა წავიდე და ვეცდები, მალე დავბრუნდე უკან. თუ ჩემს მოსვლამდე გაიღვიძებ, აბაზანა და სამზარეულო შენს განკარგულებაშია და ნურაფრის მოგერიდება, ისე მოიქეცი, როგორც საკუთარ სახლში. ახლა კი – ძილი. ტკბილ ძილს გისურვებ!

თამთა სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელში მოვათავსე და მე ჩემს საძინებელში სამიოდე საათით მოვატყუე თვალი. შემდეგ ავდექი, ჯერ კონსპირაციულ ბინაში წავედი და საიმედოდ შევინილბე, შემდეგ ერთი შეკვეთა შევასრულე და იმავე მარშრუტით სახლში დავბრუნდი. ბინაში რომ შევედი, თამთა უკვე გაღვიძებული და მოწესრიგებული დამხვდა. მას თავისი სველი სამოსი გაერეცხა, დაეუთოებინა და ჩაეცვა. როდესაც დამინახა, მორცხვად გამიღიმა და მითხრა:

– თქვენი სარეცხი მანქანა და უთო ვიხმარე.

– ძალიან კარგი გიქნია, – ღიმილითვე მივუგე თამთას და ვკითხე, – ისაუზმე?

– არა, – გმადლობთ, არ მშია. მე წავალ, – მითხრა გოგონამ.

– ძალიან მშია. მოდი, ვჭამოთ რამე და მერე შენი ამბავიც მომიყევი, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი გექნება... მოდი, სუფრა სამზარეულოში გაშალე და მადიანად შევექცეთ.

ჭამის შემდეგ, კვლავ სასტუმრო ოთახში დავბრუნდით, სავარძელში მოვკალათდით და გოგონამ მითხრა:

– ბატონო კოკი, ყველაფრისთვის გულწრფელ და ულრმეს მადლობას გიხდით. რომ არა თქვენ, ახლა, ალბათ, უსულოდ ვეგდებოდი მტკვრის ფსკერზე.

– მთავარია, რომ ცოცხალი ხარ და თუ საიდუმლო არაა და დიდ ტკივილს არ მოგანიჭებს, იქნებ მომიყვე, რატომ იკლავდი თავს?

თამთას თვალზე ცრემლი მოადგა და მითხრა:

– შარშან მშობლები დამეღუპნენ საავტომობილო კატასტროფაში და მარტო დავრჩი. ამქვეყნად ახლო ნათესავი არ მყავს. ძალიან ცუდად ვიყავი და მშობლების ორმოცი გასული არ იყო, რომ ცხოვრების ყოველგვარი აზრი დავკარგე, თავის მოკვლა გადავწყვიტე. ჩემი ჩანაფიქრით, მშობლების საფლავზე უნდა ავსულიყავი, ვენები გადამეჭრა და ამგვარად გამესწორებინა სიცოცხლისთვის ანგარიში. საამისოდ კი სამართებელივით მჭრელი დანა შევიძინე და ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად მუხათგვერდის სასაფლაოზე ავედი, სადაც ჩემი დედმამაა დაკრძალული. სანთლები დავანთე, ვილოცე, ღმერთს პატიება ვთხოვე და დანა ამოვაცურე, რომ ვენები გადამეჭრა. ამ დროს მომესმა:

– უკაცრავად, ქალიშვილო, ხელი ხომ არ შეგიშალეთ, მაგრამ, იქნებ დანა მათხოვოთ.

– დანა? – შევცბი მე და მთხოვნელისთვის არც კი შემიხედავს, ისე გავუწოდე თავის მოსაკლავად ნაყიდი ნივთი და ვუთხარი, – აი, ინებეთ.

მე მუხლმოყრილი ვიდექი ჩემი მშობლების საფლავზე და ღმერთს გულმხურვალე მადლობას ვუხდიდი, რომ ვიღაც უცნობი მომივლინა, რომელმაც დანა გამომართვა და ამით სიკვდილს გადამარჩინა. თავის მოკვლა უკვე აღარ მსურდა და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ამ საქმეში ღმერთის ხელი ერია.

– ინებეთ, დიდი მადლობა. ბრიტვასავით მჭრელი დანა კი გქონიათ. მხოლოდ, ოდნავ შემეხო კანზე და ღრმად ჩამიჭრა, – მომესმა მთხოვნელის ხმა, რომელიც საფლავის ღობესთან იდგა და დანას მაწვდიდა.



ღრმა ჭრილობის ხსენებაზე შევცბი, მკვეთრად მარჯვნივ შევტრიალდი და გავშეშდი... ჩემ წინ ულამაზესი ახალგაზრდა კაცი იდგა, რომელიც მომხიბვლელად მიღიმოდა. დანას მაწვდიდა, მარცხენა ხელის ცერი თითიდან კი თქრიალით მოსდიოდა სისხლი. მე ისე დავიბენი, რომ საფლავის ღობემდე მუხლისჩოქით მივედი. ბიჭს მარცხენა ხელის მტევანში ხელი ჩავავლე და ვუთხარი:

– როგორ მოთქრიალებს სისხლი. მოდი, შეგიხვევთ.

– არა უშავს, სახლში რომ მივალ, მე თვითონ შევიხვევ, თქვენ ნუ შეწუხდებით, – მომიგო ბიჭმა, მაგრამ მე ფეხზე წამოვდექი, ცხვირსახოცი ამოვიღე ჩანთიდან, შუაზე გავხიე, ბინტივით დავახვიე და ბიჭს თითი შევუხვიე, თან ვუთხარი:

– სახლში რომ მიხვალთ, ცოლს უთხარით, რომ ჭრილობა დაგიმუშაოთ და ბინტით შეგიხვიოთ.

– ცოლი არ მყავს.

– მაშინ, დედას ან დას უთხარით.

– და, არასოდეს მყოლია, დედ-მამა კი შარშან ავტოავარიაში გარდამეცვალა და მათ საფლავზე ამოვედი, – მითხრა ბიჭმა.

საოცარი დამთხვევა იყო. ბიჭიც ზუსტად ჩემნაირ დღეში იყო და არც მას გააჩნდა ახლო ნათესავი. ღვთის ნებად მივიჩნიე, რომ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, თანაც სასაფლაოზე და ბიჭს ვუთხარი:

– მეც ჩემი მშობლების საფლავზე ვარ ამოსული და ისინიც ავტოავარიაში დაიღუპნენ. მე თამთა მქვია.

– ნოდარი, – მომიგო ბიჭმა, ხელზე მემთხვია და შემომთავაზა, – უკვე გვიანია და ალბათ, ფეხით ხართ ამოსული. მე მანქანით ვარ და თუ არ მიწყენთ, მაშინ სახლში მიგიყვანთ.

ნოდარი პირველი დანახვისთანავე შემიყვარდა. თანაც, ეტყობოდა, რომ სუფთა კაცი იყო და უარს როგორ ვეტყოდი. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ერთი სიტყვით, მე და ნოდარს უზომოდ შეგვიყვარდა ერთმანეთი და დაქორწინება გადავწყვიტეთ. ჯვრისწერის დღეც დავთქვით და ჩემი დედ-მამის დაღუპვის წლისთავიდან ათი დღის შემდეგ, სამებაში უნდა შემდგარიყო ცერემონიალი. თუმცა, ვნებებს ვერ გავუძელით და ჯვრისწერამდე სამი თვით ადრე ჯვარდაუწერელნი გავხდით ცოლ-ქმარი... როგორც ეტყობა, ამით ღმერთი განვარისხეთ. ერთი თვის წინ ნოდარი მანქანით ამობრუნდა იგოეთთან და ზურგის ტვინის მძიმე ტრავმა მიიღო, კომაში ჩავარდა. აქაურმა ექიმებმა ვერაფერი მოუხერხეს და მირჩიეს, სასწრაფოდ გერმანიაში წამეყვანა ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც გადაარჩენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნოდარის გადარჩენას ორას ოთხმოცი ათასი დოლარი სჭირდებოდა, საჭირო თანხა მაინც ვიშოვე. ჩემი სახლი და სამკაულები გავყიდე, ნოდარის ბინა დავაგირავე და მთელი ფული მურადი ექიმს ჩავაბარე, რომელიც გერმანიაში უნდა მხლებოდა, როგორც კონსულტანტი. ის კი, მთელი ფულით გაუჩინარდა და ხახამშრალი დაგვტოვა. გერმანიაში სამკურნალო ფული კი არა და, კლინიკაში გადასახდელი ფუ-




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.....................................
მარიკა 599 24 28 31



ლიც აღარ დამრჩა. მთავარმა ექიმმა მითხრა, თუ ფულს დროზე არ გადაიხდი, ნოდარს აპარატიდან მოხსნიან და მოკვდებაო. თანხის გადახდის ვადა გუშინ ამოიწურა და ნოდართან რომ უფულოდ მივედი, კლინიკაში არც კი შემიშვეს. მიუხედავად იმისა, რომ ფეხმძიმედ ვარ, თავის მოკვლა გადავწყვიტე. ამ დროს კი, თქვენ გამოჩნდით და მტკვრიდან ამომათრიეთ.

– ფეხმძიმედ ხარ? – აღვშფოთდი მე და დავამატე: – რამ გადაგრია, შვილს როგორ კლავდი. წუხელ რატომ არ მომიყევი ეს ყველაფერი. ჩქარა, წავედით, იქნებ ცოცხალს მივუსწროთ ნოდარს!

გაოგნებული თამთა ლამის ძალით ჩავათრიე ქვევით. „ჯიპში“ სწრაფად ჩავსხედით, მანქანა გიჟივით მოვწყვიტე ადგილს და კლინიკისკენ გავქანდი. მიუხედავად იმისა, რომ ერთბაშად ოთხი საპატრულო მანქანა მომდევდა უკან და ჩემს გაჩერებას ცდილობდნენ, „კაგებეში“ ნასწავლ მძღოლს, აბა, როგორ მომიხელთებდნენ. სულ ადვილად გავექეცი მათ, კლინიკის ეზოში შევვარდი და მისაღებში მთავარ ექიმთან დაკავშირება მოვითხოვე.

– საღამომდე არ იქნება! – ცივად მითხრა მორიგე გოგონამ, რომელმაც, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, თამთა იცნო.

– ჩვენ, ნოდარის ამბავი გვაინტერესებს, – ვუთხარი მორიგე გოგონას – ცოცხალია?

– მთავარი ექიმი საღამოს იქნება და იმას ჰკითხეთ, ჩვენ კი ინფორმაციის გაცემის უფლება არ გვაქვს, – კვლავ ცივად მიპასუხა გაზეპირებული სიტყვებით მორიგე გოგონამ.

– ვინმეს დაურეკეთ განყოფილებაში და ჰკითხეთ. ადამიანის სიცოცხლეზეა ლაპარაკი და არა მატლის... – ვუთხარი გოგონას, მას კი მოთმინების ფიალა აევსო და მიღრიალა:

– ეს კერძო საკუთრებაა. თუ ახლავე არ წახვალთ, დაცვას გამოვუძახებ!

დაცვას არ დასჭირდა გამოძიება. სამი თავგასიებული „ვერზილა“, ძუნძულით მომიახლოვდა და ჩემი და თამთას ძალით გაყვანა სცადეს. მაგრამ, სამივეს თითო-თითო „ვწყვიტე“, იასონი რომ ამბობს: „ნახევარი ძალით...“ იქვე დავყარე და თამთას ვკითხე:

– სად წევს?

– თუ ცოცხალია, მესამე სართულზე, – მომიგო ცოცხალ-მკვდარმა გოგონამ. მე მას მაჯაში ჩავავლე ხელი, ელექტრონულ შლაგბაუმს წიხლი ვკარი, გავანგრიე და მესამე სართულისკენ დავიძარით...

საბედნიეროდ, ნოდარი კვლავ სასუნთქ აპარატზე შეერთებული დაგვხვდა. თავის ადგილზე იყო მთავარი ექიმიც და როგორც გაირკვა, მორიგე გოგონა გვატყუებდა, როცა გვითხრა: ადგილზე არ არის და საღამოს იქნებაო.

– ჩვენ კიდევ ოცდაოთხ საათს ვაძლევთ ავადმყოფის პატრონს და თუკი არც ამ ვადებში შემოიტანს ფულს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვთიშავთ აპარატს, – საზეიმოდ გვაუწყა მთავარმა ექიმმა, საათზე დაიხედა და დაამატა: – კიდევ ექვსი საათი გაქვთ. ასე რომ, დროს ნუ კარგავთ.

ამ სატანური სიტყვების ავტორი საკმაოდ ცნობილი ქართველი ექიმია და საზოგადოებაში კარგი რეპუტაცია აქვს. თუმცა, მანვე ნათლად მიჩვენა, რომ სრული ნაგავია და, ჩემი აზრით, ასეთი სუბიექტები სიკვდილის ღირსნი არიან... იმ მომენტში დიდი სურვილი გამიჩნდა, მას ხორხში ვწვდომოდი და ერთი მოძრაობით გამეგზავნა ჯოჯოხეთში, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი ნაძირლები სწორედ ჯოჯოხეთში ხვდებიან. თუმცა, თავი შევიკავე და ექიმს ვკითხე:

– რამდენია გადასახდელი?

– ორი ათასი ლარი.

– და ამ წვრილმანის გამო კლავდი ადამიანს?

– თუ გერმანიაში არ წაიყვანთ, ის მაინც ვერ იცოცხლებს, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა მთავარმა ექიმმა და ურცხვად დაამატა: ამ ქალბატონს გუშინწინ ყველაფერი ავუხსენი, საქმის კურსში ჩავაყენე და ეს ამბავი მოულოდნელი არ უნდა იყოს. რას იზამ, მეგობარო, ასეთი დროა. ჩვენ კერძო კლინიკა ვართ და ასეთი მძიმე პაციენტის შენახვა ერთი დღით ორასი ლარი ჯდება. ისედაც ათ დღეზე მეტია, უფასოდ ვმკურნალობთ და მეტი ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

– თქვენნაირებს სიამოვნებით ამოვხდიდი წამებით სულს და წარბსაც არ შევიხრიდი, – ვუთხარი მთავარ ექიმს, ასლარიანების დასტა ამოვაცურე ჯიბიდან, მაგიდაზე დავუგდე და დავამატე: – აქ ორიათას ხუთასი ლარია. რამდენიმე საათში, პაციენტი გერმანიაში მიგვყავს. ყველა საჭირო დოკუმენტაცია გაამზადეთ და თვალის ჩინივით გაუფრთხილდით, თორემ ჩემს სიტყვებს სრულად აგიხდენთ.

სანამ აქვითინებული თამთა ნოდარის პალატაში იმყოფებოდა და მას ეფერებოდა, დერეფანში პატრულის რვა თანამშრომელი და ჩემ მიერ გალახული სამი „ვაჟკაცი“ გამოჩნდნენ. მათ დანახვაზე ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მთავრობის წევრის ნომერი ავკრიფე ჩემს მობილურზე და ყოველი შემთხვევისთვის, საჩხუბრად მოვემზადე. პატრულის ყველაზე მხარბეჭიანმა თანამშრომელმა, რომელსაც კაპიტნის სამხრეები ეკეთა, მოახლოებისას კოპებშეკრულმა მითხრა:

– სასწრაფოდ ქვემოთ ჩამობრძანდით!

– უფროსო, ამას, გოგოც ახლდა, – შეახსენა კაპიტანს ერთ-ერთმა ნაცემმა და მთავარ ექიმს შეხედა, რომელიც თავისი კაბინ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ს | | ბ | | ს | უ | რ | ა | მ | ი | | | | | |
| დ | ა | ლ | ა | ს | ი | | ო | | ე | | | | | | |
| | ბ | | დ | | ქ | ე | დ | ა | ნ | ი | | | | | |
| ბ | ა | რ | ა | ბ | ა | | ი | | ჯ | | | | | | |
| | დ | ო | გ | ა | | ს | ა | ნ | ი | ო | | | | | |
| კ | ო | მ | ი | ს | ი | ა | | ო | | რ | | | | | |
| უ | | ა | | ტ | | მ | | ნ | ა | პ | | | | | |
| ს | | ნ | ე | ი | მ | ე | გ | ე | ნ | ი | | ლ | უ | დ | ი |
| ტ | | ს | | ლ | ი | გ | ა | ტ | უ | რ | ა | | ჩ | | ო |
| ო | ფ | ი | ს | ი | | ო | ლ | ი | გ | ი | გ | | ლ | | რ |
| | ა | | ი | ა | მ | ბ | ი | | ა | | ა | ლ | ა | ნ | ი |
| ი | ლ | ო | რ | | | რ | | კ | ლ | უ | ბ | ი | | ი | |
| | ი | | ი | დ | ნ | ო | ზ | | | ბ | ო | რ | ა | ნ | ი |
| ვ | ა | ლ | ე | | ი | | მ | ა | კ | ა | | ი | რ | ე | გ |
| | | ე | ლ | დ | ა | | ა | მ | ი | ნ | | | ა | ლ | |
| | ი | ს | ი | ა | მ | | | ი | ვ | ო | კ | ა | ბ | ი | რ |
| დ | | ი | | რ | ე | ფ | ე | რ | ი | | ო | ბ | ი | | ა |
| ა | დ | ა | მ | | ი | რ | ი | | | ი | ლ | უ | ა | | მ |
| ვ | | | ო | პ | | ი | რ | ა | კ | ს | ო | | | ბ | ე |
| ა | შ | ი | ნ | | ე | | ი | | ი | ა | ს | | | ა | |
| | რ | | ტ | ა | ლ | ი | | ს | ტ | რ | ი | ქ | ო | ნ | ი |
| ლ | ე | ბ | ა | ნ | ი | | ა | ვ | ა | ი | | ა | დ | ა | ლ |
| | კ | ე | ნ | ტ | ა | ვ | რ | ი | | | ა | დ | ა | ნ | ი |
| ს | ი | ნ | ა | ი | | | ი | ა | ქ | ი | | ა | ლ | ი | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 7 | 5 | 4 | 6 | 1 | 2 | 9 |
| 1 | 5 | 2 | 7 | 9 | 8 | 3 | 4 | 6 |
| 4 | 6 | 9 | 2 | 3 | 1 | 5 | 8 | 7 |
| 6 | 2 | 3 | 4 | 1 | 5 | 9 | 7 | 8 |
| 9 | 7 | 1 | 8 | 6 | 3 | 4 | 5 | 2 |
| 5 | 4 | 8 | 9 | 7 | 2 | 6 | 3 | 1 |
| 7 | 1 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 2 | 9 | 5 | 6 | 8 | 4 | 7 | 1 | 3 |
| 3 | 8 | 6 | 1 | 5 | 7 | 2 | 9 | 4 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 2 | 7 | 1 | 3 | 6 | 5 | 4 |
| 1 | 6 | 4 | 5 | 2 | 9 | 8 | 3 | 7 |
| 7 | 3 | 5 | 4 | 6 | 8 | 2 | 1 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 9 | 2 | 7 | 8 | 1 |
| 8 | 1 | 6 | 3 | 7 | 4 | 9 | 2 | 5 |
| 2 | 9 | 7 | 1 | 8 | 5 | 4 | 6 | 3 |
| 4 | 7 | 1 | 2 | 3 | 6 | 5 | 9 | 8 |
| 6 | 5 | 9 | 8 | 4 | 1 | 3 | 7 | 2 |
| 3 | 2 | 8 | 9 | 5 | 7 | 1 | 4 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. არასოდეს მოაწერო ხელი ცარიელ ფურცელზე. 2. ფაკირი. 3. ქიმიური ელემენტების დასახელებები. 4. თუ წვეულებაზე ქალბატონებიც იყვნენ. 5. „პრაიმ ტაიმი“. 6. უბრალო ლითონისგან ოქროს მიღებას. ფიზიკოსებმა ვერცხლისწყლისგან ოქროს იზოტოპი მიიღეს. 7. ნოტი. 8. ასფალტი. 9. ალკემიას, ანუ ალქიმიას. 10. ლიტურგია.**

ეტის წინ იდგა და ინტერესით აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას.

ამასობაში ზარი გავიდა, ჩემმა ახლობელმა მაღალჩინოსანმა პასუხი გამცა, რომელსაც ყოველგვარი მისალმების გარეშე ვუთხარი:



– ბევრი ლაპარაკის დრო არ მაქვს. ადამიანი მყავს გადასარჩენი და რამდენიმე საათში გერმანიაში უნდა გავფრინდე. აქაურობა პოლიციითაა სავსე და უთხარი, რომ შემეშვან.

– ყველაზე უფროსს დამალაპარაკე, – მითხრა მაღალჩინოსანმა.

მე მაღალ ხმაზე ჩავრთე ტელეფონი, რომ ყველას გაეგო, კაპიტანს მივაწოდე და ვუთხარი:

– მინისტრის მოადგილეა, ოთარი და ელაპარაკე.

– გისმენთ, – შეშნარევი სიამაყით უპასუხა მინისტრის მოადგილეს კაპიტანმა, რომელსაც ბოლომდე არ სჯეროდა, რომ თავისი უწყების მეორე პირს, გენერალს ელაპარაკებოდა.

– სახელი, გვარი და წოდება? – თქვა გენერალმა.

პატრულმა მისი ხმა იცნო, გაიჭიმა და სხაპასხუპით მიუგო:

– პოლიციის კაპიტანი ანზორ გაბაძე!

– კაპიტანო გაბაძე, მე არ ვიცი, რა მოხდა მანდ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეგ კაცი უდანაშაულოა. ამიტომ, თავი დაანებეთ და თუკი დახმარება შეგიძლიათ, დაეხმარეთ. გასაგებია?

– გასაგებია, ბატონო გენერალო!

– ძალიან კარგი. ახლა კი კოკისთან დამალაპარაკე.

კაპიტანმა ანზორ გაბაძემ ტელეფონი დამიბრუნა და გენერალს ვუპასუხე:

– ბატონო.

– კოკი. მე ახლა გერმანიაში ვარ საგანგებო მივლინებით და თუ რამეში გჭირდები, ჩემი თავი შემოგევლოს.

– ჯერჯერობით არა, მაგრამ, თუ დამჭირდები, აუცილებლად დაგირეკავ.

– კარგი. წავედი. შეხვედრაზე მაგვიანდება. წარმატებას გისურვებ, – მითხრა გენერალმა და ტელეფონი გათიშა.

ჩემი და მაღალჩინოსნის საუბარი თამთას გარდა ყველამ გაიგონა. თამთა კი იმ დროს გამოვიდა პალატიდან, როდესაც დერეფანში მყოფი პოლიციელები, კლინიკის დაცვა, მთავარი ექიმი და ორიოდე მისი კოლეგა, თავისდაუნებურად ორ მწკრივად, გაჯგიმულები იდგნენ და შემომცქეროდნენ.

– ბატონო კოკი, მე ნოდართან დავრჩები, თუ, რა თქმა უნდა, არ გამაგდებენ, – მითხრა თამთამ, რომელმაც, რა თქმა უნდა, მოისმინა ჩემი ლაპარაკის შინაარსი მთავარი ექიმის კაბინეტში, მაგრამ მისი საქციელიდან ნათელი იყო, რომ შინაარსს ბოლომდე ვერ ჩასწვდა. ვერ წარმოიდგინა, რომ მე ნოდარის მკურნალობას დავაფინანსებდი გერმანიაში.

– არა, ამის დრო სად გვაქვს. გერმანიაში გასამგზავრებლად უნდა მოვემზადოთ. წამო, წამო, ნოდარს ექიმები მიხედავენ, ჩვენ კი, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მოვაგვაროთ ყველაფერი, – ვუთხარი თამთას, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან დაბნეული იყო. ხელი ჩავავლე მაჯაში და კიბეებზე დავეშვით.

პოლიციელები ავტომატურად აგვედევნენ უკან და როდესაც „ჯიპში“ ვჯდებოდი, ანზორ გაბაძე მომიახლოვდა, „ჩესტი“ ამილო და მითხრა:

– ბატონო კოკი, რას მიბრძანებთ, ჩვენგან რა არის საჭირო?

გაბაძე ცნობილი პლეხანოველი მილიციელის შვილი აღმოჩნდა, რომელიც ცემა-ტყეპით იყო სახელგანთქმული. მასთან ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში მქონდა შეხება. მე გამეცინა და კაპიტანს მივუგე:

– არა. დიდი მადლობა. მამათქვენი პლეხანოვის მილიციაში ხომ არ მუშაობდა?

– დიახ. თქვენ რა იცით?

– მქონდა პატივი, მცნობოდა. ხომ ცოცხალია?

– დიახ. კაჟივითაა.

– მომიკითხეთ, გაეხარდება, – ვუთხარი გაბაძეს, გამოვემშვიდობე და „ჯიპი“ ადგილიდან დავძარი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## რუსმა მილიარდერმა მეცნიერებს უკვდავების პროგრამა წარუდგინა

რუსმა მილიარდერმა დიმიტრი იცკოვმა ნიუ-იორკში მსოფლიოს სახელოვანი მეცნიერები შეკრიბა, რათა ემსჯელათ... არც მეტი, არც ნაკლები, უკვდავების საკითხებზე. მას სურს, რომ კვლევების პირველი ეტაპი 2020 წელს დასრულდეს. მთლიანად პროგრამის დასრულებას კი, 2045 წლისთვის ელოდება.

იცკოვმა შეკრებაზე თავისი პროგრამა წარადგინა, რომლის თანახმადაც მომავალში ადამიანის სხეული უნდა შეცვალოს არაბიოლოგიურმა მატარებლებმა, რომლებშიც ჩანერგილი იქნება ადამიანის ტვინი. პროგრამა ასეთია: 2020 წლისთვის უნდა გამოჩნდნენ რობოტები, რომელთა მართვა აზროვნების ძალით მოხდება. 2025 წელს შესაძლებელი იქნება ტვინის ხელოვნურ საცავში გადატანა ისე, რომ შენარჩუნდეს მისი სიცოცხლისუნარიანობა. 2035 წელს უკვე შესაძლებელი იქნება, მთელი ინფორმაცია ტვინიდან კომპიუტერულ მატარებელში განთავსდეს, ასე რომ, რობოტებს აღარ დასჭირდებათ თავის ქალის შიგთავსის ტარება. 2045 წლისთვის კი მიიღწევა ტექნოლოგიური ნირვანა, როდესაც ვირტუალიზებული გონი გააკონტროლებს ჰოლოგრაფიულ სხეულებს.

იდეის რეალურობის დასამტკიცებლად ნიუ-იორკში სპეციალურად მიიწვიეს რობოტოტექნიკის იაპონელი მკვლევარი ხიროსი ისიგურო. მან პუბლიკას წარუდგინა რობოტი, რომლის გარჩევა ნამდვილი ადამიანისგან შორიდან მართლაც ძალზე რთულია. რობოტი ძალიან ბუნებრივად ამოძრავებდა ხელებს და თავს, ახამხამებდა თვალებს, ლაპარაკობდა და ტუჩებსაც კი შესაბამისად აყოლებდა. სწორედ რობოტის ეს ეგზემპლარი უნდა გახდეს ადამიანის უკვდავების მიღწევის გეგმაში პიონერი.

## ინდოეთი მოსახლეობის რაოდენობით ჩინეთს სულ მალე გაუსწრებს

„ინდოეთი, უკვე 2028 წლისთვის შეიძლება მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანა გახდება“, – ეს ინფორმაცია გაერომ ოფიციალურად გამოაქვეყნა.

„აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში შობადობის დინამიკა უარესია, ვიდრე ადრე – მათ მიეკუთვნება ირანი, ინდოეთი, ჩინეთი, ინდონეზია, ბრაზილია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. სხვა ქვეყნებში კი, მაგალითად, ნიგერიაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ეთიოპიაში, უგანდაში, ავღანეთში შობადობის დონე იზრდება. ამ ქვეყნებში ერთ ქალზე ხუთი შვილი მოდის...“ – ნათქვამია მოხსენებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთში ამჟამად მოსახლეობის რაოდენობის ზრდა რამდენადმე შენელებულია, ეს ხელს არ შეუშლის ინდოეთს, 2028 წლისთვის მსოფლიოში ყველაზე მრავალმოსახლიანი ქვეყანა გახდეს. მისი მოსახლეობა იმ დროისთვის დღევანდელი ლიდერის, ჩინეთის მოსახლეობის რაოდენობას გაუტოლდება. ორივე ქვეყანაში 1,5 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს. შემდეგ ინდოეთის მოსახლეობის რაოდენობა განაგრძობს ზრდას, ხოლო ჩინეთში მისი შემცირება დაიწყება.

თანახმად კვლევისა, რომელსაც საფუძვლად მსოფლიოს 233 ქვეყნის მოსახლეობის აღწერის მონაცემები დაედო, დედამიწის მოსახლეობა იმ მომენტისთვის ერთი მილიარდით გაიზრდება და 8,2 მილიარდს მიაღწევს. 2050 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 9,6 მილიარდი იქნება. გაეროს პროგნოზით, ამავე დროს, ევროპაში მოსახლეობის რაოდენობა 14 პროცენტით შემცირდება.

## ამერიკაში თეთრკანიანი ბავშვები სრულ უმცირესობაში აღმოჩნდნენ

მოსახლეობის აღწერის ბიუროს ცნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში 198 მილიონი თეთრკანიანი ცხოვრობს. მიმდინარე წელს ამ ჯგუფში შემავალთა სიკვდილიანობამ 12,4 ათასით გადააჭარბა ახალშობილთა რაოდენობას, როცა არც ისე დიდი ხნის წინათ – 2010-2011 წლებში, პირიქით, ახალშობილთა რიცხვი 29,6 ათასი ადამიანით მეტი იყო გარდაცვლილებზე. დემოგრაფების თქმით, ასეთი სხვაობა დიდი დეპრესიის დროსაც კი არ ყოფილა. მიზეზად კი 2007 წელს დაწყებულ გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს ასახელებენ, რაც გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე.

ამერიკელი თეთრი მოსახლეობის საშუალო ასაკი საკმაოდ მაღალია – 42 წელი, როცა აზიელებისა და აფროამერიკელებისა – 34 და 32-ია, ლათინოამერიკელებისა კი – 28.

ჯერჯერობით ამერიკის შეერთებულ შტატებში დომინანტ რასობრივ ჯგუფად კვლავ ესპანურ ენაზე მოლაპარაკეები არიან – რაც მოსახლეობის 63 პროცენტს შეადგენს. ახალშობილების შემცირებას ნაწილობრივ კომპენსირებას უკეთებს 188 ათასი თეთრი ემიგრანტი – ძირითადად კანადიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან და საუდის არაბეთიდან. ყველაზე საგანგაშო სიგნალად დემოგრაფები მიიჩნევენ იმას, რომ თეთრი ბავშვები სრულ უმცირესობაში არიან.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-25(651)

## ყველა მეთოდი დასაშვებია

ლიზამ თვალები მოჭუტა და სავარძლის სახელურს ისე დაეყრდნო, რომ საშუალება მისცემოდა დაენახა, რას კითხულობდა ნინი მობილურში. გოგოს დილიდანვე ეტყობოდა უგუნებობა. მოღუშული იჯდა და რამდენჯერმე იტირა კიდეც. ლიზამ სცადა გამოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. არადა, ცნობისმოყვარეობა კლავდა. ბოლოს მოთმინებამ უმტყუნა, დემონსტრაციულად ადგა და ნინის მაგიდაზე ჩამოუჯდა.

– რას აკეთებ, ვერ ხედავ, ვმუშაობ?! – აღშფოთდა ნინი.

– კი არ მუშაობ, ტირი და ნერვიულობ. შენ რა უნდა გამომაპარო. სულელი ვითომ არ ხარ, სულელივით კი იქცევი.

– მე?

– დიახ. გირჩევნია, ყველაფერი გულახდილად მითხრა. ისევ შენთვის აჯობებს.

– ლიზა, ჩემს პირად საქმეში ნუ ჩაერევი!

– რას მელაპარაკები! აბა, ვიჯდე გულხელდაკრეფილი და ვუყურო, როგორ იკლავ თავს ნერვიულობით იმ ერთუჯრედიანის გამო? კაცები იქით უნდა აწვალო და ანერვიულო. რატომ ვერ გაგაგებინე?

– მე კიდევ ის ვერ გაგაგებინე, რომ ჩემ გამო ვნერვიულობ... მხოლოდ და მხოლოდ ჩემ გამო...

– ჰმ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ნერვიულობით შენ ზარალდები მხოლოდ და არა ის. მაინც რა ჯანდაბა უნდა?

– არ ვუნდივარ და თავისუფლად „გულაობა“ უნდა „ნაშებში“, – ამოიოხრა ნინიმ და ისევ აუცრემლდა თვალები, – ისეთი რაღაც გავიგონე, ისეთი... ოფისში მივაკითხე და შემთხვევით მოვუსმინე, თავის მეგობარს რომ ეუბნებოდა... – ნინიმ სლუკუნს უმატა...

– რას ეუბნებოდა, რაო? ნუ ტირი, გეყოფა, – ლიზამ წყალი დაუსხა და მიაწოდა.

– მოკლედ, არ ვუყვარვარ. ეგ მე ცოლად არ შემირთავს.

– ოჰ, ახალი ამბავი... გამაგიჟებ მე შენ. ეგეთი ეგოისტი კაცი ქმრად რად გინდა, საერთოდ არ მესმის. ცხოვრება გინდა გაიმწარო? ჯერ ახლა რა დღეში გაგდებს და მერე... სახლში რომ დაგსვამს, ერთ-ორ ბავშვსაც გაგაჩენინებს და სულაც თავზე დაგაჯდება.

– შენთვის ადვილია ასე ლაპარაკი, ქმარი გყავს.

– მერე, როგორ მყავს. შენ გგონია, შემიყვარდა, გადავირიე და ვოცნებობდი, ყურადღებას როდის მომაქცევდა? კარგი, რა, ნინი... აღარ უნდა გაიზარდო? მომისმინე და კარგად დაიმახსოვრე: ბედნიერების ძიებაში ყველა მეთოდი დასაშვებია.

– რა მეთოდებზე ლაპარაკობ? მე არანაირი მეთოდი არ მაქვს. უბრალოდ, მიყვარს.

– შენი პრობლემაც სწორედ ეგ არის... უბრალოდ უყვარს! – გამოაჯავრა ლიზამ, – ჰოდა, უბრალოდ ღვრი ცრემლებს და ითხრი ნერვებს. გინდა, მოგიყვე, როგორ გავიცანი ჩემი ქმარი? ცოტას გაგართობ და იქნებ, შენთვის სასარგებლო დასკვნები გააკეთო.

ნინიმ ისე ამოიოხრა, მისთვის აშკარად სულერთი არ იყო, ჩუმად იჯდებოდა ლიზა თუ ილაპარაკებდა.

– მოკლედ, ჩემს შეყვარებულს ახალი დაშორებული ვიყავი... თავში აუვარდა და ეგრევე მივახვედრე, რომ ჩემთან ეგეთები არ გაუვიდოდა, – გადავწყვიტე, გული გადამეყოლებინა და სამოგზაუროდ წავსულიყავი. თანამგზავრის გარეშე ხომ მომწყინდებოდა?! ჰოდა, ვიპოვნე კიდეც თანამგზავრი.

– კარგი, რა, რას მთავაზობ?



– არაფერს არ გთავაზობ. ამბავს გიყვები. სააგენტოში მეგობარი მყავს. ვკითხე, უახლოეს ერთ კვირაში ვინმე შესაფერისი კანდიდატურა ხომ არ მიფრინავს ევროპისკენ-მეთქი. ოღონდ ეგეთი გაოცებული ნუ მიყურებ... მარტივი საქმეა ძალიან. ჯავშანი რომ კეთდება, იქ ყველაფერი ჩანს. თან, მუდმივი კლიენტებიც ხომ ჰყავთ. მოკლედ, თვითმფრინავში ჩემი მომავალი ქმრის გვერდით აღმოვჩნდი...

– ლიზა... გამაოგნებელ რაღაცას მიყვები. რა კრიტერიუმებით შეარჩიე, ვისთან ერთად იმგზავრებდი?

– გოგო, აბა, ამდენი ხანი რაზე ვლაპარაკობ?! ვიღაც ჯიბეგაფხეკილ ან კომპლექსებიან ცოლიან მამაკაცს ხომ არ მივუჯდებოდი გვერდით?! ყველაფერი გულდასმით დავგეგმე და გავთვალე. დანარჩენი ჩემზე იყო და შესანიშნავადაც გავართვი თავი. ახლა ყველაფერი მაქვს – ქმარიც მყავს და საკუთარ თავს უარს არაფერზე ვეუბნები.

– ერთი ნახვით შეაყვარე თავი?!

ლიზამ გადაიკისკისა.

– კარგი, თუ გინდა, შეყვარება დაარქვი იმას, არ მაქვს პრობლემა. ფაქტია მთავარი და შედეგი. ამ შედეგამდე რა „სათაურით“ მიხვალ, საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა. ეგრევე „დაბოლდა“. სულ ცოტა წავიმსახიობე და პატარა სპექტაკლი დავდგი.

– რა სპექტაკლი?

– ვუთხარი, ფრენის მეშინია და ცოტა უნდა დავლიო-მეთქი. უნდა გენახა, როგორ გაუხარდა. კონიაკი, შოკოლადი და ყავა შეუკვეთა. მთელი გზა ცოტ-ცოტას ვწრუპავდით. მომიყვა თავისი ბიზნესების შესახებ... მერე მკითხა, ასეთი საყვარელი არსება ევროპაში მარტო ვინ გამოგიშვაო. თავი მოვისაწყლე, – მამაკაცებს ველარ ვენდობი, ყველა ერთნაირია, ყველა ცდილობს, გული გატკინოს. ამიტომ გავრბივარ, მათ გავურბივარ... მინდა, ყველაფერი დავივიწყო-მეთქი... უნდა გენახა, როგორ „დადნა“. ეგრევე, ბევრი რომ არ უფიქრია. „მაჯახა“ – ოღონდ შენ მყავდე გვერდით და გეფიცები, არასოდეს გატკენ გულსო.

– შენც ეგრევე დაუჯერე, – ჩაიცინა ნინიმ და ცრემლიანი თვალები ხელისგულებით მოიწმინდა.

– არა, ცუდად მიცნობ, საერთოდ არ დავუჯერე, მაგრამ შანსი მივეცი, ჩემი ყურადღება დაემსახურებინა.

– ეგ როგორ?

– ბევრი ფული დავახარჯვინე. ჩემი სასტუმროს ხარჯებიც იმან გადაიხადა. თან, სულ სახეში შევცქეროდი... ერთხელ მაინც წარბი რომ შეეხარა, ან წუწუნი დაეწყო – მორჩა, გამოცდას ვერ ჩააბარებდა, ეგრევე ჩავჭრიდი.

– ეჰ, მე ეგ არ გამომივა.

– ვითომ, რატომ? – ტუჩები გაბუსხა ლიზამ, – სხვათა შორის, ჩემი მეგობარი ისევ იმ ფირმაში მუშაობს. ვეტყვი და მოგიძებნის თანამგზავრს.

– არა, არ მინდა. საერთოდ არაფერი მინდა, გარდა ერთისა – როგორმე გიგის სოციალური საიტის პაროლი გავიგო და მერე ყველაფერს გავიგებ, რასაც მიმალავს.

ლიზას თვალები გაუფართოვდა.

– ეგ რიღასთვის გინდა?

– რას ნიშნავს, რისთვის მინდა? აბა, საშუალება მივცე, მატყუოს? არა, ინფორმაციულ



ვაკუუმში ვერ ვიქნები. მისი მიმოწერები უნდა ვნახო. დარწმუნებული ვარ, ვიღაც ჰყავს.

– ან ვიღაცეები... – დაუზუსტა ლიზამ, – მოგცლია შენ რა... დავუშვათ, ნახე მიმოწერა. რას იზამ, ჩამოურბენ იმ ქალებს და ყველას სცემ?

– ვცემო რა, ქაჯი ვარ? – ეწყინა ნინის, უბრალოდ, მაინტერესებს, რა აქვთ იმათ ისეთი, რაც ჩემში ვერ იპოვა.

– აუ, ეგ უკვე მეტისმეტია. მაგაზე დიდ სისულელეს ველარ გააკეთებ. დაიკიდე, რა... – საერთოდ, ნულარ იფიქრებ მაგ იდიოტზე... მე დამიჯერე და ყველაფერი კარგად იქნება.

ნინის ისევ აუცრემლდა თვალები.

– არ მინდა ქმარი... საერთოდ არავინ მინდა... საერთოდ... გიგის გარდა... ძალიან ცუდად ვარ...

– მდა, მძიმე შემთხვევაა! აღარც კი ვიცი, რა ვთქვა.

– როგორმე პაროლი უნდა გავიგო, – ჯიუტად გაიმეორა ნინიმ.

– ეჰ, ნინი, ნინი... პაროლის გაგება ცოტა რთულია. გატეხვა არ გიცდია?

– რა?

– საიტის გატეხვა გაცილებით იოლია. თომას სთხოვე და დაგეხმარება.

– არავითარ შემთხვევაში, არც თომას ვთხოვ, არც ლადოს და საერთოდ, არც ერთ თანამშრომელს. ავალაპარაკო მთელი ფილიალი?

– მაგაზე არ ინერვიულო. სადაზღვევო კომპანიის ყველა თანამშრომელი ავტომატურად ყველაფერზეა დაზღვეული, – გაიცინა ლიზამ, მაგრამ ნინის სახემ მიახვედრა, რომ ხუმრობა არ გამოუვიდა.

– კარგი, დაგეხმარები, ოღონდ პირობა მომეცი, რომ იმ კრეტინს ისეთ პასუხს გასცემ, როგორიც ეკადრება... თავსაც დაანებებ.

– ჯერჯერობით თავი იმან დამანება, – ჩაიბურტყუნა ნინიმ და... ლიზამ იფეთქა:

– მეორედ აღარ თქვა ეგ სისულელე! არ გრცხვენია? რა გჭირს მაგის მისატოვებელი? ჭკუა უნდა ვასწავლოთ!

– როგორ?

– გეტყვი. მანამდე ცოტა შენს სტილზე მომიწევს წამუშავება.

– სტილზე?

– ჰო. თმის ფერიც შევცვალოთ. კიდევ რაღაც-რაღაცეები. იცი, როგორ ვახტუნავებთ გიგის? ჭკუიდან შევშლით. ეგ ჯინსი და კედებიც უნდა გაგახდევინო.

– ლიზა, არ შემიძლია, – წინააღმდეგობის გაწევა სცადა ნინიმ.

– მორჩი! ხომ გინდა, აღარ ტიროდე და გიგი შეხვედრას გეხვეწებოდეს?

– მინდა... მაგრამ ნინის უნდა ეხვეწებოდეს და არა ვიღაც „ნაშას“.

– მოიცა ერთი... მერე შენც დაგაფასებს. ერთი კარგად შევაჯანჯღაროთ... მგონი, გირეკავს და არ უპასუხო... არ გაბედო და არ შეხვდე.

– იქნებ, რისი თქმა უნდა?! – საწყლად ჩაილაპარაკა ნინიმ.

– აღარ მისცე საშუალება, დაგაბოლოს და ისევ ისე მოგექცეს, როგორც აქამდე გექცეოდა. საერთოდ წაგართმევ მაგ ტელეფონს...

***

ქეთიმ გაოცებით შეხედა ქმარს.

– შეუძლებელია... რაღაც გეშლება.

– რა მეშლება, გოგო... გეუბნები, ეგრეამეთქი.

– გინდა, დამაჯერო, რომ შენი თანამშრომელი ზუკაა ლიზას საყვარელი?

ვახო გაცხარდა.

– თავს ნუ გამოიშტერებ, ძალიან გთხოვ. მშვენივრად გაიგე, რაც გითხარი. ზუკას ზუსტად ჩემნაირი პერანგი ეცვა და ფეხსაცმელებიც. ასეთი დამთხვევების მე არ მჯერა.

– მაგით რისი თქმა გინდა?

– იმის, რომ ლიზამ ტანსაცმელი ქმრისთვის კი არა, ზუკასთვის იყიდა.

– რატომ? – ქეთიმ ქმარს კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

– რატომ? – ჩაეკითხა ვახო, – მე ფაქტი გითხარი. დასკვნები შენ თვითონ გააკეთე. ძმა რომ არ არის მაგ ქალბატონის, ამაშიც დარწმუნებული ვარ, მაგრამ ზუკასგან მიკვირს, გათხოვილ ქალთან როგორ აქვს რომანი.

– უთხარი რამე?

– ჰმ, რა უნდა მეთქვა? ის კი არა, ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ვარ, მე მაგ პერანგს და ფეხსაცმელს, ალბათ, ვერ ჩავიცვამ.

– ვითომ, რატომ? – გაცხარდა ქეთი, – საყვარელმა მაგას უყიდა ტანსაცმელი, შენ ხომ არა. კიდევ შენ ხარ უხერხულ მდგომარეობაში?

– ცოტა ტვინიც დააყოლე სათქმელს. ზუკამ ხომ არ იცის ის, რაც მე ვიცი. წარმოიდგინე, მეც რომ იმ პერანგში ჩაცმული გამოვცხადდე... აუ, ვიცოდი, რა... გული მიგრძნობდა, რომ ეგ ქალი რაღაც უსიამოვნო ამბავში აუცილებლად გაგვხვევდა.

– იქნებ, მეტისმეტად ვართულებთ ყველაფერს? რა საჭიროა ასეთი დრამატიზება?

– შენ რა, ვერ ხვდები? მინდა მე სკანდალები? წარმოიდგინე, რა მოხდება, თუ ლიზას ქმარი ცოლის საყვარელზე შურისძიებას გადაწყვეტს. შეიძლება, საერთოდ, ოფისში მოუვარდეს. რა გინდოდა, რისთვის აიკიდე ეგ ქალი, კაფეშიც რომ მიჰყვებოდი ყავის დასალევად!

ქეთი გვიან ჩასწვდა ქმრის ნათქვამის შინაარსს.

– ესე იგი, მასთან ერთად კაფეში წასვლის უფლება იმიტომ არ მომეცი, რომ საყვარელი ჰყავს?

– დიახ და ისედაც, გიკრძალავ მაგ ქალთან ურთიერთობას. სულერთია, რა ფორმით იქნება.

– ეს რა, ბრძანებაა?

– არა, თხოვნა. თუ არ გაითვალისწინებ, მაშინ ბრძანება...

– ვითომ რატომ აღარ უნდა შევხვდე? მე რა შუაში ვარ?! – გაბრაზდა ქეთი, – ჩემგან რა გინდა?

– იფიქრე და მიხვდები, – წარბი შეიკრა ვახომ.

– ვიფიქრე და ვერ მივხვდი, – არ დაუთმო ცოლმაც, – ტერორში უნდა მაცხოვრო?

– რა ტერორში, გოგო... რა, არ გესმის?! არ მინდა, ჩემი ცოლი ბოზთან მეგობრობდეს.

– მიზეზი?

– მიზეზი და საბაბი არ სჭირდება მაგას. გეუბნები, თავი შორს დაიჭირე მაგ ლიზასგან.

– ვერ ვიტან, როცა ასეთი ტონით მელაპარაკები.

– მე კიდევ ნერვები მეშლება, როცა თავს იშტერებ! – ხმას აუწია ვახომ.

– ნუ ყვირი, მე არაფერი დამიშავებია. არასოდეს შემირჩევია შენთვის მეგობრები და არც არასდროს მიკითხავს, ვის როგორი პირადი ცხოვრება აქვს.

– კითხვა რად გინდა? ისედაც ყველაფერი იცი.

– რომ აღმოჩნდეს, რომ ზუკამ პერანგი თბილისში იყიდა, მერე რას იტყვი? – გაცხარდა ქეთი, – ერთნაირი ხართ ყველა... თუ ქმარს ღალატობს, ესე იგი, ის კაცი ამის ღირსია...

– ვინ რისი ღირსია, არ ვიცი, მაგრამ მე გაგაფრთხილე! – კატეგორიული ტონით განუცხადა ცოლს ვახომ და გაგულისებულმა კარი გაიჯახუნა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# დააკვირდი პეპლებს

*ეტიმოლოგმა და ფსიქოლოგმა ჟან ანრი ფაბრმა ქალები პეპლებს შეადარა და საინტერესო აღმოჩენებიც გააკეთა: ადამიანი ძალიან შორს არ წასულა დედაბუნებისაგან.*

*უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ძალიან საინტერესოა.*

*უბრალოდ, გაიხსენეთ, რა ზომის ტანსაცმელს იცვამთ და ნახეთ შედეგები.*



**ზომა „ეს“– S: ციური მტრედისფერი პეპელა.** პატარაა, ნაზია და ძალიან დაუცველი, მაგრამ იშვიათად რჩება მარტო. მის გვერდით ხომ მამაკაცს არ უჭირს, გამოჩნდეს ძლიერი. ონკანს კარგად მოუჭერ და უკვე გმირი ხარ. ამ ტიპის ქალებს აკლიათ თავდაჯერებულობა და განქორწინებას ტრაგედიად, ქვეყნის დაქცევად აღიქვამენ.

**ზომა „ემ“ – M – „შუშისფრთება“.** ძალიან მიმზიდველია, იმაზე გაცილებით ნაზი და ჰაეროვანი გეგონებათ, ვიდრე სინამდვილეშია. ხასიათი მარტივი არა აქვს. უყვარს კომფორტი და ცხოვრების განსაკუთრებული პირობები. თუ ეს არა აქვს, ჭირვეული და წუწუნა ხდება. არ ესმის, რომ ამქვეყნად იდეალური არაფერია.

**ზომა „ელ“ – L: პეპელა „ნიმფალიდი“.** ძალიან მრავალფეროვანია როგორც გარეგნულად, ისე ხასიათის თვალსაზრისით. ყველა მხრივ ნორმალურია და მეტნაკლებად დადებითი. უყვარს რადიკალური ცვლილებები, რომლებიც ხშირად საერთოდ არ არის გამართლებული. ამ ადამიანებს არ აწყენდათ მოეძებნათ „ოქროს შუალედი“.

**ზომა „იქს ელი“ – XL: პეპელა „მახაონი“.** საკმაოდ შთამბეჭდავი ეგზემპლარია. ყურადღების მიღმა არ რჩება. ასეთი ქალები იშვიათად არიან მორიდებულები. მართალია, ზოგჯერ უჭირთ შესაფერისი ტანსაცმლის შერჩევა, ისე, როგორც უძნელდებათ, იპოვონ ცხოვრების თანამგზავრი. თუმცა, არა საკუთარი პრამეტრების გამო, არამედ იმიტომ, რომ მიაჩნიათ – ჭეშმარიტი მამაკაცი ძალიან ცოტაა. სამაგიეროდ, თითქმის ყოველთვის პოულობენ გამოსავალს რთული სიტუაციებიდან.

**ზომა „იქს იქს ელი“ – XXL:** „ფარშევანგისთვალა ატლასი“. ძალიან დიდი პეპელაა. ფრთების სიგრძე 26 სანტიმეტრია, მთლიანი ფართობი, როცა ფრთებს სრულად შლის – 400 კვადრატული სანტიმეტრი, მაგრამ ამ ტიპის ქალებს ხშირად აკომპლექსებთ საკუთარი გარეგნობა. განიცდიან და ნერვიულობენ. მხოლოდ ზოგიერთი ახერხებს იმას, რომ ის, რისი შეცვლაც არ შეუძლია, თვითდამკვიდრების იარაღად აქციოს და იგრძნოს, საკუთარი უპირატესობები.



## მაიას საღებავები

მაიას ტომის ადამიანებმა იცოდნენ განსაკუთრებული საღებავების დამზადების ტექნოლოგია. საღებავი იყო არაჩვეულებრივად ხასხასა, გამძლე და იშვიათი შეფერილობის. კიდევ უფრო განსაკუთრებული ჰქონდათ ლურჯი საღებავი, რომელსაც კედლის წარწერების გასაკეთებლად იყენებდნენ. ასევე, ამ საღებავით ღებავდნენ ტყვეთა სხეულებს და თიხის სარიტუალო ჭურჭელს. საღებავის საოცარი გამძლეობის თვალსაჩინო მაგალითია ოთხმეტრიანი ფენა ლურჯი თიხისა, ქალაქ ჩიჩენიტცას მახლობლად მდებარე ბუნებრივი ხრამის ფსკერზე. უზარმაზარი ჭა იქ 1904 წელს აღმოაჩინეს.

მეცნიერები ძალიან დიდხანს იტეხდნენ თავს საღებავის შემადგენლობის დადგენაზე. დღეს მიჩნეულია, რომ საღებავის სიმტკიცეს განსაზღვრავდა მცენარეული საღებავი ინდიგო და მინერალი, სახელწოდებით – პალიგორსკიტი, რომელსაც შეიცავდა თიხა. ეს ორი კომპონენტი სინთეზში იძლეოდა ნივთიერებას დეჰიდროინდიგოს. ესპანელი მეცნიერებისთვის ის უცხო არ არის. შეფერილობა ყვითელი, ჩვეულებრივ ლურჯ საღებავთან შერევისას, განიცდის პიგმენტაციას და საღებავს, გარდა სიმაგრისა, ანიჭებს ფანტასტიკურ ელვარებას. ამ ყველაფერს ემატებოდა საღებავის სპეციალურ ტემპერატურამდე გათბობის აუცილებლობაც. სწორედ ეს იყო მთავარი საიდუმლო.

## მეორე კანი...

შუა საუკუნეებში ხელთათმანები მშვენივრად ანაცვლებდა საწამლავით სავსე თასს.

პირველი ხელთათმანი, რომლებიც ადამიანის ხელების სამოსად იქცა, საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა – ტილოს ტომრები ხელის მტევნებისთვის, რომლებიც მაჯაზე თასმებით იკვრებოდა. ისინი პირველად ძველ ეგვიპტეში გაჩნდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე. ეგვიპტელებმავე დაყვეს ტომრები თითების განყოფილებებად. ჯერ ცერი თითი გამოიყო, მერე დანარჩენები. ეგვიპტელები ხელთათმანებს ჭამის დროსაც იცვამდნენ, რომ თითები არ გასვროდათ.

ყველაზე ძველი ხელთათმანი არქეოლოგებმა 1922 წელს აღმოაჩინეს, ტუტანჰამონის აკლდამის გათხრისას. ის დამზადებული იყო უნაზესი ტილოსგან და თითებიც უკვე გამოყოფილი ჰქონდა. ძველი ბერძენი ისტორიკოსი, ქსენოფონტე ირონიულად აღწერდა სპარსელების უცნაურ ჩვევას, სიცივეში ხელები ბეწვის „შალითებში“ დაემალათ. ძველ საბერძნეთში ხელთათმანით სიარული სირცხვილად იყო მიჩნეული. სამაგიეროდ, რომაელები შეეჩვივნენ ხელთათმანებს კარგად. ისინი ცხელ საკვებსაც ხელთათმანით მიირთმევდნენ, რადგან არ არსებობდა დანა-ჩანგალი.



ხელთათმანების კულტი რენესანსის ეპოქაში დამკვიდრდა. ის ძალაუფლების სიმბოლოდაც კი იქცა. რაინდების ხელთათმანებთან დაკავშირებული სპეციალური ეტიკეტიც ჰქონდათ. ქალბატონი რაინდს ხელთათმანს თუ აჩუქებდა, ის მას შლაპაზე ან ქამარზე უნდა დაემაგრებინა და ყველაფერი გაეკეთებინა ამ ქალისთვის. დუელს რა კავშირიც ჰქონდა ხელთათმანთან, ეს ყველამ იცის. მედიჩი ხელთათმანებით წამლავდა ადამიანებს და საკმაოდ ოსტატურადაც. მეთექვსმეტე საუკუნეში ქალები და კაცები ერთმანეთს იმაში ეჯიბრებოდნენ, ვისი ცხვირსახოცი უფრო სურნელოვანი იყო.

მეფის კარის პარფიუმერი რენე, მედიჩის მითითებით, ხელთათმანისთვის განკუთვნილ ნელსაცხებელში სპეციალურ შხამს ურევდა. ვისაც ამ ხელთათმანს აჩუქებდნენ, ის მალე საშინელი ტანჯვით მოკვდებოდა. ხელთათმანების ეტიკეტი საკმაოდ მკაცრი იყო და დიდებულები მას, ზედმიწევნით ზუსტად იცავდნენ. ხელთათმანს ბედნიერებასთან ერთად, ბევრი უბედურებაც მოჰქონდა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# ყველაფერი გათვლილია

## მაიკლ ბრეტი

ჰოუკსი სასტუმროს დეტექტივად მუშაობდა და კლიენტების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, რომ ისინი არავის და არაფერს შეეწუხებინა. ლამაზი ქალიშვილი ბართან იჯდა და ბარმენს რაღაცაზე გაცხარებული ეკამათებოდა. ოდნავ მოშორებით, ოტელის ყველაზე პატივსაცემი სტუმარი, მილიონერი ბილი უოლტერი მესამე იჯდა. ასეთი მამაკაცი, თუ იმპოტენტი არ არის, აუცილებლად შენიშნავს ამ ტიპის ქალიშვილს, – გაიფიქრა ჰოუკსმა და ყურადღება დაძაბა. ქალიშვილი ჩვეულებრივი „მონადირე“ იყო. უოლტერი აშკარად საფრთხის წინაშე იდგა. ჰოუკსი ბართან ახლოს მივიდა... ქერა ლამაზმანი ბარმენ სემის თითქმის უყვიროდა.

– გეუბნებით, სრულწლოვანი ვარ. ჩემი მართვის მოწმობა რაში გჭირდებათ?

– იმისთვის, რომ დავრწმუნდე ამაში, – მშვიდად უხსნიდა სემი, – სამსახურის დაკარგვა არ მინდა.

– დამისხით-მეთქი, ალკოჰოლი მჭირდება. კოქტეილი რომ არ დავლიო, გავგიჟდები, გესმით?

– მაჩვენეთ, რამე დოკუმენტი და მაშინვე მოგართმევთ კოქტეილს, – თავისაზე იდგა ბარმენი.

ქალიშვილმა ბარმენს წყრომით შეხედა და უცებ ტირილი დაიწყო. ბავშვივით ასლუკუნდა, კაცს გული მოუკვდებოდა. ჰოუკსმა ჩაიცინა: „ჰმ, მშვენივრად თამაშობს თავის როლს. კარგი მსახიობია. ცოტაც და, მისტერ უოლტერი მახეშია“.

ქალიშვილმა სლუკუნს უმატა. მშვენიერი თვალებიდან ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები. მილიონერმა მისკენ მიიწია და ცხვირსახოცი გაუწოდა:

– მის, ძალიან გთხოვთ, ნუ ტირით. ამ ხეპრეს კი ახლავე გავცემ შესაფერის პასუხს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბარმენმა მილიონერს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და ქალს წინ კოქტეილიანი ჭიქა დაუდგა.

– მადლობელი ვარ თქვენი, – ქალიშვილმა თვალები მადლიერებით შეანათა „მხსნელს“, – ძალიან ცუდად ვარ. ჩემმა საქმრომ მთხოვა, ამ სასტუმროში დავბინავებულიყავი და ისიც ჩამოვიდოდა... უნდა გვექორწინა.. აქ, ამ რომანტიკულ ადგილას... მაგრამ გაუჩინარდა. ძალიან უბედური ვარ. ხვალ, ალბათ, გავემგზავრები...

– ნება მომეცით, მის... – დაიწყო მილიონერმა ალერსიანი ხმით.

– მის გეითსი, – ქალიშვილმა ცრემლები შეიმშრალა.

– მის გეითს, ნება მომეცით, ჩემი სამსახური შემოგთავაზოთ. ამ ადგილებს კარგად ვიცნობ. მეგზურობას გაგიწევთ და შევეცდები, დარდი გაგიქარვოთ... იახტაც მყავს... დარჩით, თქვენს დანახარჯს მე გადავიხდი...

– არა, ასე ვერ შეგაწუხებთ... – გაწითლდა ქალიშვილი და ჰოუკსი კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა მისმა მსახიობურმა ოსტატობამ.

– რას ბრძანებთ, მის გეითს... მხოლოდ სიამოვნებას მივიღებ. თქვენ იმსახურებთ ყოველივე საუკეთესოს.

მის გეითსმა მადლიერების ნიშნად გაუღიმა და მოუბოდიშა. ცოტა ხნით დაგტოვებთო. როგორც კი ქალიშვილი ბარის დახლს მოსცილდა, მილიონერთან მაშინვე მივიდა დეტექტივი ჰოუკსი და თავაზიანად მიესალმა. უორტლიმ განცვიფრებით შეხედა.

– მოგესალმებით, სერ. ჰოუკსი გახლავართ, ამ ოტელის კერძო დეტექტივი. ვალდებული ვარ, ჩვენი კლიენტების მაქსიმალურ უსაფრთხოებაზე ვიზრუნო. იმაზე, რომ მათ ვინმემ დისკომფორტი არ შეუქმნას.

– ეს ძალიან კარგია, მაგრამ ვერ ვხვდები, მე რატომ მომმართეთ. თუ გამეცანით, მადლობელი ვარ, ახლა კი დაგემშვიდობებით. ჩემი თანმხლები ქალბატონი მალე დაბრუნდება.

– სწორედ მასზე მინდოდა საუბარი, მისტერ უოლტერი. იმედი მაქვს, ყველაფერს სწორად გაიგებთ, რასაც ახლა გეტყვით და არ მიწყენთ. მოკლედ, ამ ქალიშვილის ტიპაჟის ქალბატონებს კარგად ვიცნობ. მე მათ შეხედვისთანავე ამოვიცნობ ხოლმე... ის იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც სხვა ადამიანებისთვის პრობლემების შექმნა არ უჭირთ.

– ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ, – მილიონერს უკმაყოფილება დაეტყო, – მე თავად შევთავაზე დახმარება და მას ჩემთვის არანაირი პრობლემა არ შეუქმნია. ძალიან გთხოვთ, მომეცით საშუალება, დრო მშვიდად გავატარო იმასთან, ვინც მომწონს.

– თქვენი ნებაა, სერ... მე ვალდებული ვიყავი, გამეფრთხილებინეთ. თუ უცებ აღმოჩნდება, რომ არასრულწლოვანზე „იძალავეთ“, კაბა შემოახიეთ და რაღაც ამდაგვარი, ვერ იტყვით, რომ ინფორმირებული არ იყავით.

– გმადლობთ, მისტერ, თქვენი მისია ამოწურულია.

ჰოუკსმა თავაზიანად დაუქნია თავი და მოსცილდა... ბარის შორეულ კუთხეში დაჯდა და დაელოდა... ქალიშვილი დაბრუნდა და წყვილი მთელი ერთი საათის განმავლობაში ალერსიანად ჟღურტულებდა. ჰოუკსი თავის პაწაწინა ნომერში ავიდა, შხაპი მიიღო, გამოიცვალა და საწოლზე წამოწვა... დაახლოებით შუაღამის სამის ნახევარზე, ბარმენმა დაურეკა და აცნობა, წყვილი ახლახან გავიდა ბარიდან და ლიფტების მიმართულებით გაემართაო. ჰოუკსმა საათს დახედა. მის განკარგულებაში ორმოცი წუთი რჩებოდა. ისევ წამოწვა და წინა დღით დაწყებული დეტექტივის კითხვა განაგრძო. დანიშნულ დროს ნომრიდან გავიდა და მილიონერის ნომრისკენ გაემართა. კართან ახლოს მივიდა და მიაყურადა... ნომრიდან ჩქამიც არ ისმოდა... საკეტს გასაღები მოარგო და შიგნით შევიდა... მისტერ უოლტერი საწოლზე პირაღმა ეგდო და ხვრინავდა... სახეზე უცნაური ფერი ედო... ჰოუკსმა დახედა და გაიფიქრა, ნეტავი, რამდენი წამი დასჭირდა მის გეითს, მისთვის სასმელში დასაძინებელი წამალი ჩაეყარაო... აბაზანის კარი ოდნავ იყო შეღებული... ქალიშვილი იატაკზე ეგდო... ჩაცმული... სახე ჩალურჯებოდა... ტუჩები თითქოს შიშისგან მობრეცოდა... თვალები ოდნავ ღია ჰქონდა... ჰოუკსი საძინებელში დაბრუნდა და მძინარე მილიონერი მკვეთრად შეანჯღრია... მერე ცოტა წყალიც დააწუნა სახეზე. უოლტერმა გაჭირვებით გაახილა თვალები და თავზე წამომდგარ დეტექტივს გაოცებით მიაშტერდა.

– აქ რა ხდება? რას აკეთებთ ჩემს ნომერში?

– იგივე კითხვები მე უნდა დაგისვათ... მეზობელი ნომრებიდან დარეკეს და თქვეს, რომ აქედან საშინელი ხმაურისა და ქალის კივილის ხმა ისმოდა... ოთახში ავეჯი გადაყირავებულია, სააბაზანოში მის გეითსის გვამია. თქვენ მოკალით ის?

უოლტერი შეშლილივით წამოხტა.

– რაო? თქვენ რა, გაგიჟდით? მე მისთვის თითიც არ დამიკარებია. ვსვამდით კოქტეილს. მერე უცებ თავი ძალიან ამტკივდა და ნომერში ამოვედით. მეტი არაფერი მახსოვს.

– პოლიცია თქვენს ვერსიას არ დაიჯერებს. ბარმენი იტყვის, რომ მთელი საღამო, გვიანობამდე ერთად იყავით და შეიძლება, ქალიშვილის უმწეო მდგომარეობით ისარგებლეთ... მე თქვენ გაფრთხილებდით, სერ...

– ღმერთო, რა შარში გავები. არადა, აქ დასასვენებლად ჩამოვედი. მე ხომ ცოლი მყავს.

ჰოუკსმა მხრები აიჩეჩა.

– რით დაგეხმაროთ სერ?! ჯობდა, დროულად გაგეთვალისწინებინათ ჩემი რჩევა.

– ოცი ათასი დოლარი და გვამს მომაშორებთ? – თქვა უცებ მილიონერმა.

– დამცინით, სერ? ოცი ათასი დოლარი ის თანხა არ არის, ამ პრობლემის მოგვარებას რომ ეყოფა... ასი ათასი...

– თანახმა ვარ... აი, ჩეკი... მე კი ახლავე გავემგზავრები აქედან და უკან აღარასოდეს დავბრუნდები...

– გონივრული გადაწყვეტილებაა, – დაეთანხმა ჰოუკსი.

ნახევარი საათის შემდეგ ჰოუკსის ნომერში ისხდნენ: ჰოუკსი, ბარმენი და ქალიშვილი-გვამი. სემმა გაიცინა.

– ეს დანარჩენებზე ადვილად შესაბმელი აღმოჩნდა, არა, ქეით?

– ჰო? შენ რა იცი ამ საქმის, ყველაფერს მე უნდა მიმადლოდეთ, – გაიცინა ქალიშვილმა და ჰოუკსს მიუბრუნდა, იმედია, ეს შენი ლურჯი საღებავი სახის კანს არ გამიფუჭებს...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №7-25(651)

დოდოს დანახვისას ნიკა გაოცებული შედგა.

– არ ელოდი აქ ჩემს ნახვას? – მშვიდად ჰკითხა მან.

– არ ველოდი, – ნიკა მის პირისპირ ჩამოჯდა, – აქ რას აკეთებ?

– თუ მეტყვი, რომ მომენატრე, დაიჯერებ? – უცვლელი ტონით განაგრძო დოდომ.

– რატომ არ დამირეკე?

– სიურპრიზის მოწყობა მინდოდა შენთვის.

– ჩათვალე, რომ გამოგივიდა, – უკმაყოფილო ტონით თქვა ნიკამ და სიგარეტს მოუკიდა.

– საქმე მაქვს შენთან და თანაც ძალიან სერიოზული.

– გისმენ!

დოდომ თავით მიანიშნა ნანაზე, რომელიც კარის სიახლოვეს იდგა.

– თავხედ სტუმრად ნუ ჩამთვლით, მაგრამ პირისპირ უნდა გელაპარაკო.

– სამზარეულოში გავიდეთ, – თქვა ნიკამ და წამოიწია.

– არა... მე გავალ! – სწრაფად თქვა ნანამ და კარი გაიხურა.

– რატომ აკეთებ ამას? – დაუფარავი უკმაყოფილებით განაგრძო ნიკამ, – ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ნანას მტრად მიიჩნევ!

– ცდები. ვიდრე გელოდი, ლამის დაქალები გავხდით! – დოდო მოხერხებულად მოეწყო სავარძელში და ლაპარაკი განაგრძო, – თუ მტრობაზეა საქმე, მე მგონი, შენ მექცევი მტერივით!

– მეე?! – დაიბნა ნიკა, – რას გულისხმობ?

– შენი და ზურაბის სტუმრობის შემდეგ, ინწკირველი ზვავივით დამატყდა თავს და შენთვის ხელშეკრულების ასლის მოცემაში დამადანაშაულა!

– მაგრამ შენ ხომ არაფერი მოგიცია ჩემთვის?! – უპასუხა ნიკამ.

– ანდრო სირაძის ხელშეკრულებას ვგულისხმობ. თურმე მას ყველაფერი სცოდნია, – უპასუხა დოდომ.

– საიდან? – გაუკვირდა ნიკას.

– წარმოდგენა არ მაქვს. შეიძლება, კაბინეტში ფარული კამერა მიყენია. შეიძლება, „ნასედკა" მომიჩინეს. შეიძლება, პოლიციიდან გაჟონა ინფორმაციამ. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. მან იცოდა ამის შესახებ!

– შენ რა უთხარი?

– რა უნდა მეთქვა? – მხრები აიჩეჩა დოდომ, – ვცადე ამეხსნა, რომ დიდი ხნის მეგობრები ვართ და იმ ხელშეკრულების გაცემით კომპანიის ინტერესები არ დაზარალებულა, მაგრამ მან ჩემი მოსმენაც არ მოისურვა. ის დარწმუნებულია, რომ ზურაბის სტუმრობაც მე მიკავშირდებოდა. მოკლედ რომ ვთქვა, თქვენი ინფორმატორი ვგონივარ.

– და, რა მოხდა შემდეგ?

– განსაკუთრებული – არაფერი, მხოლოდ სამსახურიდან დამითხოვეს. სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა.

– სამსახურიდან დაგითხოვეს?! – მოიღრუბლა ნიკა, – იმ ნაბიჭვარს საკუთარ მაგიდაზე დავანთხევინებ ტვინს!

– ბრავო... – დოდომ თეატრალურად დაუკრა ტაში, – შენი დონ კორლეონეობაღა მაკლდა! რას ერჩი იმ კაცს? შენგან და ზურაბისგან განსხვავებით, ის კარგად უძღვება თავის საქმეს. ნებისმიერი ხელშეკრულება კომპანიის კომერციულ საიდუმლოდ ითვლება. მე არ მქონდა შენთვის მისი მოცემის უფლება. ეს კომპანიის ხელმძღვანელობას რომ შეეტყო, თავად ინწკირველს დატოვებდნენ უმუშევარს!

– რა შემიძლია, გავაკეთო? – ჰკითხა ნიკამ, – იქნებ, ინწკირველს დაველაპარაკო?

– არავითარ შემთხვევაში! – სწრაფად თქვა დოდომ, – კომპანიაში მაინც აღარ დავბრუნდები. ვერ ვიმუშავებ ადამიანთან, რომელმაც ასეთი შეურაცხყოფა მომაყენა. თანაც, ჯერ ყველაფერი არ მითქვამს.

– კიდევ რა გაქვს სათქმელი?

დოდომ სიგარეტს მოუკიდა. მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– შეგიძლია, მითხრა, კონკრეტულად რა ან ვინ ემუქრება ნანას?

– რისთვის გჭირდება?

– გთხოვ, ნუ მომიმიზეზებ კონფიდენციალურ მონაცემებს, ძიების ინტერესებს და სხვა მსგავს აბდაუბდას!

– დოდო, მე სიამოვნებით გესაუბრები იმაზე, რაც მე და შენ გვეხება. ეს კი...

– შენ გინდა თქვა, რომ ეს მხოლოდ შენ და ნანას გეხებათ? – არ დაასრულებინა დოდომ.

– მართალი ხარ. სწორედ ამის თქმას ვაპირებდი.

– ცდები... ეს მეც მეხება!

– რისი თქმა გინდა? – გაოცებულმა იკითხა ნიკამ.

– მე პირველმა გკითხე.

– ვიღაც ახვარი ტელეფონით უკავშირდება და ჩემთან ურთიერთობის შეწყვეტას აიძულებს, – უპასუხა ნიკამ.

– ხმა ჩახლეჩილი აქვს. კი არ ლაპარაკობს, ხიხინებს. ისე, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნის... – თვალი გაუსწორა დოდომ.

– საიდან იცი?! – გაუკვირდა ნიკას.

– მქონდა მასთან საუბრის ბედნიერება.




– როდის?

– გუშინ დილით... ასე ათი საათი იქნებოდა, რომ დამირეკა.

– რა უნდოდა?

– სიმართლე გითხრა, თავიდან ვერ მივხვდი, რა უნდოდა. მკითხა, როგორი მამაკაცები მიზიდავდა. ბუნებრივია, რომ სამ ასოზე გავგზავნე და ტელეფონი გავთიშე, მაგრამ ისევ დარეკა. რამდენიმე ზარს არ ვუპასუხე. ის კი არ მეშვებოდა. ისევ და ისევ რეკავდა. ბოლოს მობილური საერთოდ გავთიშე. ვიფიქრე, იქნებ, ასე მაინც მოვიშორებ თავიდან-მეთქი. მაგრამ ცოტა ხანში ბინის ტელეფონზე დარეკა. როგორც კი ვუპასუხე, გამაფრთხილა: ყურმილი არ დაკიდოო, თან დამემუქრა, რომ ამას თუ გავაკეთებდი, დილამდე არ მაცოცხლებდა! ნაბიჭვარი! – ბრაზით ჩაილაპარაკა დოდომ, – დამცინავად მითხრა: ძაღლებთან წანწალს შეეშვი და ნორმალური კაცი შეარჩიეო, თორემ...

– რა თორემ?

– არაფერი, – თავი გაიქნია დოდომ, – ცივად ჩაიხითხითა. მგონი, სიცილის მსგავსი ხმის გამოცემას ცდილობდა და ტელეფონი გათიშა.

– ნომერი? მისი ნომერი დააფიქსირე? – ჰკითხა ნიკამ.

დოდომ ხელჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოიღო. საჭირო ნომერი მოძებნა და ნიკას უჩვენა. მან მაშინვე იცნო ნომერი. იგივე ნომერი იყო, რომლითაც ნანას უკავშირდებოდნენ.

– გეცნობა? – დოდომ მობილური ხელჩანთაში დააბრუნა.

– მეცნობა.

– რა იცი ამ ნომრის შესახებ?

– პრაქტიკულად არაფერი. ზურაბმა მხოლოდ ის დაადგინა, რომ ნანას საბურთალოს რაიონიდან დაუკავშირდნენ. ნომერი აღრიცხვაზეა, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში მისით აღარ უსარგებლიათ.

– სულ ეს არის? – ჰკითხა დოდომ.

– ჯერჯერობით სულ ეს არის. არ ინერვიულო. მოვძებნით იმ ახვარს!

– საიდან დაასკვენი, რომ ვნერვიულობ? უბრალოდ, გადავიღალე. იმედი მქონდა, რომ კომპანიის ხარჯზე მოვიწყობდი მცირე შვებულებას, მაგრამ... – დოდომ მძიმედ ჩაიქნია ხელი და სიგარეტს მოუკიდა, – აღარ მინდა თბილისში დარჩენა. ამ დღეებში ბათუმში გავემგზავრები. იქ ერთი კარგი მეგობარი მყავს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მეპატიჟება თავისთან.

– იმ რამდენიმე დღეს სად გაატარებ?

– სად უნდა გავატარო?! – გაიკვირვა დოდომ, – რა თქმა უნდა სახლში. მერაბის დამსახურებით, დილით ადგომა აღარ მომიწევს. ახლა მაინც გამოვიძინებ, დავისვენებ და გასამგზავრებლად მოვემზადები.

– იმ ახვარმა ინწკირველთან საუბრის შემდეგ დაგირეკა თუ მანამდე? – ჰკითხა ნიკამ.

– მასთან საუბრიდან საათ-ნახევარი იქნებოდა გასული, რომ დამირეკა. მაგრამ ნუ დაუკავშირებ მერაბს იმ ზარს, – დოდომ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა, – როგორც არ უნდა ვიყო მასზე გაბრაზებული, ასე მაინც არ ვიძიებ შურს. მერაბი ის კაცი არ არის, ვისაც შენ და ზურაბი ეძებთ!

* * *

რეზო ფიფიამ კაბინეტის კარი შეაღო და მაგიდასთან მჯდომ რუხაძეს მოკრძალებით ჰკითხა:

– შეიძლება, ბატონო კოტე?

– მოდი... მოდი... – ხელით ანიშნა რუხაძემ.

ფიფიამ კარი მიხურა, მაგიდას მიუახლოვდა, პროკურორის პირისპირ ჩამოჯდა და მოლოდინით აღსავსე მზერა მიაპყრო.



– როგორ მიდის საქმეები? – ჰკითხა რუხაძემ.

– კარგად, – უპასუხა რეზომ, – ერთ საქმეს დასახურად ვამზადებ. ორზე კიდევ რამდენიმე კვირას მომიწევს მუშაობა.

– მაგ საქმეებს სხვა გამომძიებელს გადასცემ, შენ სხვა დავალებას მიიღებ! – თქვა რუხაძემ.

– რატომ, ბატონო კოტე? – მოიღრუბლა ფიფია, – მზამზარეული, პრაქტიკულად გამოძიებული საქმეები სხვას გადავცე? რისთვის ვიწვალე ამდენ ხანს?!

– ბევრს ნუ ლაპარაკობ! – შეუბღვირა რუხაძემ, – აქ არ არსებობს ჩემი და მისი საქმე. ყველა საქმეს პროკურატურა იძიებს. შენ კი მისი ერთ-ერთი ჭანჭიკი ხარ! გასაგებია?!

– გასაგებია, – ამოიოხრა ფიფიამ.

– შენთვის არცთუ ისე ახალი საქმე იქნება. ძველ ნაცნობებთან მოგიწევს მუშაობა.

– ვის გულისხმობთ?

– ზურაბსა და მის ხალხს.

– ბატონო კოტე, – გაუბედავად წამოიწყო ფიფიამ, – იქნებ, სხვა გამომძიებლისთვის მიგეცათ ეგ საქმე? თქვენც კარგად იცით, რომ იმ ხალხთან არ ამეწყო ურთიერთობა.

– მე ზურაბთან ძმაკაცობას არ გთავაზობ, საქმე უნდა გამოიძიო. ახლა მის სიახლოვეს ყოფნა საჭირო კი არა, უბრალოდ, აუცილებელია. რაც უნდა მოხდეს, იმ საქმეში სხვა გამომძიებელს არ ჩავახედებ! – თქვა რუხაძემ.

– რა საქმეა?

– მოკლედ აგიხსნი ვითარებას. საქმის ძირითად მასალებს ზურაბთან გაეცნობი. დაახლოებით ორი კვირის წინ, ლისის ტბაზე მოკლეს იპოდრომის თანამშრომელი, ვინმე გაბისონია. სისხლის სამართლის საქმე საბურთალოს პოლიციამ აღძრა. რამდენიმე დღეში კი ფონიჭალის მიდამოებში ბიზნესმენ რაზმაძეს გვამი აღმოაჩინეს. ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ გაბისონია და რაზმაძე ერთი და იმავე პისტოლეტით იყვნენ მოკლულები. ასე რომ, თავისთავად დადგა სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანების საკითხი. გაერთიანებული საქმე ზურაბს გადაეცემა. პროკურატურის მხრიდან ძიებაში შენ მიიღებ მონაწილეობას!

– ზურაბი არასოდეს დაგეთანხმდებათ ამაზე! – ჩაილაპარაკა ფიფიამ.

– დამთანხმდება. ვიცი რაზეც ფიქრობს ახლა. მისთვის საქმის დახურვა არაფერს ნიშნავს. ის არაოფიციალურად, გურულის დახმარებით მაინც მუშაობდა იმ სირაძის საქმეზე. ის დარწმუნებულია, რომ გაბისონიასა და რაზმაძის მკვლელობები სირაძის საქმის გაგრძელებაა. აქედან გამომდინარე, ის სიხარულით მოჰკიდებს ხელს ამ საქმეების გამოძიებას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმეებს „პრიკუპში" შენც მიჰყვები!

– რა მიმართულებით უნდა წავიყვანო ძიება? – ჰკითხა ფიფიამ.

– ამჯერად ზურაბი ამის საშუალებას აღარ მოგცემს და პრინციპში, არც არის საჭირო მის საქმეებში ჩარევა. აკეთე ის, რაც იურიდიულ ფაკულტეტზე გასწავლეს და რასაც გავალდებულებს კანონმდებლობა. ანუ ყველაფერს გააკეთებ საქმის გასახსნელად. არა მგონია, ზურაბმა სირაძის საქმესა და იმ ორ მკვლელობას შორის რაიმე კავშირის გამოძებნა შეძლოს. საქმეს კი ნამდვილად გახსნის და მასთან ერთად დაფნის გვირგვინს შენც დაიდგამ. რას იტყვი? მგონი, არცთუ ისე ცუდი პერსპექტივაა.

– მირჩევნია, სხვამ დაიდგას ის გვირგვინი, – უხალისოდ ჩაილაპარაკა ფიფიამ, – თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა რთულია მასთან ურთიერთობა. ის მანქანასავითაა. გამუდმებით მუშაობს და სხვებისგანაც ამას მოითხოვს.

– ვიცი. მას შენზე ბევრად ახლოს ვიცნობ. მაგრამ ახლა არჩევნის საშუალება არ გაქვს. გინდა, ოდესმე ზედამხედველ პროკურორად დაინიშნო? – ჰკითხა კოტემ.

ფიფიამ დუმილით უპასუხა.

– გინდა! მაგრამ მანამდე გარკვეული გამოცდილება უნდა შეიძინო. ამ გამოცდილებას კი, ზურაბისნაირ ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე ვერ დააგროვებ! ჩავთვალოთ, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია, – კოტე ადგა, კაბინეტის კუთხეში მდგარი მაცივრიდან „ბორჯომის" ბოთლი გამოიღო, სასმელი ჭიქაში ჩაასხა, მოსვა და ლაპარაკი განაგრძო, – ახლა მეორე საკითხზე გადავიდეთ, რომელიც პირადად შენ და შენს მომავალ კარიერას ეხება.

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა ფიფიამ.

– ნიკა გურულის სახით საგამოძიებო სამსახურმა მართლაც პრინციპული თანამშრომელი დაკარგა, – ამ სიტყვებთან ერთად

რუხაძემ მაგიდის უჯრიდან რაღაც დოკუმენტი ამოიღო და ფიფიას გაუწოდა.

მან სწრაფად გადახედა დოკუმენტს. ის სასამართლოდან მიღებული შეტყობინება აღმოჩნდა, რომელიც ადრესატს ნიკას მიერ შეტანილ საჩივარზე და პირველადი განხილვის თარიღის შესახებ ატყობინებდა.

– არ ელოდი საქმის ასე შემობრუნებას? – ჰკითხა რუხაძემ, როდესაც ფიფიამ დოკუმენტის კითხვა დაასრულა.

– რა პრეტენზია აქვს გურულს?

– ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ანდრო სირაძის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულება ყალბია.

– რას მიაღწევს ამით? – გაუკვირდა ფიფიას, – სირაძე მკვდარია! ვინ უნდა აგოს პასუხი ხელშეკრულების გაყალბებაზე?!

– იდიოტივით მსჯელობ! – ბრაზით მიუგო რუხაძემ, – გურული სირაძის ცოლმა დაიქირავა. იმ ქალბატონს ბანკის სესხი უფრო აღელვებს, ვიდრე მოკლული ქმარი. გურული ბანკს ებრძვის, მაგრამ ამ „პახმელიაზე" შეიძლება ჩვენც გავიჭყლიტოთ!

– არაფერი მესმის, – გაუბედავად თქვა ფიფიამ, – ვთქვათ, სირაძემ მართლაც გააყალბა ხელშეკრულება და დავუშვათ, რომ გურულმა სასამართლოზე შეძლო ამის დამტკიცება რა შუაში ვართ ჩვენ? ჩვენ მკვლელობის საქმეს ვიძიებდით და არა – ბანკთან დაკავშირებულ ისტორიას!

– ახლა მართლაც ვნანობ, რომ თანაშემწედ აგიყვანე! – რუხაძემ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი, – შენ რა, მართლაც ვერაფერს ხვდები?! გამოძიებაში შენ მონაწილეობდი და ვალდებული იყავი, რომ ვიდრე ყველა კითხვას არ გაეცემოდა პასუხი, ძიება არ შეგეწყვიტა! რა გააკეთე შენ?! ზურაბის წინააღმდეგობის მიუხედავად, საქმე გამოძიებულად გამოაცხადე და ძიების შეწყვეტა მოითხოვე!

– მე ეს თქვენთან შეთანხმებით გავაკეთე, – ყრუდ ჩაილაპარაკა ფიფიამ.

– იცი, რას ვუპასუხებ მთავარ პროკურორს, როდესაც ამ საკითხის გარკვევას დაიწყებს?! უბრალოდ, ვიტყვი, რომ შენ შემიყვანე შეცდომაში. ძალიან დაკავებული ვიყავი და საქმეს საფუძვლიანად ვერ გავეცანი. ვენდე შენს სიტყვიერ განმარტებას და საქმის დახურვაზე თანხმობა მოგეცი. მე ამას დაუდევრობად ჩამითვლიან. აი, შენ კი ნაღდად არ გაპატიებენ არაპროფესიონალიზმს!

– რა საჭიროა საქმის ასე გართულება?! – მორიდებით თქვა ფიფიამ.

– საჭიროა. გურული აღარ შეჩერდება. ახლა მას ორი მიზანი ამოძრავებს: პირველი... თუ მან დაამტკიცა, რომ ხელშეკრულება გაყალბებულია, ბანკი იძულებით შეუთანხმდება ნანა სირაძეს. სავარაუდოდ, მას ველარ დააკისრებენ სესხის დაფარვას. ეს ჩვენ არ გვეხება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებით სასამართლო საქმის ძიებაში დაბრუნებას მოითხოვს. ეს კი გურულის გეგმის მეორე ნაწილია. ის კერძო დეტექტივია და ასეთი საქმის გამოძიების უფლება არა აქვს. როგორ გგონია, ვის დააკისრებს სასამართლო ძიების განახლებას?

– მას, ვინც პირველმა აღძრა საქმე, – სკოლის მოსწავლესავით უპასუხა ფიფიამ.

– ანუ ზურაბს!.. და შენ! იცი რა მოჰყვება საქმის ძიებაში დაბრუნებას?

– ვხვდები, – ამოიოხრა ფიფიამ.

– კეთილი... ახლა კი იმას გეტყვი, რაც მხოლოდ მე და შენ უნდა ვიცოდეთ... – შემპარავი ხმით განაგრძო რუხაძემ, – მე უკვე დამიკავშირდა ბანკის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელობა. ბანკს არ სურს ამ საქმის გახმაურება. მათ ყველა საკითხის მშვიდ გარემოში მოგვარება ურჩევნიათ, მაგრამ ამასთან, მათთვის მიუღებელია გურულის პირობები, მაგრამ ის წინააღმდეგ შემთხვევაში ხმაურიანი სასამართლო პროცესით იმუქრება.

– კონკრეტულად რას ითხოვს გურული?

– ბანკმა უარი უნდა თქვას ნანა სირაძისგან სესხად გაცემული თანხის ამოღებაზე.

– ბანკი არასოდეს წავა ამაზე! – შენიშნა ფიფიამ, – რამდენადაც ვიცი, ანდრო სირაძემ რვაასი ათასი ლარი გაიტანა ბანკიდან.

– ვიცი და ამას გურულიც ხვდება, – დაეთანხმა რუხაძე.

– მაშინ, რისთვის ჯიუტობს?



– თავისებური ტაქტიკაა. დავას მაქსიმალური მოთხოვნით იწყებს, რათა შემდეგ უკან დასახევი გზა ჰქონდეს. საჩივარში ნანა სირაძის სესხის გადახდიდან სრულ გათავისუფლებას ითხოვს. თუ ხელშეკრულება მართლაც ყალბია, ეს სრულიად ლოგიკური მოთხოვნაა. რატომ უნდა შეასრულოს ნანა სირაძემ ვალდებულება, რომელიც არასოდეს უკისრია?! მაგრამ ქონების ნაწილი მის ქმარსაც ეკუთვნოდა. მისი მონაწილეობა ხელშეკრულებაში კი უდავოა. ასე რომ, ნანა სირაძეს მაინც მოუწევს სესხის ნაწილის დაფარვა.

– მაინც, რა არგუმენტს ეყრდნობა გურული? – დაინტერესდა ფიფია.

– ის ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ხელშეკრულების დადების დღეს ნანა სირაძე საერთოდ არ მისულა ბანკში. ამისთვის ბანკიდან სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები გამოითხოვა, მაგრამ ბანკმა უარი უთხრა, – უპასუხა რუხაძემ.

– სასამართლოსთან იგივე ნომერი არ გაჭრის!

– არ გაჭრის, მაგრამ როგორ ამოიღებს სასამართლო არარსებულ ჩანაწერს?

– არარსებულს?! – გაოცებით იკითხა ფიფიამ.

– კამერა ჩვეულებრივი ელექტრომოწყობილობაა და როგორც ნებისმიერი ტექნიკური მოწყობილობა დროდადრო ისიც ფუჭდება!

– ესე იგი...

– ბანკი სასამართლოზე განაცხადებს, რომ იმ დღეს სამეთვალყურეო სისტემა რამდენიმე საათით გამოვიდა მწყობრიდან და შესაბამისად, არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც ნანა სირაძეს ბანკში ყოფნას ან არყოფნას დაადასტურებდა.

– რას მოიმოქმედებს ასეთ შემთხვევაში გურული?

– ვერაფერს. ის სრულ ცაიტნოტში აღმოჩნდება, მაგრამ ეს შენ მაინც არ აგარიდებს უსიამოვნებას. მთავარი პროკურორი არ მოიწონებს ბანკთან დაკავშირებულ ბუნდოვან ისტორიაში გარკვევის გარეშე ძიების შეწყვეტას და შენს დასჯას მოითხოვს, – თქვა რუხაძემ, – გურულს ვერ უნდა დაესწრო შენთვის. როგორც კი იმ ხელშეკრულების შესახებ შეიტყვე, თავად უნდა მიგემართა ბანკისთვის. ასე რომ მოქცეულიყავი, ეს საკითხი უკვე მოგვარებული იქნებოდა.

– ნანა სირაძესი არ მჯეროდა და სიმართლე რომ გითხრათ, ახლაც არ მჯერა. დარწმუნებული ვარ, რომ მან თავად მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, მაგრამ არა – ბანკში. ახლა კი ამ გარემოების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობს! – ბრაზით თქვა ფიფიამ.

– მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, სასამართლო მხოლოდ კონკრეტული ფაქტებით ხელმძღვანელობს!

ფიფია წამით ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა;

– ესე იგი გამოსავალი არ არსებობს?

– არსებობს... ფაქტი თუ არ არსებობს, ყოველთვის გაქვს მისი შექმნის შესაძლებლობა! – დამრიგებლური ტონით თქვა რუხაძემ, – სასამართლომ განმაწესრიგებელი სხდომა სამი დღის შემდეგ დანიშნა. იმ დროისთვის ყველანაირად მზად უნდა ვიყოთ. გურულმა ვერაფერში ვერ უნდა ჩაგვჭრას.

ფიფიამ ინტერესით შეხედა. ის ვერ მიმხვდარიყო, თუ რას გულისხმობდა პროკურორი.

– ნუ ღელავ, ყველაფერი მოგვარდება! – განაგრძო რუხაძემ, – ახლა ყურადღებით მისმინე. საქმეებს, რომელზეც მუშაობდი, ახ-

ლავე მომიტან. მათ დღესვე სხვა გამომძიებელი ჩაიბარებს. შემდეგ კი წახვალ ბანკში და შეხვდები აკაკი ლორიას. ის ფილიალის ხელმძღვანელია. დანარჩენს ის აგიხსნის... გასაგებია?

– გასაგებია, – თავი დაუქნია ფიფიამ, ფეხზე ადგა და კარს მიაშურა.

* * *

ზურაბი მანქანიდან გადავიდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა მტკვრის პირას შეკრებილი პოლიციის თანამშრომლებისკენ. შეტყობინება ერთი საათის წინ მიიღო. კრწანისის პოლიცია იუწყებოდა, რომ რუსთავი-თბილისის საგზაო მაგისტრალის სიახლოვეს აღმოჩენილი იყო რაზმაძის მანქანა, რომელიც იძებნებოდა.

შავი „მერსედესი“ გზიდან საკმაოდ მოშორებით, მტკვრის პირას, ხშირ ბუჩქნარში იდგა. მის სიახლოვეს ოპერატიული ჯგუფი და კრიმინალისტები მუშაობდნენ, რომლებსაც გურამი ხელმძღვანელობდა. ზურაბი შორიდან მიესალმა გურამს, შემდეგ კი კრწანისის რაიონის კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელს, დავით ჯიბლაძეს მიუახლოვდა და ჰკითხა:

– რამე გაარკვიეთ?

– ჯერჯერობით ვერაფერი. ბიჭებს მუშაობა არ დაუმთავრებიათ. ვნახოთ, იქნებ რამე ხელჩასაჭიდს მიაგნონ, – უპასუხა მან.

– ვინ იპოვა მანქანა? – განაგრძო ზურაბმა.

– მტკვრის საპირისპირო ნაპირიდან შენიშნეს. ადგილობრივი ხალხია. ბოსტანში მუშაობდნენ და იქიდან მოჰკრეს თვალი.

– მანქანა ორი კვირის წინ დაიკარგა და ახლა მოჰკრეს თვალი?! – გაუკვირდა გურამს.

– მათ არ იციან, რამდენი ხნის განმავლობაში იდგა მანქანა მტკვრის პირას. წინა დღეები წვიმიანი იყო და სველ, ატალახებულ ბოსტანში არაფერი ესაქმებოდათ. მათი თქმით, მანქანა სამი დღის წინ შენიშნეს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ. დროდადრო აქ თბილისიდან საქეიფოდ ან სათევზაოდ ჩამოდიან. მეორე დღეს აღმოაჩინეს, რომ მანქანა ისევ ბუჩქნარში იდგა. მესამე დღეს კი დაეჭვდნენ და პოლიციას დაუკავშირდნენ.

– სად არის ის ხალხი?

– ტყუილად ნუ დაკარგავ დროს მათ დასაკითხად, ამაზე მეტს მაინც ვერაფერს გეტყვიან...

ვიდრე ზურაბი დავითის დახმარებით ცდილობდა ვითარებაში გარკვევას, გურამი კრიმინალისტების ჯგუფს გამოეყო და მათ მიუახლოვდა.

– რას იტყვი? – მიუბრუნდა ზურაბი.

– სანუგეშოს – ვერაფერს, – უპასუხა გურამმა, – ზუსტ დასკვნას ექსპერტიზის დასრულების შემდეგ მოგცემ. თუმცა ახლავე შემიძლია გითხრა, რომ მკვლელობა მანქანაშია ჩადენილი. რაზმაძე საჭესთან იჯდა, როდესაც ესროლეს. კარზე ორი ნატყვიარი აღმოჩნდა.

– კარზე?! – გაუკვირდა ზურაბს.

– ჰო... კარზე, – დაუდასტურა გურამმა, – ჩემი აზრით, რაზმაძე მანქანაში ვილაცას ესაუბრებოდა. მკვლელი შეუმჩნევლად მიუახლოვდა მანქანას და ორჯერ ესროლა. შემდეგ დაჭრილი ან უკვე გარდაცვლილი რაზმაძე მანქანიდან გადმოათრიეს და კიდევ ერთხელ ესროლეს თავში. სავარაუდოდ, მკვლელი ხოხვით მიუახლოვდა მანქანას. ტყვიების ტრაექტორია ნათლად მიუთითებს, რომ ისინი ქვემოდან ზემოთ და მარცხნიდან მარჯვნივ იყო მიმართული.



– სისხლის კვალი მხოლოდ მძღოლის სავარძელზე აღმოჩნდა? – ჰკითხა ზურაბმა.

– ჰო, – თავი დაუქნია გურამმა.

– იოლი მისახვედრია, რომ რაზმაძე თვითონ ვერ მოიყვანდა აქ მანქანას!

– თავისთავად, – დაეთანხმა გურამი, – მკვლელებმა ცხედარი მტკვარში გადააგდეს, შემდეგ კი სისხლით რომ არ დასვრილიყვნენ, მძღოლის სავარძელს პოლიეთილენის ნაჭერი გადააფარეს, მანქანა აქ მოიყვანეს და მიატოვეს. სისხლით მოსვრილი პოლიეთილენი ახლაც მანქანაშია. მათ არც კი უფიქრიათ კვალის წაშლა.

– ესე იგი, აქ მეორე მანქანაც უნდა ყოფილიყო. რაღაცით ხომ უნდა წასულიყვნენ აქედან?! – ჩაურთო დავითმა.

– აქედან ასიოდე მეტრში სხვა მანქანის კვალიც აღმოვაჩინეთ. პროტექტორის ანაბეჭდი ავიღეთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს შევადარებთ, – გახედა გურამმა.

– პროტექტორის ანაბეჭდით შეგიძლია მანქანის მოდელის განსაზღვრა? – ჰკითხა ზურაბმა.

– ზუსტად – არა. ერთი და იმავე მოდელის საბურავები მრავალ განსხვავებულ ავტომობილზე იხმარება, მაგრამ საბურავებს შორის დაშორებით რამდენიმე სავარაუდო მოდელს მაინც დავადგენთ.

– მკვლელების მოქმედებაში ლოგიკას ვერ ვხედავ. ვითარებიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ მკვლელობა მიყრუებულ ადგილას ჩაიდინეს. თუ ცხედარის გადასატანად მანქანა არ დასჭირდათ, გამოდის, რომ ეს მტკვრის სიახლოვეს მოხდა. მკვლელობისას ისინი ვერავინ შენიშნა. რისთვის გარისკეს? რისთვის მოიყვანეს მანქანა აქ? – თქვა დავითმა.

– ჩემი აზრით, მკვლელობის ადგილი არცთუ ისე მიყრუებული იქნებოდა, – უპასუხა გურამმა, – სავარაუდოდ, ისინი კარგად იცნობდნენ რაზმაძეს და ისიც იცოდნენ, რომ ოჯახის წევრები მას მალე არ მოიკითხავდნენ. უპატრონო მანქანის აღმოჩენის შემთხვევაში კი ისინი დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ მის ძებნას. ამიტომაც გადაიყვანეს მანქანა იქ, სადაც მას გარკვეული დროის განმავლობაში ვერავინ შენიშნავდა. ისე, მკვლელობის სავარაუდო ადგილის მინიშნებაც შემიძლია.

– როგორ?! – გაუკვირდა ზურაბს.

პასუხად გურამი საექსპერტო ჯგუფს მიუბრუნდა და თავის ერთ-ერთ თანამშრომელს დაუძახა: თბილისის რუკა მომიტანეო.

მან სწრაფად შეასრულა განკარგულება. მანქანიდან რუკა ამოიღო და ჯგუფის უფროსს მიაშურა.

გურამმა რუკა მანქანის საბარგულზე გაშალა და ლაპარაკი განაგრძო: – ესე იგი, ვითარება ასეთია. თავისთავად გასაგებია, რომ მკვლელობა სადღაც აქ, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, მტკვრის სიახლოვეს ჩაიდინეს. გვამი ფონიჭალის ბოლოში გამორიყა მტკვარმა. ბუნებრივია, რომ ის დინების საპირისპიროდ ვერ იმოძრავებდა. აქედან გამომდინარე, მკვლელობის ადგილი სადღაც ზემოთ, თბილისის მიმართულებით უნდა ვეძებოთ. ქალაქი გამორიცხულია. ხალხმრავალ ადგილას, ასეთ დანაშაულს ვერ ჩაიდენდნენ. თანაც, მტკვარში გადაგდებული გვამი ორთაჭალის ჰესს ვერ გამოსცდებოდა. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ქალაქის შემოგარენშიც. თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე მხოლოდ სამი ადგილია, სადაც მანქანით უშუალოდ მტკვართან მიახლოებაა შესაძლებელი. აი, ისინი: – გურამმა თითით მიანიშნა რუკაზე გამოსახული ჩასახვევები. შემდეგ კი ერთ-ერთ ჩასახვევს დაადო თითი, – პირადად მე ამ ადგილიდან დავიწყებდი ძებნას. ეს მარნეულის ქუჩაა. ქუჩის დასაწყისში რამდენიმე მცირე საწარმო და საზკვების ობიექტია. სამაგიეროდ, ქუჩის ბოლოში, მტკვრის სიახლოვეს ვერავის შეხვდები. ის ადგილები არც დასასვენებლად ვარგა, არც საბანაოდ, არც საქეიფოდ და არც სათევზაოდ, თუმცა იქაურობა მანქანის მისატოვებლადაც არ გამოდგება – ღია ადგილია. მეჩხერი ბუჩქნარით, გზატკეცილის გასწვრივ მდებარე მაღალსართულიანი კორპუსებიდან მანქანას მალე შენიშნავდნენ... ცდა ბედის მონახევრეა. ვცადოთ, იქნებ მართლაც მივაგნოთ რამეს!

– ვცადოთ... – უპასუხა დავითმა და თავის თანამშრომლებს მიუბრუნდა, – კრწანისი... აქ მოგროვდით!...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ ამღერდნენ ოთო მარცვალაძის ქორწილში ფეხბურთელები და რომელი პარლამენტარი თამადობდა იქ

*16 ივნისს თბილისში ძალიან ლამაზი ქორწილი გაიმართა. ქართული ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილმა ოთო მარცვალაძემ, რომელიც არის: საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშე, მსოფლიოს საუკეთესო გოლების ავტორთა ასეულში შესული, უამრავი ჯილდოს მფლობელი, კიევის „დინამოს", კრასნოდარის, ვოლგოგრადის, ნიჟნი ნოვგოროდის და ხაბაროვსკის გუნდების ყოფილი მოთამაშე და საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული. 300-კაციან ქორწილში ბევრ ფეხბურთელს ნახავდით. „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელებიდან კი, ოთოს პირველი მწვრთნელი და უფროსი მეგობარი თენგიზ სულაქველიძე იყო მიწვეული.*



* ოთო მარცვალაძის და ქეთი ჯანჯალიას, რომელიც პროფესიით ექიმი-სტომატოლოგია,



ხელის მოწერის ცერემონია სანაპიროზე მდებარე განახლებულ ქორწინების სახლში შედგა. ამ მშვენიერმა წყვილმა ჯვარი ულამაზეს სამების საკათედრო ტაძარში დაიწერა, ამის



შემდეგ ნეფე-პატარძალმა და სტუმრებმა რესტორან „ბერმუხაში" გადაინაცვლეს, სადაც ყველაფერი თვალისმომჭრელად ლამაზი იყო – ყვავილებით მორთული კიბე, თეთრი ბაფთებით და სხვადასხვა ფერის მარგალიტის მძივებით გაწყობილი მაგიდები, სკამები, ფოიერვერკი... ამ ყველაფერს კიდევ უფრო განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა „ფრანის", სოფო და ბორის ბედიების სცენაზე გამოჩენა. ოთოს ბიძამ, ანსამბლ „ფაზისის" ყოფილმა სოლისტმა ბესო იობაშვილმა დისშვილს მრავალი წლის წინათ დაპირებული სიმღერა „დაღამებულხარ, ჩემო აპრილო" „ჩააბარა". მოგვიანებით, სცენაზე ფეხბურთელი კახა ალადაშვილი ავიდა და ლამაზი სიმღერით მიულოცა ნეფე-პატარძალს. მან იმდენად კარგად იმღერა, რომ მეგობრები ეხუმრებოდნენ – ესპანელმა ფეხბურთელმა ხულიო იგლესიასმა თავი დაანება ფეხბურთს და სიმღერა დაიწყო და შენც გარანტირებული გაქვს ახალი პროფესიაო. მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელი და მართლაც აღმოჩენა იყო, როცა სცენაზე თავად ოთო ავიდა და ალადასთან დუეტში იმღერა. აცეკვებული თენგიზ სულაქველიძეც ყველასთვის დიდი აღმოჩენა იყო, ცნობისათვის გეტყვით, რომ ბატონი თენგიზი ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც თავის დროზე მარადონასთან ერთად ითამაშა. საერთოდ, ჩვენი სტუმარი ფეხბურთელები ამ დღეს უჩვეულო ამპლუაში იყვნენ – ძალიან კარგად მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ნეფე-პატარძალმა მანამდეც იცეკვა, სანამ რესტორანში მივიდოდნენ. ქორწინების სახლში ახლა ასეთი ტრადიციაა, ახლად დაქორწინებულებისთვის მუსიკას რთავენ, აცეკვებენ და ორ ბოკალ შამპანურსაც მიართმევენ. რა თქმა უნდა, იყო ტრადიციული თაიგულის გადაგდება და ტორტის გაჭრაც. თამადა კი გახლდათ პარლამენტარი უმრავლესობიდან გია ჯაფარიძე. სპეციალურად ჩამოფრინდა ხაბაროვსკიდან წარსულში ცნობილი ფეხბურთელი სერგეი ფელდმანი, ამჟამად „სკა-ს" პრეზიდენტი, რომელმაც აგრეთვე არაჩვეულებრივად იმღერა და გულდაწყვეტით თქვა: როცა ფეხბურთს ვთამაშობდი შეკრებებზე სულ ლესელიძეში, სოხუმში ჩამოვდიოდით და მე, ებრაელ კაცს თქვენ არ იცით, როგორ მიყვარს საქართველოო...





* ამ ლამაზ დღეს ცოტა სევდიანი ელფერიც დაჰკრავდა, რადგან ოთო მარცვალაძის მშობლები ვერ მოესწრნენ შვილის ბედნიერებას. აღსანიშნავია, ალბათ, ის ფაქტიც, რომ ოთარი შიომღვიმის მონასტრის ხშირი სტუმარია, ძალიან უყვარს იქაურობა – მამაოები, ბერები. „მათაც ძალიან უყვართ ოთო და ამიტომ მონასტრიდან მათ დასალოცად გამოაგზავნეს რამდენიმე ბერი. ერთ მრგვალ მაგიდას სწორედ შიომღვიმის ბერები უსხდნენ", – გვითხრა ოთო მარცვალაძის ბიცოლამ, ჟურნალისტმა მაია კახიძემ.



***P.S.** მკითხველისთვის, ალბათ, ერთი მომენტიც იქნება საინტერესო: გასულ წელს გავრცელდა ჭორი ოთო მარცვალაძისა და ინგა გრიგოლიას ქალიშვილის, მარიამის სიყვარულზე. ჭორის საფუძველი, ალბათ, მაინც სოციალური ქსელი გახდა, სადაც ხშირად ნახავდით ოთოს და მარიამის ერთად გადაღებულ ფოტოებს. ამ დროს კი მათ შორის მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა იყო და სხვა არაფერი.*

**ეკა პატარაია**

*(ფოტოების ავტორი ქრისტინე ასლამაზიშვილი)*

## დევიდ-დათუნას და ნატალია ვოდიანოვას საქველმოქმედო აუქციონი და 2014 წელს დაგეგმილი გრანდიოზული პროექტი საქართველოში

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე, წარმოშობით თბილისელმა, ცნობილმა მხატვარმა-კონცეპტუალისტმა დევიდ-დათუნამ და რუსმა სუპერმოდელმა, მსოფლიოს გავლენიანი ქალების ათეულში მყოფმა, სახელგანთქმულმა ნატალია ვოდიანოვამ ოქტომბრისთვის გრანდიოზული საქველმოქმედო აუქციონის ჩატარება დაგეგმეს. მოსკოვში, წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეუმის მოპირდაპირე მხარეს დევიდ-დათუნას შვიდი ნამუშევარი გაიყიდება და შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება სხვადასხვა მძიმე სნეულებებით დაავადებულ ბავშვებს.





დევიდ-დათუნა და ნატალია ვოდიანოვა დიდი ხანია, თანამშრომლობენ საქველმოქმედო საქმეში, 2012 წელს დათუნას მიერ შექმნილი ვოდიანოვას პორტრეტი საქველმოქმედო აუქციონზე 790 ათას დოლარად გაიყიდა და თანხა მთლიანად დაავადებული ბავშვების დახმარების ფონდში გადაირიცხა. გარდა ამისა, 2014 წელს დევიდ-დათუნა საქართველოში ახალი საქველმოქმედო ფონდის „დათუნა არტ ფაუნდეიშენის" დაარსებას გეგმავს, რომელიც ხელოვნების დარგში ნიჭიერი ბავშვების ხელშეწყობით და სწავლის პირობების გაუმჯობესებით იქნება დაკავებული. ფონდთან თანამშრომლობის სურვილი უკვე გამოთქვა რამდენიმე ავტორიტეტულმა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციამ, მათ შორის ნატალია ვოდიანოვას ფონდმაც. ფონდის დაარსებასთან დაკავშირებულ დაწვრილებით ინფორმაციას ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომრებიდან შეიტყობთ ექსკლუზიურად.

## ჯგუფ „ელდრაინის" და „ბრავო რექორდსის" ერთობლივი პროექტი

20 ივნისს ხმის ჩამწერ სტუდია „ბრავო რექორდსში" გაიმართა პრესკონფერენცია ჯგუფ „ელდრაინის" პირველი სიდი ალბომის გამოცემის შესახებ, რომელიც ეძღვნება ავღანეთში „აისაფის" მისიაში მონაწილე საქართველოს და ყველა სხვა ქვეყნის ჯარისკაცს. ამჟამად „ბრავო რექორდსში" მიმდინარეობს ალბომის სტუდიური ჩაწერა და დიზაინზე მუშაობა.

ჯგუფი „ელდრაინი" ქართულ სამუსიკო ინდუსტრიაში გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო დონით, სიმღერების სოციალური თემატიკით და დახვეწილი რეპერტუარით. ეს ჯგუფის პირველი სიდი-ალბომია, სახელწოდებით „Till The End (,,ბოლომდე")" და ის ანტიტერორისტულ თემატიკას ეძღვნება. მასში შედის 12 ინგლისურენოვანი მუსიკალური ნაწარმოები. ჯგუფის წევრები თავად არიან სიმღერების, მუსიკისა და ტექსტის ავტორები. ახლო მომავალში იგეგმება ჯგუფის გასვლითი კონცერტი ავღანეთში, სადაც ისინი წარადგენენ ალბომს.




საქართველოში კი ახალი ალბომის პრეზენტაცია კონცერტის სახით 5 ივლისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში იგეგმება. პროექტის მხარდამჭერები არიან: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. გენერალური სპონსორები არიან: კომპანია „გალფი" და „ელიტ ელექტრონიქსი."

## „ცეკვავენ ვარსკვლავების" ვარსკვლავების აქტიური პირადი ცხოვრება



ამ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი ამბავი ისმის „ცეკვავენ ვარსკვლავების" ყოფილი მონაწილეების გარშემო. როგორც ჩანს, მათი პოპულარობა და რეიტინგი ჯერ ისევ მაღალია და ამა თუ იმ ადგილას გამოჩენის შემდეგ გამადიდებელი შუშის ქვეშ ექცევიან და ყოველთვის იმახსოვრებენ, თუ ვის გვერდით გამოჩნდნენ. მართალია, მის გარშემო აგორებულ ხმებს ყველა მათგანი უარყოფს, მაგრამ ჩვენ მაინც ვწერთ მათ შესახებ, რადგან ხშირად სულ ცოტა პერიოდის გასვლის შემდეგ, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ გადაცემაში გულახდილი ინტერვიუს დროს, ისინი ასეთ ფაქტებს ადასტურებენ. პირველი და ყველაზე გახმაურებული სალომე ჭაჭუას და გიორგი ვარდოსანიძის რომანია. ორივე მათგანი ერთდროულად დაშორდა თავის საყვარელ ადამიანს, რომლებთანაც წლების განმავლობაში საკმაოდ სერიოზული ურთიერთობა ჰქონდათ. პროექტის შემდეგ ისინი რამდენიმე ადგილას ერთადაც ნახეს და მეგობრების წრეებშიც უკვე კარგად არის ცნობილი ეს ფაქტი. არ ახმაურებს თავის რომანს რუსკა მაყაშვილი, რომელიც ცნობილ თბილისელ „კრასავჩიკთან", მორაგბე სანდრო ნიჟარაძესთან ერთად დადის. რუსკა და სანდრო „რა მოხდა კიევში" პრემიერაზეც ერთად მივიდნენ. როგორც ამბობენ, ისინი თავიანთ ურთიერთობას საგულდაგულოდ აღარ მალავენ. ხმები გავრცელდა ლიკა ლაბაძისა და გენო მალაზონიას ურთიერთობაზე. ყოფილი ბალერინა და ბიზნესმენი ერთად არიანო, ამბობენ და საკმაოდ სერიოზული ურთიერთობა აქვთო. გენო მალაზონიას სახელის გარშემო ბევრი ცნობილი ქალი ასოცირდება. სხვადასხვა დროს მასთან ურთიერთობა ჰქონდათ თიკო სადუნიშვილს, შორენა ბეგაშვილს და სხვა.







არ ვიცი, რამდენად დადასტურდება ეს ხმები, მაგრამ ჩვენ რომ ყველა მათგანს ბედნიერებას და სიყვარულით ცხოვრებას ვუსურვებთ – ეს დაზუსტებით ვიცი.

## უფასო კონსულტაცია „ანადოლუს სამედიცინო ცენტრის" სპეციალისტებთან

მსოფლიოში წამყვანმა თურქულმა სამედიცინო დაწესებულებამ „ანადოლუს სამედიცინო ცენტრმა" თემაზე – „სამედიცინო სფეროს უკანასკნელი წლების მიღწევები" – ქართველი ექიმებისთვის სპეციალური კონფერენცია გამართა.

კონფერენციის მსვლელობისას მოეწყო დისკუსიაც, რომელშიც ქართველი ექიმები, პაციენტები და მედიცინის ექსპერტებიც მონაწილეობდნენ. დასასრულს, საქართველოში მცხოვრებ პაციენტებს „ანადოლუს სამედიცინო ცენტრის" ექიმებთან გასაუბრებისა და მათგან ალტერნატიული პროფესიული აზრის მოსმენის შესაძლებლობა მიეცათ.



გარდა ამისა, „ანადოლუს სამედიცინო ცენტრის" სპეციალისტებმა საქართველოში მცხოვრებ პაციენტებს უფასო კონსულტაცია გაუწიეს. მიაჩნიათ, რომ ადრეულ ეტაპზე დიაგნოზის დასმა და ინოვაციური მეთოდიკით მკურნალობა პაციენტის გადარჩენის შანსებს კიდევ უფრო ამაღლებს.

კონფერენციაზე მოწვეული იყო ნიკოლოზ წამალაშვილი, რომელმაც „ანადოლუს სამედიცინო ცენტრის" ექიმების დახმარებით სიმსივნე დაამარცხა. პაციენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ და გასაუბრებოდნენ მას.

ღონისძიებას უძღვებოდნენ: მედიცინის დოქტორი, პათოლოგიური ანატომიის პროფესორი ჰუსეინ ბალოღლუ, მედიცინის დოქტორი, რადიაციული ონკოლოგიის პროფესორი ქეიჰან ენჯინი, ბირთვული მედიცინის დოქტორი ქეზბან ბერბეროღლუ.

**მოამზადა სალომე გველესიანი**

**კლიმატური კატაკლიზმები, რომლითაც ბოლო ათწლეული განსაკუთრებით გამოირჩეულია, მსოფლიოს ყველა ქვეყანას საშიშროებას უქმნის. ზაფხულში „გაყინული ევროპა," გახშირებული ქარბორბალები და გვალვა იმ რეგიონებში, რომლებიც ნალექის უხვი რაოდენობით გამოირჩევა, ნონსენსი უკვე აღარაა. სპეციალისტთა მოსაზრებით კლიმატური ანომალიების მთავარი მიზეზი, გლობალური დათბობა და მასთან დაკავშირებული პროცესებია, რასაც ჩვენთან საუბარში გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კლიმატის ცვლილებების სამსახურის უფროსი, გრიგოლ ლაზრიევი კიდევ ერთხელ ადასტურებს.**

# რატომ მოდის თოვლი ევროპაში ზაფხულში და რა ელის საქართველოს მსოფლიო კლიმატური საფრთხეების ფონზე

**– ბატონო გრიგოლ, რატომ გახშირდა ანომალიური კლიმატური მოვლენები?**

– ეს მოვლენები უპირველესად უკავშირდება გლობალურ დათბობას, რაც ნიშნავს დედამიწაზე ჰაერის მიწისპირა საშუალო ტემპერატურის თანამიმდევრულ ზრდას. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ გლობალური დათბობის პროცესი დაიწყო ეგრეთ წოდებული წინაინდუსტრიული პერიოდიდან, დაახლოებით 1750 წლიდან და განსაკუთრებით გააქტიურდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ბოლო ასი წლის განმავლობაში ზედაპირის გლობალური ტემპერატურა გაიზარდა 0,6-0,9$^0$C-ით. ზოგადად, დედამიწაზე სითბოს გადანაწილება ხდება ატმოსფერული და ოკეანური ცირკულაციებით. გლობალური დათბობის შედეგად, ამ ცირკულაციების ხასიათისა და ინტენსივობის ცვლილება ცალკეულ რეგიონებში გააძლიერებს დათბობას, ზოგან კი შესაძლოა, დაიწყოს აცივების პროცესი. მაგალითად, „გოლფსტრიმის დინებას" დიდი რაოდენობის სითბო გადააქვს ტროპიკებიდან დიდი ბრიტანეთის სანაპიროსკენ. არქტიკისა და გრენლანდიის ყინულოვანი ფენის დნობის შედეგად, ოკეანეში ჩაედინება ცივი მტკნარი წყალი, რომელიც ასუსტებს „გოლფსტრიმს". თუ გლობალური დათბობის შედეგად, „გოლფსტრიმის დინება" გაქრა, ეს გამოიწვევს კლიმატის არაპროგნოზირებად ცვლილებებს: ზოგიერთ რაიონში საშუალო წლიური ტემპერატურა შესაძლოა შემცირდეს 10 გრადუსით, ბრიტანეთის სანაპიროსთან ტემპერატურა დაიკლებს, სავარაუდოდ, 5 გრადუსით. „დიდი ბრიტანეთის კლიმატი გაცილებით ცივი შეიძლება გახდეს, ვიდრე ის იყო მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში, ეგრეთ წოდებული, მცირე გამყინვარების პერიოდში".



**დედოფლისწყაროს რაიონში შეინიშნება გაუდაბნოების ნიშნები, საუკუნის ბოლოსთვის პროგნოზირებულია მაქსიმალური ტემპერატურების ზრდა 50$^0$C-ზე ზევით**

კონკრეტულ რეგიონში „ჭარბი სითბო" ან პირიქით, „სითბოს ნაკლებობა" ზემოქმედებას ახდენს რეგიონის კლიმატზე. გლობალური დათბობის შედეგად, ინტენსიურად დნება არქტიკისა და გრენლანდიის ყინულოვანი საფარი. არქტიკის საშუალო ტემპერატურა სწრაფად იზრდება. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, საუკუნის ბოლოსთვის არქტიკა ზაფხულობით შეიძლება, ყინულით აღარ იყოს დაფარული.

ყინულის საფარის დნობამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიწვია ზღვის დონის აწევა, რაც დაბლობ ზღვისპირა ადგილებს სანაპიროს ეროზიით, დატბორვითა და მტკნარი წყლის დაბინძურებით ემუქრება. დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან მცირე კუნძულოვანი სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობის ნახევარზე მეტი ზღვის დონიდან 2 მეტრზე ნაკლები სიმაღლის მჭიდროდ დასახლებულ კუნძულებზე ცხოვრობს.

**– როგორია ამ ცვლილებების ყველაზე ხშირი გამოვლინებები კონტინენტებისა და რეგიონების მიხედვით?**

– დღეს მეცნიერთა მიერ დასაბუთებულია, რომ გლობალური დათბობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია ექსტრემალური მოვლენების (გვალვა, წყალდიდობა...) გააქტიურება, მათი სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა.

1970-იანი წლებიდან მოყოლებული, წინა პერიოდებთან შედარებით უფრო ინტენსიური და ხანგრძლივი გვალვები აღინიშნება დედამიწის ვრცელ ფართობებზე. ბოლო წლები ავსტრალიაში არნახული გვალვებია. აქ 2003-2007 წლებიდან სამი წელი რეკორდულად ცხელი იყო, ბოლო ათწლეული კი – განსაკუთრებულად მშრალი. ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში გამუდმებულმა გვალვებმა გააძლიერა გაუდაბნოების პროცესი. ამ რეგიონის ქვეყნებში შეიქმნა ეკოლოგიური კატასტროფის – საკვების მასობრივი უკმარისობის საფრთხე.

2005 წელს ამაზონის აუზი უსასტიკესმა გვალვამ მოიცვა. მდინარეები დაშრა, ათასობით კვადრატულ კილომეტრზე თვეობით იწვოდა მიწა. ტროპიკულმა ტყემ (ნოტიო ჯუნგლებმა) ასეთ გვალვას შეიძლება გაუძლოს მხოლოდ რამდენიმე წელი. შემდეგ, არ არის გამორიცხული, დაიწყოს ტყის გარდაქმნა სავანედ ან უდაბნოდ, რაც კატასტროფულად იმოქმედებს მსოფლიო კლიმატზე.

2005 წელს ჩინეთის ხორბლის მომყვან პროვინციებში ზამთრის ნალექები ნორმაზე 80 პროცენტით ნაკლები მოვიდა, რამაც ბოლო 50 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი გვალვა გამოიწვია.

მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა რეგიონში გახშირდა და გაძლიერდა კატასტროფული წყალდიდობები, რასაც ხშირად, ეკონომიკურ ზარალთან ერთად, მოჰყვება ადამიანთა მსხვერპლი.

ტროპიკული ციკლონების (ქარიშხლების) აქტივობის ინტენსიური ზრდა დაიწყო დაახლოებით 1970 წლიდან. 2001-2010 წლებში ატლანტის ოკეანეში წარმოიქმნა უმაღლესი კატეგორიის 9 ქარიშხალი. მანამდე ყველაზე ქარიშხლიანი ათწლეული უმაღლესი კატეგორიის 6 ქარიშხალს მოიცავდა 1960-1969 წლებში. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 2005 წელი, როცა უმაღლესი კატეგორიის 4 ქარიშხალი დაატყდა ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროს. ამათგან, ქარიშხალი „კატრინა" ქარიშხლების ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი აღმოჩნდა – „კატრინამ" მრავალი ადამიანი იმსხვერპლა, ქვეყნის ეკონომიკას კი 150 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა. 2013 წელს ამერიკის სანაპიროზე უკვე დაფიქსირდა უმაღლესი კატეგორიის ორი ქარიშხალი.

ბოლო ორი ზამთარია, ევროპაში არნახული ყინვებია. როგორც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ევროპაში ძლიერი ყინვები გამოწვეულია გლობალური დათბობით. ამას მეცნიერები ხსნიან შემდეგნაირად:

გლობალური დათბობა ყველაზე მეტად აისახება არქტიკაზე. დაკვირვებების შედეგად, აღმოჩნდა, რომ არქტიკის ზღვების (ბარენცისა და კარის ზღვების) ყინულოვანი საფარი ყოველ შემოდგომაზე, ანუ ზამთრის დადგომის წინ, მკვეთრად შემცირებულია.

რადგან თოვლი, რომლითაც იფარება ყინული, აირეკლავს მზის სხივებს, ამიტომ მზიდან მოსული ენერგიის უდიდესი ნაწილი უკან ბრუნდება კოსმოსურ სივრცეში. მაშინ კი, როდესაც ყინულის ნაცვლად, ზღვის წყალია, მზის სხივები ბევრად უფრო ნაკლებად აირეკლება, შესაბამისად, დიდი რაოდენობის სითბური ენერგია შთაინთქმება წყლის მიერ, რაც მის დათბობას იწვევს. წყლიდან სითბო გადაეცემა ჰაერის შემხებ ფენებს – ატმოსფეროს ქვედა ფენებს, რის შემდეგ გამთბარი ჰაერი ზევით ადის. ამის შედეგად რუსეთის ევროპულ ნაწილში წარმოიქმნება მაღალი წნევის უბანი (ანტიციკლონი), რომელიც განაპირობებს ჰაერის ცივი მასების გადაადგილებას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით (ანუ, ევროპის მიმართულებით). ამას კი შედეგად მოჰყვება მკვეთრი აცივება – ყინვები.

ეს მოსაზრება, რომელიც პირველად გამოითქვა მეცნიერთა მიერ 2009 წელს (მაშინაც ძლიერი ყინვები იყო ევროპაში), დღეს უკვე აღარ არის საკამათო – მეცნიერები იზიარებენ ასეთ დასაბუთებას. 2009 წელს მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა შემოდგომაზე ყინულის საფარის შემცირების (გაქრობის) შემთხვევაში, ამინდწარმომქმნელი პროცესების მოდელი, რომელიც ამჟამად დადასტურებულია.

**– რა ელის საქართველოს ამ კატაკლიზმების ფონზე?**

– საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ბოლო წლებში ჩვენთანაც აღინიშნება ძლიერი გვალვები, წყალდიდობები და სხვა მოვლენები, რასაც ისეთი პროცესების გააქტიურება მოჰყვება, როგორიცაა მიწის დეგრადაციაა – მეწყრები, ღვარცოფები, ზვავები. სანაპირო ზონაში, განსაკუთრებული ადგილია – ბათუმის უბანზე, ზღვის დონის აწევის გამო, გაძლიერდა ნაპირის ჩარეცხვა, ასევე შეინიშნება შტორმების გაძლიერება და გახშირება.

**– არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს გაუდაბნოება ემუქრება, რამდენად რეალურია ეს საფრთხე?**

– დედოფლისწყაროს რაიონში, სადაც უკვე შეინიშნება გაუდაბნოების ნიშნები, საუკუნის ბოლოსთვის პროგნოზირებულია მაქსიმალური ტემპერატურების ზრდა 50$^0$C-ზე ზევით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის გაუდაბნოების საფრთხეს. საქართველოში მოსალოდნელია, გლობალური დათბობის მავნე ზემოქმედების მასშტაბების ზრდა, რასაც სახელმწიფომ უნდა დაუპირისპიროს საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

**ფარიკაობა სპორტული ორთაბრძოლის ნაირსახეობაა. მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ცივი იარაღით ბრძოლის ხელოვნება ეგვიპტელებისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში. ფარიკაობა ნელ-ნელა ხდებოდა პოპულარული სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოშიც. ნიკოლოზ ანდრიაძემ მთელი თავისი ცხოვრება დაუკავშირა ამ სპორტს. უამრავი ჯილდო და სიგელი აქვს მიღებული, როგორც წარმატებულ მოფარიკავეს. მან სამი წლის წინ საკუთარი საფარიკაო კლუბიც კი გახსნა, რომელიც დღეს საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბატონი ნიკოლოზ ანდრიაძე გახლავთ ცნობილი ქართველი პოეტის, ტიციან ტაბიძის შვილიშვილი. როგორც თავად ამბობს, სამწუხაროდ, ბაბუის ნიჭი არ გამოჰყვა.**



ისეთი მონდომებული ვიყავი, რომ ხუთით ერთი მოვუგე. გაზეთები წერდნენ, რომ ერთ წუთში დავამთავრე ასპარეზობა. ასე რომ, ბოლომდე მაინც არ გავახარე ჩემი მეტოქე

# როგორ გახდა ნიკოლოზ ანდრიაძე მსოფლიო ჩემპიონი ფარიკაობაში და გამოჰყვა თუ არა მას ცნობილი ბაბუის, ტიციან ტაბიძის ნიჭი

**ნიკოლოზ ანდრიაძე**: ფარიკაობაზე 12 წლის ასაკში შევედი. ძალიან მსუქანი ბავშვი ვიყავი. ჩემს მშობლებს მეგობრებმა ურჩიეს, რომ გახდომის მიზნით ფარიკაობაზე შეეყვანეთ და მაშინდელ პიონერთა სასახლეში ფარიკაობის სექციაზე ანტონ ფიოდოროვთან დავიწყე სიარული. დაახლოებით 12–13 წლის ასაკში გავემგზავრე მოსკოვში. ტარდებოდა სპარტაკიადის პირველობა, სადაც ყველასგან მოულოდნელად, პირველი ადგილი ავიღე. მომდევნო წელს ტიტული შევინარჩუნე და ყველამ ირწმუნა, რომ მეც შემეძლო დიდ სარბიელზე გამარჯვებების მოპოვება. სპორტი ნარკოტიკივით არის – როდესაც გაიმარჯვებ და მედალს ჩამოგკიდებენ, უფრო და უფრო დიდი სურვილი გიჩნდება, წარმატებას მიაღწიო. მას შემდეგ სამჯერ მოვიგე საბჭოთა კავშირის პირველობა. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დამსახურებულ მწვრთნელს, ლუდვიგ ღაღანიძეს.

**– მსოფლიო ჩემპიონობა რა ასაკში მოიპოვეთ?**

– მსოფლიო ჩემპიონი გავხდი 20 წლის ასაკში. ამავდროულად, ვსწავლობდი და, როდესაც დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი, წავედი მოსკოვში, კარდიოლოგიის ცენტრში, ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. სპორტი და მედიცინა მუდამ თანმდევი იყო ჩემს ცხოვრებაში, როგორც ახლა. აქტიურად ვარ დაკავებული როგორც მედიცინით, ასევე ფარიკაობით. სპორტი არასდროს მიშლიდა ხელს სწავლაში, რადგან ფარიკაობა არის სპორტის ის სახეობა, რომელსაც დიდი დრო არ სჭირდება. რასაკვირველია, ვარჯიში და მომზადება საჭიროა, მაგრამ იმდენი არა, როგორც სპორტის სხვა სახეობებში. მთელი ცხოვრების განმავლობაში აქტიურად ვიყავი დაკავებული როგორც მედიცინით, ასევე სპორტით. 1961 წელს ბერლინში ჩატარდა ტურნირი, სადაც პირველი ადგილი ავიღე. შემდეგ იყო მსოფლიო ჩემპიონატი ეგვიპტეში, სადაც მეხუთე ადგილი დავიკავე. მახსოვს ერთი კურიოზული სიტუაცია შემემთხვა. ძალიან იშვიათობა იყო, რომ იქ ქართველი გენახა. შუა ასპარეზობის დროს უკნიდან მესმის შეძახილი. ქართველი არ ხარ, მიდი, შეუტიე, რა დაგემართა! – ამ შეძახილზე უცებ მოვიხედე გაოგნებულმა ამ დროს მეტოქემ მიჩხვლიტა და მომიგო. ის გახდა ჩემპიონი მე კი მე-5 ადგილი დავიკავე.

**– გამოდის, ქართველმა დაგღუპათ.**

– კი, იმ მომენტში ქართველმა დამღუპა ***(იცინის).*** ამ შემთხვევას ყოველთვის ვიხსენებ ხოლმე. ამის შემდეგ ბელგიაში ჩატარდა ჩემპიონატი, სადაც ისევ იმ ფრანგ მეტოქეს ვხვდებოდი, რომელმაც მანამდე დამამარცხა. ისეთი მონდომებული ვიყავი, ხუთით ერთი მოვუგე. გაზეთები წერდნენ, რომ ერთ წუთში დავამთავრე ასპარეზობა. ასე რომ, ბოლომდე მაინც არ გავახარე ჩემი მეტოქე.

**– თქვენ საკუთარი საფარიკაო კლუბიც გახსენით.**

– დიახ, 3 წლის წინ გავხსენით ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის საფარიკაო კლუბი, რომელიც არის 43-ე სკოლაში. ეს სკოლა კი გახლავთ ტიციან ტაბიძის სახელობის. ჯერჯერობით საქართველოში ფარიკაობის მეტი კლუბი არ არის. სამწუხაროდ, საქართველოში ეს სპორტი არცთუ ისე პოპულარულია. რაც შემიძლია მე, ყველაფერს ვაკეთებ ფარიკაობის პოპულარიზაციისათვის. რამდენიმე სკოლაში გავხსენი ჩემი კლუბი. სხვათა შორის ბავშვები სურვილს იჩენენ და დადიან, რაც ძალიან მახარებს. ჩვენს კლუბში არიან არაჩვეულებრივი მწვრთნელები – ქეთი ერემეიშვილი და გოგიტა გელაშვილი.

**შუა ასპარეზობის დროს უკნიდან მესმის შეძახილი: ქართველი არ ხარ, მიდი, შეუტიე, რა დაგემართა! ამ შეძახილზე უცებ მოვიხედე გაოგნებულმა, ამ დროს მეტოქემ მიჩხვლიტა და მომიგო**

**– რა წარმატებები აქვს თქვენს კლუბს?**

– ჩვენი კლუბი წარმატებებით ნამდვილად გამოირჩევა. ჩვენ გვყავს არაჩვეულებრივი ბავშვები, მაგალითად ამჟამად ორ ბავშვს გამოვყოფდი: ნიკა შენგელიას და ანი აფრასიძეს, რომლებიც საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. ივნისის ბოლოს იტალიაში ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი 2000 წელს დაბადებულ ბავშვებს შორის, სადაც ისინი გადიან და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მედლებს ჩამოიტანენ. მე ყოველთვის საქმის კურსში ვარ და ყველანაირად ვეხმარები ჩემი კლუბის ბავშვებს.

**– თქვენ ბრძანდებით ცნობილი ქართველი პოეტის, ტიციან ტაბიძის შვილიშვილი. რა შეგიძლიათ გვითხრათ ბაბუაზე?**

– ტიციან ტაბიძე, როგორც იცით, დახვრიტეს 1937 წელს. მე დავიბადე 1943 წელს. ამიტომ ბაბუის შესახებ მხოლოდ მოყოლით ვიცი. დედა ყოველთვის მიყვებოდა მის შესახებ. სამწუხაროდ, არ ვიცნობდი. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და საპასუხისმგებლოა ეს ფაქტი.

**– ბაბუას ნიჭი ხომ არ გამოგყვათ?**

– არა, საუბედუროდ, არ გამომყვა. ამბობენ, მესამე, მეოთხე თაობაზე შეიძლება გადავიდეს ნიჭიო და მე ამის დიდი იმედი მაქვს. პირადად მე, ნამდვილად ვერ დავიტრაბახებ ამით და ტყუილს ვერ ვიტყვი. არც ჩემს შვილებს გამოჰყოლიათ ლექსების წერის ნიჭი. ჩვენ ძალიან დიდ პატივს ვცემთ და ვცდილობთ, რომ ტიციან ტაბიძის სახელი შევინარჩუნოთ. როგორც უკვე გითხარით, არსებობს მისი სახელობის სკოლა. მერაბ ბერძენიშვილმა გააკეთა ძალიან კარგი ძეგლი, რომელიც დგას ბარათაშვილის ხიდთან, ანჩისხატის წინ. მთაწმინდაზე გაიხსნა 1937 წელს დაღუპული ხალხის მემორიალი, სადაც მიხეილ ჯავახიშვილთან, სანდრო ახმეტელთან, ევგენი მიქელაძესთან, დიმიტრი შევარდნაძესთან, ვახტანგ კოტეტიშვილთან, პეტრე ოცხელთან ერთად არის ტიციან ტაბიძის სახელიც.

**ხატია კარანაძე**

---

**– არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლითაც ამ კატაკლიზმების თავიდან აცილება, ან პირიქით, გამოწვევა შეიძლება?**

– ბოლო ხანებში გამოითქმება მოსაზრებები ეგრეთ წოდებული „კლიმატური იარაღის“ შექმნის შესახებ, რომლითაც შესაძლებელი იქნება ზემოქმედება რომელიმე რეგიონის კლიმატზე. მაგალითად, 2010 წლის 29 ივლისს მოსკოვში დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ($39^{0}C$) ახსნას გარკვეული წრეები შეეცადნენ ამერიკის მიერ ამგვარი იარაღის გამოყენებით. ამის აბსურდულობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ იმავე პერიოდში (24 ივლისს) ვაშინგტონში დაფიქსირდა $37.7^{0}C$ ტემპერატურა. ოპონენტები აქაც აღმოჩნდნენ და ვაშინგტონში მაღალ ტემპერატურას ხსნიდნენ იმით, რომ ეს ქალაქი გაცილებით სამხრეთითაა, ვიდრე მოსკოვი.

ზოგადად, ადამიანს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მსოფლიო კლიმატზე (მაგალითად, ოზონის შრის შესუსტებით), მაგრამ ამგვარი ზემოქმედების ნეგატიური შედეგები აისახება მთელ მსოფლიოზე და ძნელად პროგნოზირებადი იქნება, თუ რომელ რეგიონში ამას რა მოჰყვება. კლიმატურ სისტემაზე ზემოქმედების ილუსტრაციაა ადამიანის საქმიანობით გამოწვეული დღეს მიმდინარე გლობალური დათბობა, რომელიც მსოფლიოს, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანას უქმნის სერიოზულ საფრთხეს.

**თამუნა სამადაშვილი**

# როგორ გახდა დემნა გვასალია „ლუი ვიტონის“ კომპანიის დიზაინერი და რა გამოცდილება მიიღო მან მეისონ მარტინ მარჯიელასთან მუშაობისას

*__დემნა გვასალია__ დღეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი დიზაინერია, ამის დასტურად კი მისი სამუშაოდან მხოლოდ ორის დასახელებაც საკმარისია: 2009-2013 წლებში იყო ცნობილი დიზაინერის, მაისონ მარტინ მარჯიელას ქალის ტანსაცმლის მთავარი დიზაინერი, ახლა კი კომპანია „ლუი ვიტონში“ მუშაობს. თუმცა, მანამდე იყო სოხუმი-თბილისი, შემდეგ გერმანია და ბოლოს ბელგია, ანტვერპენი – ანტვერპენის სამეფო სამხატვრო აკადემია, ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საუკეთესო აკადემია მოდის სფეროში. 80-იანი წლების ბოლოს, აკადემიის ექვსმა კურსდამთავრებულმა მეგობარმა, რომლებსაც შემდეგში „ანტვერპენის ექვსეული“ უწოდეს, მოდის სფეროში ფურორი მოახდინეს და აკადემია მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოაქციეს. ანტვერპენმა დემნას შემოქმედებაზე, პირად ცხოვრებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა, პირველი სერიოზული პრიზებიც სწორედ იქ აიღო. ახლა კი პარიზში ცხოვრობს. მუდმივად სიახლეების ძიებაშია, ცოდნის გაღრმავებასა და გამოცდილების დაგროვებაზე ფიქრობს... მისი მთავარი მიზანია: იპოვოს ბალანსი კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის, ჰყავდეს შვილები და იყოს ბედნიერი...*



**ახლა, უკვე „ლუი ვიტონთან“, მეტი პროფესიონალიზმით უნდა შევქმნა კომერციული, მდიდრული პროდუქტი და პარალელურად, ვიფიქრო იმაზე, რომ, სავაჭრო ქსელში გასვლისას, ხალხს მოუნდეს მათში ძალიან მაღალი ფასი დაუნანებლად გადაიხადონ**

**დემნა გვასალია**: გავიზარდე დიდ სახლში მშობლებთან, ძმასთან, ბებიასთან და ჩემს ბიძაშვილებთან ერთად. ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ვაკეთებდი ბევრ სასაცილო, ბავშვურ რაღაცეებს: ვცდილობდი დამეჭირა თევზი მდინარეში, რომელიც სახლთან ახლოს მიედინებოდა; ვცდილობდი ჩვენს ეზოში აღმომეჩინა თამარ მეფის საფლავი და საგანძური; ბებიასთვის ვაწყობდი ჩემს ბიძაშვილთან ერთად მუსიკალურ, იმიტირებულ კონცერტებს, ეზოში ვიპარავდი საკუთარ მარწყვს... დღემდე მახსოვს იმ მაგნოლიების სუნი, რომელიც სკოლის გზაზე მხვდებოდა. ეს იყო ერთ-ერთი ძალიან ლამაზი ადგილი, სადაც უნდა გაზრდილიყო და ეცხოვრა ადამიანს.

**– თუმცა, მოგიწიათ სოხუმის იძულებით დატოვება. შემდეგ იყო თბილისი, ოდესა და გერმანია, სადაც უკვე ოჯახთან ერთად გადახვედი. ბოლოს ანტვერპენი... შენი ცხოვრების თითოეული ეტაპი, ალბათ, გამორჩეული იყო – მნიშვნელოვანი, სასიხარულო თუ არასასიამოვნო მომენტებით...**

– ომის შემდგომი პერიოდი ძალიან რთული იყო მთელი ჩვენი ოჯახისთვის: საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ახალი ენების სწავლა, ახალ კულტურასთან ადაპტაცია, ორი დასასრულის ერთმანეთთან დაკავშირება... მიუხედავად ამისა, ამ ყველაფერმა მოგვცა იმის საშუალება, შევხვედროდით არაჩვეულებრივ ხალხს, აღმომეჩინა, გავცნობოდი საინტერესო ადგილებს, ცხოვრების საშუალებებს და გამეცნობიერებინა ერთი მნიშვნელოვანი რამ: ამ ცხოვრებაში მატერიალური არაფერია მუდმივი. და ეს გეხმარება იმაში, რომ კიდევ უფრო მეტად დააფასო ოჯახისა და მეგობრების სიყვარული. ირგვლივ ამდენმა მოძრაობამ გამხადა ისეთი, როგორიც დღეს ვარ... შესაბამისად, კმაყოფილი ვარ ჩემი ბედის, ცხოვრების, რომელმაც ეს შანსები მომცა.

**– მშობლების გადაწყვეტილებით, სკოლის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩააბარე. იქ მიღებული ცოდნა დღეს, როგორც დიზაინერს, თუ ეხმარება ცოტათი მაინც?**

– მე გავყევი იმ ტენდენციებს, რომელიც მაშინ იყო საქართველოში. მშობლების რჩევით, ჩავაბარე ეკონომიურ ფაკულტეტზე, ვისწავლე ეკონომიკა 4 წლის განმავლობაში. ეს, რა თქმა უნდა, რთული იყო და იმავდროულად, გარკვეული გამოწვევაც... თუმცა, მივიღე უმაღლესი განათლება, თან, ძალიან წარმატებულად, ისე, რომ სტიპენდიაც შემომთავაზეს. მაგრამ, იმ პერიოდში გადავწყვიტე, ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გერმანიაში გადავსულიყავი და დამეწყო ახალი ცხოვრება. ვფიქრობ, ჩემი ეკონომიური განათლება, ანუ ის ბეგრაუნდი, რაც ამ სფეროში მივიღე, მოდის ბიზნესში მუშაობაში დამეხმარა. რადგან ეს ცოდნა საბოლოოდ, გაძლევს იმის საშუალებას, უკეთესად გაუგო კლიენტს, გეხმარება ბრენდირებასა და მარკეტინგში. თუმცა ხანდახან ვცილობ, ყოველივე ეს დავივიწყო, რადგან ხშირად შემოქმედებით მხარეს ხელს უშლის, რომელიც, ჩემი აზრით, უნდა იყოს მოდაში წამყვანი ძალა.

**– მიუხედავად იმისა, რომ არ გქონდა დიზაინის სფეროში ცოდნა, გამოცდილება, თბილისში მოაწყვე შენი პირველი ჩვენება.**

– რა თქმა უნდა, კოლექცია, რომელიც საქართველოში გავაკეთე, არაპროფესიონალური იყო, მაგრამ დღეს ეს ძალიან მიმზიდველად მიმაჩნია, რადგან იმ დროს ძალიან ვეცადე, საკუთარი თავი გამომეხატა მოდაში – ყოველგვარი ცოდნის, გამოცდილებისა და იდეების გარეშე. როგორც ჩანს, ხალხს მოეწონა, ისიამოვნეს. ზოგიერთ ქალს დღემდე აქვს ეს ტანსაცმელი და მოხარული ვარ, რომ მაშინ ეს გავაკეთე. რაც მთავარია, ამ ყველაფერმა დამანახვა, რომ უფრო მეტი უნდა მეკეთებინა ამ საქმეში, ვიდრე საერთაშორისო ეკონომიკაში.

**– ანტვერპენი... ალბათ, ეს არის ქალაქი, რომელმაც უფრო მეტი თავისუფლება, ხალისი, თავდაჯერებულობა მოგცა, რადგან სწორედ აქ აირჩიე ის საქმე, რომელსაც დღემდე წარმატებულად მიჰყვები.**

– ანტვერპენმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც ჩემს შემოქმედებით, ასევე პირად ცხოვრებაზე. ის გახდა ჩემი მეორე, მშობლიური ქალაქი, რადგან იქ გავატარე მნიშვნელოვანი წლები და შეიძლება ითქვას, იქ გავხდი ზრდასრული ადამიანი. თან, ანტვერპენშია ჩემი პირველი საკუთარი სახლი. მყავს მეგობრები, მქონია ბევრი უძილო ღამე, თარგების გამოჭრა, კერვა, ცრემლები, მხიარულება, სიყვარული და ასე შემდეგ. რამდენჯერაც უნდა ჩავიდე ანტვერპენში, ყოველთვის ვგრძნობ და მაქვს იმის განცდა, რომ საკუთარ სახლში დავბრუნდი.

**– ანტვერპენის სამეფო სამხატვრო აკადემია, ეს არის აკადემია, სადაც სწავლა, ალბათ, ძალიან ბევრ დიზაინერს სურს. როგორი იყო სწავლის პროცესი უდიდესი ავანგარდისტების, „ანტვერპენის ექვსეულის“ გვერდით?**

– როდესაც ვაბარებდი ანტვერპენის სასწავლებელში, წარმოდგენაც კი არ მქონდა ბელგიურ მოდაზე და, საერთოდ, ამ აკადემიის მნიშვნელობაზე. ვფიქრობ, ჩემი ასეთი არაინფორმირება დამეხმარა იმაში, რომ არ მქონოდა შიში და პროფესორებთან ინტერვიუზე გულწრფელი ვიყავი. დღეს ვფიქრობ, რომ, ალბათ, ეს ყველაფერი დამეხმარა წარმატებით ჩაბარებაში, თუმცა ძალიან რთული იყო აკადემიაში გატარებული 4 წელი. ზოგადად, რთულია, ისწავლო ამ აკადემიაში, მაგრამ ეს არის კარგი სკოლა იმათთვის, ვისაც არ ეშინია რთული, მძიმე სამუშაოსი. დღეს, ეს აკადემია, მიმართულების შეცვლის შემდეგ, მოდასთან დაკავშირებით ცოტა უფრო არარეალური გახდა, მაგრამ მე, საბედნიეროდ, გამიმართლა და იქ ძალიან კარგ მომენტში მოვხვდი. „ანტვერპენის ექვსეული“ მართლაც დიდებულია და მათ დიდი გავლენა მოახდინეს თანამედროვე მოდაზე. მაგრამ ბოლო 10 წლის განმავლობაში, მე არაფერი მსმენია მათ შესახებ. ამიტომ ვფიქრობ, რომ უკვე დადგა ახალი თაობის დრო.

**– როგორც ვიცი, ბელგიაში პირველად მამაკაცის კოლექცია გააკეთე, ახლა „ლუი ვიტონთან“ ქალის კოლექციაზე მუშაობ. თუ გააგრძელებ მომავალში მამაკაცის კოლექციაზე მუშაობას?**

– დიახ, მე დავიწყე მამაკაცის კოლექციით და ამან საფუძველი დაუდო ჩემს ახლანდელ შემოქმედებით ხედვას. მიყვარს მამაკაცის სამოსის კონსტრუირება, მაგრამ ამ ეტაპზე ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა, ვაკეთო ქალის ტანსაცმელი, რომელიც უფრო მეტად თავისუფალი, უსაზღვრო და ამაღელვებელია.

**– არაერთ კონკურსში გაქვს მონაწილეობა მიღებული, თან, ძალიან წარმატებულად. იტალიაში ITS-ის კონკურსში მეორე კურსის სტუდენტს პირველი პრიზი გადმოგცეს. ასევე, ხარ ძალიან საინტერესო პარფიუმერიული პროექტის გამარჯვებული: ეს იყო საათისუნამო.**

– თქვენ ძალიან კარგად ხართ ინფორმირებული. ITS-ის კონკურსი იტალიაში იყო ძალიან ადრე, სადაც გამოვედი აკადემიისთვის გაკეთებული ჩემი პირველი კოლექციით. ეს იყო დიდი გამოცდილება. თავიდან იქ იმიტომ წავედი, რომ



გავრთობილიყავი, გამეცნო ხალხი. ალბათ, ცოტათი საშიშიც კი იყო მეფიქრა გამარჯვებაზე, მთავარ პრიზზე ხომ არაფერს ვამბობ. საოცარი იყო ის, რაც მოხდა... რაც შეეხება პარფიუმის პროექტს, მიმაჩნია, რომ ეს იყო ძალიან საინტერესო პროექტი, რომელიც საჭიროებდა განსხვავებულ შემოქმედებით მიდგომას, ვიდრე სამოსის შექმნაა. მე მქონდა საშუალება, შევხვედროდი ნიუ-იორკში პარფიუმის სფეროში ძალიან მაღალ პროფესიონალებს და წარმედგინა მათთვის სუნამოს პროექტი. ეს იყო საათი, რომელიც დროის ჩვენებისას მთელი დღის განმავლობაში გამ-

# რატომ დაკბინა „შეყვარებულმა“ მერაბ ჭიქაშვილი და რამ მოხიბლა ყველაზე მეტად საქართველოში იულია ქავთარაძე

*ქართველი ქალების შიშის მთავარი ობიექტი – მათი მამაკაცები კიევში! მართალია, ფილმ „რა მოხდა კიევში“ პრემიერამდე რეჟისორი და მთავარი როლების შემსრულებლები გვიმტკიცებდნენ, რომ კიევში საერთოდ არ ხდება ის, რასაც მაყურებელი ელისო, მაგრამ, გარწმუნებთ, სწორედ ის ხდება, რაც ყველაზე თამამ ფიქრებში წარმოგიდგენიათ. უბრალოდ, ნაბახუსევზე, დილით სულ სხვა თავგადასავლები იწყება. ფილმის ყველაზე უჩვეულო პერსონაჟია მერაბ ჭიქაშვილი – უჩა, ხოლო ყველაზე ლამაზი გოგონა, უკრაინელი ფემინისტების ხელმძღვანელი – იულია ქავთარაძე.*



მერაბი: „გოჭი იყო ჩემი შეყვარებული“

**– მერაბ, რა მოხდა კიევში?**

– ოო, კიევში ისეთი რაღაცეები მოხდა! ბევრი საოცრება, რასაც სხვა მსახიობები მალავენ. მეუღლეებთან ერთად არიან და არ უნდათ, რომ ამაზე ისაუბრონ. მოკლედ, გარდა იმისა, რომ კიევში იყო ძალიან ბევრი შიშველი ლამაზი ქალი, კარგი ძუძუ, კარგი საჯდომი, კარგი პროფესიონალი მსახიობები, ძალიან ლამაზი და კარგი გარემო, იყო ბევრი ისეთი რამ, რასაც ვერც წარმოიდგენთ. უპირველესად, საინტერესო გადაღებები. ფილმის ოთხმოცდაათი პროცენტი კიევში გადავიღეთ. ძალიან დინამიკური, საინტერესო, დაძაბული სცენებია. არაჩვეულებრივი ლოკაციები გვქონდა. კიევი ისეთი სოლიდარობით დაგვიდგა გვერდში, ვერ წარმოიდგენთ. „გრუზინი პრიეხალი“ და აი, თავიდან ბოლომდე ჩვენ გვერდით იყვნენ. ცალკე საუბრის თემაა იულია, ძალიან საინტერესო მსახიობი, კარგი გოგო და მეგობარი, არაჩვეულებრივი მასპინძელი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველია, კიევში ის სახლში იყო და მაგარი მასპინძლობა გაგვიწია. ვერ წარმოიდგენთ ახლა ისე ვნერვიულობ, ფილმი არ მაქვს ნანახი და თქვენთან ერთად უნდა ვნახო. მოკლე დროში გადავიღეთ და არც ისეთი ბიუჯეტით, რომელიც წყნარად ყოფნის საშუალებას მოგვცემდა. ყველაფერზე ვნერვიულობდით.

**– შენი და გოჭის ურთიერთობაზეც მომიყევი.**

– გოჭი იყო ჩემი შეყვარებული. სამი გოჭი გვყავდა. ერთ-ერთი უცელქესი, ძალიან აქტიური – შავი ფერის, რომელიც საშინლად ნერვიულიც იყო და მიკბინა კიდეც. ტვინი წამიღო... გოჭთან მქონდა ცალკე ურთიერთობა.

**– რა განსხვავებაა შენსა და შენს გმირს შორის?**

– ასე, ერთი წინადადებით რთულია. „ტუპოი“ ტიპია, ოღონდ დადებითად „ტუპოი“. ეს არის ბლოგერი, ნარკოტიკების მოყვარული. თავისი გამოგონებული ნარკოტიკი მიაქვს გუდაურში, სადაც ძმასთან და მის მეგობრებთან ერთად მიდის. გამოიყენა სიტუაცია, ნარკოტიკი ჩაუყარა ძმას და მეგობრებს და გუდაურიდან აღმოჩნდნენ კიევში.

**– ახლა უკვე თქვენ ხართ იულიას მასპინძლები...**

– კი და, როგორც ვიცი, საკმაოდ კმაყოფილია. ის ქართველია და საოცრად დიდი სიყვარული გააჩნია თავისი სამშობლოს მიმართ. მართალია, ძალიან ხშირად ჩამოდის საქართველოში, მაგრამ ამჯერად კიდევ უფრო საფუძვლიანად მოიარა. იყო კახეთში, მათ შორის სიღნაღში, მცხეთაში. ემოციები თავისი სამშობლოს მიმართ კიდევ უფრო გაუმძაფრდა. იყო სუფრებიც, ტრადიციული ქართული, „გრუზინული“ ***(იცინიან).***

**– და როგორ იყავით ნაბახუსევზე?**

– ***(იცინის)*** ზოგადად ნორმალური, აი, დღეს აბსოლუტურად ფხიზელი ვარ და ვნახოთ ხვალ, პრემიერის ნაბახუსევი როგორი მექნება. ეს ფილმსა და მაყურებელზე იქნება დამოკიდებული.



იულია: „დაკარგული ვარ დროსა და სივრცეში როცა აქ ვარ. ახლა რომ მკითხოთ, რა დღე და რომელი საათიაო, ვერ გიპასუხებთ“

**იულია ქავთარაძე**: ძალიან გამიხარდა როდესაც თბილისიდან დამიკავშირდნენ და ფილმში მონაწილეობა შემომთავაზეს. მიყვარს საქართველო და ძალიან სასიამოვნო და ამავდროულად, მოულოდნელი იყო ეს შემოთავაზება. ვიფიქრე, როგორც იქნა, მადლობა ღმერთს, ბოლოს და ბოლოს საქართველოში გავფრინდები, გადაღებები ხომ იქ იქნება-მეთქი, მაგრამ არა! გადაღებები კიევში იქნებაო და ჩემი იმედები ჩაიფერფლა.

**– ფემინისტების მეთაურს თამაშობთ, არის რამე მსგავსება თქვენ შორის?**

– სამწუხაროდ, მათ არც ვიცნობ, თუმცა, რა თქმა უნდა, მეც მიმაჩნია, რომ ქალები და მამაკაცები თანასწორუფლებიანები ვართ. ქალში ერთნაირად არის შერწყმული სიძლიერე, სინაზე, ქალურობა და პრინციპულობა. ამით ვართ განსაკუთრებულები. მომწონს ჩემი როლი და თამაში. ხშირად მაქვს შემოთავაზებები კინოდან, როგორც უკრაინაში, ისე რუსეთში. მიხარია, რომ ჩემს ბიოგრაფიას ქართული ფილმიც შეემატა.

**– ხშირად ახერხებთ თბილისში ჩამოსვლას?**

– იმდენად ხშირად, რამდენადაც ამის სურვილი მაქვს. ვერ ვახერხებ, მაგრამ ჩამოვდივარ. ამჯერად ძალიან კარგი ვიზიტი გამომივიდა. ჯერ ერთი, ფილმის პრემიერაა და ეს ამბავი მახარებს, მეორეც, საკმაოდ საინტერესო და დატვირთული დღეები მქონდა. ბევრი ადგილი მოვინახულე – სიღნაღი და ალაზნის ველი, ქართული ბუნების შედევრები, კოშკები და სასწაული მონასტრები. დავდიოდით და პირღია ვათვალიერებდით ამ სილამაზეებს. დაკარგული ვარ დროსა და სივრცეში, როცა აქ ვარ. ახლა რომ მკითხოთ, რა დღე და რომელი საათიაო, ვერ გიპასუხებთ. ჩემ აქ ყოფნას ძალიან ბევრი სასიამოვნო თემა ახლავს. ჩემი ძმა ჯვარს იწერს და ეს ძალიან სასიამოვნო მოვლენაა. მიყვარს ყველაფერი ქართული. მიხარია საქართველოში ყოფნა და წარმოიდგინეთ, როგორ მიხარია, როდესაც აქ ყოფნის ამდენი საინტერესო მიზეზი მაქვს.

**სალომე გველესიანი**

---

ოსცემდა 24 სხვადასხვა სურნელს.

**– თბილისში შექმნილმა შენმა ფეხსაცმელმა საუკეთესო, ყველაზე კრეატიული ფეხსაცმლის პრიზი მიიღო და ის ანტვერპენის პრესტიჟულ მაღაზია Coccodrillo-ში გამოფინეს. ამის შემდეგ, არასდროს გიფიქრია ფეხსაცმლის დიზაინერობაზე?**

– ძალიან მიყვარს ფეხსაცმლის დიზაინი, მაგრამ ჩემგან ის უფრო შორს არის, ვიდრე ტანსაცმლის დიზაინი. ის უფრო ფოკუსირებული და ობიექტური დიზაინია. ამიტომაც ვამჯობინებ, ვიმუშაო ისეთ საქმეზე, რომელიც თავის გამოხატულებას ჰპოვებს შემოქმედებაში და მასში ჩართული იქნება მოდის ყველა ასპექტი.

**– პარიზში შენი გადმოსვლა დიზაინერ მეისონ მარტინ მარჯიელასთან მუშაობას უკავშირდება. „მარჯიელას“ ქალის ტანსაცმლის კოლექციის მთავარი დიზაინერი იყავი, ასევე, პასუხისმგებელი – „მარჯიელასა“ და „ეიჩ ენდ ემის“ ერთობლივ კოლექციის დიზაინზე. ეს, ალბათ, იყო ოთხწლიანი საოცარი გამოცდილება.**

– მეისონ მარტინ მარჯიელასთან მუშაობა იყო ჩემი პირველი მნიშვნელოვანი სამუშაო, რის გამოც 2009 წელს პარიზში გადავედი. რა თქმა უნდა, ეს გახდა ჩემთვის უნიკალური გამოცდილება, რადგან ვიმუშავე მოდის სახლთან, რომელსაც აქვს ძალიან მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარსული. 4 წლის განმავლობაში პასუხისმგებელი ვიყავი ქალის სამოსის კოლექციის ჩვენებაზე, ხოლო გასულ წელს ვხელმძღვანელობდი მის კოლაბორაციას „ეიჩ ენდ ემთან“. მეისონ მარტინ მარჯიელას დატოვებულმა მემკვიდრეობამ დიდი გავლენა მოახდინა მოდის დიზაინერების თაობებზე. ვფიქრობ, რომ სამუშაომ, რომელიც მარჯიელამ გასწია, მოდის ისტორიაში დაიკავა დიდი სივრცე, ისევე როგორც „შანელმა“ და „დიორმა“...

გასული წლის ბოლოს „ლუი ვიტონთან“ მუშაობის შემოთავაზება მივიღე. ვფიქრობდი, მარჯიელასთან 4-წლიანი მუშაობის შემდეგ, ჩემთვის დადგა დრო, წავსულიყავი უფრო წინ და აღმომეჩინა ახალი კონტრასტული სივრცეები. ეს არის ნამდვილი მდიდრული სახლი გლობალური მასშტაბებით და აქ მუშაობა, ვფიქრობ, ჩემი მომავალი კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. შევისწავლი ამ ინდუსტრიის ძალიან განსხვავებულ ნაწილს, რომელიც ტანსაცმელში ჰპოვებს კრეატიულ გამოხატულებას.

**– როგორც ვიცი, „ლუი ვიტონთან“ ადრეც გქონდა შეხება – ჯერ კიდევ სტუდენტი, მისთვის ჩანთის დიზაინზე მუშაობდი. შენი ნამუშევარი ფინალში გავიდა, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. ერთგან ამოვიკითხე, რომ ამაზე მაინცდამაინც არ გწყდებოდა გული, რადგან „ლუი ვიტონი“ დიდად არ მოგწონდა და ამ პროექტზე სახალისოდ იმუშავე. ახლა, როდესაც ლუი ვიტონთან მუშაობ, თუ შეიცვალა მისადმი შენი დამოკიდებულება?**

– დღეს ამაზე მეცინება... ახლა, უკვე „ლუი ვიტონთან“ მუშაობისას, მეტი პროფესიონალიზმით უნდა შევქმნა კომერციული, მდიდრული პროდუქტი და, პარალელურად, უნდა ვიფიქრო იმაზე, როდესაც ეს სამოსი მაღაზიებში გამოჩნდება, ხალხმა მათში ძალიან მაღალი ფასი დაუნანებლად გადაიხადოს. მე ვმუშაობ მარკ ჯეიკობსთან და არცთუ ისე დიდ გუნდთან ერთად. ამ კომპანიაში მუშაობა დიდი ფუფუნებაა და გარდა ამისა, ჩვენ საკუთარ თავზე ვიღებთ ყველაფერს, რაც კი ქალის სამოსს უკავშირდება და ვზრუნავთ მასზე. „ლუი ვიტონის“ კომპანიაში ძალიან პოზიტიური, სასიამოვნო ატმოსფეროა. მარკი ძალიან მეგობრული და არაჩვეულებრივი პიროვნებაა, მასთან ერთად მუშაობა ძალიან სასიამოვნოა.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ნიმოელერი**: კომუნისტების წასაყვანად მოვიდნენ და მე ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვიყავი; შემდეგ სოციალისტების წასაყვანად მოვიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან სოციალისტი არ ვიყავი; შემდეგ პროფკავშირელების წასაყვანად მოვიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირელი არ ვიყავი; შემდეგ ებრაელების წასაყვანად მოვიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვიყავი; შემდეგ ჩემს წასაყვანად მოვიდნენ და არავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო.

**სვიფტი**: გაუძელი ყველაფერს და იხილავ სასწაულს.

**პითაგორა**: ჰქმენ დიადი ისე, რომ ნუ შეჰპირდები დიადს.

**გლიკი**: მხოლოდ შეყვარებულს აქვს უფლება, რომ ადამიანი ერქვას.

**ნიცშე**: სიცილი ნიშნავს, რომ ღვარძლიანი ხარ, ოღონდ ისე, რომ სინდისი წმინდა გაქვს.

**ჰიპოკრატე**: სიცოცხლე კომედიაა მოაზროვნისთვის და ტრაგედია იმათთვის, ვინც განიცდის.

**პეტრარკა**: რაც უფრო ძუნწია კაცი, მით უფრო ულმობელია იგი.

**სენეკა**: ყველაზე მდიდარი ის არის, ვისაც სიხარბე არ აწუხებს.

**ბირსი**: სტუმართმოყვარეობა არის ქველმოქმედება, რომელიც გვიბიძგებს, რომ გარკვეულ პიროვნებებს კერძები მივართვათ და ბინა მივუჩინოთ, თუმცა მათ არც ერთი და არც მეორე არ სჭირდებათ.

**კოკტო**: სული ერთი და იგივე წყალია, რაც ყველა ჩვენგანში მოიპოვება; მხოლოდ ცვლის ფორმასა და ფერს, ბოთლის ფორმისა და ფერის მიხედვით.

**ლეოპარდი**: ყველაფერი იდუმალია, ოღონდ ჩვენი ტკივილი არა.

**ეზოპე**: უბედურებას რომ გამოსცდის ადამიანი, ჭკუაც ემატება.

**ლობერგერი**: ფილოსოფია არ შეიძლება განიმარტოს, რადგან ის თვითონ ეძებს ისეთ რამეს, რისი განმარტებაც არ შეიძლება.

**ქეი-ქაუსი**: თუ მეგობარს შენი მტერი არ სძულს, მას ნაცნობის გარდა ნურაფერს უწოდებ.

**ეპიქტეტი**: მწუხარებისგან სულელს განკურნავს ხოლმე მარტო დრო-ჟამი და ბრძენს კი – ჭკუა-გონება.

**პავეზე**: მწუხარებაც და სიამოვნებაც იმას ნიშნავს, რომ ვნებებს აჰყოლიხარ.

**ჰეგელი**: ნდობა ყველაზე დიდი თავგანწირვაა.

**შექსპირი**: ჩვენი პიროვნება ბაღია, ხოლო ჩვენი ნებისყოფა – მისი მებაღე.

**ანიტა**: ვნება, რომელიც მომდინარეობს არა გულიდან, არამედ თავიდან, არის პატივმოყვარეობა.

**ედისონი**: მოუსვენრობა და უკმაყოფილება პროგრესის პირველი წინაპირობაა.

**ბაირონი**: საზოგადოება არის დახვეწილი ურდო, რომელიც ორი მძლავრი ტომისგან შედგება: მოწყენილთაგან და თავის მობეზრებელთაგან.

**მორუა**: ქალს ყბედობას აპატიებენ, სიმართლის თქმას კი – არა.

**მონრო**: ბევრ მამაკაცს თავი ღმერთი ჰგონია და ავიწყდება, რომ ბევრი ქალი ათეისტია.

# თუ გამოიცნობთ

1. ცუდ მდგომარეობაში რომ არ აღმოჩნდეთ, იურისტები გვაფრთხილებენ, რომ არასდროს გავაკეთოთ ეს. სალვადორ დალი კი ხშირად არღვევდა ამ წესს, რაც აძნელებდა, დაედგინათ ნამდვილად დალის ნამუშევარი იყო თუ არა ესა თუ ის ნახატი. **დაასახელეთ გონიერი ადამიანის ეს ოქროს წესი.**

2. თავიდან ასე ერქვათ ინდუისტ ბერებს, რომლებსაც მათხოვრობის აღთქმა ჰქონდათ დადებული. ამ სიტყვას მეორე მნიშვნელობა მიემატა იმიტომ, რომ ბერებს სხვადასხვა საოცარი უნარი ჰქონდათ. **დაასახელეთ ეს სიტყვა.**

3. „რა ქაოსი და უწესრიგობაა: ბერძნული, არაბული, სპარსული, ინდური, ლათინური, სლავური ფუძეები; ღმერთები, ქალღმერთები, ვარსკვლავები, პლანეტები, ქალაქები, ქვეყნები, გვარები – ხშირად ყოველგვარი წესრიგის და ღრმა აზრის გარეშე“. **რა დაახასიათეს ასე?**

4. . 1880 წლიდან მამაკაცები ფრაკის ნაცვლად სმოკინგს იცვამენ. **რა შემთხვევაში იყო** ფრაკი სავალდებულო სამოსი 1918 წლამდე?

5. ასე უწოდებენ ყველაზე ხელსაყრელ და ყველაზე ძვირფას დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ჩვენ ამ დასახელების გაგონებისას სწორედ ტელეგადაცემა და გაზეთი გვაგონდება. **დაასახელეთ ის.**

6. მეთოთხმეტე საუკუნეში, ინგლისის მეფე, ჰენრი მეოთხემ, გამოსცა კანონი, რომლის დარღვევა, მიუხედავად უდიდესი სურვილისა, ექვსი საუკუნის განმავლობაში ვერავინ შეძლო. ის მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაარღვიეს და არა დამნაშავეებმა, არამედ ფიზიკოსებმა. **რას კრძალავდა ეს კანონი?**

7. ვიქტორ ჰიუგოს აზრით: ადამიანის გონი სამ გასაღებს ფლობს, რაც ყველაფერს აღებს. ციფრი გვეხმარება ცოდნაში, ასო – ფიქრში. **რა გვეხმარება ოცნებაში?**

8. **დაასახელეთ ის,** რაც იყო ტრინიდადის კუნძულზე მდებარე ტბაში, რომლის ფართობია 40 ჰექტარი, თუ 1876 წელს ეს მთელ ვაშინგტონს ეყო?

9. მას, რასაც არაბები ძველად უწოდებდნენ „კემის ხელოვნებას“, ჩვენს დროში არავინ მიიჩნევს ხელოვნებად, და, სხვათა შორის, არც მეცნიერებად. **რას?**

10. ანტიკურ ხანაში ამ სიტყვით აღნიშნავდნენ სავალდებულო ბეგარას, რომელიც შეძლებულ მოქალაქეებს უნდა გადაეხადათ, მაგალითად, სპორტული შეჯიბრების მონაწილეთა ან მოლაშქრეთა მატერიალური უზრუნველყოფისთვის. ეს ტერმინი შეცვლილი მნიშვნელობით გადავიდა ეკლესიაში და ნიშნავს დილის წირვას. **დაასახელეთ სიტყვა.**

*პასუხები იხილეთ 68-ე გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* იმის მიხედვით თუ სად წარმოიშობა, პოლარული ნათება ორია – Aurora Borealis და Aurora Australis.

* 25 წლის პედაგოგიური მუშაობის პერიოდში ტვერელმა მასწავლებელმა უნიკალური კოლექცია შექმნა: ასზე მეტი სხვადასხვაგვარი შურდული, საფურთხებელი მილი, ცარცი, რომელიც არ წერს, ჭიკარტი, ეგრეთ წოდებული „დიმაუშკა“, ასაფეთქებელი – სულ 385 „მასწავლებლის საწამებელი“ ნივთი შეაგროვა.

* მისანმა მეგარის მცხოვრებლებს ურჩია, გადაწყვეტილებები ყოველთვის უმრავლესობის თანდასწრებით მიეღოთ. ამ მოთხოვნას სახალხო კრება ყოველთვის ვერ ასრულებდა. მეგარელებმა გამოსავალი იპოვეს – კრებებს ისინი სასაფლაოზე ატარებდნენ.

* ბრაზილიის ჩრდილოეთ-დასავლეთ შტატში, მაგუ-გრასუში, ცხოვრობს ნამბიკვარას ტომი. მათ საერთოდ არ აქვთ რიცხობრივი სისტემა და აქვთ მხოლოდ ერთი სიტყვა – „თანაბარია“, რომელსაც რაღაც კავშირი აქვს მათემატიკასთან და გაცვლა-გამოცვლის დროს იყენებენ.

* „ერთჯერადი მოხმარების ავეჯი“ – ასე უწოდებენ ელექტრონულ სკამს შავი იუმორის მოყვარულები.

* ტოკიოდან სამხრეთით, 1800 კილომეტრის მანძილზე, ოკეანის ზედაპირზე 70 მეტრ სიმაღლეზე ამოშვერილია ორი კლდე. ეს არის ზღვის ფრინველების კუნძული – ოკინატორი. 1988 წელს, იაპონიის მთავრობის ინიციატივით, ამ კუნძულისკენ დაიძრნენ ბეტონის მასიური ბლოკებით დატვირთული ხომალდები, ვერტმფრენები, ასობით ადამიანი – იაპონიას 200 მილი ტერიტორიული ზონა რომ არ დაეკარგა.

* ყველასთვის ცნობილია, რომ, ძველბერძნების აზრით, ღმერთების სამყოფელი ოლიმპოს მთა იყო. თუმცა, ცოტამ თუ იცის, რომ ღმერთებს საზაფხულო რეზიდენციაც ჰქონდათ – პელიონი.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი: 1. მხd3-e5!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



– ძვირფასო სტუმრებო! დღეს ამ დიდებულ ჟორნილს მხოლოდ ძალიან ახლობელი ადამიანები ესწრებიან, ძალიან ძნელია ჩხუბის პროვოცირება, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ!

***

თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა, მხოლოდ სტიუარდესა ჩამოვარდა დაუსახლებელ კუნძულზე... იტირა, ივაგლახა და დაეძინა. გაეღვიძა. ხედავს ტიპი ხორცს წვავს.

– შენ საიდან მოხვდი?

– როგორც დამნაშავე, 15 წლის წინ აქ გადმომასახლეს... ეგონათ, დავილუპებოდი, მაგრამ ხომ ხედავ, ხორციც კი არ მაკლია...

– აუ, მეც შემჭამდი?

– სამაგიეროდ, რას მომცემ?

– ნუ, ალბათ, 15 წელი რაც არ გაგისინჯავს...

მივარდა კაცი.

– ჩემო ლამაზო, ჩემო საყვარელო, ჩემო სასურველო... ნუთუ არაყი გაქვს?

***

– როგორ ჩაიარა შენმა ნივრის დიეტამ?

– არა უშავს: დავკარგე 12 კილოგრამი და ყველა მეგობარი...

***

ებრაელი თოვლის ბაბუა შედის საბავშვო ბაღში:




– გამარჯობა ბავშვებო... გილოცავთ ახალ წელს! ნახეთ, რამდენი საჩუქარი უნდა მოგყიდოთ...

***

ექიმთან პაციენტი მივიდა.

– ნარკოტიკებს იყენებთ?

– არა.

– სვამთ?

– არა.

– ეწევით?

– არა.

– არ გინდათ, ასე იდიოტურად ნუ იღიმებით, სულერთია, რაღაცას მაინც ვიპოვი...

***

ქუჩაში ახალგაზრდების ჯგუფს ხანშიშესული ქალბატონი მიმართავს:

– ყმაწვილებო, მშვენიერი ქალბატონისთვის სიგარეტი ხომ არ მოგეპოვებათ?

– ინებეთ, მაგრამ თვითონ რატომ არ გვთხოვა?

***

წარწერა 1986 წლის ჩერნობილის თამბაქოს მოსავლით დამზადებულ სიგარეტზე: „ჯანმრთელობის სამინისტრო უკანასკნელად გაფრთხილებთ: მოწევა სასიკვდილოა!“

***

– მამი, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიცხოვროთ ასე?

– 40 წელი.

– მერე.

– მერე მივეჩვევით...

***

– გავიგე, შენი სიდედრი გარდაცვლილა...

– სიდედრი კი არა ცოლისდა...

– არა უშავს, არც ეგაა ცუდი...

***

სცენაზე ილუზიონისტი ხელზე დასმულ იხვს მიმართავს:

– ახლა კი სვანზე მოყევი ანეკდოტი!

დარბაზში წამოხტა სვანი:




– გეყოფათ ჩვენზე ანეკდოტების მოყოლა, აწი სხვებზე მოყევით!

ილუზიონისტი გაწითლდა და ბოდიშების მოხდა დაიწყო.

– შენ გაჩუმდი, მე იხვთან მაქვს საქმე, მაგას ველაპარაკები!

***

განცხადება:

კარგ ადამიანებს მივცემ: წითურ კატას, 6 თვისაა, ალერსიანი, მხიარული, ყველა აცრა გაკეთებული აქვს, იდეალურია ოჯახისთვის, სადაც პატარა ბავშვებია;

ან

ქმარს, შავგვრემანია, თაფლისფერი თვალებით, 35 წლის, კეთილი, კომუნიკაბელური, მუშაობს, ვერ იტანს კატებს, ამბობს, რომ ოჯახში ან მე ვიქნები, ან კატაო...

მოდით, ნახეთ, აირჩიეთ, რომელიც თქვენთვის უფრო მისაღებია...

***

ჭიჭიკიამ და ბიჭიკიამ ერთმანეთს დასცხეს.

ბიჭიკია: ჩემს თვალში საჯდომი ხარ!

ჭიჭიკია: რავა, გარშოკიდან მიყურებ თუ...

***

ექსპერიმენტის სახით, დაუსახლებელ ორ კუნძულზე ჩაიყვანეს: ერთზე – 25 მამაკაცი და ერთი ქალი, მეორეზე – 25 ქალი და ერთი მამაკაცი. გავიდა რაღაც დრო და ჩავიდნენ შედეგის შესამოწმებლად.

ერთ კუნძულზე ხედავენ, აყვავებულია იქაურობა, ყველგან წესრიგია, სისუფთავე... ტახტზე ზის ქალი და ერთ-ერთ მამაკაცს მიმართავს:

– მე რა გითხარი, რომელი ქვიშით უნდა მოგეკირწყლა ეს ბილიკი?

– წითლით.

– მერე, რა ფერის ქვიშა ყრია?

– ყვითელი.

– შენ რიგში რომელი იყავი?

– მეხუთე...

– ჰოდა, 25-ზე გადახვედი...

გადაინაცვლეს მეორე კუნძულზე. არეულობაა, სიბინძურე, პალმები ტოტებჩამომტვრეული... ერთ-ერთ პალმაზე კი მამაკაცი ასულა. ქვემოთ ქალები დგანან და ეძახიან.

– გეყო, ჩამოდი, 15 წუთი უკვე დიდი ხანია, გავიდა...

***

სასტუმროში წყვილი შევიდა.

– ცოლია თუ... – ეკითხება ადმინისტრატორი.

– თუ...

***

აგარაკის ერთ-ერთ ჭიშკარზე წარწერაა: „ფრთხილად, ავი თუთიყუშია“. დამსვენებელი მიადგა, ბინა უნდა იქირაოს. წარწერა წაიკითხა,




ცოტა ხნით დაფიქრდა კიდეც, მაგრამ მერე გადაწყვიტა, თუთიყუში რა საშიში უნდა იყოსო და შევიდა... ჭიშკარი მიხურა თუ არა, გაისმა თუთიყუშის ხმა:

– რექს, ფას!

***

ქმარი შინ ბრუნდება და ცოლს თავის მეგობართან წაასწრებს ლოგინში. ქმარი იღებს პისტოლეტს და მეგობარს კლავს.

– გაგიჟდი! ასე ხომ მეგობრების გარეშე დარჩები! – აკივლდა ცოლი.

***

ქუჩაში მიდის ქალი, რომელსაც ულამაზესი ფეხები აქვს. ბიჭიკია დაეწია და ეკითხება.

– უკაცრავად, გოგონი, სად იშოვეთ ასეთი ლამაზი ფეხები?

– მაღაზიაში, – ირონიულად მიუგო ქალმა.

– კი მაგრამ, სიფათი ხურდაში მოგცეს?

***

– გიო, წამო ქალებში წავიდეთ.

– მე რაღად გინდივარ, მარტო ვერ წახვალ?

– შენ, ძმაო, პროფესიონალი ხარ, მე კიდევ – მოყვარული.

– კაი, ხო, წავიდეთ, ორი ქალი ვიცი...

– კარგები არიან?

– ერთი კი, ლამაზია... მეორე – ისე რა, მოყვარულისთვის....

***

– ექიმო, ძალიან ცუდად ვარ!

– აბა, ენა გამოყავი...

– ენაც ვერ გადმოგცემთ, ექიმო, ისე ცუდად ვარ!

# რატომ შეაცივდა ხელში „ტრუბკა" გივი ბერიკაშვილს და რა „იაღლიში" მოუვიდა „მსახიობ" ვირს

გასული საუკუნის მიწურულია. კომუნისტები თავისას ცდილობენ. „თბილისობის" დღესასწაულიც მაშინ „მოიგონეს".

წლის მოსავლის შემაჯამებელი დღესასწაული გაიმართა რიყეზე. წამყვანი თეატრების ცნობილი სახეები ჩართეს ამ ღონისძიებაში. „შოუ" ინერციას იღებს საქართველოში...

მედეა ჩახავას ქართი ქალის ტანსაცმელი მოარგეს (კინოფილმ „მანანას" მიხედვით) და მეეზოვის ცოცხი დააჭერინეს ხელში.

ქალბატონი მედეა მიამბობდა, თუ როგორ ესიამოვნა ეს „როლი" და როგორ გულმოდგინებით „გვიდა" საგანგებოდ დასუფთავებულ ქუჩას. სადაცაა პარტიული მუშაკები მოვლენ და... აჰა, გივი ბერიკაშვილიც გამოჩნდა, საგანგებოდ კახეთიდან ჩამოყვანილ ვირზე ამხედრებული. თითქმის ყველაფერი დადგმული სცენარით მიდის, მაგრამ ქუთაისურად რომ ვთქვათ, – „მასთე სადაა, სიმონ!"

მოხდა გაუთვალისწინებელი „იაღლიში". იმ მართლა ვირმა, გივი რომ „მართავდა", ყველა კანონი დაარღვია – მორალური, ინტელექტუალურიც და ოთხი მეტრის რადიუსით, ეს მოპრიალებული ასფალტი მის ბუნებრივ მოთხოვნილებას ანაცვალა. არადა, სადაცაა მთავრობა უნდა მოვიდეს.

ატყდა ერთი ამბავი, რაციები... რამე... ქალბატონი მედეა თავისი ცოცხით გვერდზე მიაგდეს და დავაი... ტილოებით...

ვირს, გამომეტყველებაზე ეტყობოდა –




„სულ მკიდიაო", მაგრამ მხედარი სირცხვილით დაიწვა და ოფლში გაიღვარა შემოდგომის ბოლო თვის დასაწყისში.

ჟურნალისტებს მეტი რა უნდათ!

მართალია, ეს თავმოსაჭრელი პროცესი ვერ მოასწრეს – არ გადაუღიათ, მაგრამ მდგომარეობა ვირისთვის შესაშურად განვითარდა: ყველა მხრიდან გადაიღეს და მსოფლიო ვირებისთვის შესაშური სურათები მალე უპოპულარულესი გახდა. ეგ კი არა, მოგვიანებით, კერძო ფირმებმა კედლის კალენდრები გამოუშვეს ვირზე ამხედრებული მარჯანიშვილის წამყვანი მსახიობის ფოტოთი.

გამოვიდა ეს კალენდრები და რახრახით გაიყიდა კიდევაც...

... ედუარდ შევარდნაძე იყო მაშინ ცეკას პირველი მდივანი. ბატონი ედუარდის იუმორი მსოფლიოში ცნობილია და ერთ დღეს მარჯანიშვილის თეატრს ესტუმრა სპექტაკლზე – „ეზოში ავი ძაღლია". ძალიან მოეწონა და მოკრძალებული ტაშიც შეაწია, მერე მსახიობებს მიაკითხა კულისებში და „მიულოცასავით" წარმატება.

გივი ბერიკაშვილმა შემთხვევით ისარგებლა და ცეკას მდივანს, ბატონ ედუარდს საგანგებოდ გადახვეული ის კალენდარი აჩუქა, – ვირზე რომ იჯდა და გადაუღეს. თან, მოკრძალებული ავტოგრაფის ქვეშ მიაწერა: „ბატონო ედუარდ, გქონდეთ ეს კალენდარი ჩემგან სახსოვრად, ზემოთ, პირველ რიგში რომ ვზივარ, – ის ვარ მე..."

ცეკას პირველმა მდივანმა (რომ ვთქვი, იუმორი უყვარს-მეთქი შევარდნაძეს) პასუხი არ დააყოვნა და ერთ დილით ურეკავს სახლში გივი ბერიკაშვილს:

– ალო, ალო, გივი ხარ?

– კი. გისმენთ, ბატონო, – იმ წუთშივე იცნო გივიმ და სკამიდან წამოხტა, – რა დაკვირვებული კაცი ხარ, გივი, შენ! კიდო კაი, რომ მიაწერე, თუ არა, ძაან გამიჭირდებოდა ცნობა, რომელი იყავი".

გივის „ტრუბკა" ხელში „შეაცივდა".

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ შეაჩვია ლამზირამ წყევლას ჩინელი ქმარი და რატომ ჰგონია ტობის თავი ავადმყოფი

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს. ცოტა მიჭირს, ძნელი ყოფილა ოჯახი.

როგორც გითხარი, ლამზირა ერთი წყნარი და მორცხვი გოგო მეგონა და ნამდვილი აფთარი ყოფილა, დედა. უკვე მეშინია, რამე ისეთი არ ვთქვა, რომ ეწყინოს, თორემ დაჭრილი დათვივით ღრიალებს ყველაფერზე. აქამდე წყევლის ძალიან მეშინოდა, მაგრამ ახლა ისე მივეჩვიე, ლამზირა რომ არ მწყევლის, უკვე მოთხოვნილება მიჩნდება. სულ ტანსაცმელზე წუწუნებს. თუ რამე ფული დაინახა გარბის და რაღაცეებს ყიდულობს, არადა, სანამ გამომყვებოდა, ერთი გახუნებული კაბა ეცვა ორი წლის განმავლობაში. თუ კარგ ხასიათზეა, არა უშავს კიდევ, მაგრამ დაიბარებს ხოლმე თავის დეიდა ცისმარის და რაღაცას ბუტბუტებენ ჩუმად. იმის წასვლის შემდეგ კი, მე მომდგება ხოლმე და მეუბნება, ღარიბები რომ ვართ შენი ბრალიაო. ეს ცისმარი ყველასთან ეგრე დადის და ნათესავები ჭორბიუროს ეძახიან. დაახლოებით ვხვდები, ეს რასაც ნიშნავს.

დედა, დღე და ღამე ვმუშაობ, რომ სახლში საჭმელი მივიტანო, ლამზირა კიდევ ყოველდღე მეუბნება, კინოში ან რესტორანში წავიდეთო. სხვათა შორის, კინოში პირველად მე წავ-




იყვანე და ნეტავ, სულ არ წამეყვანა. ფილმის მიმდინარეობისას ეკრანს საერთოდ არ უყურებს, ბატიბუტს ჭამს და გარშემო მჯდომებზე ჭორაობს – ვის რა აცვია და ვის როგორი გარეგნობა აქვს. სხვათა შორის, პირველად როცა ვიყავით, მას შემდეგ მარტო ჩვენ ორნი აღარ ვყოფილვართ, სულ ვიღაც მოჰყავს ხოლმე თან – ხან ბიძაშვილი, ხან მამიდაშვილი და ხანაც მამიდის მულიშვილი. სხედან და ლაპარაკობენ. ერთხელ კინაღამ გამოგვყარეს გარეთ.

მოკლედ, სულ სხვანაირი აღმოჩნდა ეს გოგო, დედა და ძალიან ვნერვიულობ, რაღაც უნდა მოვიფიქრო, თორემ აღარ შემიძლია. იმ დღეს მეზობელს ეჩხუბა და სულ სოფლელი და ჩამოთრეული ეძახა, ვითომ თვითონ პარიზიდან იყოს ჩამოსული. მე ვუთხარი, სოფლელი სალანძღავი სიტყვა ხომ არ არის, შენ თვითონაც ხომ სოფლელი ხარ-მეთქი. ნეტავ რა მალაპარაკებდა, მთელი ღამე მამალივით ყიოდა, სანამ ძალა არ გამოეცალა. რაღაც ოქროს ბეჭედი უნახავს, ათას ხუთასი ლარი ღირსო. სამი დღე მომცა ვადა, რომ ვიყიდო. მე, რა თქმა უნდა, ვერ ვუყიდი და სანამ სახლში მივალ, სასწრაფო და პოლიცია უნდა გამოვიძახო.

რამდენი მისი ნათესავიც მოვა, ყველა ეკითხება, ორსულად რატომ არ ხარო და ეჭვით მიყურებენ. ჯერ ერთი თვეც არ არის რაც ცოლ-ქმარი ვართ და ყველას უკვე ავადმყოფი ვგონივარ.

ჯერჯერობით ეს არის სულ, დედა, მერე კიდევ მოგწერ, ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**



კუზანოვ დენტი
KUZANOV DENT
განახლებული
„კუზანოვ დენტი“
უკვე ახალ მისამართზე
ასლანიდის
ქ. №14
ტელეფონი:
233 33 01
KUZANOV DENT Tel: 2 33 33 01
XXI საუკუნის
სტომატოლოგია
ხელმისაწვდომ
ფასად




HAIRLINE
INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE
ვარსკვლავები თმას
ჰეარლაინში ინერგავენ
230 00 30
მის. ქავთარაძის 16
www.hairline.ge



კეტონალი გელი
კეტოპროფენი
კეტონალი გელი
დამაჯერებელი გამარჯვება ტკივილზე!
KETONAL®
гель
для наружного применения
КЕТОПРОФЕН
уменьшает боль и воспаление
50 г
lek
КЕТОНАЛ®
гель
для наружного применения
КЕТОПРОФЕН
уменьшает боль и воспаление
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს
SANDOZ
a Novartis company
თბილისი, გ. ტაბიძის №18
ტელ.: 298 27 30, 298 27 50
1/713/GE/23.05.2013